

# 5

## ქართული

მასწავლებლის წიგნი

**ნინო გორდეჯაძე  
თინათინ კუხიანიძე  
ნათია ნაფცვარიძე  
თეა გაბისონია**



სულაკაურის  
გამომცემლობა

გრიფმინიჭებულია საქართველოს  
განათლების, მეცნიერების, კულტურისა  
და სპორტის სამინისტროს მიერ  
2018 წელს.

ქართული 5  
მასწავლებლის წიგნი

თბილისი, 2018

ავტორები: **ნინო გორდელაძე, თინათინ კუხიანიძე**  
**ნათია ნაფეტვარიძე, თეა გაბისონია**  
რედაქტორი **რუსუდან გორგაძე**  
ტექნიკური დიზაინერი **ლადო ლომსაძე**

© ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2018  
ყველა უფლება დაცულია.

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“  
აღმაშენებლის 150, თბილისი 0112  
ტელ.: 2910954, 2911165  
ელფოსტა: [info@sulakauri.ge](mailto:info@sulakauri.ge)

ISBN 978-9941-30-018-9

Georgian 5  
Teacher's Book

© Sulakauri Publishing, 2018  
All rights reserved.

Tbilisi, Georgia  
[www.sulakauri.ge](http://www.sulakauri.ge)

# სარჩევი

---

1. ზოგადი ინფორმაცია სახელმძღვანელოს შესახებ .....	5
2. შესავალი	
<u>საგნის სწავლების მიზანი</u> .....	6
3. ეროვნული სასწავლო გეგმა .....	11
<u>V კლასი – საფეხურებრივი სტანდარტის შედეგები და მათი შეფასების ინდიკატორები</u> .....	12
4. სახელმძღვანელოს შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან .....	19
5. სახელმძღვანელოს კომპონენტები და სტრუქტურა .....	24
6. რეკომენდაციები შეფასებაში	
<u>ამონარიდი ეროვნული სასწავლო გეგმიდან</u> .....	30
<u>განმავითარებელი შეფასება</u> .....	36
7. მოსწავლეთა შეფასების სისტემა.....	40
8. მოსწავლეთა თვითშეფასება .....	44
9. მოსწავლეთა შეფასება და თვითშეფასება დაწყებით საფეხურზე – <u>V-VI კლასები</u> .....	48
10. წერიტი დავალების შეფასების კრიტერიუმები .....	51
11. ნაკითხულის გააზრების პროცესები და ტექსტის <u>გასააზრებლად დასმული შეკითხვები</u> .....	53
12. პრაქტიკული ნაწილი – გაკვეთილების გეგმები და სცენარები, <u>მოსასმენი ტექსტები</u> .....	55
12.1. <u>შემაჯამებელი სავარჯიშოები</u> .....	134
12.2. <u>რვეულში მოცემული ტესტების პასუხები</u> .....	136
13. დამატებითი რეკომენდაციები .....	141
<u>წერის სტრატეგია</u> .....	142
13.1. <u>დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მეთოდური გზამკვლევი</u> .....	145
13.2. <u>მკვლევარ ბლუმის ტაქსონომია და კრიტიკული აზროვნება</u> .....	157
13.3. <u>შეფასების რუბრიკების ნიმუშები</u> .....	161
13.4. <u>ინკლუზიური განათლება</u> .....	168



# 1. ზოგადი ინფორმაცია სახელმძღვანელოს შესახებ

თქვენ წინაშეა დანყებით საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების კარგად გააზრებული კურსი, რომელიც წლების განმავლობაში იქმნებოდა და იხვეწებოდა ავტორთა მიერ. მუშაობის პროცესში შესაძლებლობა გეკონდა, შეგვემონებინა ჩვენ მიერ შედგენილი გაკვეთილები საკლასო გარემოში, განსხვავებული უნარ-ჩვევების მქონე მოსწავლეებთან. შესაბამისად, აქტივობები შედგენილია საშუალო მონაცემებზე დაყრდნობით. მასწავლებელს ადვილად შეუძლია მოარგოს ისინი საკუთარ გარემოებებს, მოსწავლეთა შესაძლებლობებსა თუ სკოლის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას.

შევეცადეთ, მრავალფეროვანი თემებითა და აქტივობებით დაგვეკმაყოფილებინა ეროვნული სასწავლო გეგმისა და საგნის სწავლების სტანდარტის ყველა მოთხოვნა. მაგრამ ჩვენი მთავარი მიზანია, შევაცვაროთ ბავშვებს მშობლიური ენა, გავუღვივოთ ინტერესი გრამატიკისა და ლიტერატურისადმი, გავხადოთ შემოქმედებითი პროცესის თანამონაწილეები და ინიციატორები. ამიტომ შევეცადეთ, მშობლიური ენისა და ლიტერატურის სამყარო წარმოგვეჩინა მოსწავლეებისთვის საინტერესო კუთხით, მიგვეწოდებინა მათთვის არა მხოლოდ კლასიკური, არამედ თანამედროვე ტექსტები და მნიშვნელოვანი თეორიული მასალა, რომელიც გაუზრდიდა ცნობისმოყვარეობასა და ინტერესს საგნისადმი.

**მასწავლებლისთვის** გაკვეთილების სცენარები განერილია დეტალურად (ზოგ შემთხვევაში მოცემულია მხოლოდ გაკვეთილის გეგმა) და შეიცავს სრულ ინფორმაციას გაკვეთილზე მოსწავლეებისთვის მისაწოდებელი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული სამუშაოს შესახებ. მასწავლებელს შეუძლია სიტყვასიტყვით მისდოს სცენარში აღწერილ გაკვეთილის მსვლელობას, ან სცენარი გამოიყენოს, როგორც საბაზო რესურსი ან იდეა და საკუთარი თვალთახედვით შეარჩიოს სასაუბრო თუ საილუსტრაციო მასალა. წიგნში ასევე მოცემულია ცოდნის გასამყარებელი, სააზროვნო უნარების განმავითარებელი აქტივობები.

**მოსწავლეთა** აქტივობები შედგენილია ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, მიწოდებულია გასაგები ფორმით, ხშირად თამაშებისა და შემოქმედებითი ექსპერიმენტების სახით. დამოუკიდებლად გაკეთებული აღმოჩენა (მაგალითად, გრამატიკის კურსში, რომელიც ამ სერიის მნიშვნელოვანი ნაწილია) განსაკუთრებით დასამახსოვრებელს გახდის თითოეულ გაკვეთილს. აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელო თავებზე დაყოფილია არა მისაღწევი შედეგების, არამედ თემების მიხედვით, რაც მუშაობას გაუადვილებს როგორც პედაგოგებს, ასევე მოსწავლეებს. ბავშვები შეძლებენ, ერთი თემის ფარგლებში გაეცნონ სხვადასხვა ტიპის ტექსტს. გარდა ამისა, კურსის მასალა ხელს შეუწყობს მოსწავლეებში კომუნიკაციის, თანამშრომლობის, ორგანიზებულობის, ანალიზის, ინტერპრეტაციის, შეფასებისა და რეფლექსიის უნარების ფორმირებას.

დღევანდელი საზოგადოებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი მომავალი თაობის აღზრდა, რომელიც ორიენტირებული იქნება იზრუნოს არა მხოლოდ ეკონომიკურ წინსვლაზე, არამედ დემოკრატიული საზოგადოების შექმნასა თუ ეკოლოგიური პრობლემების აღმოფხვრაზე. რა თქმა უნდა, ამ მიმართულებას ვერც ეროვნული სასწავლო გეგმა აუვლის გვერდს. ამიტომ დიდი ყურადღება ექცევა სასწავლო მასალაში (ნებისმიერი საგნობრივი მიმართულებით) ამ საკითხებზე კონცენტრირებას. მდგრადი განვითარების მიზნები მოიცავს მდგრადი განვითარების სამ განზომილებას: ეკონომიკური ზრდა, სოციალური ინკლუზია და გარემოს დაცვა. სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტები და დავალებები შესანიშნავ საშუალებას იძლევა, დანყებითი კლასების მოსწავლეებს განუვითაროს აზროვნება თითოეული მიმართულებით; მაგალითად, თავის, „ბუნების სურათების“ სწავლების დროს მასწავლებელი ყურადღებას გაუმახვილებს ბუნების დაცვაზე, ეკოლოგიური ცნობიერების განვითარებაზე და ა.შ.

დანვრისთვის ინფორმაცია მდგრად განვითარებასა და მის პრინციპებზე მასწავლებელს შეუძლია მიიღოს შესაბამისი ლიტერატურიდან; მაგ.: [tpdc.ge/ptk\\_files/\\_ckuploaded/747850.pdf](http://tpdc.ge/ptk_files/_ckuploaded/747850.pdf)

[http://www.ungeorgia.ge/geo/sustainable\\_development\\_goals#.WuRY-DNRXMw](http://www.ungeorgia.ge/geo/sustainable_development_goals#.WuRY-DNRXMw) და სხვ.

## საგნის სწავლების მიზანი

ასაკობრივ თავისებურებებზე საუბრისას გამოყენებულია მანანა მელიქიშვილის „შუა ბავშვობა“ (უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის განვითარების თავისებურებები)

### ბავშვის განვითარების

### თავისებურებები

### სხვადასხვა სფეროს მიხედვით

სწავლა ცოდნის აგების პროცესია, ამიტომაც მნიშვნელოვანია მასში მოსწავლე აქტიურად იყოს ჩართული. მან საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებაზე დაფუძნებით უნდა აღმოაჩინოს და დაამუშავოს ახალი საკითხები. ასე უკეთ გაიაზრებს ახალშეძენილ ცოდნას. მასწავლებელმა უნდა მიაწოდოს მხოლოდ აუცილებელი მასალა, დასვას მიმანიშნებელი კითხვები და მისცეს საშუალება დააკვირდნენ, გამოთქვან მოსაზრებები. მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს მრავალფეროვანი ფორმები: დისკუსია, ლიტერატურასთან მუშაობა, ემპირიული ინფორმაციის შეგროვება და სხვ. მყარდება კავშირი ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. მუშაობის სხვადასხვა ფორმისა თუ სტრატეგიის გამოყენება ხელს უწყობს სხვადასხვა საჭირო უნარის განვითარებას.

შედეგის მისაღწევად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ დავამახსოვრებინოთ მოსწავლეს მიღებული ინფორმაცია, არამედ დავეხმაროთ ამ ინფორმაციის მყარ და ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნაში. ამგვარი ცოდნის მიღება კი შესაძლებელია მხოლოდ გაღრმავებული სწავლებით, რაც გულისხმობს სასწავლო მასალის ეტაპობრივად და მრავალმხრივად დამუშავებას, ახალი საკითხების, ცნებების საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტებში განხილვას, ათვისებული ცოდნის განმტკიცებას, საგანთაშორისი კავშირების გამოვლენასა და საერთო ასპექტების დამუშავებას.

სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტურად წარსამართავად აუცილებელია გავითვალისწინოთ მოტივაციის როლი. ამიტომ, სასწავლო გეგ-

მის შედგენისას, მასწავლებელი უნდა დაფიქრდეს მოტივებზე და გაიაზროს, რისი გაკეთებაა საჭირო, რომ მოსწავლეებს სწავლის სურვილი გაუღვიძოს; როგორ განუვითაროს და აუმაღლოს მათ მოტივაცია სასწავლო გეგმის ფარგლებში. უპირველეს ყოვლისა, ბავშვებს უნდა გაუჩნდეთ წინსვლის შეგრძნება. ამისათვის თითოეულ მოსწავლეს, მიუხედავად მათი აკადემიური მიღწევებისა, უნდა მივცეთ ეტაპობრივი პროგრესირების საშუალება საკუთარ შესაძლებლობებსა და ცოდნაზე დაყრდნობით. ამდენად, აუცილებელია, თითოეული მოსწავლისათვის სწორად შეირჩეს დავალებათა სირთულის დონე. თუ მოსწავლეს მივცემთ ზედმეტად რთულ, მისთვის დაუძლეველ დავალებებს, ის წინსვლის იმედს დაკარგავს.

სასურველი შედეგის მისაღწევად მნიშვნელოვანია ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება. სახელმძღვანელოს შედგენისას სწორედ ეს იყო ჩვენთვის ამოსავალი. უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვი ფიზიკურად აქტიურია. აქვს ჭარბი ენერჯია, რომელიც ფიზიკური აქტივობის საფუძველს წარმოადგენს. უყვარს თავგადასავლები, შთაბეჭდილებები, ფიზიკური ვარჯიში. ამ ასაკის ბავშვი ძალიანაა დაკავებული თავისი ყოველდღიური თავგადასავლებით. ამიტომ აუცილებელია მისთვის მრავალფეროვანი აქტივობების შეთავაზება, რათა სასწავლო პროცესი უინტერესო არ გახდეს.

უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეების აღქმა არასაკმარისად არის დანაწევრებული და განისაზღვრება ობიექტის მახასიათებლებით. ბავშვები საგანში ხშირად ამჩნევენ არა მთავარს, მნიშვნელოვანს, არამედ საგნის თვალმისაცემ, მკვეთრ თვისებებს. ამიტომ მნიშვნელოვანია გამოვიყენოთ ისეთი აქტივობები, რომლებიც განუვითარებთ მათ დაკვირვების უნარს. ხატვა, ილუსტრაციების შექმნა, სურათების დათვალიერება-თანმიმდევრულად დალაგება, აღწერა, მსგავსება-განსხვავების პოვნა, ზღაპრების, ლექსების, მოთხრობების მოსმენა და შეთხზვა, გამოცანების გამოცნობა და სხვ. ეხმარება მოსწავლეს ობიექტური მასალის გარდაქმნასა და საგნის ობიექტური თვისებების აღქმაში.

უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეებში სუსტად არის განვითარებული ნებისმიერი ყურადღება,

სამაგიეროდ, კარგად არის განვითარებული უნებლიე ყურადღება. ყველაფერი ახალი, მოულოდნელი, საინტერესო, ნათელი აინტერესებს. შეიძლება არ შეაჩეროს ყურადღება სასწავლო მასალაში არსებით დეტალებზე და შეაჩეროს არაარსებითზე, იმიტომ, რომ მათ მიიზიდონ.

გარდა ამისა, ბავშვის ყურადღება მჭიდროდაა დაკავშირებული აზროვნებასთან. მას უჭირს ყურადღების კონცენტრაცია მისთვის გაუგებარ, ბუნდოვან მასალაზე. მნიშვნელოვანია ყოველი გაკვეთილი მოსწავლეთა მომზადების დონის შესაბამისად წარიმართოს. ჩვენს სახელმძღვანელოში თემატიკა ისეა შერჩეული და დალაგებული, რომ ახალი მასალა მოსწავლის ცოდნასა და გამოცდილებას ეყრდნობა და მის ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენს. უფრო მეტიც, ყოველი ახალი თემა ეფუძნება წინა კლასში ნასწავლს. მოსწავლეები არა მხოლოდ ახალ ნაწარმოებებს ეცნობიან, არამედ მათ ხშირად გასულ წლებში განვლილი მასალის თემატიკურ ჭრილშიც განიხილავენ და ამით ერთგვარად ამთლიანებენ ცოდნას.

6-8 წლის ასაკის ბავშვი **დამკვირვებელია.**

9-11 წლის ბავშვი **მკვლევარია.**

ამ ასაკის ბავშვიც ასევე კარგი დამკვირვებელია, მაგრამ უფრო ყურადღებით აკვირდება და ლოგიკურად აზროვნებს. სვამს ბევრ კითხვას და შეუძლია თვითონ იპოვოს მათზე პასუხი.

უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეებს უჩნდებათ ლოგიკური აზროვნების ნიშნები, რომელიც ჯერ კიდევ მხოლოდ კონკრეტულია. ბავშვის მსჯელობა, როგორც წესი, ემყარება კონკრეტულ მაგალითებსა და პირად გამოცდილებას. ამიტომ, ახსნისას უპირატესობა უნდა მივანიჭოთ კონკრეტული მაგალითების გამოყენებას.

უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვს არ შეუძლია კარგად გაიგოს თეორიული ცოდნა, რომელიც მას ეძლევა გამზადებული სახით. ნამდვილ გაგებას ადგილი ექნება მხოლოდ ობიექტებზე აქტივობის განხორციელების შედეგად – ტრანსფორმაცია, გადაადგილება, დაკავშირება, კომბინაცია.

უნდა აღინიშნოს, რომ აზროვნების ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მახასიათებელი არ აღმოცენდება ერთდროულად („ერთ მშვენიერ დღეს“). ბავშვს სჭირდება რამდენიმე წელიწადი, რათა შეძლოს აზროვნების აღნიშნული მახასიათებლების გამოყენება პრობლემის გადასაწყვეტად.

მასწავლებელმა უნდა განავითაროს ბავშვებში ცნებითი და ლოგიკური აზროვნება, მსჯელობა, დასკვნის გაკეთების უნარი.

დავალებებისა და საგაკვეთილო სცენარების შედგენისას ჩვენ ეს პრინციპები მაქსიმალურად გავითვალისწინეთ, დანარჩენი კი მასწავლებლის ოსტატობაზეა დამოკიდებული. ჩვენს ყოველ რეკომენდაციას მასწავლებელი შემოქმედებითად უნდა მიუდგეს. წიგნში მოცემულ მასალაში ჩვენ განვსაზღვრავთ მუშაობის მიმართულებას, მიზნის მიღწევის შესაძლო გზებს. საუკეთესო ვარიანტი კი მასწავლებელმა თვითონ უნდა შეარჩიოს. რა თქმა უნდა, მასწავლებელს შეეძლება გადაადგილოს გაკვეთილში მოცემული დავალებები, საჭიროების მიხედვით, და ამისთვის შეუძლია სარეზერვო საათები გამოიყენოს.

დანყებით საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს აუცილებელი ენობრივი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის მიმართულებით. ამავე დროს, ეს პროცესი გულისხმობს იმ მინიმალური ლინგვისტური კომპეტენციის ფორმირებას, რომელიც ენის პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით არის აქტუალური და შეესაბამება მოსწავლის ინტელექტუალურ შესაძლებლობებსა და ინტერესებს.

მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლება დანყებით საფეხურზე ეფუძნება მდიდარ ტექსტურ კორპუსს - სხვადასხვა სახის მხატვრულ და არამხატვრულ, ასევე მულტიმედიურ ტექსტებს.

ტექსტების ნაირსახეობა ქმნის იმ აუცილებელ თემატურ გარემოს, რომლის გაცნობაც მოსწავლეს შესძენს ცხოვრებისეული ურთიერთობებისათვის საჭირო გამოცდილებას. მოსწავლეები უნდა დაეუფლონ მხატვრული, საინფორმაციო-შემეცნებითი და პრაგმატული ტექსტების აღქმის, გაგების, გამოყენებისა და შექმნის, ასევე ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების საბაზისო უნარ-ჩვევებს. სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ასევე მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას. მოსწავლეებმა უნდა შეძლონ მიღებული ცოდნისა თუ ენობრივი გამოცდილების საფუძველზე ახალი ტექსტების შექმნა და თვითგამოხატვა.

მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, I-IV კლასების სტანდარტის

მოთხოვნების შესრულებისას ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს მოსწავლეთა ბუნებრივი ენობრივი უნარების კორექციასა და შემდგომ განვითარებაზე, ლექსიკური მარაგის გამდიდრებაზე; ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის კულტურის გამომუშავებაზე (საწყის დონეზე). მუშაობა უნდა წარიმართოს იმ მიმართულებითაც, რომ მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეთ პოზიტიური დამოკიდებულება კითხვისა და, ზოგადად, სწავლის მიმართ, განუვითარდეთ მეტაკოგნიტური უნარები საწყის დონეზე (საკუთარ სწავლის პროცესზე დაკვირვება, დამოუკიდებლად მუშაობა, სასწავლო საქმიანობის ორგანიზება და სხვ.).

სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეთა ზეპირმეტყველების უნარების განვითარებას სისტემური და თანამიმდევრული ხასიათი უნდა მიეცეს. მოსმენილის ზეპირად გადმოცემა/თხრობა, მასზე აზრის გამოთქმა, პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და სხვა ხელს უწყობს გაგება-გააზრების პროცესებს. სწავლების პროცესში მოსმენილი ტექსტობრივი მასალის ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისა და შესწავლილი სიტყვების აქტიურად გამოყენებით კი თანდათანობით მდიდრდება მოსწავლეთა ლექსიკური მარაგი, იხვეწება მათი მეტყველება.

კითხვის სწავლების საბოლოო მიზანია წაკითხულის გააზრება, რაც გულისხმობს მკითხველის აქტიურ მონაწილეობას კითხვის პროცესის სამივე ეტაპზე: კითხვის დაწყებამდე, კითხვის დროსა და კითხვის შემდეგ. კითხვის ტექნიკის თანდათანობით სრულყოფა საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, გახდნენ განაფული მკითხველები, გაიგონ და გაიაზრონ წაკითხული.

წაკითხულის გაგება-გააზრება მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული ლექსიკურ მარაგზე - რაც უფრო მდიდარია მოსწავლის ლექსიკური მარაგი, მით უფრო წარმატებულია იგი, როგორც მკითხველი. ამდენად, ლექსიკური მარაგის შევსება-გამდიდრებაზე ზრუნვას სწავლების საწყის ეტაპზევე საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს. ზეპირი და ბეჭდური ვერბალური ტექსტების გარდა, მუშაობა უნდა წარიმართოს ასევე მულტიმედია ტექსტების კითხვა-გაგების მიმართულებითაც, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ზოგადი ნიგნიერების უნარ-ჩვევების განვითარებას.

სხვადასხვა სახისა და ტიპის ტექსტების შედგენაზე მუშაობა თავდაპირველად უნდა წარიმართოს მასწავლებლის ხელმძღვანელობით, საყრდენების/მინიშნებების გამოყენებით თუ მოდელის

მიხედვით. მკაფიო და გასაგები ინსტრუქციების თანხლებით, მრავალფეროვანი და შინაარსიანი კონტექსტის მქონე წერიტი და ვალებების შესრულების გზით მოსწავლეები თანდათან დახვეწენ კალიგრაფიას, გაინაფებიან წერაში და შეიქმნიან გარკვეულ წარმოდგენას წერის პროცესზე, რაც გულისხმობს მოსწავლეთა აქტიურ მონაწილეობას წერის სამივე ეტაპზე: წერის დაწყებამდე, წერის პროცესში, წერის შემდეგ.

სახელმძღვანელოს აგების მთავარი პრინციპი სწორედ ამ სამი მიმართულების (წერის, კითხვის, ზეპირმეტყველების) ინტეგრირებულად სწავლებაა.

მნიშვნელოვანია საგნის სწავლებისას ყურადღება გამახვილდეს გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზეც: საოცრად სწრაფად ცვალებად მსოფლიოში წარმატების მისაღწევად მოსწავლეებს უნდა შესწევდეთ ინფორმაციის მიკვლევისა და იმის გადაწყვეტის უნარი, თუ რა არის მნიშვნელოვანი ამ ინფორმაციიდან და რა - არა. მათ უნდა შეეძლოთ ინფორმაციის დახარისხება, დამუშავება და გამოყენება. ამდენად, დღევანდელი ხედვით, ცოდნას მარტო მაშინ აქვს ფასი, როდესაც მას სარგებლობა მოაქვს. დღეს სარგებლობა მხოლოდ იმ ცოდნას მოაქვს, რომელიც კონცეპტუალურად არის გააზრებული და შესაძლებელია მისი პრაქტიკული, შემოქმედებითი და კრიტიკული გამოყენება.

ამიტომ ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, მოვამზადოთ მოსწავლე შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნებისთვის, რათა მან შეძლოს ინფორმაციის მოპოვება, გაანალიზება, კრიტიკული განსჯა, შეფასება და გამოყენება თავისი ამოცანების განსახორციელებლად.

ჩვენ მიერ შექმნილი სახელმძღვანელო ხელს შეუწყობს მოსწავლეებში როგორც საგნობრივი ცოდნის შექმნასა და გაღრმავებას, ისე სხვადასხვა სასწავლო-სოციალური უნარ-ჩვევის განვითარებას. ნიგში მოცემულია არა მარტო მრავალფეროვანი ლიტერატურული ტექსტები, არამედ აღწერითი და საინფორმაციო ხასიათის მასალაც, რაც დაეხმარება მასწავლებელს განუვითაროს მოსწავლეებს კითხვის უნარ-ჩვევები და ჩამოუყალიბოს ლიტერატურული გემოვნება. სახელმძღვანელო გათვლილია ყველა ტიპის მოსწავლეზე და ითვალისწინებს მათ აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში.

ტექსტებს დართული აქვს სავარჯიშოები, რომ-



ლებიც განსაზღვრავს მუშაობის ძირითად სპეციფიკას.

სახელმძღვანელოში მოცემული შეკითხვები გადის ყველა სააზროვნო დონეზე. მაღალი სააზროვნო დონის შეკითხვებზე წინასწარ განსაზღვრული სწორი პასუხები ხშირად არ არსებობს, მათი დანიშნულებაა მოსწავლეებში ღრმა და კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარება. კითხვებს შორის ზოგჯერ გვხვდება დაბალი სააზროვნო დონის, ანუ მეხსიერებაზე ორიენტირებული კითხვებიც. მათი პასუხები ადვილი მოსაძებნია თვით ტექსტში. კითხვის დასმისა და მასზე რეაგირების ხერხების ცოდნა მეტად მნიშვნელოვანია ეფექტური სწავლებისთვის.

სასწავლო პროცესში უდიდესი მნიშვნელობა აქვს სასწავლო გარემოს მოწყობას, განსაკუთრებით კი დაწყებით კლასებში, მათი ასაკობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე. სასწავლო გარემო ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ ხელს უწყობდეს სასწავლო პროცესის ეფექტურობის ამაღლებას, მოსწავლეთა დამოუკიდებელ და შემოქმედებით მუშაობას, სწავლების ორგანიზაციას და საგნისადმი ინტერესის გაღვივებას.

ეს საკმაოდ რთული, კომპლექსური სისტემაა და მოიცავს, როგორც საკლასო ოთახის ფიზიკურ მახასიათებლებს (მაგ; განათება, ტემპერატურა, სასწავლო ავეჯი და სხვ.), ისე სწავლებისათვის საჭირო სხვადასხვა სახის რესურსებს (მაგ; საპრეზენტაციო და საექსპოზიციო მასალებს, მოწყობილობებს, სასწავლო-მეთოდურ კომპლექტებს და სხვ.).

სასწავლო გარემოსა და სწორედ შერჩეული რესურსების საშუალებით მასწავლებელმა უნდა შეძლოს მოსწავლეში აღძრას საგნისადმი ინტერესი, გააღვივოს კვლევის სურვილი და შეუქმნას მას ისეთი მიმზიდველი და პრაქტიკული გარემო, სადაც ის შეძლებს მუშაობასა და სწავლას. კლასში უნდა არსებობდეს ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობისათვის, კვლევისათვის, დასვენებისა და თამაშისათვის საჭირო პირობები.

სასწავლო რესურსები სასწავლო პროცესში უნდა იძლეოდეს სტიმულს, აადვილებდეს კლასში მუშაობას და სასწავლო პროცესს უფრო დინამიურსა და ინტერაქტიულს ხდიდეს. რესურსების გულისყურით შერჩევას, შესაბამისი სახით წარდგენას და მათ მიზნობრივ გამოყენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბუნებისმეტყველების სწავლების პროცესში.

სხვადასხვა სახის სასწავლო რესურსი ის საკომუნიკაციო საშუალებაა, რომელმაც მოსწავლეებში უნდა განავითაროს აზროვნება, შემოქმედებითობა, დაკვირვება, კვლევა, ესთეტიური გემოვნება და სხვ. ასევე ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეებში ინფორმაციის ვიზუალურად მიღებასა და გაგებას, სწავლის, ანალიზის, კვლევის და სხვა უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასა განვითარებას.

დამხმარე საშუალებების, მასალებისა და რესურსების საჭიროებისამებრ გამოყენება იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შეესაბამება ის გაკვეთილის მიზანს. ამიტომ მასწავლებელმა გაკვეთილის დაგეგმვის დროს პირველ რიგში უნდა გაითვალისწინოს, თუ რა სახის რესურსები სჭირდება და როგორ გამოიყენოს ისინი მიზნობრივად და ეფექტიანად.

საგანმანათლებლო რესურსების შესაფასებლად მეტად მნიშვნელოვანია ისეთი კრიტერიუმების გათვალისწინება, როგორებიცაა: საჭიროება (რა რესურსების საჭირო სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად?), ხელმისაწვდომობა (რა რესურსებია ხელმისაწვდომი საკლასო ოთახში, სკოლაში, საზოგადოებაში?), შენახვის უზრუნველყოფა (როგორ ინახება რესურსები და რამდენადაა ისინი დაცული საკლასო ოთახში, სკოლაში?), მათი უსაფრთხო მახმარება (უსაფრთხოების რა ზომების დაცვაა საჭირო) და დახმარება (რა სახის დახმარებაა საჭირო?).

ინფორმაციის მოძიების დროს მნიშვნელოვანია მასწავლებელმა მიუთითოს კონკრეტული ელექტრონული თუ ბეჭდური რესურსები, რათა მოსწავლემ შეძლოს სწორი და ღირებული მასალის მოპოვება.

წარმატებული და შედეგზე ორიენტირებული სწავლებისათვის გამოსაყენებელი საგანმანათლებლო რესურსების ეფექტიანობის შესამოწმებლად მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა გაითვალისწინოს რამდენიმე ფაქტორი, კერძოდ რამდენად შესაძლებელია მათი დახმარებით:

1. გავუღვივოთ მოსწავლეებს სწავლის სურვილი (რა არის რესურსებში ისეთი, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში მოტივაციას, ინტერესს?);
2. მოსწავლეებმა შეძლონ სწავლა კეთებით (რა არის რესურსებში ისეთი, რაც ხელს შეუწყობს სწავლას გამოცდილების საფუძველზე, პრაქტიკით);
3. მოსწავლეებმა შეძლონ უკუგება ( როგორი იქნება ამ რესურსების გამოყენებისას

უკუგება ანუ გააცნობიერებენ თუ არა მოსწავლეები, როგორ მიმდინარეობს სწავლების პროცესი კლასში, რა ისწავლეს ერთმანეთისგან და მასწავლებლისგან?);

4. მოსწავლეებმა შეძლონ მასალის ათვისება (შეუწყობს თუ არა ეს რესურსი ნასწავლის უფრო უკეთ გააზრება-გაგებას?).

სასწავლო გარემოსა და რესურსების შექმნის პროცესში მეტად მნიშვნელოვანია თავად მოსწავლეების ჩართვა.

ჩვენ მიერ შემოთავაზებული გაკვეთილების გეგმები/სცენარები უპირატესად სამფაზიანი გაკვეთილის მოდელზეა აწყობილი. მასწავლებლებს ვთავაზობთ, ერთი მხრივ, კონკრეტულ გაკვეთილზე მორგებულ, ზედმინევენით, ნაბიჯ-ნაბიჯ განერილ სცენარებს, მეორე მხრივ, გეგმებს, რომლებიც, მართალია, აღწერს ამ თუ იმ მეთოდის მიმდინარეობას სახელმძღვანელოში მოცემული ნაწარმოებების საფუძველზე, თუმცა მასწავლებელს შეუძლია მათი მოდიფიცირება და სხვა თემისთვის გამოყენება მიზნის შესაბამისად. ამ ტიპის გაკვეთილების აღწერისას ჩვენ შეგნებულად მივეცით მასწავლებლებს მეტი თავისუფლება, არ მივუთითეთ დრო და ხშირად ალტერნატიული აქტივობები შევთავაზეთ.

როგორც უკვე გითხარით, ჩვენ მასწავლებელს ვთავაზობთ სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტების დამუშავებისა და კრიტიკულად გააზრების რამდენიმე ეფექტურ მეთოდს, ხოლო პედაგოგმა თავისით უნდა გადაწყვიტოს, რომელ შემთხვევაში გაკვეთილის რომელი მეთოდით ჩატარება იქნება უმჯობესი. ეს მეთოდები, სასურველია, მასწავლებელმა გამოიყენოს ერთმანეთის მონაცვლეობით, რათა ბავშვებისთვის სწავლა მოსაბეზრებელი არ გახდეს. ბუნებრივია, პედაგოგს შეუძლია ზოგჯერ ტექსტის დამუშავების ტრადიციული ხერხებიც გამოიყენოს ან შემოქმედებითად გაამდიდროს.

რაც შეეხება მოსწავლეთა შეფასებას, ჩვენ გეგმების ბოლოს მითითებული გვაქვს კრიტერიუმები, თუმცა მასწავლებელს აქაც შეუძლია, საჭიროებიდან გამომდინარე, შეაფასოს ყველა კრიტერიუმის მიხედვით, ან მოცემულიდან შეარ-

ჩიოს. მასწავლებლის წიგნში მოცემულია ჩაშლილი შეფასების რუბრიკებიც.

მასწავლებელს სახელმძღვანელოს შინაარსიდან გამომდინარე რჩება სარეზერვო დრო, რომელსაც სხვადასხვა აქტივობისა და დამოუკიდებელი სამუშაოსთვის გამოიყენებს.

საკაკვეთილო პროცესის გასამრავალფეროვნებლად, მასწავლებელს შეუძლია ისარგებლოს სხვადასხვა ელექტრონული თუ ბეჭდური დამხმარე რესურსით. ელექტრონული რესურსების წყაროდ შესაძლებელია გამოიყენოს შემდეგი ვებგვერდები:

[tpdc.ge/ptk\\_files/\\_ckuploaded/747850.pdf](http://tpdc.ge/ptk_files/_ckuploaded/747850.pdf)

<http://mastsavlebeli.ge/?p=12760>

<http://mastsavlebeli.ge/?p=12743>

<http://mastsavlebeli.ge/?p=12733>

ასევე, მასწავლებელს შეუძლია შესწავლილ მასალასთან დაკავშირებით არსებული ვიდეო რესურსების/ფილმებისა/ნახატების გამოყენება, რომელთა მოძიებაც საკმაოდ მარტივია საძიებო სისტემების მეშვეობით. თუმცა, ზოგიერთი გაკვეთილის აღწერაში ჩვენ თავად ვთავაზობთ მასწავლებელს ისტ-ის გამოყენების ნიმუშებს.

რაც შეეხება ბეჭდურ რესურსებს, შეგიძლიათ მოსწავლეებს შესთავაზოთ ასაკის შესაბამისი საკითხავი ლიტერატურა, მაგალითად: ქართული ხალხური და/ან მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები, ქართველ საბავშვო მწერალთა (იაკობ გოგებაშვილის, რევაზ ინანიშვილის, ეკატერინე გაბაშვილის, ნოდარ დუმბაძის, გოდერძი ჩოხელის, არჩილ სულაკაურის, ვაჟა-ფშაველას, თედო რაზიკაშვილის...) ნაწარმოებები, შარლ პეროს, ჰანს ქრისტიან ანდერსენის, ძმები გრიმების ზღაპართა კრებულები, ანე-კატერინე ვესტლის თხზულებები, ასტრიდ ლინდგრენის ტექსტები, დონალდ ბისეტის „ყველაფერი ყირამალა“, ჯეიმს მეთიუ ბარის „პიტერ პენი“, ჩარლზ დიკენსის „ოლივერ ტვისტი“, ლუის კეროლის „ელისი საოცრებათა ქვეყანაში“, მარკ ტვენის „ტომ სოიერის თავგადასავალი“ „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“ და ა.შ.

სახელმძღვანელოს შინაარსი შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მისაღწევ შედეგებსა და ინდიკატორებს.

# 3. ეროვნული სასწავლო გეგმა

## ქართული ენა და ლიტერატურა (სტანდარტი)

### წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები

მიმართულება:		
ზეპირმეტყველება	კითხვა	წერა
<p><b>ქართ.დანყ.(II).1.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს სამეტყველო ქცევის წარმართვა საკომუნიკაციო მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად.</p> <p><b>ქართ.დანყ.(II).2.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა და გაგება-გააზრება; ტექსტებზე მსჯელობა და დასკვნის გამოტანა.</p> <p><b>ქართ.დანყ.(II).3.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ნაცნობი ტექსტების ინტერპრეტირება და შეფასება; მათ მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური შეფასება (საწყის დონეზე).</p> <p><b>ქართ.დანყ.(II).4.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ამოცნობა და ადეკვატურად გამოყენება. მოსწავლე</p> <p><b>ქართ.დანყ.(II).5.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ზეპირმეტყველების ნაცნობი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება მიზნის შესაბამისად.</p>	<p><b>ქართ.დანყ.(II).6.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა, გაგება და გაანალიზება არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხების/დეტალების გათვალისწინებით.</p> <p><b>ქართ.დანყ.(II).7.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტების ინტერპრეტირება, დასაბუთებული დასკვნის გამოტანა და შეფასება; ტექსტების მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; კითხვით გამოწვეული განწყობილებისა და შთაბეჭდილების გადმოცემა.</p> <p><b>ქართ.დანყ. I(II).8.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლექსიკური და სემანტიკური მახასიათებლების, სტრუქტურულ-კომპოზიციური ელემენტებისა და ენობრივ-გამომსახველობითი ფორმების ამოცნობა.</p> <p><b>ქართ.დანყ.(II).9.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება მიზნის შესაბამისად.</p>	<p><b>ქართ.დანყ.(II).10.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობ თემატიკაზე სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის ტექსტების შექმნა.</p> <p><b>ქართ.დანყ.(II).11.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტრუქტურული ელემენტების მიზნობრივად შერჩევა და სათანადოდ გამოყენება; ქართული სალიტერატურო ენის ძირითადი ნორმების დაცვა.</p> <p><b>ქართ.დანყ.(II).12.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს წერის ნაცნობი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება მიზნის შესაბამისად.</p>

## V კლასი – საფეხურებრივი სტანდარტის შედეგები და მათი შეფასების ინდიკატორები

### მიმართულება: ზეპირმეტყველება

**ქართ.დანყ.(II).1.** მოსწავლემ უნდა შეძლოს სამეტყველო ქცევის წარმართვა საკომუნიკაციო მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად.

#### შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ჯგუფთან ერთად ამზადებს ზეპირ გამოსვლას: დამოუკიდებლად ამუშავებს თემის ერთ-ერთ ნაწილს, მოპოვებულ მასალას და შემუშავებულ თვალსაზრისს აცნობს და უთანხმებს ჯგუფის წევრებს;
- გამოდის წყვილის, ჯგუფისა თუ კლასის მომხსენებლის როლში; ითვალისწინებს და გამოხატავს თანაგუნდელების საერთო აზრს;
- ინანილებს პასუხისმგებლობას ჯგუფის სახელით გამოთქმულ მოსაზრებაზე;
- ზეპირი გამოსვლის/პრეზენტაციის დროს ნათლად წარმოადგენს თემას/საკითხს სათანადო ინფორმაციის მონოდებითა და ლოგიკური თანამიმდევრულობის დაცვით;
- საუბრობს სათანადო ტემპით, მკაფიოდ და გარკვევით; საჭიროებისამებრ იყენებს მეტყველების არავერბალურ საშუალებებს.

**ქართ.დანყ.(II).2.** მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა და გაგება-გააზრება; ტექსტებზე მსჯელობა და დასკვნის გამოტანა.

#### შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ისმენს სხვადასხვა ხასიათის საინფორმაციო ტექსტებს და ერთმანეთისაგან განარჩევს ფაქტებსა და დამოკიდებულებებს (შეფასებებს);
- წარმოაჩენს ნაწარმოების პერსონაჟს სხვადასხვა კუთხით (მიუთითებს მის როგორც დადებით, ისე უარყოფით თვისებებზე);
- ყურადღებას ამახვილებს დეტალებზე (მაგ., პერსონაჟის დახასიათებისას);
- გამოაქვს დასკვნა ტექსტში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე;
- ისმენს ერთსა და იმავე თემაზე შექმნილ ლიტერატურულ ტექსტებს და პოულობს მსგავსება-განსხვავებას მათ შორის;
- მონანილებს ლიტერატურული ნაწარმოების შესახებ გამართულ დისკუსიაში, მსჯელობს ნაწარმოებში ასახული პრობლემის/კონფლიქტის შესახებ.

**ქართ.დანყ.(II).3.** მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ნაცნობი ტექსტების ინტერპრეტირება და შეფასება; მათ მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური შეფასება (საწყის დონეზე).

#### შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას საინფორმაციო ტექსტებში გადმოცემული ფაქტების მიმართ (დადებითად/უარყოფითად ვაფასებ; აღმაფრთოვანა/აღმამფრთა და სხვ.);
- ისმენს მხატვრულ ნაწარმოებს (ლექსს, ნოველას, მოთხრობას) და გამოხატავს საკუთარ ემოციებსა და შთაბეჭდილებებს;
- ასახელებს მისთვის ესთეტიკურად მიმზიდველ ადგილებს მხატვრული ტექსტიდან;
- საუბრობს პოეტურ ნაწარმოებში გამოხატულ განწყობაზე;
- მონანილებს ლიტერატურული ნაწარმოების შესახებ გამართულ დისკუსიაში, გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას ამა თუ იმ პერსონაჟის მიმართ;
- ასახელებს სხვადასხვა თვალსაზრისით მისთვის საინტერესო ადგილებს ტექსტიდან.

**ქართ.დანყ.(II).4.** მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-

გამომსახველობითი საშუალებების ამოცნობა და ადეკვატურად გამოყენება.

**შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:**

- მართებულად შეარჩევს ბრუნვის ფორმებს კონტექსტური მნიშვნელობების გამოსახატავად;
- ამოიცნობს და შესაბამის კონტექსტებში მართებულად იყენებს ზმნის დრო-კილოთა სათანადო ფორმებს (მაგ., გააკეთა - აკეთებდა - გაუკეთებია და სხვ.);
- სწორად იყენებს არანესიერი წარმოების (ქონა-ყოლისა და გრძობა-აღქმის) ზმნათა ფორმებს;
- კითხვის დასმის, თხოვნის, ბრძანების, გრძობების გადმოცემის დროს იცავს სიტყვათა რიგს და მოდალობებისთვის დამახასიათებელ ინტონაციურ თავისებურებებს;
- საუბრის თემის, ადრესატისა და მიზნის შესაბამისად ირჩევს შესაბამის, მაგ., სასაუბრო (ეტიკეტური დიალოგების) და მხატვრულ (განცდებსა და შთაბეჭდილებებზე საუბრის) სტილს.

**ქართ.დანყ.(II).5.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ზეპირმეტყველების ნაცნობი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება მიზნის შესაბამისად.

**შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:**

- სვამს ადეკვატურ კითხვებს მოსმენილი ტექსტის უკეთ გასააზრებლად / ამა თუ იმ საკითხის დასაზუსტებლად (დისკუსიის დროს);
- მოსმენისას ჩაინიშნავს საყრდენ სიტყვებს, საყრდენ ფრაზებს;
- ყურადღებით ისმენს ჯგუფის თითოეული წევრის აზრს, ალაგებს გამოთქმულ მოსაზრებებს გარკვეული პრინციპით (ვის აქვს განსხვავებული მოსაზრება, რამდენი თვალსაზრისი გამოითქვა ჯგუფში...);
- ადგენს მარტივ გეგმას ამ მოსაზრებათა წარმოსადგენად;
- ქმნის ან მოიძიებს ვიზუალურ და/ან აუდიომასალას ზეპირი გამოსვლის/პრეზენტაციისა თუ სადისკუსიო თემის შესახებ;
- ამყარებს მხედველობით კონტაქტს თანამოსაუბრესთან, აუდიტორიასთან.

**დავალებათა / აქტივობათა ნიმუშები:**

- მოსმენილის შეფასება სხვადასხვა პოზიციიდან;
- თანატოლებთან ერთად ნაკითხული ან მოსმენილი ინფორმაციის მოკლედ, რეზიუმეს სახით გადმოცემა და ძირითადი საკითხების შესახებ როგორც ინდივიდუალურად, ასევე წყვილებში მუშაობა;
- მოსმენილი ამბის დროის შეცვლა, მოქმედების გადატანა წარსულში/ანმყოფი/მომავალში;
- დადებითი და უარყოფითი ემოციის ზეპირად გადმოცემა;
- პერსონაჟის ხასიათის, მისთვის დამახასიათებელი თვისებების შესახებ საუბარი კონკრეტული ეპიზოდის მიხედვით;
- მსჯელობა მოსმენილი ან ნაკითხული ტექსტის პერსონაჟზე დახასიათების სქემების გამოყენებით;
- ამა თუ იმ თემის შესახებ იდეებისა და თვალსაზრისების ჩამოყალიბება და ზეპირად გადმოცემა;
- საკუთარი თვალსაზრისის არგუმენტირება და შეჯერება მენწყვილესთან/ჯგუფის წევრებთან;
- ლიტერატურული დისკუსიების ორგანიზება ნაწარმოების განხილვის მიზნით;
- მოკლე ზეპირი გამოსვლა ნაცნობ თემაზე/საკითხზე;
- გონებრივი იერიშის ჩატარება სხვადასხვა თემაზე/საკითხზე;
- მოსმენილ მხატვრულ ტექსტში ასახული განწყობის იდენტიფიცირება, ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების, მიღებული შთაბეჭდილების გადმოცემა (მაგ., ე.წ. ემოციური კომენტარების მეშვეობით)
- და სხვა.

## მიმართულება: კითხვა

**ქართ.დანყ.(II).6.** მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ნაკითხვა, გაგება და გაანალიზება არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხების/დეტალების გათვალისწინებით.

### შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- განაფულად კითხულობს ნაცნობ და უცნობ ტექსტებს / ტექსტების მონაკვეთებს;
- გამოყოფს და ასახელებს ტექსტის მთავარ საკითხებს;
- გამოკვეთს არსებით ინფორმაციას ტექსტის ცალკეული მონაკვეთიდან;
- ასახელებს ნაწარმოების თემას/ქვეთემას;
- ამოკრებს კონკრეტულ ინფორმაციას (სად, როდის, რამდენი, რამდენჯერ, როგორი, რითი და სხვ.);
- განარჩევს მთავარ და მეორეხარისხოვან პერსონაჟებს;
- ახასიათებს პერსონაჟებს როგორც ექსპლიციტურად მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ისე შინაარსის გააზრების საფუძველზე;
- განსაზღვრავს ტექსტის ერთ მონაკვეთში ან მის სხვადასხვა ნაწილში ასახულ მოვლენებს / ფაქტებს შორის არსებულ ლოგიკურ კავშირებს (მიზეზშედეგობრივს, შეპირისპირებითს, პირობითსა და სხვ.);
- განარჩევს ერთმანეთისგან ფაქტსა და თვალსაზრისს;
- აკვირდება ტექსტზე დართულ ილუსტრაციებს და მსჯელობს, რამდენად ასახავს ილუსტრაცია ტექსტის განწყობას, რას გვეუბნება იგი ტექსტში აღწერილი ადგილის, დროის, ადგილის, პერსონაჟთა ხასიათების, მათი ურთიერთდამოკიდებულებისა და ემოციების შესახებ; აფასებს, რამდენად ეხმარება მას ილუსტრაცია ტექსტის გაგებაში და/ან იძლევა თუ არა იგი დამატებით მასალას ტექსტის შესახებ;
- აკვირდება მწერლის ენას, ამოიცნობს ზოგიერთ მხატვრულ ხერხს (ეპითეტს, შედარებას, ჰიპერბოლას, გაპიროვნებას), სალექსო რითმას;
- ამოიცნობს და განმარტავს ლიტერატურულ და ხალხურ ზღაპარს შორის მსგავსება-განსხვავებას;
- ამოიცნობს სხვადასხვა კულტურული და სოციალური გარემოს დამახასიათებელ სპეციფიკურ ნიშნებს (ყოფით რეალიებს, ტრადიციებს, ქცევის ნორმებს, სხვ.).

**ქართ.დანყ.(II).7.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაკითხული ტექსტების ინტერპრეტირება, დასაბუთებული დასკვნის გამოტანა და შეფასება; ტექსტების მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; კითხვით გამოწვეული განწყობილებისა და შთაბეჭდილების გადმოცემა.

### შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- განმარტავს პერსონაჟთა ქცევის მოტივს და აფასებს მათს საქციელს;
- გამოაქვს დასკვნა პერსონაჟებს შორის არსებული ურთიერთობის შესახებ, ცდილობს ნათქვამის დასაბუთებას ტექსტის მონაცემებზე დაყრდნობით;
- ტექსტის მთლიანი გააზრების საფუძველზე გამოაქვს დასკვნა;
- ავლებს პარალელს თემატურად მსგავს ნაწარმოებებთან;
- მსჯელობს მისთვის საინტერესო საკითხების შესახებ და გამოხატავს საკუთარ პოზიციას;
- აფასებს ნაწარმოებში განვითარებულ მოვლენებს სხვადასხვა პერსონაჟის პოზიციიდან;
- ქმნის ნაკითხული ან მოსმენილი ტექსტის ილუსტრაციას/ ილუსტრაციებს (შესაძლებელია კომპიუტერული გრაფიკული რედაქტორის გამოყენებით); ხსნის, რა კავშირშია მის მიერ შექმნილი ილუსტრაცია/ილუსტრაციები ტექსტთან ან ტექსტის ცალკეულ ეპიზოდთან;
- მხატვრული ტექსტის ნაკითხვით გამოწვეული ემოციების გადმოსაცემად შეარჩევს ნაცნობ მუსიკალურ ნაწარმოებს/ნაწარმოების ფრაგმენტს;
- ამოიცნობს და ხსნის მარტივ მხატვრულ სიმბოლოებს.

**ქართ.დანყ.(II).8.** მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლექსიკური და სემანტიკური მახასიათებლების, სტრუქტურულ-კომპოზიციური ელემენტებისა და ენობრივ-გამომსახველობითი ფორმების ამოცნობა.

**შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:**

- ერთი ტექსტის ფარგლებში გამოყოფს ტექსტის ფუნქციურ ტიპებს (თხრობას, აღწერას) და მიუთითებს შესაბამის ნიშნებზე;
- აკვირდება და აფასებს თანატოლის მიერ შექმნილ პრაგმატულ ტექსტს, მის სტრუქტურასა და ვიზუალურ მხარეს (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის ურთიერთმიმართების, შრიფტის სახესხვაობის, რუბრიკების, ტექსტის აბზაცებად/სვეტებად დაყოფის, ნაწილების დასათაურების თვალსაზრისით);
- კითხვების მეშვეობით ამოიცნობს ზოგ გრამატიკულ-სემანტიკურ კატეგორიას („ვინ“ და „რა“ ჯგუფის სახელებს, ზმნის დროებს...);
- ამოიცნობს ტექსტში ძირითად მოდალობებს;
- აცნობიერებს ბრუნვის ფორმათა ფუნქციონირების მრავალფეროვნებას და სათანადო სიტყვაფორმებს არჩევს კონტექსტური მნიშვნელობების გამოსახატავად;
- განარჩევს ზმნის დრო-კილოთა ნაირსახეობებს და შესაბამის კონტექსტებში იყენებს ამ პარამეტრების მიხედვით შერჩეულ სათანადო ფორმებს.

**ქართ.დანყ.(II).9.** მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება მიზნის შესაბამისად.

**შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:**

- შეარჩევს მცირე ზომის ტექსტს/ტექსტის ეპიზოდს ხმამაღლა წასაკითხად, წინასწარ გადაიკითხავს მას, გადის რეპეტიციას (მენყვილესთან, მასწავლებელთან, მშობელთან, სხვ.);
- ხმამაღლა კითხვისას შინაარსის შესაბამისად ცვლის სხეულის ენას (მიმიკას, ფესტიკულაციას);
- ინფორმაციის უკეთ გააზრების მიზნით ტექსტს ყოფს მონაკვეთებად და ასათაურებს მათ;
- სხვადასხვა საშუალებით (კონტექსტის გათვალისწინებით, კითხვის დასმით, ლექსიკონით) ამოიცნობს უცნობი სიტყვებისა და გამოთქმების მნიშვნელობას;
- სხვადასხვა საყრდენის (სათაურის, აბზაცების დასაწყისის, საკვანძო სიტყვების, ერთ-ერთი აბზაცის, გამოყოფილი სიტყვების) მოშველიებით გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის/ტექსტის მონაკვეთის შინაარსის შესახებ;
- კონკრეტული ინფორმაციის მოსაძიებლად თვალს გადაავლებს ტექსტის სტრუქტურას, სიტყვიერ და არასიტყვიერ მათარსებებზე ელემენტებს და მათზე დაყრდნობით ამოკრებს საჭირო მასალას/მონაცემებს;
- იყენებს სხვადასხვა ხერხს, რომლებიც ხელს უწყობს ტექსტის გაგებას (მაგ., წარმოსახვაში აცოცხლებს ტექსტში გადმოცემულ ამბებს, ახდენს ტექსტში გადმოცემული ამბის ინსცენირებას, საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს ტექსტის ცალკეული მონაკვეთის შინაარსს, აკვირდება დასმულ კითხვას იმის დასადგენად, თუ რა ტიპის ოპერაციას მოითხოვს იგი და სხვ.);
- იყენებს სხვადასხვა სახის ბეჭდურ და ციფრულ რესურსებს (ბეჭდურ და/ან ონლაინ ლექსიკონს, საბავშვო ენციკლოპედიას, სხვ.) კონკრეტული ინფორმაციის მოსაპოვებლად, უცნობი სიტყვის მნიშვნელობის დასაზუსტებლად, გაუგებარი ან ბუნდოვანი ადგილების გასააზრებლად;
- დამოუკიდებლად, საკუთარი ინტერესების შესაბამისად, ირჩევს საკითხავ ლიტერატურას.

**დავალბათა / აქტივობათა ნიმუშები:**

- გამომსახველობითი კითხვის სესიის/კონკურსის ორგანიზება (შესაძლებელია ცალკეული ნომინაციების დაწესებაც - მაგ., ყველაზე სწრაფი მკითხველი, ყველაზე ზუსტი (უშეცდომოდ) მკითხველი და სხვ.);
- ტექსტის დაყოფა შინაარსობრივ მონაკვეთებად;

- საგანთა თუ მოვლენათა კლასიფიცირება გრაფიკული სქემების გამოყენებით;
- დაკვირვება კონკრეტული სახის პრაგმატული ტექსტის ენობრივ და სტილურ ფორმებზე (მაგ., მოძრაობის წესების ჩამონათვალზე დაკვირვების გზით იმის აღმოჩენა, რომ ტექსტში უმეტესწილად გამოიყენება ნართქმითი ან უკუთქმითი ბრძანებითი კილოს ფორმები: „შეჩერდით“, „ნუ გადახვალთ“, სხვ., ხოლო ზმნებს აქვთ იმპერატიული შინაარსი: „უნდა“, „საჭიროა“, „დაუშვებელია“, „აუცილებელია“ და ა. შ.);
- დაკვირვება ტექსტის ფუნქციურ ტიპებზე - თხრობასა და აღწერაზე - მათი სპეციფიკური ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა (მაგ., იმის დადგენა, რომ აღწერით ტექსტებში ზმნები გვხვდება მცირე რაოდენობით, უმეტესწილად გამოიყენება ზედსართავები და ნაზმნარი ზედსართავები, ანუ მიმლეობები; თხრობით ტექსტებში კი, პირიქით, ზმნები გამოიყენება ჭარბად, მოქმედების თანამიმდევრულობის გადმოსაცემად გამოყენებულია მარკერები და ა. შ.);
- ფაქტებს შორის ურთიერთკავშირის ამსახველი სქემების შედგენა;
- მსგავს თემაზე შექმნილი ნაწარმოებების გამაერთიანებელი და განმასხვავებელი ნიშნების დადგენა გრაფიკული სქემების საშუალებით;
- ნაწარმოების შინაარსის გადმოცემა მეორეხარისხოვანი პერსონაჟების / უსულო საგნების პირით;
- ნაწარმოების ნაკითხვით აღძრული ემოციების გადმოსაცემად ფერების, მუსიკის, სხვადასხვა ხმოვანი ეფექტების შერჩევა;
- წინადადებაში გამოტოვებულ ადგილას ამა თუ იმ მეტყველების ნაწილის შესაბამისი ფორმით ჩასმა;
- ვარაუდების სქემის შევსება კითხვის დაწყებამდე;
- ილუსტრაციის მიხედვით ნაწარმოების განწყობის/შინაარსის ამოცნობა;
- ლექსიკონის (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული) ინდექსის გამოყენება;
- არასწორი თანამიმდევრობით (აზრობრივი შესაბამისობის დარღვევით) მოწოდებული აბზაცების თანამიმდევრობის აღდგენა მცირე ზომის ტექსტში;
- საკითხავი დავალებების შესრულების შემდეგ ინტერაქცია გამოყენებული სტრატეგიების შესახებ (ვინ რა მიდგომა/ხერხი გამოიყენა); მოსაზრებების გამოთქმა იმის შესახებ, თუ რომელი მიდგომა იყო ან იქნებოდა უფრო მისადაგებული/ეფექტური და რატომ)
- და სხვა.

## მიმართულება: წერა

**ქართ.დანყ.(II). 10.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობ თემატიკაზე სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის ტექსტების შექმნა.

**შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:**

- წერს ჩანახატებს, მცირე ზომის მხატვრულ ტექსტებს;
- თანამიმდევრულად გადმოსცემს სათანადო ინფორმაციას, კონკრეტულ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, განცდილ შთაბეჭდილებას, ფაქტებსა და მოვლენებს;
- გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას ამა თუ იმ საკითხის/თემის მიმართ;
- გამოხატავს და ასაბუთებს თვალსაზრისს;
- წერისას აქცენტს აკეთებს მთავარ და არსებით მომენტებზე.

**ქართ.დანყ.(II). 11.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტრუქტურული ელემენტების მიზნობრივად შერჩევა და სათანადოდ გამოყენება; ქართული სალიტერატურო ენის ძირითადი ნორმების დაცვა.

**შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:**

- მიზნისა და აუდიტორიის შესაბამისად შეარჩევს და იყენებს სათანადო ლექსიკურ ერთეულებს,



- ენობრივ-გრამატიკულ საშუალებებს;
- თანამიმდევრულობისა და ლოგიკური შესაბამისობის დაცვით ყოფს ტექსტს აზნაცვებად;
- მარტივი მხატვრული ტექსტების შედგენისას ცდილობს ნაცნობი მხატვრული ხერხების გამოყენებას;
- მსგავსი მნიშვნელობის სიტყვებიდან კონტექსტის მიხედვით შეარჩევს სათანადო ლექსიკურ ერთეულს;
- აქტიურად იყენებს მეტყველების ნაწილთა ძირითად ფორმოებრივ თავისებურებებს (სახელთა ბრუნებას, სიტყვანარმოებას, სხვადასხვა დრო-კილოთა ზმნური სიტყვაფორმებს...);
- ზმნის ფორმაცვალებისას მართებულად შეუწყობს სახელებს ბრუნვასა და რიცხვში;
- მართებულად იყენებს შეფასების / დამოკიდებულების გამომხატველ ენობრივ ფორმულებს (მაგ. „არ გეთანხმები“, „მეც ასე მგონია“, „მეეჭვება“, „არ მჯერა“, „შესაძლოა ასეც იყოს, მაგრამ...“ და ა.შ.).

**ქართ.დანყ.(II). 12.** მოსწავლემ უნდა შეძლოს წერის ნაცნობი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება მიზნის შესაბამისად.

**შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:**

- წერის დაწყებამდე წინასწარ ირჩევს თემას, სასურველ ჟანრს;
- განსაზღვრავს წერიტი ნამუშევრის მიზანსა და აუდიტორიას;
- დამატებითი ინფორმაციის მოსაძიებლად იყენებს ბეჭდურ/ელექტრონულ რესურსებს;
- იყენებს მოდელს, საყრდენებს, მითითებებს, ტექსტის გეგმას; საჭიროებისამებრ იყენებს გრაფიკულ მარგანიზებებს;
- ნაწერის სრულყოფის მიზნით ხელახლა გადაიკითხავს ნამუშევარს, ასწორებს სტილისტურ ხარვეზებს და გრამატიკულ შეცდომებს (მაგ.: სუბიექტ-ობიექტისა და ზმნის სინტაქსური ურთიერთობის წესების დარღვევისას), ითვალისწინებს ზმნის პირის ფორმათა აგების კანონზომიერებებს;
- ხმამაღლა კითხულობს და საჭიროების შემთხვევაში ხვეწს ნამუშევარს ესთეტიკური და/ან სტილისტური თვალსაზრისით, ანაცვლებს უკეთესი ვარიანტით.
- დავალებათა / აქტივობათა ნიმუშები:
- ტექსტიდან საკვანძო სიტყვების/ფრაზების ამონერა;
- ტექსტის მოკლე შინაარსის დაწერა (წინასწარ შედგენილ გეგმაზე დაყრდნობით);
- ერთსა და იმავე კონკრეტულ თემასთან/საკითხთან დაკავშირებული პრაგმატული ტექსტის (წერილის, კულინარიული რეცეპტის, რჩევა-დარიგების) შედგენა ორი განსხვავებული ვერსიის სახით სხვადასხვა ასაკისა და სოციალური მდგომარეობის პირებისთვის (მაგ., თანაკლასელისა და მასწავლებლისთვის);
- ჩანახატის შექმნა კონკრეტულ თემაზე (საკლასო გაზეთისა და ჟურნალისათვის);
- განცდილი შთაბეჭდილების, კონკრეტული ცხოვრებისეული გამოცდილების გადმოცემა (მაგ., „ჩვენი ექსკურსია მცხეთაში“);
- ნაცნობ/საინტერესო თემაზე მცირე ზომის მარტივი მხატვრული ტექსტის (ზღაპრის, მცირე მოთხრობის) შედგენა და დასათაურება (მაგ., „ჯიუტი ბიჭის ზღაპარი“)
- და სხვა.

**პროგრამის შინაარსი**

შედეგების მიღწევა შესაძლებელია მოცემული შინაარსის საფუძველზე:

**1. ინფორმაციის გაგება, ანალიზი და შეფასება**

ძირითადი თემატიკა:

ლექსიკოლოგიური ასპექტი: ლექსიკური მარაგის გაფართოება; ფრაზეოლოგიზმებისა და ხატოვან

სიტყვა-თქმათა აქტიურად გამოყენება; სიტყვათა ლექსიკური კავშირების ეფექტურად გამოყენება, ახალი სიტყვების წარმოება; სიტყვათა გადატანითი მნიშვნელობა და მისი ფუნქცია სათქმელის ხატოვნად გადმოცემის პროცესში.

გრამატიკული ასპექტი: ძირითადი მოდალობების ამოცნობა ტექსტში; სიტყვების შედარება მორფოლოგიური აგებულების თვალსაზრისით (სახელის ბრუნვის ფორმების, სახელური სიტყვანარმოების ძირითადი წესების მიხედვით); ზმნის საერთო ფუძის გამოყოფა ზმნური სიტყვაფორმების შედარება-შეპირისპირების საფუძველზე); მნიშვნელოვანი სინტაქსური მიმართებების ამოცნობა სიტყვათა შორის (ზმნასა და სახელს შორის შეთანხმება პირსა და რიცხვში, რიცხვითი და/ან ზედსართავი სახელისა და არსებითი სახელის ბრუნება...).

## **2. ენის კომუნიკაციური ასპექტები**

ძირითადი თემატიკა: ინდივიდუალური და ჯგუფური საკომუნიკაციო ამოცანების დაგეგმვა, მომზადება და გადაჭრა; გუნდური განაწილების პრინციპით საკითხის მომზადება და ერთობლივი მოხსენების წარმოდგენა; სადისკუსიო სტრატეგიები და ხერხები (მსჯელობის მიზანი, არგუმენტი და დასკვნა); სადისკუსიო ეტიკეტი და სტრატეგიები (ნათლად, გასაგებად ჩამოყალიბებული პოზიცია, არგუმენტები); არგუმენტის სახეები (ფაქტობრივი, ანალოგიაზე დამყარებული). მასალის მოპოვება, დამუშავება და კითხვის სტრატეგიები (სხვადასხვა სახის ლექსიკონებითა და ენციკლოპედიებით სარგებლობა). ენის განსხვავებული ფუნქციური სტილი (სასაუბრო, სასწავლო-სამეცნიერო, მხატვრულ-ლიტერატურული); ტექსტის ტიპები: პრესაში გამოქვეყნებული სხვადასხვა ხასიათის სტატიები (ისტორიულ-ეთნოგრაფიული, შემეცნებითი, იუმორისტული); მიზნობრივი ტექსტების აგების პრინციპები (დაკვირვება ენობრივ-სტილურ საშუალებებსა და ლექსიკაზე), ეპისტოლარული ჟანრი (თხრობა, მსჯელობა, აღწერა კონკრეტული ადრესატისთვის).

## **3. მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა**

ძირითადი თემატიკა: მოთხრობები ბავშვთა ოცნებებსა და ფანტაზიებზე, მათს ცხოვრებაზე, ზნეობრივ პრობლემებზე, ადამიანურ ურთიერთობებზე, ადამიანისა და ბუნების ურთიერთობაზე; პატრიოტული და სამოქალაქო ფლერადობის, ისტორიულ თემატიკაზე შექმნილი ნაწარმოებები.

საკითხავი მასალა: ფოლკლორული ჟანრები: ზღაპარი, ბალადა, ლექსები, თქმულებები, ლეგენდები (ქართული და უცხოური); იგავ-არაკები, დიდაქტიკური ხასიათის თხზულებები, ბიბლიური მოთხრობები, სახარებისეული იგავები; სხვადასხვა ეპოქის ქართველ და უცხოელ კლასიკოსთა ნაწარმოებები (ადაპტირებული და შემოკლებული ტექსტები), ქართული ლირიკის ნიმუშები; თანამედროვე ქართული პროზის ნიმუშები.

# 4. სახელმძღვანელო შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

<b>ნარი</b>	II. 12. მოსწავლემ უნდა შეძლოს წერის ნაცნობი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება მიზნის შესაბამისად.							
	II. 11. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტრუქტურული ელემენტების მიზნობრივად შერჩევა და სათანადოდ გამოყენება; ქართული სალიტერატურო ენის ძირითადი ნორმების დაცვა.							
	II. 10. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობ თემატიკაზე სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის ტექსტების შექმნა.							
<b>პითხვა</b>	II. 9. მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება მიზნის შესაბამისად.							
	II. 8. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლექსიკური და სემანტიკური მახასიათებლების, სტრუქტურულ-კომპოზიციური ელემენტებისა და ენობრივ-გამომსახველობითი ფორმების ამოცნობა.							
	II. 7. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაკითხული ტექსტების ინტერპრეტირება, დასაბუთებული დასკვნის გამოტანა და შეფასება; ტექსტების მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; კითხვით გამოწვეული განწყობილებისა და შთაბეჭდილების გადმოცემა.							
	II. 6. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ნაკითხვა, გაგება და გაანალიზება არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხების/დეტალების გათვალისწინებით.							
<b>ზაპირებეცეკელება</b>	II. 5. მოსწავლემ უნდა შეძლოს ზეპირმეტყველების ნაცნობი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება მიზნის შესაბამისად.							
	II. 4. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ამოცნობა და ადეკვატურად გამოყენება.							
	II. 3. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ნაცნობი ტექსტების ინტერპრეტირება და შეფასება; მათ მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური შეფასება (საწყის დონეზე).							
	II. 2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა და გაგება-გაზრება; ტექსტებზე მსჯელობა და დასკვნის გამოტანა.							
	II. 1. მოსწავლემ უნდა შეძლოს სამეტყველო ქცევის წარმართვა საკომუნიკაციო მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად.							
<b>სასწავლო დროის ხანგრძლივობა (სთ)</b>		<b>8</b>						
<b>გაგეტილიზისა და ტიპების დასახელება</b>		<b>თავი 1. პუნჯის სურათები</b>	<b>ნაკადული</b>	<b>მოსასმენი: ჭიანჭველები</b>	<b>ნისლები</b>	<b>მოსასმენი: სპილოს მოშინაურება</b>	<b>თეორია. ეპითეტი და შედარება</b>	<b>ნამდვილი ამბავი</b>
							<b>თოვლი</b>	

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
თსპი 2. პაპუკი მოთხრობები	20											
ლომ სოიერის თავგადასავალი (ნაწყვეტები)												
ბიჭი და ძაღლი												
მოსასკენი + ტესტი: პაფუნების ღამეები												
თეორია. პიოგრაფია და ავტობიოგრაფია												
თსპი 3. სამოცლო	12											
*** (შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო)												
მეფე დემეტრე თავდადებული												
ციხის სი ზმარი												
გიორგი ბრწყინვალე												
პოი, სიხარულო												
თეორია. სინონიმები, ანტონიმები, ომონიმები												

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
თავი 4. იბაკის ქსა	12											
I. ძუნწი და ოქრო												
II. ვირი, ვიფხვი, მელა და მგელი												
III. მეფე და მჭედელი												
ძალი და ცხვრები												
ღამურა												
<b>თეორია.</b> მოსაზრება, არგუმენტი												
თავი 5. დანაშაული და სასჯელი	12											
მელოტები												
მესარკე												
გახარებული მზე												
<b>მოსასამანი:</b> საშინელი სასჯელი მოდალატისა												
<b>თეორია.</b> დისკუსია												

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
8	8											
თსვი 6. თანამგრძობა და სინანული												
ია												
ქართლის ტყვე												
მუხა												
თქორია. ჩანახატი												
8	8											
თსვი 7. ვაჟკაცსა – გული რაკინისა												
საგმირო ლექსები ქართული ხალხური პოეზიიდან												
დათუნა გოცირიძე												
თქორია. პირდაპირი და ირიბი ნათქვამი												
12	12											
თსვი 8. სიცილი გაღამდებიაო!												
რა უფრო საკვირველია												
I. ჭაში ჩაფარდნილის ფავი												
II. დათვი და მონადირენი												
ამბად გაგონილნი												
რაზედ იცნოდნენ ყვევილები?												
თქორია. იუმორი, ირონია												

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
12												
თავი 9. და მე ვიბრუნებ...												
შემოდოდა ჩვენში კალანდა												
თეორია. წერილი												
ნიკოლოზ გოსტაშვილი												
ხელოსნობა საქართველოში (ნაწევრები)												
თეორია. ლექსიკონი												
12												
თავი 10. დედაენის ძალა												
იავნანამ რა ჰქმნა?												
თეორია. წიგნი და კინო												

# 5. სახელმძღვანელო კომპონენტები და სტრუქტურა

წინამდებარე სახელმძღვანელო თვისებრივად შეესაბამება და აგრძელებს ამავე ავტორთა მიერ მეოთხეკლასელთათვის შედგენილ წიგნს. ის შექმნილია ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით და მოიცავს 180 საგაკვეთილო საათის (36 სასწავლო კვირის) სასწავლო კურსს.

სახელმძღვანელო ოთხი კომპონენტისგან შედგება:

**მოსწავლის წიგნი – ქართული ლიტერატურა (ორ ნაწილად)**  
**მოსწავლის წიგნი – ქართული ენა**  
**მასწავლებლის წიგნი**  
**მოსწავლის რვეული**  
(გრამატიკული მასალა – ტესტები და წერიტი დავალებები)

## მოსწავლის წიგნი – ქართული ლიტერატურა

მოსწავლის წიგნები მეხუთე კლასის სახელმძღვანელოს ძირითადი კომპონენტია. ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოს აგების საფუძველი, ისევე როგორც წინა კლასებში, ამჯერადაც მასალის თემატურად მოწესრიგებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმძღვანელოს ყოველი თავი ერთი კონკრეტული თემისა და ამ თემაზე შექმნილი სხვადასხვა ტიპის ნაწარმოებების (მხატვრული და შემეცნებითი ტექსტების) შესწავლას მოიცავს. სულ 10 თემაა.

### თემების განაწილება თავებისა და კვირების მიხედვით ასეთია:

თავი 1 ბუნების სურათები	8 საათი	თავი 6 თანაგრძობა და სინანული	8 საათი
თავი 2 ბავშვი მოთხრობებში	20 საათი	თავი 7 ვაჟკაცსა – გული რკინისა	8 საათი
თავი 3 სამშობლო	12 საათი	თავი 8 სიცილი გადამდებიაო!	12 საათი
თავი 4 იგავის ენა	12 საათი	თავი 9 და მე ვიგონებ...	12 საათი
თავი 5 დანაშაული და სასჯელი	12 საათი	თავი 10 დედაენის ძალა	12 საათი

დანარჩენი საათები მასწავლებელმა უნდა დაუთმოს გრამატიკის სწავლებას. კურსის მიხედვით, დაგეგმილია, გრამატიკის გაკვეთილები ჩატარდეს კვირაში ერთხელ ან ორჯერ. ამას ხელს შეუწყობს ენობრივი მასალის თანმიმდევრობა გრამატიკის სახელმძღვანელოში. თუმცა, მასწავლებელს შეუძლია ზოგიერთი გრამატიკული საკითხის ასახსნელად გამოიყენოს ლიტერატურის გაკვეთილიც, რადგან გრამატიკის წიგნისა და რვეულის მასალა კოორდინირებულია ლიტერატურის სახელმძღვანელოსთან.

სახელმძღვანელოს მიხედვით, პირველ თავში მოცემული გაკვეთილების რაოდენობა არ ემთხვევა პირველი თავისთვის ცხრილში მოცემული საათების ოდენობას, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებელს წიგნით მუშაობის დაწყებამდე ჩასატარებელი აქვს შესავალი მეცადინეობა, და, გარდა ამისა, მას სჭირდება დრო მოსწავლის რვეულზე სამუშაოდ. იგივე შეიძლება ითქვას დანარჩენი თავების შესახებაც.

**შენიშვნა:** მოსწავლის წიგნი გაყოფილია ორ ნაწილად. მეორე ნაწილი დანომრილია ორგვარად. სარჩევში გვერდები მითითებულია პირველი, მსხვილი შრიფტით მოცემული ნუმერაციის მიხედვით. მეორე, მკრთალი და პატარა შრიფტით დაბეჭდილი ნუმერაცია გულისხმობს პირველი წიგნის გაგრძელებას, რაც დატოვებულია სპეციალურად. ეს მასწავლებელს გაუადვილებს, იოლად იპოვოს ის გვერდი, რომლის ნომერიც ზოგიერთ შემთხვევაში მასწავლებლის წიგნშია მითითებული (სავარჯიშოების პასუხები, კონკრეტული სავარჯიშოს ან დავალების მითითება და ა.შ.).



ყოველი თავის დასაწყისში ცალკე გვერდზე მოთავსებულია თავის ნომერი, მითითებულია თემის სათაური, გვერდი გაფორმებულია სათანადო ნახატივით და ერთვის ეპიგრაფები: ანდაზები ან ლექსები, რომლებიც ამ თემას შეესაბამება. ეს გვერდი გამიზნულია ერთგვარი შესავალი საუბრისათვის. აქვე განთავსებულია თავის სარჩევი.

ყოველი თავი მოიცავს ტექსტებს, თეორიულ საკითხებს. წიგნის ბოლოს კი მოცემულია ლექსიკონი, რომელშიც განმარტებულია ამა თუ იმ თავში შეტანილი ტექსტების ვარსკვლავით მონიშნული სიტყვები. აქვე აღვნიშნავთ, რომ ლექსიკონში თავმოყრილი სიტყვები კარგი მასალაა დამატებითი დავალებებისათვის. თუ მასწავლებელს დრო მორჩება, მას შესაძლებლობა აქვს, დაავალოს მოსწავლეებს წინადადებების შედგენა ამ სიტყვების გამოყენებით.

## **ტექსტები**

სახელმძღვანელოში შეტანილია მოთხრობები, ზღაპრები, ლეგენდები, იგავ-არაკები, ლექსები, ენციკლოპედიურ-შემეცნებითი ხასიათის ტექსტები.

სახელმძღვანელოს ტექსტები შერჩეულია რამდენიმე ნიშნით: 1) შეესაბამებოდეს თემას; 2) ჰქონდეს მხატვრული (ან შემეცნებითი) ღირებულება; 3) შეესაბამებოდეს და ითვისისწინებდეს მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს; 4) ასახული იყოს ის ენობრივ-გრამატიკული მომენტები, რომლებიც შესაბამის თავში შეისწავლება.

უმეტესი წილი ამ ტექსტებისა ქართული კლასიკური ლიტერატურაა. წიგნში შეტანილია გადმოქართულებული ნაწარმოებებიც, მოსწავლეთა თვალსაწიერის გასაფართოებლად და წარმატებული თარგმანის ნიმუშის გასაცნობად.

ყველა ტექსტი ილუსტრირებულია ფერადად, ბავშვისათვის გასაგები, თემის შესაბამისი სურათებით. ტექსტები სპეციალურად შერჩეული, ადვილად აღსაქმელი, კარგად საკითხავი შრიფტით არის აწყობილი.

ისევე, როგორც წინა კლასების სახელმძღვანელოებში, აქაც უზარმაზარი როლი ენიჭება ლექსიკაზე მუშაობას. ლექსიკური სავარჯიშოები უზვადაა დავალებათა ბლოკებში.

წიგნის ყოველ ტექსტს მოსდევს **სავარჯიშოების ბლოკი**. ამ ბლოკში სხვადასხვა ტიპის დავალებები გვხვდება. განვიხილოთ ეს დავალებები რუბრიკების მიხედვით:

**უპასუხე შეკითხვებს** – ამ რუბრიკაში ძირითადად მოცემულია ტექსტების შინაარსთან უშუალოდ დაკავშირებული შეკითხვები, რომლებზეც მოსწავლემ მოკლე პასუხი უნდა გასცეს. ზოგიერთი სავარჯიშო კი მოსწავლისაგან ტექსტის რომელიმე ეპიზოდის შინაარსის გააზრებასა და გადმოცემას მოითხოვს.

**იმსჯელე** – როგორც რუბრიკის სახელიდან ჩანს, აქ გაერთიანებული სავარჯიშოები მოსწავლეებისაგან, ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, ამა თუ იმ საკითხზე საკუთარი აზრის ჩამოყალიბებას მოითხოვს. შესაბამისად, მითითებაში გამოყენებული ზმნები მრავლობით რიცხვში დგას.

**გაიხსენე** – ამ რუბრიკის სავარჯიშოები მოსწავლისაგან მოითხოვს, გაიხსენოს ესა თუ ის შესწავლილი ნაწარმოები ან ამა თუ იმ ნაწარმოების პერსონაჟები და დაუკავშიროს პერსონაჟების მოქმედება ახლად შესწავლილ მასალას თუ პირად ცხოვრებისეულ გამოცდილებას. გარდა ამისა, მოსწავლემ უნდა გაიხსენოს რომელიმე საკვანძო სიტყვის მნიშვნელობა...

**მოძებნე** – ამ რუბრიკაში მოცემული სავარჯიშოები მოსწავლეს ტექსტში ორიენტირებაში ეხმარება.

**მოიპოვე ინფორმაცია** – რუბრიკაში გაერთიანებული სავარჯიშოები მოსწავლეს სთხოვს, ამა თუ იმ საკითხზე მოიპოვოს დამატებითი ინფორმაცია საბავშვო ენციკლოპედიიდან, მოიძიოს სასურველი წიგნი ბიბლიოთეკაში (ეს უკანასკნელი კი თავისთავად გულისხმობს, რომ მოსწავლეს უნდა შეეძლოს საბავშვო ბიბლიოთეკის ანბანური და თემატური კატალოგებით სარგებლობა და ბიბლიოთეკის კატალოგებსა და ბარათებზე განთავსებული ინფორმაციის სწორად ამოკითხვა. გარდა ამისა, თუ ხელი მიუწვდება, მოიძიოს ინფორმაცია ინტერნეტითაც.

**წაიკითხე გამოთქმით** – ამ რუბრიკაში შესული სავარჯიშოების მიზანია, მოსწავლე დაეუფლოს ხმამაღლა გამომსახველობითი კითხვის ტექნიკას.

**დანერე** – რუბრიკაში თავმოყრილია წერიტი სავარჯიშოები.

**გრამატიკა** – როგორც სათაურიდანაც ჩანს, ამ რუბრიკაში გაერთიანებულია გრამატიკული სავარჯიშოები მართლწერის ნორმების ასათვისებლად და განსამტკიცებლად.

**თეორია** – რუბრიკაში მოცემულია სავარჯიშოები, რომლებიც სახელმძღვანელოში შეტანილ ლიტერატურის თეორიის საკითხებს უკავშირდება.

**დახატე** – ეს რუბრიკა სახელმძღვანელოში შედარებით იშვიათად გვხვდება. რუბრიკა მიზნად ისახავს, მოსწავლეებმა სცადონ ტექსტის ამა თუ იმ ეპიზოდის ან მისგან მიღებული შთაბეჭდილების ნახატით გადმოცემა.

გარდა ამისა, სახელმძღვანელოში მოცემულია ინსტრუქციები, როგორ უნდა გარდასახონ მოსწავლეებმა მოთხრობა სპექტაკლად და როგორ დადგან წარმოდგენა კლასში.

ზოგიერთი სავარჯიშო მოითხოვს, მოსწავლემ თავად მოიფიქროს შეკითხვა ამა თუ იმ ტექსტთან დაკავშირებით და დაუსვას თანაკლასელს.

ერთი ტექსტის ბოლოს სამი, ოთხი, ხუთი ან მეტი რუბრიკის სავარჯიშოები შეიძლება იყოს მოცემული. სავარჯიშოების ერთი ბლოკის ფარგლებში შესაძლებელია, რუბრიკა მეორედგოდეს. მაგალითად ასე:

- უპასუხე შეკითხვებს
- დაწერე
- იმსჯელე
- უპასუხე შეკითხვებს

ეს იმას ნიშნავს, რომ, ჩვენი რეკომენდაციით, მასწავლებელმა ამ თანამიმდევრობით უნდა შეასრულებინოს კლასს სავარჯიშოები.

მოსწავლის წიგნის სავარჯიშოებში, ასევე, მითითებულია, რომელია ჯგუფებში ან წყვილებში სამუშაო, რაც მასწავლებელს დაეხმარება სასწავლო პროცესის ორგანიზებაში. ამგვარი სავარჯიშოების მითითებაში ზმნები მრავლობით რიცხვში დგას.

## თეორიული საკითხები

ყოველ თავში შეტანილია გარკვეული თეორიული მასალა. ოღონდ მიზანი ის კი არ არის, რომ ბავშვებს ეს თეორიული ტექსტები გავაზიარებინოთ, არამედ ის, რომ მოსწავლეს შეეძლოს, შექმნილი ცოდნა პრაქტიკულად გამოიყენოს. მაგალითად, V თავში მოცემულია „მოსაზრება, არგუმენტი“, ხოლო VI თავში – „დისკუსია“ და ა.შ.

## მოსასმენი ტექსტები



წიგნის ზოგიერთ თავში **სპეციალური ნიშნით** გამოყოფილია ტექსტის სათაური. ეს ტექსტები მასწავლებლის წიგნშია მოცემული შესაბამისი თავის გაკვეთილების აღწერის ბოლოს. ისინი სასწავლო პროცესში რამდენიმე დანიშნულებით შეგვიძლია ჩავართოთ:

ა. **როგორც მოსასმენი ტექსტი:** მასწავლებელი უკითხავს ტექსტს, რომელიც მოსწავლის წიგნში არ წერია. შემდეგ უსვამს შინაარსთან დაკავშირებულ შეკითხვებს, აძლევს დასახატს ან წერით დავალებას.

ბ. **როგორც უცხო ტექსტი:** მასწავლებელი აკეთებს ტექსტის ასლს და შეაქვს კლასში როგორც უცხო ტექსტი. მოსწავლეები კითხულობენ მას. შემდეგ კი პედაგოგი უსვამს შინაარსთან დაკავშირებულ შეკითხვებს, აძლევს დასახატს ან წერით დავალებას (ზოგჯერ ასეთი დავალებები თავად ტექსტებსაც ახლავს).

გ. **კარნახით წერა** სწორედ ამ ტექსტებით ივარჯიშებენ მოსწავლეები კარნახით წერაში.

## მოახვეთ ჩვენება



ეკრანის ლოგოთი აღნიშნულია ნაწარმოებები, რომელზეც გადაღებულია ასაკისთვის შესაბამისი ფილმი ან მულტფილმი, ან საერთოა (ემთხვევა) პერსონაჟი და თემა (მაგალითად, „შელის ნუკრის

ნამბობი“ და „ბემბი“) ან ფილმი ეხება თემას, რომელიც გაშლილია შესასწავლ თავში და ა.შ.

თუ მოსწავლის წიგნში ნაწარმოების სათაურთან მოცემულია მითითებული ნიშანი, ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმძღვანელოს ავტორების რეკომენდაციით, მასწავლებელმა, სასურველია, მოიძიოს მითითებული ვიდეომასალა, მოკლე ინფორმაცია ფილმის გამოშვების წლის, რეჟისორის თუ სხვა მნიშვნელოვან ამბებისა და პიროვნებების შესახებ და ამ ნაწარმოების შესწავლის შემდეგ აჩვენოს მოსწავლეებს კლასში. ჩვენება შეიძლება 2 საგაკვეთილო საათსაც გაგრძელდეს. ქვემოთ მოცემულია ვიდეომასალის დამუშავებისას საგაკვეთილო პროცესში დასმული შეკითხვებისა და განსახორციელებელი აქტივობების ნიმუშები:

- სად განყდა ფილმის ჩვენება? რა იყო პირველ ნაწყვეტში? იგულისხმება შინაარსი;
- ემთხვევა თუ არა ნაწარმოებისა და ეკრანიზაციის სათაური? და თუ არის განსხვავება, იმსჯელონ, რომელი ვერსია მოსწონთ და რატომ;
- ვიდეომასალაში (ფილმში, მულტფილმში...) რა არის მოცემული განსხვავებულად? დამატებულია ან აკლია პერსონაჟი თუ ამბავი; შეცვლილია ფინალი... აქვე გაიმართება მსჯელობა რეჟისორის ფანტაზიით შექმნილ მასალაზე;
- შესაძლებელია შეფასდეს კოსტიუმები და დაისვას კითხვები, რომელ პერსონაჟს რა ტიპის ტანსაცმელი უფრო მოუხდებოდა და რატომ;
- შეიქმნას ფილმის აფიშა;
- შეიქმნას ფილმის რეკლამა: მოსწავლეების ჩართულობით დაინეროს სცენარი რომელშიც ჩაერთვება ბავშვების მიერ ხმათა უმრავლესობით არჩეული მუსიკა. მასწავლებელმა საბოლოო პროდუქტი ვიდეოზე აღბეჭდოს. ან: გაკეთდეს სარეკლამო პლაკატი ჩანახატებითა და სლოგანებით.
- დაიდგას კოსტიუმირებული სპექტაკლი ამ ნაწარმოების მიხედვით. სასურველია, ამ კოსტიუმების მხატვრები თავად მოსწავლეები იყვნენ. მაგალითად, ჩვეულებრივი ტანსაცმელი ქალაქის ელემენტებით იყოს შეფუთული.

## მოსწავლის წიგნი – ქართული ენა

სწავლების მიზანია, მოსწავლეებს შეუქმნას აუცილებელი ბაზა მშობლიური ენის გრამატიკის დასაუფლებლად. სწავლების პროცესში მუდმივად უნდა იქნეს გათვალისწინებული მოსწავლის ასაკობრივი ფსიქიკური თავისებურებანი. ამიტომაც აუცილებელია მასალის მიწოდება გარკვეული თანამიმდევრობით. შერჩეული მასალა ემყარება იმ პრაქტიკულ ცოდნას, რომელიც მოსწავლეს უკვე შეძენილი აქვს:

10 წლის ბავშვს უკვე გავლილი აქვს მშობლიური ენის ათვისების ადრეული და სკოლამდელი ეტაპები, მოცემული ასაკისთვის ფლობს (რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლები შეზღუდვებით) ენობრივ სისტემას: ძირითადად სწორად იყენებს (ფონეტიკურ-ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ) ენობრივ ერთეულებს; დაგროვებული აქვს გარკვეული ლექსიკა და პრაქტიკულად დაუფლებულია სემანტიკურ ასპექტებს – იყენებს ანალოგიას, ფლობს სიტყვათშეთანხმების მოდელებს. სწავლების მიზანია ამ ცოდნის გამოვლენა – გაცნობიერება, მისი ობიექტივაცია. ამგვარი მიდგომა გააადვილებს არა მხოლოდ გრამატიკული მასალის ათვისებას, არამედ თავიდან აგვაცილებს ზედმეტ სირთულეებს, რომლებიც სწავლებისას შეიძლება გაჩნდეს. ჩვენ შევეცადეთ, მეცნიერული გრამატიკის რთული ცნებითი სისტემის ერთგვარად გამარტივებით ბავშვი მიგვეახლოებინა გრამატიკული ფაქტის გაცნობიერებასთან.

გრამატიკის სწავლების სახელმძღვანელოში აღწერილი მიდგომა აგრძელებს წინა კლასის სახელმძღვანელოს ტრადიციას – წინ წამოწეულია პრაქტიკული გრამატიკის საკითხები.

გარდა ამისა, ყოველ თეორიულ ნაწილს თან ერთვის გრამატიკული სავარჯიშოები შესწავლილი მასალის განსამტკიცებლად.

ჩვენ შევისწავლეთ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მისაღწევი შედეგები.

შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

- ადარებს სიტყვებს მორფოლოგიური აგებულების მიხედვით (სახელის ბრუნვის ფორმები, სახელური სიტყვანარმოების ძირითადი წესები და სხვა);

• ამოიცნობს არსებით, ზედსართავ, რიცხვით სახელებს; ჩაანაცვლებს მათ შესაბამისი ნაცვალ-სახელებით (კაცი - ის; მალალი - ასეთი; ექვსი - ამდენი და სხვა...);

• ამოიცნობს და იყენებს მნიშვნელოვან სინტაქსურ მიმართებებს სიტყვათა შორის (ზმნასა და სახელს შორის შეთანხმება პირსა და რიცხვში, რიცხვითი და / ან ზედსართავი სახელისა და არსებითი სახელის ბრუნების წესები...); შეუძლია კითხვების მეშვეობით ამოიცნოს ზოგი გრამატიკულ-სემანტიკური კატეგორია („ვინ“ და „რა“ ჯგუფის სახელები, ზმნის დროები...);

• განარჩევს ზმნის უმთავრეს კატეგორიებს (პირი, რიცხვი, დრო, კილო...)...

და დავგეგმეთ გრამატიკის სწავლება სტანდარტის შესაბამისად. გთავაზობთ გრამატიკული საკითხების სრულ ჩამონათვალს:

1. არსებითი სახელის ჯგუფები: ა) ვინ? რა? ბ) სულიერთა, უსულოთა;
2. არსებითი სახელის ჯგუფები: ა) საზოგადო, საკუთარი ბ) კონკრეტული, აბსტრაქტული;
3. კრებითი არსებითი სახელები;
4. არსებითი სახელის ბრუნება: ა) ბოლოხმოვნისანი (კვეცადი, უკვეცელი) ბ) ბოლოთანხმოვნისანი (კუმშვადი, უკუმშველი);
5. არსებითი სახელის ბრუნების თავისებურებანი: ა) კუმშვად-კვეცადი ბ) მხოლობითში უკვეცელი, მრავლობითში კვეცადი, გ) თავისებურად კუმშვადი (ნიგვზის);
6. უკვეცელ სახელთა ბრუნების თავისებურება;
7. ბოლოხმოვნიან საკუთარ სახელთა ბრუნება;
8. ბოლოთანხმოვნიან საკუთარ სახელთა ბრუნება;
9. ბრუნვის ნიშანთა სავრცობი ხმოვანი;
10. გვარების ბრუნება;
11. ზმნა (ზმნის უღლება – პირი, რიცხვი);
12. ზმნის დრო;
13. ზმნა და ზმნისწინი;
14. ზმნის კილო (თხრობითი, კავშირებითი);
15. ბრძანებითი კილო;
16. ზმნის თავისებურებანი: 1) რიცხვში მონაცვლე ფორმები 2) სულიერთა და უსულოთა შესაბამისი ფორმები 3) თავაზიანი საუბრის ფორმები; 4) ჰ (ჰაე) თავსართი მესამე პირის ზმნებთან 5) -ავ და -ამ ნიშნები
17. ზედსართავი სახელი: ა) ძირეული და წარმოქმნილი ზედსართავები ბ) ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები\*;
18. ზედსართავი სახელისა და არსებითი სახელის ერთად ბრუნება;
19. რიცხვითი სახელისა და არსებითი სახელის ერთად ბრუნება;
20. მარტივი და რთული სიტყვები;
21. ზმნიზედა (ადგილის, დროის, ვითარების);
22. კუთვნილებითი ნაცვალსახელი (ჩვენებითი ნაცვალსახელის გამეორება);
23. პირდაპირი და ირიბი ნათქვამი.

\* შენიშვნა: ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმების სწავლებისას მოსწავლეებს აუხსენით, რომ: ა) ზედსართავ სახელს „მსხვილი“ უფროობითი ხარისხის ორი სწორი ფორმა აქვს – უმსხოსი, უმსხვილესი; ასევე, ორი ფორმა აქვს ზედსართავს „ტკბილი“ – უტკბესი, უტკბილესი, მაგრამ ამათგან უტკბესი ლიტერატურულად უპირატესია, მართებულია. სასურველია, დაიმონწოთ ორთოგრაფიული ლექსიკონი.

#### ზოგადი რეკომენდაცია:

1. გაკვეთილის მსვლელობისას, დრო რომ დაზოგოთ, წინასწარ დაფაზე დაწერეთ სახელმძღვანელოს ლექსიკონის იმ გვერდების ნომრები, რომელზედაც მოცემულია სავარაუდოდ უცნობი (ვარსკვლავიანი) სიტყვების განმარტებები.

2. წინასწარ შეაფასეთ თქვენი კლასის მოსწავლეთა შესაძლებლობა და შესაბამისად გაანაწილეთ ერთიანად მოცემული გრამატიკული მასალისათვის დასათმობი დრო ერთ თუ ორ გაკვეთილზე.

3. სახელმძღვანელოში გათვალისწინებულია ხოლმე წინა კლასებში შესწავლილი მასალის ცოდნა, მათი შეხსენება. თუ თქვენ არ ასწავლიდით ჩვენი წიგნებით, თქვენი საუბრით გააცანით მოსწავლეებს აღნიშნული ნაწარმოებები.

4. სასურველია, სკოლამ ან მშობლებმა წინასწარ მოუმარაგონ მოსწავლეებს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ერთტომეული) და ორთოგრაფიული ლექსიკონი.

5. ტექსტზე მუშაობის დროს, ნაკითხულის უკეთ გასააზრებლად, შეახსენეთ მოსწავლეებს, მეხსიერების ხარჯზე კი არ გასცენ მოცემულ შეკითხვებს პასუხი, არამედ ტექსტს მიუბრუნდნენ, იპოვონ ადგილი, რომლის შეხსენებაც მნიშვნელოვანია სწორი პასუხის გასაცემად.

როგორც მე-5, ისე მე-6 კლასში გრამატიკის კურსის თეორიული ნაწილი შედგენილია გასააზრებლად, შესამეცნებლად. უმთავრესი ყურადღება უნდა მივაქციოთ ე.წ. პრაქტიკული გრამატიკის ნაწილს და მოსწავლეთა შესაფასებლად სწორედ მას დავეყრდნობთ.

თითოეული რუბრიკის წინ მოცემულია მარტივი ლოგო (ძახილის ნიშანი, კითხვის ნიშანი ან ლუპა), რომელიც ვიზუალურად აფორმებს რუბრიკის სათაურს (გაიხსენე, დაიმახსოვრე, დააკვირდი, უპასუხე შეკითხვებს...).

## მოსწავლის რვეული

მოსწავლის რვეულში თავმოყრილია სავარჯიშოები, რომლებიც მოსწავლეებმა კონკრეტული გრამატიკული მასალის შესწავლის შემდეგ უნდა შეასრულონ. ეს სავარჯიშოები მასწავლებელს მათი ცოდნის შემოწმებაში დაეხმარება.

ასევე, რვეულში მოცემულია 22 ტესტი ასევე შესწავლილი გრამატიკული მასალის განსამტკიცებლად და 6 წერიტი დავალება თხრობითი ტექსტების უნარ-ჩვევების განსავითარებლად.

## მასწავლებლის წიგნი

მასწავლებლის წიგნში წარმოდგენილია სანიმუშო გაკვეთილები სამივე სფეროს მიხედვით: ენა, ლიტერატურა, ლიტერატურის თეორია. გარდა ამისა, თავმოყრილია ფასეული რეკომენდაციები სწავლების მეთოდოლოგიაში:

- წერის სტრატეგია – სქემა პერსონაჟის დახასიათებისათვის;
- რედაქტირება;
- თხზულების შეფასება;
- ბლუმის ტაქსონომია და კრიტიკული აზროვნება;
- მოსწავლეთა თვითშეფასება.

მასწავლებლის წიგნში მოცემულია ასევე მოსწავლეთა შეფასების სისტემა და V კლასის სტანდარტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

კოლეგებო, მასწავლებლის წიგნში (გვ. 86) გთავაზობთ ტექსტს, რომელიც თავისი ტესტური კითხვებით გამოყენებული იყო წიგნიერების საერთაშორისო კვლევაში (PIRLS). საქართველოში ამ კვლევის ორგანიზატორია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი; კვლევის ჯგუფის ხელმძღვანელი – ია კუტალაძე.

თქვენ შეგიძლიათ, დიაგნოსტიკური ტესტირება ჩაატაროთ, შეისწავლოთ თქვენი მოსწავლეების კითხვის, ნაკითხულის გააზრების უნარები და მისცეთ სათანადო რჩევები მოსწავლეებს. ტესტს თან დართული აქვს შეფასების სქემა.

## ამონარიდი „ეროვნული სასწავლო გეგმიდან“

### მოსწავლის შეფასების სისტემა

#### მოსწავლის შეფასების მიზანი, პრინციპები და ამოცანები

1. მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. შეფასება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ.
2. მოსწავლის შეფასება არის სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილი. თანამიმდევრული საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად, მოსწავლის შეფასება უნდა დაეფუძნოს სწავლის კონსტრუქტივისტულ პრინციპებს.
3. მოსწავლის შეფასების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:
  - ა) აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება;
  - ბ) ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები;
  - გ) გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად;
  - დ) მოიცვას სამივე კატეგორიის ცოდნა;
  - ე) აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში.
4. ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უზიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ.

#### განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება

1. შეფასება შეიძლება იყოს: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.
2. განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში.
3. განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

**განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების აღწერილობა**

	<b>განმავითარებელი</b>	<b>განმსაზღვრელი</b>
<b>მიზნები</b>	სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობა.	მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დადგენა საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში.
<b>ამოცანები</b>	ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის შეფასება; წინარე ცოდნის/ნარმოდგენების დადგენა; მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარის შეფასება; მოსწავლის მიერ საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად გააზრებული ნაბიჯების გადადგმის უნარის შეფასება; ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესის შეფასება; ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება.	ცოდნათა ურთიერთდაკავშირების უნარის შეფასება; ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენების უნარის შეფასება; ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება.
<b>წარმატების კრიტერიუმი</b>	განხორციელებული წინსვლა წინარე შედეგებთან/წინარე დონესთან შედარებით.	მიღწევის დონე საგნობრივი სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შედარებით
<b>შემფასებელი და შეფასების ფორმები</b>	<b>მასწავლებელი:</b> ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი, წამახალისებელი მითითებები, სიმბოლური ნიშნები და ა.შ. <b>მოსწავლეები:</b> თვითშეფასებით; ურთიერთშეფასებით.	მასწავლებელი: ქულა (შეიძლება ახლდეს კომენტარი ძლიერი და სუსტი მხარეების აღწერით, ხარვეზების გამოსასწორებელი მითითებებით).

## აკადემიური მიღწევის დონეები და შეფასების სისტემა

მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით ხუთი დონის მიხედვით:

ქულები	შეფასების დონეები
10	მაღალი
9	
8	საშუალოზე მაღალი
7	
6	საშუალო
5	
4	საშუალოზე დაბალი
3	
2	დაბალი
1	

### შეფასება დანყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე

1. I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება. ამ კლასებში წლის ბოლოს საგნის მასწავლებლებმა უნდა დაწერონ მოსწავლის მოკლე წერილობითი შეფასება, რომელშიც დაახასიათებს მოსწავლეს, აღნიშნავს მის წარმატებებს და მიუთითებს, რაში სჭირდება მოსწავლეს დახმარება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად. კლასის დამრიგებელმა, საკუთარი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, IV კლასის ბოლოს უნდა დაწეროს შემაჯამებელი წერილობითი შეფასება.

2. V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება. მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით, ყველაზე დაბალი ქულა არის 1, ხოლო ყველაზე მაღალი ქულა - 10.

3. V-XII კლასებში სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებში, საგანში „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ და არჩევით საგნებში მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა.

### მოსწავლის შეფასების კომპონენტები

1. სემესტრის განმავლობაში მოსწავლეები ფასდებიან შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით:



- ა) მიმდინარე საშინაო დავალება;
  - ბ) მიმდინარე საკლასო დავალება;
  - გ) შემაჯამებელი დავალება.
2. მასწავლებელს შეუძლია სემესტრის განმავლობაში განმავითარებელი შეფასება გამოიყენოს ნებისმიერ კომპონენტში.
3. სემესტრის განმავლობაში განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეები ფასდებიან შემდეგ კომპონენტებში:
- ა) მიმდინარე საკლასო დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები),
  - ბ) მიმდინარე საშინაო დავალება (VII-XII კლასები),
  - გ) შემაჯამებელი დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები).
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს ერთნაირი წონა აქვს.
5. I-VI კლასებში საშინაო დავალების კომპონენტში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.
6. I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.
7. V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება.

	I-IV კლასები და V კლასის პირველი სემესტრი	V კლასის მეორე სემესტრი და VI კლასი	საბაზო და საშუალო საფეხურები
<b>მიმდინარე საშინაო დავალება</b>	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება
<b>მიმდინარე საკლასო დავალება</b>	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება
<b>შემაჯამებელი დავალება</b>	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება

8. შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება (მაგ., ესეს დანერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დანერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.). ამგვარ დავალებაში შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასებისათვის პედაგოგმა უნდა შეიმუშაოს მოსწავლეების შეფასების კრიტერიუმები.

9. ეროვნული სასწავლო გეგმა V კლასის მეორე სემესტრის, VI კლასის და საბაზო-საშუალო საფეხურების თითოეული საგნისათვის განსაზღვრავს სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალურ რაოდენობას.

10. მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება (ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი სავალდებულო მინიმუმი და სკოლის მიერ დამატებით დადგენილი, ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში).

11. თუ მოსწავლე არ შეასრულებს რომელიმე შემაჯამებელ დავალებას გაცდენის გამო, სკოლა ვალდებულია, მისცეს მას გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის საშუალება. შემაჯამებელი დავალებების აღდგენის ვადები და მისი ჩატარების ფორმა განისაზღვრება სასკოლო სასწავლო გეგმით.

12. თითოეული მასწავლებელი ვალდებულია, კათედრას წარუდგინოს მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დოკუმენტაცია. აღნიშნულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს: შემაჯამებელი დავალების ნომერი, შემაჯამებელი დავალების პირობა, საგნის სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება; კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდება ეს დავალებები; ასევე, მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული შემაჯამებელი დავალების რამდენიმე ნიმუში ან შესრულებული შემაჯამებელი დავალების ამსახველი ვიზუალური მასალა.

### **განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები**

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასების შემდეგი სახეობები:

- ა) საგნის მიმდინარე საკლასო, მიმდინარე საშინაო და შემაჯამებელი დავალებების ქულები, რომლებსაც მოსწავლე იღებს სემესტრის განმავლობაში;
- ბ) საგნის სემესტრული ქულა – საგანში მიღებული შეფასება თითოეულ სემესტრში;
- გ) საგნის წლიური ქულა – სემესტრული ქულებიდან გამომდინარე შეფასება საგანში. გამონაკლისს წარმოადგენს მეხუთე კლასის წლიური ქულა, რომელიც მეორე სემესტრის საგნის სემესტრული ქულის იდენტურია. წლიურ ქულაში შეიძლება წლიური გამოცდის ქულაც აისახოს, თუ ასეთი გამოცდა გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით და სკოლის მიერ განსაზღვრულია, რომ მას გავლენა ექნება საგნის წლიურ ქულაზე.

### **ქულების გამოანგარიშების წესი**

1. საგნის სემესტრული ქულის გამოანგარიშების წესი:

- ა) მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში სხვადასხვა კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულების რაოდენობაზე;
- ბ) მიღებული ქულა უნდა დამრგვალდეს მთელის სიზუსტით (მაგ., 6.15 მრგვალდება 6-მდე, 7.49 მრგვალდება 7-მდე, 8,5 მრგვალდება 9-მდე);
- გ) იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არა აქვს შესრულებული ყველა ჩატარებული შემაჯამებელი დავალება, მისი სემესტრული ქულის გამოსაანგარიშებლად სხვადასხვა კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულების რაოდენობისა და შეუსრულებელი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის ჯამზე;

დ) თუ სემესტრის განმავლობაში სკოლიდან სკოლაში გადასვლისას აღმოჩნდება, რომ მიმღებ სკოლაში რომელიმე საგანში/საგნებში ჩატარებულია შემაჯამებელი დავალების/დავალებების უფრო მეტი რაოდენობა, ვიდრე გამშვებ სკოლაში, მიმღები სკოლა მოსწავლის შემაჯამებელი დავალების რაოდენობას დაითვლის გამშვებ სკოლაში დადგენილი და მოსწავლის მიერ შესრულებული, ასევე მიმღებ სკოლაში მოსწავლის გადმოსვლის მომენტიდან ჩატარებული და მის მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებების მიხედვით;

ე) 36-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სემესტრული გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში, სემესტრული ქულა გამოითვლება მისი გათვალისწინებით: გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე.

2. საგნის წლიური ქულის გამოანგარიშების წესი:

ა) საგნის წლიური ქულის გამოსაანგარიშებლად საგნის სემესტრული ქულების ჯამი უნდა გაიყოს ორზე;

ბ) საგნის წლიური ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით (მაგ., 7.25 მრგვალდება 7-მდე, 4.49 მრგვალდება 4-მდე, 9.5 მრგვალდება 10-მდე);

გ) თუ სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს წლიური გამოცდის ჩატარებას და განსაზღვრულია, რომ ამ გამოცდის ქულაც აისახება საგნის წლიურ ქულაზე, მაშინ საგნის წლიური ქულა სამი (ორი - საგნის სემესტრული და ერთი - გამოცდის) ქულის საშუალო არითმეტიკულია (დამრგვალებული მთელის სიზუსტით);

დ) თუ მოსწავლეს, სკოლიდან სკოლაში სემესტრის მიმდინარეობისას გადასვლის გამო, მოუხდება განსხვავებული საგნების სწავლა და მანამდე ნასწავლ საგანში მიღებული აქვს 32-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეფასება, რომლის საშუალო არითმეტიკული არის 5.0 ან მეტი ქულა, ეს ქულა დაუფიქსირდება ნასწავლი საგნის წლიურ ქულად. ამასთან, მიმღებმა სკოლამ უნდა შეაფასოს მოსწავლე ახალ განსხვავებულ საგანში, თუ ეს ესწრება სემესტრის დასრულებამდე;

ე) მოსწავლის მიერ სემესტრის დასრულების შემდეგ სკოლიდან სკოლაში გადასვლის გამო, მიმღებ სკოლაში განსხვავებული საგნის სწავლის შემთხვევაში, განსხვავებული საგნების სემესტრული ქულები აღირიცხება, როგორც ორი დამოუკიდებელი საგნის წლიური ქულა. (მაგ., თუ მოსწავლე პირველ სემესტრში უცხოურ ენად სწავლობდა ფრანგულს, მეორე სემესტრში კი ფრანგულის ნაცვლად - გერმანულს, მაშინ ფრანგული ენის სემესტრული ქულა გადადის ფრანგული ენის წლიურ ქულად, ხოლო გერმანული ენის სემესტრული ქულა - გერმანული ენის წლიურ ქულად).

3. საფეხურის ქულის გამოანგარიშების წესი:

ა) საფეხურის ქულის გამოთვლისას ჯამდება საფეხურის მანძილზე ნასწავლი ყველა საგნის წლიური ქულა და ჯამი იყოფა წლიური ქულების საერთო რაოდენობაზე;

ბ) საფეხურის ქულა მრგვალდება მეთაედის სიზუსტით (მაგ., 6.43 მრგვალდება 6.4-მდე, 7.58 მრგვალდება 7.6-მდე, 9.75 მრგვალდება 9.8-მდე).

# განმავითარებელი შეფასება

ყველა მასწავლებელი აცნობიერებს კავშირს სწავლებასა და შემაჯამებელ ტესტირებას შორის. როგორც წესი, ეფექტურ სწავლებას მოსწავლეთა კარგი შედეგები მოსდევს შემაჯამებელ ტესტებში. თუმცა არ უნდა გამოვტოვოთ მნიშვნელოვანი ელემენტი – როგორ ამონხმებს მასწავლებელი მოსწავლეთა მოსწრებას არა მხოლოდ სასწავლო პროცესის ბოლოს, არამედ უშუალოდ სწავლის პროცესში. რაც უფრო ხშირად ამონხმებს მასწავლებელი სწავლას, მით უფრო ეფექტურია სწავლება.

განმავითარებელი შეფასების დანიშნულებაა მოსწავლის სწავლის მონიტორინგი და მუდმივი უკუკავშირი, რაც ეხმარება მასწავლებლებს სწავლების, ხოლო მოსწავლეებს – სწავლის გაუმჯობესებაში. განმავითარებელი შეფასება არის მოსწავლეების სწავლაზე მუდმივი დაკვირვების, აღრიცხვისა და ანალიზის პროცესი. მაგალითად, თუ მასწავლებელი შეამჩნევს, რომ რამდენიმე მოსწავლეს უჭირს გრძელი სიტყვების წაკითხვა ან პერსონაჟის ქცევების დახასიათება, მას შეუძლია შეცვალოს აქტივობები, დავალებები, სასწავლო რესურსები და ამგვარად დაეხმაროს მოსწავლეებს.

მოცემულ შემთხვევებში მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს სიტყვების სკივრი ან მოიტანოს

ცხოვრებისეული მაგალითები პერსონაჟის თვისებების გამოსაკვეთად. განმავითარებელი შეფასების შედეგები მასწავლებელს აჩვენებს, რამდენად ეფექტურად წარმართავს იგი სწავლების პროცესს და საჭიროა თუ არა მისი მხრიდან მიდგომების, სტრატეგიების, რესურსების შეცვლა.

განმავითარებელი შეფასება მოიცავს მიმდინარე შემონხმებას, დაკვირვებას, შეჯამებებსა და განხილვებს, რომლებიც მასწავლებელს საჭირო ინფორმაციას აწვდის სწავლების პროცესში და რომელთა საფუძველზეც მოსწავლეები რეგულარულად იღებენ კონსტრუქციულ უკუკავშირს.

განმავითარებელი შეფასება უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს დიფერენცირებულ საკლასო ოთახშიც, სადაც ერთმანეთის გვერდიგვერდ სხედან განსხვავებული მზაობისა და მიღწევების მქონე მოსწავლეები. რეგულარული განმავითარებელი შეფასების, ანუ ათვისების შემონხმების გარეშე მასწავლებელი ვერ გაიგებს, თუ რა სჭირდება თითოეულ მოსწავლეს სტანდარტებით გათვალისწინებული წარმატების მისაღწევად.

როგორც წესი, მასწავლებლები უფრო აქტიურად იყენებენ საკონტროლო და შემაჯამებელ შეფასებას იმის დასადგენად, თუ რა ოდენობის მასალა აითვისეს მოსწავლეებმა დროის გარკვეულ მომენტამდე. ნასწავლის შეფასების ასეთი ფორმის გამოყენებით ვრწმუნდებით, რამდენად მიაღწიეს მოსწავლეებმა დასახულ სასწავლო მიზნებს სახელმძღვანელოს ერთი თავის გავლის ან დროის გარკვეული მონაკვეთის გავლის შემდეგ. ნასწავლის განმსაზღვრელი შეფასება მნიშვნელოვანია ანგარიშგების მიზნით, ოღონდ მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს განმავითარებელ შეფასებაზეც, რომელიც აუმჯობესებს მოსწავლეთა სწავლას უშუალოდ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას.

მიუხედავად განმავითარებელი შეფასების მნიშვნელოვანი როლისა, სულაც არაა საჭირო მისთვის ზედმეტი დროის დათმობა. მნიშვნელოვანია, რომ პროექტებისა და თხზულებების გარდა არსებობს განმავითარებელი შეფასების ბევრი ინსტრუმენტი, რომლებიც სწრაფად და იოლად გამოიყენება ყოველდღიურ პრაქტიკაში.

რატომ უნდა გამოვიყენოთ განმავითარებელი შეფასება?

1. განმავითარებელი შეფასება აძლიერებს მოსწავლის რეფლექსიას სწავლის პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ. ამით ის ხელს უწყობს მოსწავლეთა გააქტიურებასა და თვითმონიტორინგს.

2. განმავითარებელი შეფასებისას მოსწავლეთა აზროვნებისა და შემეცნების პროცესები უფრო თვალსაჩინო ხდება როგორც თვით მოსწავლეებისათვის, ისე მასწავლებლისათვის. ეს ეხმარება მასწავლებელს ადეკვატური მეთოდებისა და სასწავლო რესურსების შერჩევაში.

3. განმავითარებელი შეფასება მოსწავლეებს ეხმარება იმის გაცნობიერებაში, თუ რას სწავლობენ და რამდენად კარგად ეუფლებიან ცოდნას.

4. განმავითარებელი შეფასება გვეხმარება იმის განსაზღვრაში, თუ რამდენად მზადაა ბავშვი, რომ ცოდნა და უნარები ახალ სიტუაციებში გამოიყენოს.

5. განმავითარებელი შეფასება გვეხმარება სწავლების დიფერენცირებაში, ჯგუფების სწორად დაკომპლექტებაში და მოსწავლეებისთვის ადეკვატური დავალებების შერჩევაში.

6. მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასებით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მასწავლებელს შეუძლია შეაფასოს ჩატარებული გაკვეთილის ეფექტურობა.

7. განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების უნარების განვითარებას.

8. განმავითარებელი შეფასება ეხმარება სასწავლო პროცესის მონაწილეებს კონსტრუქციული უკუკავშირის გაცემასა და გამოყენებაში (მასწავლებელი-მოსწავლე, მოსწავლე-მოსწავლე, მოსწავლე-მასწავლებელი).

9. განმავითარებელი შეფასების მეშვეობით მასწავლებელი ლეზულობს ინფორმაციას და გა-

11. განმავითარებელი შეფასება კომფორტს უქმნის და თავდაჯერებას მატებს მოსწავლეს მოსაზრებების საჯაროდ გამოხატვისას.

კვირის განმავლობაში მრავალფეროვანი განმავითარებელი შეფასების გამოყენებით მასწავლებელი მიიღებს რეალურ სურათს იმის შესახებ, თუ რა აქვთ ათვისებული და კიდევ რის ათვისება სჭირდებათ მოსწავლეებს საბოლოო მიზნის მისაღწევად. ყოველდღიურად, სულ მცირე, თითო ტიპის განმავითარებელი შეფასების გამოყენებით მასწავლებელს ეძლევა საშუალება, შეაფასოს სწავლის პროცესი და მიიღოს პასუხი საკვანძო კითხვებზე: როგორ ვითარდება თითოეული მოსწავლის ცოდნა და უნარები? რით შემიძლია დავეხმარო მოსწავლეებს ამა თუ იმ დავალების შესრულებასა თუ უნარის განაფვაში?

ეფექტურ საკლასო ოთახში განმავითარებელი შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. კარგი მასწავლებლები:

- მუდმივად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, როგორც ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს;
- შეაქვთ ადეკვატური ცვლილება-დამატებები სწავლების პროცესში მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით;

- სწრაფად რეაგირებენ ცალკეულ მოსწავლეთა შეფერხებებზე და სთავაზობენ მათ ადეკვატურ დახმარებას (სკაფოლდინგი); აძლევენ ამ მოსწავლეებს ხელახლა მოსინჯვისა და წარმატების მიღწევის შანსს;

- ადეკვატურ აქტივობებში ჩართვითა და სათანადო სირთულის დავალებების მიცემით შემდგომი განვითარების შესაძლებლობას აძლევენ წარმატებულ მოსწავლეებს.

მოსწავლეთა მიერ საკითხის/უნარის ათვისების გადამოწმების შემდეგ მასწავლებელი სვამს ისეთ შეკითხვებს, როგორებიცაა:

- ვის სჭირდება ახლა ჩემი ყურადღება?
- რომელი მოსწავლეები საჭიროებენ სწავლების სხვაგვარ მიდგომებს?
- რომელი მოსწავლეები ვერ ახერხებენ ახალი ცოდნის დაუფლებას?
- რა შემიძლია გავაკეთო იმისთვის, რომ თითოეულმა მოსწავლემ გადადგას ნაბიჯი ახალი უნარების გამოყენების მიმართულებით?

სწავლისა და ათვისების შემოწმება მოითხოვს მასწავლებლის დიდ ძალისხმევასა და ერთგულებას. მასწავლებელმა უნდა გაისიგრძეგანოს, რომ მოსწავლეებს აქვთ განსხვავებული საჭიროებები, რომლებსაც უნდა მოვარგოთ სწავლების მეთოდები და ტემპი. ზოგიერთი მოსწავლე მყისიერად იგებს ახალ საკითხს და ამიტომ შედარებით რთული დავალებები სჭირდება განვითარებისთვის. ზოგიერთი მოსწავლისთვის კი განმეორებითი სწავლება და ნაბიჯ-ნაბიჯ დახმარებაა აუცილებელი.

ეფექტური აქტივობები და ინსტრუმენტები განმავითარებელი შეფასებისთვის არსებობს განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტთა ვრცელი ნაირსახეობა. ეს ინსტრუმენტები (შემაჯამებელი შეკითხვები – დროგამოშვებით მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს წერილობით დავალებას და სთხოვს, ფურცლის/ბარათის ერთ მხარეს დაწერონ დამუშავებული ტექსტის მთავარი აზრი მაქსიმუმ სამი წინადადებით;

ფურცლის მეორე მხარეს კი დასვან შეკითხვა ტექსტის იმ ნაწილის შესახებ, რომელიც კარგად ვერ გაიგეს; 12-სიტყვიანი რეზიუმე (შეჯამება) – გაკვეთილის დასრულებისას მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაწერონ რეზიუმე (შეჯამება), რომლისთვისაც მხოლოდ 12 სიტყვას გამოიყენებენ. ეს ეხმარება მასწავლებელს იმის დადგენაში, თუ რამდენად აითვისეს მოსწავლეებმა გაკვეთილის მასალა და მისი ძირითადი კომპონენტები. სიტყვების რაოდენობის შეზღუდვა აიძულებს მოსწავლეებს, ყველაზე მნიშვნელოვან აზრებს მოუყარონ თავი. შესაძლებელია სიტყვების ნაცვლად წინადადებების რაოდენობის შეზღუდვაც (მაგალითად, დაწერონ რეზიუმე ორი ან სამი წინადადებით); ერთნუთიანი ესეი – სწრაფი წერილობითი რეაგირება კონკრეტულ შეკითხვაზე; ცნების/გონებრივი რუკა – მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, შეავსონ სხვადასხვა ვიზუალური სქემა/გრაფიკული ორგანიზატორი. შევსებული სქემების/ფორმების გადამონმებით მასწავლებელი დაადგენს, თუ როგორ გაიაზრეს მოსწავლეებმა კავშირები და მიმართებები ცნებებს, მოვლენებს, იდეებს შორის. და ა.შ.) გვეხმარება, სწრაფად გადავამოწმოთ მიმდინარე სასწავლო სიტუაციის ეფექტურობა. მათი გამოყენებით შეგვიძლია სწრაფად გავიგოთ, თუ როგორ მოგვეყვებიან მოსწავლეები, რას ითვისებენ და რაში სჭირდებათ დამატებითი დახმარება.

## კონსტრუქციული უკუკავშირი

უკუკავშირი არის რეაგირება იმაზე, თუ როგორ ასრულებს მოსწავლე ამა თუ იმ დავალებას და როგორ იყენებს ცოდნას/უნარებს მისი შესრულების დროს. როგორც წესი, უკუკავშირს ზეპირი ან წერილობითი კომენტარის სახე აქვს და მოიცავს შეფასებას, ნახალისებას და რჩევებს. უკუკავშირი სწავლის შეფასების არსებითი ნაწილია. სწავლის შეფასება განსხვავდება ნასწავლის შეფასებისგან. მისი საშუალებით შეგროვებული ინფორმაცია კონკრეტული მიზნით გამოიყენება – დავეხმაროთ მოსწავლეებს აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაში უშუალოდ სწავლის პროცესში, ანუ მანამდე, სანამ შემაჯამებელ შეფასებამდე მივალთ. როგორ ზემოქმედებს უკუკავშირი მოსწავლეთა სწავლის მოტივაციასა და შედეგებზე? მრავალი კვლევა ადასტურებს უკუკავშირის დიდ გავლენას მოსწრებაზე. აღმოჩნდა, რომ გავლენა შეიძლება იყოს დადებითიც იყოს და უარყოფითიც. ეს ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული: უკუკავშირის ტიპზე, მიზნების დროსა და ფორმაზე. ამას გარდა, უკუკავშირის სტრუქტურა, ფოკუსი და მოცულობაც მნიშვნელოვნად განაპირობებს მის ეფექტურობას. უკუკავშირის ზოგიერთი ტიპი, მაგალითად, უხეში ნეგატიური შეფასება, სხვა მოსწავლეებთან შედარება, საჯაროდ გაკრიტიკება კლასის წინაშე, გამოკვეთილად უარყოფით ზეგავლენას ახდენს სწავლასა და მოტივაციაზე. ასეთი უკუკავშირი შთააგონებს მოსწავლეებს, რომ ისინი არასაკმარისად უნარიანები არიან, რაც ამცირებს მათ სწრაფვას წარმატებისკენ. ეფექტური უკუკავშირი აუცილებლად შეიცავს პასუხს სამ შეკითხვაზე:

### 1. რა გაკეთდა კარგად?

კომპლიმენტი და შექება აუცილებელია იმისათვის, რომ მოსწავლემ: • უმტკივნეულოდ მიიღოს კრიტიკული შენიშვნები და დაინყოს ფიქრი გასაუმჯობესებელ მხარეებზე; • გააცნობიეროს საკუთარი ძლიერი მხარეები და აქტიურად გამოყენოს ისინი მომავალში; • თავდაჯერებულად და მოტივირებულად გააგრძელოს სწავლა. მნიშვნელოვანია, რომ უკუკავშირი შეიცავდეს ერთზე მეტ კომპლიმენტს სამუშაოს შესრულების სრულიად კონკრეტული ასპექტების შესახებ. უნდა მოვერიდოთ დაუმსახურებელ ქებას.

### 2. რა საჭიროებს გაუმჯობესებას?

ზოგჯერ აუცილებელია სამუშაოს შესრულების ნეგატიურ ასპექტებზე კონცენტრირება, რათა მოსწავლემ: • ყურადღება გაამახვილოს გასაუმჯობესებელ მხარეებზე და გააანალიზოს ისინი; • შეგნებულად აარიდოს თავი ხარვეზების გამეორებას მომავალში. მნიშვნელოვანია, რომ უკუკავშირი კონკრეტულად აღწერდეს იმას, თუ რის გაუმჯობესებას მოელიან მოსწავლისგან. ზოგჯერ მეტად სასარგებლოა რეფლექსიური შეკითხვის დასმა, რათა მოსწავლემ თავად გამოთქვას გასაუმჯობესებელი მხარეები. უნდა მოვერიდოთ პიროვნების გაკრიტიკებას, მკაცრ ტონს და ისეთ ასპექტებზე საუბარს, რომელთა ფაქტობრივი დასაბუთებაც გაგვიძნელებდა.

3. როგორ უნდა გაუმჯობესდეს ..... ?

ეფექტური უკუკავშირი მოსწავლეს აწვდის დეტალურ და კონკრეტულ ინფორმაციას სწავლის გაუმჯობესების გზების შესახებ. მოსწავლემ აუცილებლად უნდა მიიღოს მკაფიო მითითებები და რჩევები გაუმჯობესებისთვის საჭირო შემდგომი მოქმედებების შესახებ, რათა მან: • აიღოს პასუხისმგებლობა გაუმჯობესებაზე; • გადადგას პრაქტიკული, თანმიმდევრული ნაბიჯები სამუშაოს უკეთ შესასრულებლად და სასწავლო მიზნის მისაღწევად; • გაუძლიერდეს თვითრწმენა და სამუშაოს უკეთ შესრულების მოლოდინი. მნიშვნელოვანია, რომ უკუკავშირი კონკრეტულ (არაბუნდოვან და არააბსტრაქტულ) ინფორმაციას იძლეოდეს იმის შესახებ, თუ რა უნდა გააკეთოს მოსწავლემ უკუკავშირის მიღების შემდეგ. კვლევა და პრაქტიკა გვეუბნება, რომ უკუკავშირს კონსტრუქციული ეფექტი აქვს, როდესაც ის: – მიზმი და ფოკუსირებულია დასახულ სასწავლო მიზნებზე/ამოცანებზე. მოსწავლისთვის ნათელი უნდა იყოს, თუ რის ცოდნას და რომელ უნარს ეხება უკუკავშირი; - არის კონკრეტული. არ არის ზოგადი და ფრაგმენტული. ფოკუსირებულია სწავლის ერთ ან ორ პრაქტიკულ ასპექტზე. შეიცავს დეტალებსა და ინფორმაციას კონკრეტული დავალების/აქტივობის შესრულების შესახებ; - იძლევა სასარგებლო, პრაქტიკულ ინფორმაციას ამა თუ იმ უნარის განაფვისათვის ან სტრატეგიის გამოყენებისათვის, ასევე, რჩევებს კონკრეტული ხარვეზის აღმოსაფხვრელად. რეკომენდაციების განხორციელება შესაძლებელია დროის განსაზღვრულ პერიოდში; – არის ობიექტური, ეყრდნობა ფაქტობრივ ინფორმაციას და გამყარებულია კონკრეტული მაგალითებით. აღწერილი ტიპისაა და არ ეხება მოსწავლის პიროვნულ მახასიათებლებს; – ფორმულირებულია მკაფიოდ, გასაგებად და მეგობრული ტონით. არ შეიცავს უხეშ კრიტიკას და ბუნდოვან, ზოგად მითითებებს. არ არის ზედმეტად ვრცელი; – არის დროული. მიენოდება სამუშაოს/დავალების შესრულების პროცესში, სამუშაოს დასრულებისთანავე ან დასრულებიდან არცთუ დიდი დროის გასვლის შემდეგ. მომდევნო შანსი მოსწავლეს ნუთებისა და საათების შემდეგ მიეცემა და არა – კვირებისა და თვეების შემდეგ; - არის მიმდინარე და უწყვეტი. მიენოდება ხშირად და რეგულარულად. მნიშვნელოვანია, რომ უკუკავშირი კონსტრუქციულად დაიწყოს. ქვემოთ მოყვანილია უკუკავშირის ტექსტის გახსნითი ფრაზები, რომლებიც დაგეხმარებათ მოსწავლის საჭიროებებსა და კონკრეტულ სასწავლო მიზნებზე ორიენტირებული უკუკავშირის ჩამოსაყალიბებლად: • ეს კარგი ნაშრომია, რადგან ..... • შენი ნააზრევიდან გამომჩნდა, რომ ..... • შენ მართლაც კარგად გააკეთე ორი რამ: ..... და ..... • სასურველია, რომ ამის შემდეგი ნაბიჯი იყოს ..... • იქნებ გეცადა ..... • საკითხის ახსნისას შენ ..... • კიდევ ერთი რამ, რაც უნდა გააუმჯობესო, არის ..... • შენ გჭირდება უფრო მეტი ძალისხმევა, რათა ..... • შენ ნაკლებად გჭირდება ..... • შეეცადე, მეტი ყურადღება დაუთმო ..... • გაიხსენე, როგორ ვაკეთებთ ..... • შემდეგ ჯერზე გამოიყენე ..... სასწავლო მიზნების მისაღწევად მოსწავლეებს სჭირდებათ უწყვეტი უკუკავშირი. უკუკავშირი ეხმარება მოსწავლეებს, რომ მასწავლებლის მიერ მიცემული დავალებები აღიქვან, როგორც სწავლისა და განვითარების შესაძლებლობა და არა მათი გაკრიტიკების საშუალება. ხშირი, ეფექტური უკუკავშირი მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა წარმატებას მიაღწიეს და, ამასთანავე, როგორ მიაღწიონ უკეთეს შედეგს მომავალში. მთავარია, რომ უკუკავშირის მიღების შედეგად მოსწავლემ გააცნობიეროს არსებული მდგომარეობა და პრაქტიკული ნაბიჯები გადადგას სასწავლო მიზნის მისაღწევად.

გამოყენებული წყარო:

<http://kargiskola.ge/teacherintro/teacher-resurswignebi-maswavleblebistvis.php>

# 7. მოსწავლეთა შეფასების სისტემა

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შეფასების სისტემა არის ოთხდონიანი და ათქულიანი. 10 საუკეთესო ნიშანია, 1 კი – ყველაზე დაბალი. ათქულიანი სისტემა, ერთი მხრივ, უფრო ზუსტი შეფასების საშუალებას იძლევა, მეორე მხრივ, მეტ საშუალებას აძლევს მასწავლებელს, აჩვენოს მოსწავლეს საკუთარი პროგრესი თუ რეგრესი.

ქულაზი	მიღწევის დონე
10	მაღალი
9	
8	საშუალოზე
7	მაღალი
6	საშუალო
5	
4	საშუალოზე
3	დაბალი
2	დაბალი
1	

I-IV კლასებში და V კლასის I სემესტრში მოსწავლეთა შეფასება ნიშნებით არ ხდება. ამ კლასებში სემესტრის ბოლოსა და წლის ბოლოს კლასის დამრიგებელმა საკუთარი და სხვა მასწავლებლებისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე უნდა დაწეროს მოკლე შემაჯამებელი წერილობითი შეფასება, რომელშიც დაახასიათებს მოსწავლეს, აღნიშნავს მის წარმატებებს და მიუთითებს, რაში სჭირდება გავარჯიშება მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად.

V კლასის II სემესტრსა და VI-XII კლასებში ნიშნები იწერება 10-ქულიანი სისტემით.

## ოფიციალური სტატუსის მქონე ნიშნები

ოფიციალური სტატუსი აქვს შემდეგ ნიშნებს:

- **საგნის მიმდინარე და შემაჯამებელი ნიშნები** – საკლასო და შემაჯამებელი კომპონენტის ნიშნები, რომლებსაც მოსწავლე იღებს სემესტრის განმავლობაში;
- **საგნის სემესტრული ნიშანი** – საგანში მიღებული შეფასება თითოეულ სემესტრში (სემესტრული გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში გამოითვლება მისი გათვალისწინებით; გამოთვლის წესი იხ. ქვემოთ);
- **საგნის წლიური ნიშანი** – სემესტრული ნიშნებიდან გამომდინარე შეფასება საგანში. წლიურ ნიშანში შეიძლება წლიური გამოცდის ნიშანიც აისახოს, თუ ასეთი გამოცდა გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით და სკოლის მიერ განსაზღვრულია, რომ მას გავლენა ექნება საგნის წლიურ ნიშანზე;
- **საერთო წლიური ნიშანი** – საგნების წლიური ნიშნებიდან გამომდინარე შეფასება;
- **საფეხურის საერთო ნიშანი** – ზოგადი განათლების რომელიმე საფეხურის (დანწყებითი, საბაზო, საშუალო) საერთო შეფასება.



## საგნის სამესტრული ნიშნის შემაჯავებელი ნაწილები (კომპონენტები)

სემესტრის მანძილზე მოსწავლეები ფასდებიან ორი კომპონენტის მიხედვით – საკლასო-საშინაო დავალებები და შემაჯავებელი დავალება. ორივე კომპონენტს ერთნაირი წონა აქვს.

### საშინაო და საკლასო დავალებათა კომპონენტები

საკლასო დავალებების კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება. საშინაო დავალების კომპონენტებში დაწყებით საფეხურზე გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.

განმსაზღვრელ შეფასებაში იწერება ნიშანი.

განმავითარებელი შეფასების გამოყენება განსაკუთრებით მაშინაა მიზანშეწონილი, როდესაც მოსწავლე ახალი ცოდნის/უნარების შექმნის საწყის ეტაპზეა. ამ დროს შეცდომების დაშვება, მათი აღმოჩენა-გაანალიზება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას იმ ფაქტს, რომ განმავითარებელი შეფასების შემთხვევაში, მოსწავლე ფასდება საკუთარ თავთან, საკუთარ მიღწევებთან და არა – ყველასათვის საერთო ნორმასთან მიმართებით, რათა მან დაინახოს საკუთარი წინსვლა და ირწმუნოს, რომ შეუძლია სიძნელეთა ეტაპობრივად გადალახვა.

განმავითარებელი შეფასებისას, უპირატესად, გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორებიცაა: სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცლები, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემები, ცოდნის ათვისების ან უნარის განვითარების ეტაპების გამომხატველი დონეები, (სასურველია, სამი ან ოთხი; მაგალითად: 3 დონე – ათვისებულია, ათვისებულია ნაწილობრივ, აუთვისებელია; 4 დონე – ფლობს სრულყოფილად, ფლობს უმეტესწილად, ფლობს ნაწილობრივ, ვერ ფლობს); ათვისების თუ ფლობის დონეებით შედგენილი შეფასების ან თვითშეფასების სქემები მასწავლებელსა და მოსწავლესაც საშუალებას აძლევს, დინამიკაში დაინახოს კონკრეტული ცოდნის და უნარის ათვისების პროცესი.

შეფასება	განმავითარებელი	განმსაზღვრელი
რა მიზანს ემსახურება?	<ul style="list-style-type: none"> <li>• სწავლის ხარისხის გაუმჯობესება</li> <li>• მოსწავლის განვითარების ხელშეწყობა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სწავლის ხარისხის გაკონტროლება</li> <li>• მოსწავლის მიღწევის დონის დადგენა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით</li> </ul>
რა ფასდება?	<ul style="list-style-type: none"> <li>• სწავლის პროცესი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სწავლის შედეგი</li> </ul>
შედეგად რა ტიპის განწყვეტილებას ვიღებთ?	<ul style="list-style-type: none"> <li>• წინსვლის ხელშესაწყობად განსხვავებული აქტივობის შერჩევა, სწავლების სტრატეგიის შეცვლა, რჩევა-დარიგების მიცემა და სხვ.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• აკადემიური მოსწრების დონის განსაზღვრა</li> <li>• მომდევნო ეტაპზე (კლასში/საფეხურზე) დაშვება/არდაშვება</li> </ul>
როგორ განისაზღვრება წარმატების კრიტერიუმი?	<ul style="list-style-type: none"> <li>• კონკრეტული მოსწავლის წინსვლის საფუძველზე (საკუთარ მიღწევებთან მიმართებით – რა დონეს ფლობდა, რა დონეს ფლობს)</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• იმის საფუძველზე, რამდენად მიაღწია სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს (ყველასთვის საერთო სტანდარტით დადგენილ ნორმასთან მიმართებით)</li> </ul>
როგორი საშუალებები გამოიყენება?	<ul style="list-style-type: none"> <li>• თვით/ურთიერთშეფასების რუბრიკა</li> <li>• კითხვარი</li> <li>• სიტყვიერი (ზეპირი/წერილობითი) კომენტარი</li> <li>• უნარის განვითარების ეტაპების გამომხატველი დონეები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ნიშანი</li> </ul>

გამავითარებელი შეფასების პროცესში მასწავლებელთან ერთად ჩართულები არიან მოსწავლეებიც. ისინიც ცდილობენ, მასწავლებლის დახმარებით დაადგინონ საკუთარი მოთხოვნილებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, შემაფერხებელი ფაქტორები. ამ პროცესებში ჩართვა აყალიბებს მათში თვითშეფასებისა და თვითგანვითარების უნარ-ჩვევებს, ზრდის მათ ქმედუნარიანობასაც და პასუხის-მგებლობასაც.

ქვემოთ შემოთავაზებულია თვითშეფასების კონკრეტული ინსტრუმენტის ნიმუში, რომელიც, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს პროექტის განხორციელებისას. მოსწავლეს შეუძლია იმდენჯერ შეავსოს ასეთი ტიპის ბარათი, რამდენი აქტივობაც ექნება მას შესასრულებელი პროექტის მსვლელობისას.

ამ ბარათების ნაკრები წარმოადგენს ე.წ. „პროექტის დღიურს“.

<p>სასწავლო წელი -----  თვითშეფასების ბარათი <b>N</b>  მოსწავლის სახელი: _____ კლასი _____  პროექტის დასახელება: _____  დავალების/აქტივობის ხელმძღვანელ(ებ)ი: _____</p> <p>დავალება შევასრულე:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ინდივიდუალურად</li> <li>• ჯგუფთან ერთად</li> <li>• ჯგუფის წევრები: _____</li> </ul> <p>აღვწერ აქტივობას და მივუთითებ, რა მიზნისთვის უნდა მიმეღწია:</p> <p>აქტივობა/დასახელება: _____  მიზანი: _____</p> <p>ჩემი აზრით, მიზანს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მივაღწიე</li> <li>• ნაწილობრივ მივაღწიე</li> <li>• ვერ მივაღწიე</li> </ul> <p>• თავისუფლად, დაბრკოლებების გარეშე შევასრულე ეს აქტივობა  • ნავაწყდი სიძნელებს: _____</p> <p>• სიძნელები ვერ გადავლახე.  • გადავლახე შემდეგნაირად:  _____  _____  _____</p>
---

## ნიშნების გამოანგარიშების წესი

**საგნის სემესტრული ნიშნის გამოანგარიშების წესი:**

მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში ორივე კომპონენტში მიღებული ნიშნების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ნიშნების რაოდენობაზე. მიღებული ქულა უნდა დამრგვალდეს მთელის სიზუსტით (მაგალითად, 6.4 მრგვალდება 6 მდე, 8.5 მრგვალდება 9-მდე).

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არა აქვს შესრულებული ყველა შემაჯამებელი დავალება, მისი სემესტრული ნიშნის გამოსაანგარიშებლად სამივე კომპონენტში მიღებული ნიშნების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ნიშნებისა და შეუსრულებელი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის ჯამზე.

მაგალითი:

1. კლასში სემესტრის განმავლობაში ჩატარდა 4 შემაჯამებელი დავალება;
2. ერთ-ერთმა მოსწავლემ მხოლოდ 2 შემაჯამებელი დავალება შეასრულა;
3. მოსწავლემ სემესტრის განმავლობაში მიიღო 7 ნიშანი (8, 10, 8, 9, 8, 10, 7), აქედან ორი შემაჯამებელ, დანარჩენი კი – საკლასო დავალებებში;
4. რამდენადაც მოსწავლემ არ შეასრულა 2 შემაჯამებელი დავალება, მისი ნიშნების ჯამი უნდა გაიყოს არა 7-ზე (ანუ, არა მის მიერ მიღებული ნიშნების რაოდენობაზე), არამედ 9-ზე, (ანუ მიღებული ნიშნების რაოდენობას დამატებული შეუსრულებელი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა);
5. მოსწავლის სემესტრული ნიშანი იქნება:  $8 + 10 + 8 + 9 + 8 + 10 + 7 = 60 : 9 = 6, 7 = 7$

	კომპონენტები	მიღებული ნიშნები	ნიშნების რაოდენობა
<b>სემესტრული ნიშანი</b>	საკლასო	8, 10, 8, 9, 8	5
	4 შემაჯამებელი	10	2 შესრულებული +2 შეუსრულებელი შემაჯამებელი; სულ 4
		–	
		–	
		7	
	ჯამი	60 ქულა	9 ნიშანი
	სემესტრული ნიშნის გამოთვლა	$60 : 9 = 6$ $7=7$	

შეფასებისა და სასწავლო გეგმების ცენტრის მასალებიდან

ძირითადი საკითხები:

- მოსწავლეთა თვითშეფასების გაუმჯობესება;
- მასწავლებლის უკუკავშირის გავლენა თვითშეფასებაზე;
- თვითშეფასების გასაუმჯობესებელი აქტივობები.

## შესავალი

საკუთარი თავის შესახებ წარმოდგენა სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენით ბავშვს ადრეულ ასაკშივე უჩნდება, თუმცა მისი ჩამოყალიბების პროცესი განსაკუთრებით ინტენსიურად სკოლის ასაკში მიმდინარეობს. სკოლაში სწავლის პერიოდში საკუთარი თავის შესახებ წარმოდგენაზე განსაკუთრებულ ზეგავლენას თანატოლები და მასწავლებლები ახდენენ; ამიტომ მათ მიერ გაკეთებულ კომენტარებს მოსწავლეები, ჩვეულებრივ, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.

მოსწავლის თვითშეფასება არსებით გავლენას ახდენს საკუთარი თავის მიმართ რწმენის ჩამოყალიბებაზე და, ხშირ შემთხვევაში, სასწავლო შედეგების გაუმჯობესებაზეც მოქმედებს. მოსწავლის მიერ საკუთარი თავის აღქმა და თვითშეფასება არა მხოლოდ სასკოლო კონტექსტში, არამედ იმ პრობლემების გადაჭრის თვალსაზრისითაც უნდა განვიხილოთ, რომლებიც ბავშვებს ყოველდღიურად შეიძლება შეექმნათ. დაბალ თვითშეფასებას არასასურველი გავლენა აქვს მოსწავლის აკადემიურ მიღწევებსა და, ზოგადად, მის წარმატებაზე ცხოვრებაში. შესაბამისად, ბუნებრივია, რომ მოსწავლეების თვითშეფასების გაუმჯობესების ხელშეწყობა მასწავლებლისა და სკოლის ერთ-ერთი მთავარი მიზანია.

ამ თავში ჩვენ ვისაუბრებთ თვითშეფასების მნიშვნელობაზე მოსწავლის ცხოვრებაში; განვიხილავთ, რა გავლენას ახდენს მოსწავლის თვითშეფასება და საკუთარი თავის აღქმა მის აკადემიურ მოსწრებაზე და როგორ შეუძლიათ სკოლასა და მასწავლებელს, რომ მოსწავლეებს ადეკვატური თვითშეფასების ჩამოყალიბებაში დაეხმარონ.

მკვლევრები განასხვავებენ **თვითშეფასებას**, **თვითპატივისცემას** და **საკუთარი თავის აღქმას**. **თვითშეფასების ცნება**, ძირითადად, გამოიყენება ადამიანის საკუთარი თავის შეფასებაზე საუბრისას და, შეიძლება განიმარტოს, როგორც ადამიანის წარმოდგენა საკუთარი მნიშვნელობის შესახებ, რომელიც საკუთარ თავთან დამოკიდებულებაში გამოიხატება (კუპერსმიტი, 1967). ჩვენ ვაფასებთ, რამდენად კარგად ვაკეთებთ რაიმეს იმით, რომ საკუთარ შესრულებულ სამუშაოს სხვისას ვადარებთ. ამ შედარების საფუძველზე ყალიბდება თვითპატივისცემა (ნოზიკი, 1974). საკუთარი თავის აღქმა ნიშნავს ადამიანის შეხედულებას საკუთარ თავზე, რომელიც მას უყალიბდება გარემოსთან და მეგობრებთან ურთიერთობის პროცესში. მაგალითად, პროფესიონალი ფეხბურთელისათვის საკუთარი თავის აღქმა ფიზიკური უნარიანობის კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა საკუთარი თავის აღქმა, შესაძლოა, აკადემიური კუთხით მისთვის ნაკლებად არსებითი იყოს. ერთ-ერთი თეორიის თანახმად, **საკუთარი თავის შეფასება მრავალგანზომილებიანია** (მარში და სხვები, 1983). მრავალგანზომილებიანობა ნიშნავს, რომ ადამიანი, შესაძლოა, განსხვავებულად აღიქვამდეს თავს თავისი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტის მიხედვით. მაგალითად: მოსწავლე ხვდება, რომ კარგად სწავლობს ქართულ ენას ან რომელიმე უცხო ენას, მაგრამ იმავე წარმატებით არ გამოსდის მათემატიკა; ასევე, შეიძლება, მას კომუნიკაციის განსაკუთრებული უნარი გააჩნდეს, მაგრამ არცთუ ისე წარმატებული იყოს სპორტში.

**გამოცდილება აჩვენებს, რომ ადამიანები თვითშეფასების ფორმირებისას, როგორც წესი, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საკუთარი თავის აღქმის იმ ასპექტს, რომელშიც მათ საკუთარ თავთან დადებითი დამოკიდებულება აქვთ.** ხშირად მოსწავლეები, რომელთა აკადემიური მიღწევები არცთუ ისე კარგია, ამცირებენ კარგად სწავლის მნიშვნელობას თვითშეფასებისას და საკომპენსაციოდ ცდილობენ სხვადასხვა სტრატეგიის ამუშავებას (მაგალითად, ისინი იწყებენ მუსიკის სფეროში გარკვევას, ან ამბობენ, რომ „ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა არ აქვს, როგორ სწავლობ სკოლაში“).

## **არის თუ არა თვითშეფასება დამოკიდებული მოსწავლეების აკადემიურ მიღწევებზე?**

კვლევებით დასტურდება, რომ თვითშეფასებასა და აკადემიურ მიღწევებს შორის არსებობს მნიშვნელოვანი კავშირი. თუმცა ეს კავშირი ყოველთვის მიზეზ-შედეგობრივი არ არის. ცნობილია, რომ წარუმატებელ მოსწავლეს მის წარმატებულ თანაკლასელთან შედარებით ბევრად დაბალი თვითშეფასება გააჩნია.

აღსანიშნავია, რომ თვითშეფასებასა და აკადემიურ მიღწევებს შორის კავშირი მოსწავლის ასაკთან ერთად იცვლება. ეს კავშირი ყველაზე სუსტია დაწყებით კლასებში და იზრდება ასაკის მატებათან ერთად. თუმცა სტუდენტების შემთხვევაში კვლავ იკლებს. ზოგადად, მოსწავლეების თვითშეფასება საგრძნობლად მაღალია დაწყებით კლასებში. დროთა განმავლობაში ეს შეხედულება იცვლება, ვინაიდან მოსწავლეებს უვითარდებათ უნარი, კრიტიკულად შეხედონ საკუთარ თავს, მიიღონ უკუკავშირი და მოახდინონ მისი ინტეგრირება თვითშეფასებაში.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ თვითშეფასების ხარისხი განსხვავებულია გოგონებისა და ბიჭების შემთხვევაში. კვლევები ცხადყოფს, რომ გოგონებს უფრო მაღალი თვითშეფასება აქვთ თანატოლებთან ურთიერთობის კუთხით, ბიჭებს კი გოგონებთან შედარებით გაცილებით მაღალი თვითშეფასება აქვთ ფიზიკური უნარების თვალსაზრისით (მარში და სხვები, 1983). დაწყებითი კლასების შემდგომ ეტაპზე ბიჭებს უფრო მაღალი თვითშეფასება უყალიბდებათ მათემატიკაში, ხოლო გოგონებს – ჰუმანიტარულ საგნებში. კვლევამ აჩვენა, რომ მსგავსი სიტუაციაა მრავალ ქვეყანაში და, მიუხედავად იმისა, სჯობნიან თუ არა ბიჭები გოგონებს მათემატიკაში, მათ მაინც უყალიბდებათ შედარებით მაღალი თვითშეფასება ამ საგანში (ქლოერი და დალტონი, 2001). აღმოჩნდა, რომ ბიჭებს, გოგონებთან შედარებით, უფრო მაღალი თვითშეფასება ჰქონდათ მათემატიკაში, მიუხედავად იმისა, რომ მათი ნიშნები ამ საგანში პრაქტიკულად არ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან (მუისი, 1997). ეს შემთხვევა ადასტურებს, რომ თვითშეფასებაზე გავლენას ახდენს საზოგადოებაში არსებული მყარი შეხედულებები იმის შესახებ, თუ რომელი სქესის წარმომადგენელს რომელი საგნის შესწავლა შეუძლია უკეთ.

საინტერესოა, ასევე, ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა თვითშეფასება ფარდობითია, რაც ნიშნავს, რომ ისინი თავიანთ აკადემიურ მიღწევებს რაიმე აბსოლუტურ სტანდარტს კი არ ადარებენ, არამედ იმ მოსწავლეებისას, რომლებთანაც ყოველდღიური ურთიერთობა აქვთ სკოლაში. სწორედ ამის მიხედვით უყალიბდებათ მათ თვითშეფასება. ეს ნიშნავს, რომ შედარებით დაბალი მოსწავლების მქონე მოსწავლეს, რომელიც გარშემორტყმულია უფრო დაბალი მოსწავლების მქონე მოსწავლეებით, უფრო მაღალი თვითშეფასება ექნება, ვიდრე საშუალო მოსწავლების მქონე მოსწავლეს, რომელიც მასზე მაღალი მოსწავლების მქონე მოსწავლეებთან ერთად სწავლობს.

### **მოსწავლეების თვითშეფასების გაუმჯობესება**

ცნობილია, რომ მოსწავლეების თვითშეფასების გაუმჯობესებამ, შეიძლება, დადებითი გავლენა იქონიოს მათ აკადემიურ მიღწევებზე. არ არის გამორიცხული, დაბალი თვითშეფასება, ასევე, ფსიქოლოგიურ პრობლემებთანაც იყოს დაკავშირებული; შესაბამისად, თვითშეფასების გაუმჯობესებას ბევრი დადებითი შედეგი მოჰყვება.

სასკოლო გარემოში მოსწავლეების თვითშეფასების გაუმჯობესების სხვადასხვა გზა არსებობს. ძირითადი საშუალებაა თბილი, მეგობრული და ამავდროულად, დისციპლინირებული გარემოს შექმნა, სადაც მოსწავლეთა უფლება-მოვალეობები ნათლად იქნება გამიჯნული ერთმანეთისაგან და ყველასათვის მისაღები ქცევის წესები იარსებებს.

თვითშეფასების გაუმჯობესებისათვის, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლის მიმართ არსებობდეს პოზიტიური მოლოდინი. თუ მოსწავლე გრძნობს, რომ მასწავლებელი მისგან ბევრს არაფერს ელის, მისი აკადემიური თვითშეფასება კონკრეტულ საგანში მცირდება, რაც, თავის მხრივ, აკადემიური მიღწევების გაუარესებას იწვევს. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე რჩევა, რომელთა გათვალისწინება მასწავლებელს დაეხმარება, ხელი შეუწყოს მოსწავლეებს ადეკვატური თვითშეფასების ფორმირებაში:


- მოსწავლის აკადემიური მიღწევებისა და დისციპლინის შესახებ საჯაროდ ნუ ისაუბრებთ;
- საშუალება მიეცით მოსწავლეებს, გამოასწორონ ნიშნები და ხელახლა შეასრულონ დავ-

- ალბა, თუ ამის სურვილი აქვთ (და თუ ამის შესაძლებლობას სასწავლო გეგმა იძლევა);
- ნუ დააჯგუფებთ მოსწავლეებს უნარების მიხედვით და მათ განსაკუთრებულ შესაძლებლობებს ნუ გაუსვამთ ხაზს;
- დავალებების შერჩევას მაქსიმალურად გაითვალისწინეთ მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებები;
- ხაზი გაუსვით მოსწავლეთა შორის თანამშრომლობისა და არა კონკურენციის მნიშვნელობას.

### მასწავლებლის უკუკავშირის გავლენა თვითშეფასებაზე

საჭიროა, მასწავლებელი ყურადღებით აკონტროლებდეს ყველა გზავნილს, რომლებსაც მოსწავლეები მისგან იღებენ. ვერბალური და არავერბალური მინიშნებების საფუძველზე მოსწავლემ, შესაძლოა, დაასკვნას, რომ მასწავლებელი არ აფასებს მის მოსაზრებას. მასწავლებელმა, ასევე, კარგად უნდა იცოდეს, რომ ხშირ შემთხვევაში უარყოფითი უკუკავშირის მიწოდება შედარებით დადებითი ფორმითაც არის შესაძლებელი. მასწავლებლის მხრიდან ადეკვატური შექება, აღიარება და ნახალისება მოსწავლეს დადებითი თვითშეფასების ფორმირებაში ეხმარება.

**უარყოფითი უკუკავშირი განსაკუთრებით ამახსოვრდება მოსწავლეს, რაც იწვევს საკუთარი თავის მიმართ ნეგატიური წარმოდგენების ფორმირებას.** როდესაც მასწავლებელი დიდი ხნის განმავლობაში უარყოფით უკუკავშირს აძლევს მოსწავლეს, ეს მოსწავლეზე მტკივნეულად მოქმედებს. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლეს ისედაც დაბალი თვითშეფასება აქვს.



კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს მოსწავლის აკადემიურ თვითშეფასებაზე, არის **უდისციპლინო ქცევა**. მასწავლებელი მოსწავლის უდისციპლინობას ისე უნდა გაუმკლავდეს, რომ მოსწავლის თვითშეფასებას ზიანი არ მიაყენოს. მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს უდისციპლინო საქციელზე და განმარტოს, თუ რატომ არის ეს საქციელი მიუღებელი. **საჭიროა საქციელისა და არა მოსწავლის გაკრიტიკება.** მასწავლებელმა თავი უნდა შეიკავოს თანაკლასელების წინაშე მოსწავლის დამცირებისაგან.

**მოსწავლეებისათვის გარკვეული პასუხისმგებლობის დაკისრება ხელს უწყობს საკუთარ ძალებში დარწმუნებას, რაც, ასევე, დადებით გავლენას ახდენს თვითშეფასებაზე.** მოსწავლეებს უნდა მიეცეთ არჩევნის გაკეთებისა და გაკვეთილის მიმდინარეობისას მონაწილეობის შესაძლებლობა. პატარა ასაკის მოსწავლეებს უნდა მიეცეთ მარტივი დავალებები, მაგალითად, საკლასო ოთახის დასუფთავება, დაფის განმენდა და ა.შ. ხოლო უფროსი ასაკის მოსწავლეები ჩართულნი უნდა იყვნენ ქცევის წესების დადგენაში. მასწავლებელმა საკლასო ოთახში უნდა შექმნას თბილი გარემო, რომელშიც მოსწავლის წვლილი დაფასებული იქნება. შექება მნიშვნელოვანია, თუმცა, ძალიან ხშირად მიზანშეწონილი არ არის, რადგან მოსწავლე ჩათვლის, რომ მასწავლებელი არაგულწრფელია. მნიშვნელოვანია ისიც, რომ შექება იყოს რეალისტური. არასწორი და უდროო შექება არ იქნება სერიოზულად აღქმული და გამოიწვევს შექების გაუფასურებას მომავალში.

**მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს უფრო მეტად მოსწავლის წარმატებაზე და ნაკლებად – მის შეცდომებზე. მან მეტი უნდა ისაუბროს საქმის იმ ნაწილზე, რომელიც სწორად იყო შესრულებული და არა იმ მხარეზე, რომელშიც შეცდომები სჭარბობდა.** მასწავლებელმა,

აგრეთვე, ხაზი უნდა გაუსვას, რომ სწავლა შეცდომის გზითაც შესაძლებელია, და რომ შეცდომაში სასირცხვილო არაფერია. მასწავლებელმა ნათლად უნდა მიუთითოს მოსწავლეს სწორად შესრულებულ სამუშაოზეც და იმაზეც, თუ რა გააკეთა არასწორად. მნიშვნელოვანია, მოსწავლე ორიენტირებული იყოს საკუთარი დავალების, თავისი საქმის კარგად შესრულებაზე და მუდმივად თანაკლასელს არ ეჯიბრებოდეს.

### **თვითშეფასების გასაუმჯობესებელი აქტივობები**

არსებობს მოსწავლის თვითშეფასების გასაუმჯობესებელი რამდენიმე აქტივობა. ერთ-ერთი ასეთი აქტივობაა „მაგიური წრე“. კლასში რომელიმე მოსწავლეს ეძლევა სამკერდე, რომელსაც აწერია „მე კარგი ვარ“, იგი დროებით ტოვებს ოთახს და მისმა თანაკლასელებმა უნდა გაიხსენონ ყველა ის დადებითი თვისება, რომელიც ოთახიდან გასულს გააჩნია. შემდეგ მოსწავლე ბრუნდება საკლასო ოთახში და თანაკლასელები მას ეუბნებიან ყველაფერს, რაც მის შესახებ გაახსენდათ. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა თავიანთი წინადადებები დაიწყონ ფრაზით „მე ვფიქრობ“ ან „ჩემი აზრით“, რათა მოსწავლემ აღიქვას, როგორც სხვისი მოსაზრება და არა მტკიცებულება, რომელსაც, შესაძლოა, განსხვავებული მოსაზრება დაუპირისპირო. ბოლოს, მოსწავლეს ეძლევა საშუალება, თავადაც დაასახელოს ერთი რამ, რაც მოსწონს თავის თვისებებში და რითაც ამაყობს.

ზემოთ ჩვენ ვახსენეთ, რომ თვითშეფასებაზე აკადემიური მიღწევების გავლენა მნიშვნელოვანია, თუმცა მხოლოდ აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებამ, შესაძლოა, ყველა მოსწავლის თვითშეფასებაზე ერთნაირი გავლენა არ მოახდინოს. შესაბამისად, მაღალი მიღწევების მქონე მოსწავლესაც კი შეიძლება, არ ჰქონდეს მაღალი თვითშეფასება, ვინაიდან არ არის გამორიცხული, რომ სხვა მოსწავლეები სკოლაში მასზე უკეთ სწავლობდნენ.

მოსწავლეების თვითშეფასებაზე დადებითი გავლენის მოსახდენად საუკეთესო საშუალებაა, მოსწავლეს შევუქმნათ რაც შეიძლება დიდი ასპარეზი, მიაღწიოს წარმატებას. ამის მიღწევა შესაძლებელია, მაგალითად, რთული და კომპლექსური დავალების მცირე ამოცანებად დაყოფით და მათი საფუძვლიანად შესწავლით. სხვადასხვა კლასგარეშე აქტივობაში მონაწილეობაც, შესაძლოა, მნიშვნელოვნად დაეხმაროს მოსწავლეებს წარმატების მიღწევასა და ამ გრძნობის განცდაში.

თვითშეფასების ასამაღლებელ აქტივობად შეიძლება განვიხილოთ სიტუაცია, როდესაც მასწავლებელი მოსწავლეებს შესაფასებლად ერთმანეთის ნაშრომებს აძლევს. ამ გზით მოსწავლეები იგებენ, როგორ შეასრულა იგივე დავალება მისმა კლასელმა და მსჯელობს, თუ რა შეფასება ეკუთვნის მას. თანატოლების მიერ ერთმანეთის ნაშრომების შეფასება, სასურველია, იყოს ანონიმური, რათა გამოირიცხოს სუბიექტურობა. ამგვარი შეფასება რომ მაქსიმალურად ეფექტური გამოვიდეს, ამისთვის მასწავლებელმა დადებითი და მხარდამჭერი გარემო უნდა შექმნას, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მხრიდან გულწრფელსა და კონსტრუქციულ უკუკავშირს.

მასალა ამოკრებილია გამოცდების ცენტრის კვლევის დეპარტამენტის კრებულიდან – „ეფექტიანი სწავლება“; ავტორი ნუცა კობახიძე (რედაქტორი ია კუტალაძე).

# 9.

## მოსწავლეთა შეფასება და თვითშეფასება დანახვით საფესურზე – V-VI კლასები

სასწავლო პროცესში მოსწავლეების შესაფასებლად და მათში თვითშეფასების უნარის გასავითარებლად, მნიშვნელოვანია, მასწავლებელს ჰქონდეს შეფასების კრიტერიუმები. კრიტერიუმების ჩამოსაყალიბებლად მასწავლებელს დაეხმარება საგნობრივი სტანდარტი, რომელშიც მოცემულია წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები. თითოეულ შედეგს ახლავს ინდიკატორები, რომლებიც გვიჩვენებს, რა უნდა იცოდეს და შეეძლოს მოსწავლეს კონკრეტული შედეგის მისაღწევად.

გთავაზობთ შეფასების კრიტერიუმების ნიმუშს, რომელიც შეგიძლიათ თქვენი შეხედულებებისამებრ (სტანდარტის ფარგლებში) შეცვალოთ. ყველა საგანი სამი კომპონენტის მიხედვით ფასდება. კომპონენტები რუბრიკებად იყოფა. რუბრიკებს კი შეფასების კრიტერიუმები უნდა შეუფარდოთ.

### შეფასების კომპონენტები და რუბრიკები V-VI კლასებისთვის ქართულ ენასა და ლიტერატურაში

საშინაო დავალება	
ზეპირი	წერა
თხრობა;	სისტემატურობა;
საზეპირო (ლექსი, ციტატა)	ხარისხი.

საკლასო დავალება
ტექსტზე მუშაობა
მსჯელობა
დისკუსია
წერა (კითხვებზე პასუხი, გრამატიკული სავარჯიშოები, პერსონაჟის დახასიათება, ნაწარმოების ან ეპიზოდის მოკლე შინაარსი, ციტატის პერიფრაზი)

შემაჯავებელი
გრამატიკული ტესტი
ლიტერატურული ტესტი
დახასიათება (წერილობით)
მოკლე შინაარსი (წერილობით)
კითხვებზე პასუხი (წერილობით)
საკუთარი ნაშრომის წარდგენა კლასის წინაშე (პრეზენტაცია)



## **ბთავაზოთ რამდენიმე რუბრიკის შეფასების კრიტერიუმებს**

### **საშინაო დავალების ხარისხი**

- წერიტი საშინაო დავალება პასუხობს თემას;
- წერიტი საშინაო დავალება სრულად არის შესრულებული.

### **კითხვებზე პასუხი**

- შეკითხვებს უპასუხებს ადეკვატურად;
- პასუხებში დაცულია გრამატიკული, ორთოგრაფიული ნორმები და პუნქტუაციის წესები.

### **თხრობა**

- ჰყვება თანმიმდევრულად (მოკლედ, ვრცლად);
- თხრობისას იცავს სალიტერატურო ენის ნორმებს;
- ადეკვატურად იყენებს სათანადო ლექსიკურ ერთეულებს.

### **დახასიათება**

- ნაშრომი ორგანიზებულია (იცავს აბზაცებს, მათ შორის არის ლოგიკური კავშირი);
- ნაწერში დაცულია ორთოგრაფიული ნორმები და პუნქტუაციის წესები;
- პერსონაჟის თვისებები დასაბუთებულია და გამყარებულია ტექსტური მასალით;
- ასაბუთებს საკუთარ დამოკიდებულებას პერსონაჟის ან მისი საქციელის მიმართ (ეს კრიტიკური იმ შემთხვევაშია საჭირო, თუ დავალების პირობა ითვალისწინებს მოსწავლის დამოკიდებულების დაფიქსირებას პერსონაჟის ან მოვლენის მიმართ).

### **მოკლე შინაარსი**

- ტექსტი ორგანიზებულია (დაცულია აბზაცი, აზრთა თანმიმდევრობა ლოგიკურად უკავშირდება ერთმანეთს);
- ნაწერი შესრულებულია თანამედროვე ქართული ენის ნორმების გათვალისწინებით;
- ნაწერში გამოყენებული ლექსიკა ადეკვატურია;
- ნაწერში დაცულია ორთოგრაფიული ნორმები და პუნქტუაციის წესები.

### **დისკუსია**

- მკაფიოდ და გასაგებად აყალიბებს აზრს;
- მსჯელობს არგუმენტირებულად;
- გამოაქვს დასკვნა;
- მსჯელობს თანმიმდევრულად, კონკრეტულ თემაზე;
- კორექტულია ოპონენტის (განსხვავებული აზრის) მიმართ, ისმენს და კონსტრუქციულად პასუხობს განსხვავებულ აზრს.

### **ტექსტზე მუშაობა – გააზრებული კითხვა**

- ამოიწერს უცხო სიტყვებს და განმარტავს;
- მოიძიებს მნიშვნელოვან ფრაზებს, საკვანძო სიტყვებს და ასაბუთებს არჩევანს;
- განარჩევს მთავარ და მეორეხარისხოვან ინფორმაციას ერთმანეთისგან;
- ამოიცნობს ლიტერატურულ – გამომსახველობით საშუალებებს;
- აკავშირებს წაკითხულს საკუთარ გამოცდილებასთან;
- გამოთქვამს აზრს, აფასებს და აყალიბებს არგუმენტებს წაკითხულთან დაკავშირებით.

### **პრეზენტაცია**

- პასუხობს თემას;
- საუბრობს გამართული სალიტერატურო ენით და იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას;
- იყენებს განსხვავებულ წყაროებს (აზრებს), ადარებს მოვლენებს, ფაქტებს, საგნებს;
- იყენებს თვალსაჩინოებას;

- იცავს დროის ლიმიტს;
- ფლობს აუდიტორიას (იყენებს მიმიკას, ჟესტიკულაციას, ინტონაციას).

მასწავლებელმა უნდა გააცნოს მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმები; განუმარტოს მათ თითოეული კრიტერიუმის მნიშვნელობა და საჭიროება. ეს ცოდნა დაეხმარება მოსწავლეებს საკუთარი ნაშრომის შეფასებაში, რაც თვითშეფასების საწინდარია.

შეფასების კრიტერიუმები მასწავლებელს დაეხმარება მოსწავლეების შეფასებისას კომენტარებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბებაში, მოსწავლისთვის კი გასაგები იქნება, რატომ მიიღო მან ესა თუ ის ქულა. განმავითარებელი კომენტარის შემთხვევაში მას ზუსტად ეცოდინება, რა უნდა გააუმჯობესოს. ამ ტიპის სიტყვიერი შეფასება მოსწავლისთვის სამაგალითო ნიმუში იქნება თვითშეფასების ან თანაკლასელის დამოუკიდებლად შეფასების შემთხვევაში.

### **ბთავაზოვთ განმავითარებელი კომენტარისა და რეკომენდაციის ნიმუშს:**

#### **წერიტი დავალება – მოკლე შინაარსი.**

ნინო, შენს ნაშრომში დაცულია აბზაცები, შინაარსი გასაგებადაა გადმოცემული, აბზაცები აზრობრივად ებმის ერთმანეთს, გრამატიკული შეცდომებიც არ გაქვს. რამდენიმე ადგილას გამორჩენილი გაქვს მძიმე. ვფიქრობ, სიჩქარის გამო გამოგრჩა სასვენი ნიშნები. შეგახსენებ, საგნების ჩამოთვლისას მძიმე იწერება!

**1. ნაწერის შესაბამისობა პირობასთან**

არის თუ არა ნაწერი მოცემული დავალების /პირობის/სათაურის/მითითების/ შესაბამისი?

- (ა) სრულყოფილად შეესაბამება – 2 ქულა
- (ბ) ნაწილობრივ შეესაბამება – 1 ქულა
- (გ) აცდენილია – 0 ქულა

**2. არის თუ არა ნაწერში აზრი ცხადად, მკაფიოდ გადმოცემული?**

- (ა) ყველა წინადადების აზრი გასაგებია, ცხადია – 2 ქულა
- (ბ) გვხვდება მხოლოდ ერთი ბუნდოვანი მონაკვეთი – 1 ქულა
- (გ) აზრები ჩამოუყალიბებელია, ბუნდოვანია – 0

**3. არის თუ არა ნაწერი კარგად ორგანიზებული (სტრუქტურულად გამართული, აბზაცი გამოყოფილი, აზრები თანამიმდევრულად გადმოცემული)?**

- (ა) კარგად ორგანიზებულია – 2 ქულა
- (ბ) ორგანიზებულია ნაწილობრივ – 1 ქულა
- (გ) არ არის ორგანიზებული – 0

**4. არის თუ არა ნაწერი ლექსიკურად მდიდარი და ადეკვატური?**

- (ა) ლექსიკა თემის შესაბამისი და მრავალფეროვანია – 2 ქულა
- (ბ) ლექსიკა თემის შესაბამისია – 1 ქულა
- (გ) ნაწერი ლექსიკურად მწირია, გვხვდება სიტყვათა მნიშვნელობების აღრევა – 0

**5. არის თუ არა ნაწერი გრამატიკულ-ორთოგრაფიულად გამართული?**

(იგულისხმება: ბრუნვის ნიშანთა მართლწერა; სახელთა კუმშვა და კვეცა; პირის ნაცვალსახელებისა და ზმნაში პირის ნიშნების მართლწერა; რიცხვითი სახელის მართლწერა; სახელისა და ზმნის რიცხვში შეთანხმება... ე. ი. ის მასალა, რაც შეისწავლება ამ სახელმძღვანელოს კურსით).

- (ა) შეცდომა არ არის – 2 ქულა
- (ბ) შეცდომა ერთი ან ორია – 1 ქულა
- (გ) შეცდომა სამია ან მეტიც – 0

**6. შეძლო თუ არა მოსწავლემ სასვენი ნიშნების სწორად გამოყენება?**

- (ა) გამოყენებულია ყველგან სწორად (ან მხოლოდ ერთი-ორი შეცდომა) – 2 ქულა
- (ბ) სამი ხარვეზია – 1 ქულა
- (გ) სამზე მეტი შეცდომაა – 0

**7. აქვს თუ არა ნაწერს სრულყოფილი მოცულობა?**

- (ა) სრულყოფილია – 2 ქულა
- (ბ) დამაკმაყოფილებელია – 1 ქულა
- (გ) მცირეა – 0

მაქსიმალური ქულა 14

შეფასების კრიტერიუმების მოკლე ჩამონათვალი:

1. შესრულებული დავალების შესაბამისობა სათაურთან/პირობასთან/მიითებებასთან
2. სიცხადე
3. სტრუქტურა (თანამიმდევრობა)
4. ლექსიკური მარაგი
5. გრამატიკულ-ორთოგრაფიული მხარე
6. პუნქტუაცია
7. მოცულობა

**მაქსიმალური ქულა 14**

<b>მიღწევის დონეები:</b>	<b>ქულები</b>
1. უმაღლესი	14 – 13
2. მაღალი	12 – 11
3. საშუალოზე მაღალი	10 – 8
4. საშუალო	7 – 6
5. საშუალოზე დაბალი (ელემენტარული)	5 – 4
6. დაბალი	3 – 1

კითხვის მიზნებს შორის სხვაობის მიუხედავად, პროცესები და სტრატეგიები, რომლებსაც მკითხველი იყენებს ამა თუ იმ ტექსტის კითხვის დროს, მეტ-ნაკლებად საერთოა. ეს პროცესებია:

- ა. ტექსტში ცხადად (ექსპლიციტურად) მოცემული ინფორმაციის პოვნა;
- ბ. ტექსტიდან უშუალო დასკვნების გამოტანა;
- გ. ტექსტის აზრებისა და ინფორმაციის ინტერპრეტაცია საკუთარ ცოდნასთან შეჯერების საფუძველზე;
- დ. ტექსტის ენისა და მხატვრული ხერხების გააზრება.

### **ა. ტექსტში ცხადად (ექსპლიციტურად) მოცემული ინფორმაციის პოვნა**

პროცესი გულისხმობს ტექსტის რომელიმე წინადადებაში ან ფრაზაში ღიად, ცხადად მოცემული ინფორმაციის, აზრის ან დეტალის დაკავშირებას შეკითხვაში მოცემულ მოსაძიებელ ინფორმაციასთან. ამ დროს მკითხველს არ მოეთხოვება (ან თითქმის არ მოეთხოვება) დასკვნის გამოტანა. ამ პროცესის ფარგლებში დასმული შეკითხვები ხელს უწყობს ამა თუ იმ საგნის სწავლებისას ფაქტობრივი ინფორმაციის ამოკრეფისა და დაგროვების უნარის განვითარებას.

### **ბ. უშუალო დასკვნების გამოტანა**

პროცესი გულისხმობს ტექსტის სხვადასხვა ნაწილში მოცემული ინფორმაციისა თუ მოსაზრებების ერთმანეთთან დაკავშირებით უშუალო დასკვნის გამოტანას. ამგვარი დასკვნის გამოტანა, ისევე როგორც ცხადად მოცემული ინფორმაციის პოვნა, უშუალოდ ტექსტს ემყარება, ოღონდ ამ დროს მკითხველის ყურადღება ტექსტის უფრო ვრცელ მონაკვეთზე ან მთლიან ტექსტზეა მიმართული. ეს პროცესი საშუალებას აძლევს მკითხველს, ამოიკითხოს ის, რაც ტექსტში ცხადად არ არის მოცემული, მაგრამ ტექსტიდან უშუალოდ გამომდინარეობს. შეკითხვის დასმა ამ პროცესის ფარგლებში ხელს უწყობს ზოგადად ლოგიკური აზროვნების უნარის განვითარებას, განსაკუთრებით კი – არგუმენტაციის უნარის ჩამოყალიბებას.

### **გ. ტექსტის აზრებისა და ინფორმაციის ინტერპრეტაცია საკუთარ ცოდნასთან შეჯერების საფუძველზე**

პროცესი გულისხმობს ტექსტის მთლიანობაში გააზრებას, ტექსტში მოცემული აზრებისა და ინფორმაციის გააზრებას, როგორც მთელი ტექსტის, ისე მისი ცალკეული პასაჟის ფარული (იმპლიციტური) შინაარსის ამოცნობას და ინტერპრეტაციას საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებასთან დაკავშირების საფუძველზე. შეკითხვის დასმა ამ პროცესის ფარგლებში ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების, განსჯის უნარის განვითარებას.

მეხუთე კლასის დამთავრებისას მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ტექსტის მთავარი იდეის, ძირითადი თემის ამოცნობა;
- მთლიანად ნაწარმოების ან პერსონაჟის განწყობის ამოცნობა;
- ნაწარმოებში მომხდარი ამბის, მოვლენის, აგრეთვე პერსონაჟის მდგომარეობის ან მოქმედების მოტივის ამოცნობა;
- საკუთარი ცოდნისა და ტექსტში მოცემული ფაქტების ერთმანეთთან დაკავშირების საფუძველზე დასკვნის გამოტანა;
- ვარაუდისა და ფაქტის ერთმანეთისაგან გარჩევა;
- გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი აზრის გამოთქმა და ლოგიკურად ჩამოყალიბება.

#### **დ. ტექსტის ენა და მხატვრული ხერხების გააზრება**

პროცესი გულისხმობს ტექსტის ენობრივი და მხატვრული გამოსახვის საშუალებების გარჩევასა და შეფასებას. შეკითხვის დასმა ამ პროცესის ფარგლებში ხელს უწყობს ტექსტის ესთეტიკური აღქმის უნარის ჩამოყალიბებას.

V კლასის დამთავრებისას თავისი ცოდნისა და დაგროვილი გამოცდილების გამოყენებით მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

- რეალურსა და შეთხზულს (მხატვრულ პირობითობას) შორის განსხვავების დანახვა; მხატვრული ჟანრების - ზღაპრის, იგავის, ლექსის, მოთხრობის და აგრეთვე, საინფორმაციო ხასიათის (ისტორიული, ეთნოგრაფიული, საბუნებისმეტყველო, სალექსიკონო) ტექსტების სპეციფიკის ცოდნის გამოვლენა;
- მხატვრულ ტექსტში გამოსახვის საშუალებათა (დიალოგის, აღწერის, დახასიათების), აგრეთვე მხატვრული ხერხების (ეპითეტის, შედარების, გაპიროვნების) ამოცნობა.

ზემოთ განხილული ოთხივე პროცესი წიგნიერების საერთაშორისო კვლევაში მხატვრული და საინფორმაციო ხასიათის ტექსტების მეშვეობით მოწმდება.

წიგნიერება  
PIRLS 2006 საქართველოში  
თბილისი, 2008 წელი, ავტორი – ია კუტალაძე

# 12

პრაქტიკული ნაწილი –

ბაკვეთილების გეგმები და სცენარები, მოსასმენი ტექსტები

---

# თავი I – ბუნების სურათები

## ნაკადული

### მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლემ შეძლოს ნაწარმოების ესთეტიკურ მხარეზე დაკვირვება, ლექსიკაზე მუშაობა, ლექსში გამოხატული განწყობის ამოცნობა, მსჯელობა განწყობაზე და საკუთარი ემოციების გადმოცემა.

### შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დანყ.(II).1.მოსწავლემ უნდა შეძლოს სამეტყველო ქცევის წარმართვა საკომუნიკაციო მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად.

- ზეპირი გამოსვლის/პრეზენტაციის დროს ნათლად წარმოადგენს თემას/საკითხს სათანადო ინფორმაციის მონოდებითა და ლოგიკური თანამიმდევრულობის დაცვით;
- საუბრობს სათანადო ტემპით, მკაფიოდ და გარკვევით; საჭიროებისამებრ იყენებს მეტყველების არავერბალურ საშუალებებს.

ქართ.დანყ.(II).3. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ნაცნობი ტექსტების ინტერპრეტირება და შეფასება; მათ მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური შეფასება (საწყის დონეზე).

- ისმენს მხატვრულ ნაწარმოებს (ლექსს, ნოველას, მოთხრობას) და გამოხატავს საკუთარ ემოციებსა და შთაბეჭდილებებს; ასახელებს მისთვის ესთეტიკურად მიმზიდველ ადგილებს მხატვრული ტექსტიდან;

ქართ.დანყ.(II).9.მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება მიზნის შესაბამისად.

- სხვადასხვა საშუალებით (კონტექსტის გათვალისწინებით, კითხვის დასმით, ლექსიკონით) ამოიცნობს უცნობი სიტყვებისა და გამოთქმების მნიშვნელობას;

### წინარე ცოდნა

მოსწავლეებს შეუძლიათ ტექსტის ნაკითხვა და გააზრება, ლექსში ემოციების ამოცნობა.

### გაკვეთილის მსვლელობა

ორგანიზების ფორმები: საერთო საკლასო, წყვილური

#### აქტივობა 1. მოტივაცია

მოტივაციის მიზნით, მასწავლებელი დაფაზე წრეში წერს პირველი თავის სათაურს: „ბუნების სურათები“ და სთხოვს მოსწავლეებს, წარმოადგინონ მათთვის საყვარელი ბუნების სურათი და მოკლედ აღწერონ ის. მოსწავლეები ასახელებენ სხვადასხვა რამეს: ტყეს, მდინარეს, მთებს, ყვავილებს... თუ რომელიმე



მოსწავლემ არ ახსენა, მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, იციან თუ არა, რა არის ნაკადული, უნახავთ თუ არა ის; რით განსხვავდება ნაკადული მდინარისგან, რა ახსენდებათ ნაკადულის ხსენებისას (მაგ. ქვები, ჩხრიალი, ბილიკები...) და ასე გადავა გაკვეთილის თემაზე.

შესაძლოა, ამ აქტივობის ნაცვლად, მასწავლებელმა პროექტორით უჩვენოს ბუნების სხვადასხვა პეიზაჟი და ასაუბროს იმ ემოციებზე, რომლებსაც ის იწვევს.

**აქტივობა 2. მსჯელობა ლექსით გამოწვეულ ემოციაზე**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ყურადღებით მოუსმინონ და თავად კითხულობს ტექსტს გამომეტყველებით. მერე სთხოვს მოსწავლეებს, აღწერონ, რა ემოცია დაუტოვა ლექსმა და რომელი სიტყვა, ფრაზა, ემოცია დაამახსოვრდათ. მოსწავლეები ასახელებენ სხვადასხვა სიტყვასა თუ ემოციას, იმას, რაც მოსმენისას გაუჩნდათ ან დაამახსოვრდათ. მასწავლებელი ახსენებს მოსწავლეებს, რომ ლექსში მთავარი სწორედ ემოციებია, განწყობაა, რომელსაც ავტორი ხშირად პატარ-პატარა სურათების, ემოციური ფრაზების, რითმისა და რიტმის მეშვეობით ქმნის. ლექსში თითოეული სიტყვა ემოციით არის დატვირთული.

**აქტივობა 3. ლექსიკაზე მუშაობა**

მასწავლებელი დაასახელებს და დაფაზე წინასწარ გამზადებულ ცხრილში ჩამოწერს რამდენიმე სიტყვას ტექსტიდან, რომლებიც შეიძლება უცხო იყოს მოსწავლეებისთვის და სთხოვს, განმარტონ ეს სიტყვები: ქორბუდა, ეჩქროლებოდა, ბროლტანა, მინარი, კოკორგახსნილი... მოსწავლეები განმარტავენ ამ სიტყვებს შეძლებისდაგვარად. მასწავლებელი მათ პასუხებს წერს ცხრილის მეორე სვეტში.

სიტყვა	სიტყვის მნიშვნელობა ჩემი აზრით	სიტყვის მნიშვნელობა კონტექსტიდან გამომდინარე	ლექსიკონისეული განმარტება

შემდეგ მოსწავლეებს სთხოვს, გადაშალონ სახელმძღვანელო, იპოვონ ცხრილში ამონერილი სიტყვები ლექსში, დაფიქრდნენ კონტექსტის მიხედვით ცხრილში ამონერილი სიტყვების მნიშვნელობაზე და გაუზიარონ გვერდით მჯდომ მოსწავლეს. აქტივობის დასასრულს მოსწავლეების პასუხებს მასწავლებელი დააფიქსირებს ცხრილში, შემდეგ კი თავად ეუბნება მათ სწორ განმარტებას და ასრულებს ცხრილის

შეესებას.

**აქტივობა 4. ლექსის ანალიზი – კომენტარების წიგნაკი**

მასწავლებელი ყოფს მოსწავლეებს ჯგუფებად, ურიგებს მათ ფურცლებზე წინასწარ გამზადებულ ცხრილს:

სიტყვა	კომენტარი

და სთხოვს, ცხრილის პირველ სვეტში ამოწერონ სიტყვები ან ფრაზები, რომლებითაც პოეტი აღწერს ნაკადულს, და მეორე სვეტში მიუწერონ ემოციური კომენტარი (მაგალითად, ახსნან, რატომ ადარებს ამა თუ იმ ნივთს ან მოვლენას ნაკადულს ან რატომ აღწერს ამა თუ იმ სიტყვით).

**აქტივობა 5. პრეზენტაციები**

მოსწავლეები აკეთებენ პრეზენტაციებს.

**აქტივობა 7. შეჯამება**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შეუდარონ ერთმანეთს ლექსის პირველი მოსმენითა და ანალიზის შემდეგ გაჩენილი ემოცია, იმსჯელონ მსგავსებ-განსხვავებაზე.

## საშინაო დავალება

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებად, დახატონ ლექსის ილუსტრაცია და სახელმძღვანელოდან შეასრულონ მე-7 სავარჯიშო.

## შეფასება

მოსწავლეები შეფასდებიან, რამდენად შეძლეს ნაწარმოების ესთეტიკურ მხარეზე დაკვირვება, ნაკითხულის საპრეზენტაციოდ მომზადება.

## ჭიანჭველები (მოსასმენი ტექსტი)

### მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლემ შეძლოს ტექსტის შინაარსის გაგება-გააზრება, პრობლემის იდენტიფიცირება და გამოსავლის ძიება, პერსონაჟის შეფასება, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა, პირად გამოცდილებასთან დაკავშირება.

### შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დანყ.(II).2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა და გაგება-გააზრება; ტექსტებზე მსჯელობა და დასკვნის გამოტანა.

- წარმოაჩინოს ნაწარმოების პერსონაჟს სხვადასხვა კუთხით (მიუთითებს მის როგორც დადებით, ისე უარყოფით თვისებებზე);
- ყურადღებას ამახვილებს დეტალებზე (მაგ., პერსონაჟის დახასიათებისას);
- გამოაქვს დასკვნა ტექსტში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე;
- მონაწილეობს ლიტერატურული ნაწარმოების შესახებ გამართულ დისკუსიაში, მსჯელობს ნაწარმოებში ასახული პრობლემის/კონფლიქტის შესახებ.

### წინარე ცოდნა

მოსწავლეებს აქვთ ტექსტის მოსმენა-გააზრების, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის, პრობლემაზე მსჯელობის უნარები.

### ბაკვეთილის მსვლელობა

ორგანიზების ფორმები: საერთო-საკლასო, ინდივიდუალური

#### აქტივობა 1. მოტივაცია

მასწავლებელი თემისა და მიზნის გაცნობის შემდეგ ეკითხება მოსწავლეებს:

რა ვიცით თიხის შესახებ? რომელი ნაწარმოებიდან გახსოვთ ჭიანჭველა? როგორ ხასიათდება ის იმ ტექსტში?

მოსწავლეთა პასუხების შემდეგ მასწავლებელი პროექტორის (ან ბუკების) დახმარებით ესაუბრება მოსწავლეებს ჭიანჭველების ცხოვრების წესის შესახებ.

#### აქტივობა 2. ტექსტის ნაკითხვა ეპიზოდებად

მასწავლებელი ტექსტს კითხულობს ეპიზოდებად:

1. „ერთ ბაღში... – ...შავი ფერი დაედო“.
2. „მებაღე რომ... – ...ველარ მიეკარებინა“.
3. „მეორე დღეს... – ...რა უნდა ექნათ?“.
4. „მათ ხის კენწეროზე... – ...როგორ მოეშორებინა ჭიანჭველები თავიდან“.
5. „ერთხელ, როცა... – ...თავი ხიფათისაგან“.
6. „სამი გონიერი ჭიანჭველა...“ – ბოლომდე.

თითოეული ეპიზოდის წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი სხვადასხვა მოსწავლეს აძლევს განსხვავებულ დავალებას ეპიზოდის შინაარსის გათვალისწინებით.

1. ისაუბრეთ მეზალის საქმიანობაზე, მოვალეობებზე;
2. ისაუბრეთ მეზალის გასაჭირზე; შეაფასონ რჩევა და ჩამოაყალიბონ თავიანთი რეკომენდაციები;
3. რა უნდა ქნან ჭიანჭველებმა (გაანალიზებ პრობლემა და იმსჯელო მასზე);
4. ეპიზოდის მიხედვით დაახასიათებ ჭიანჭველები და იმსჯელო, რამდენად გონივრულია მათი ქმედება;
5. იმსჯელოთ ჭიანჭველების თავგანწირვაზე, გაიხსენებ პარალელები ისტორიიდან, ლიტერატურიდან;
6. შეაფასებ მეზალის საქციელი; თქვენ როგორ მოიქცეოდით მის ადგილას?

### **აქტივობა 3. რეფლექსია**

მასწავლებელი მოსწავლეებს უსახელებს მეათე სავარჯიშოში მოცემულ გამონათქვამებს სათითაოდ და სთხოვს მოიფიქრონ, რით შეიძლება ისინი დაუკავშირონ ტექსტს.

### **აქტივობა 4. შეჯამება**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ისაუბრონ იმაზე, რა ისწავლეს დღეს ისეთი, რომელსაც გამოიყენებენ მომავალში.

## **შეფასება**

ყველა მოსწავლე შეფასდება იმის მიხედვით, რამდენად შეუძლია ტექსტის შინაარსის გაგება-გააზრება, პრობლემის იდენტიფიცირება და გამოსავლის ძიება, პერსონაჟის შეფასება, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა, პირად გამოცდილებასთან დაკავშირება.

## ნისლეები

---

### მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლემ შეძლოს დასაბუთებული მსჯელობა, საკუთარი კითხვით გამოწვეული განწყობისა და შთაბეჭდილების ზეპირად და წერილობით ჩამოყალიბება.

### შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დანყ.(II).2 . მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა და გაგება-გააზრება; ტექსტებზე მსჯელობა და დასკვნის გამოტანა.

- ისმენს ერთსა და იმავე თემაზე შექმნილ ლიტერატურულ ტექსტებს და პოულობს მსგავსება-განსხვავებას მათ შორის;

ქართ.დანყ.(II).7. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაკითხული ტექსტების ინტერპრეტირება, დასაბუთებული დასკვნის გამოტანა და შეფასება; ტექსტების მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; კითხვით გამოწვეული განწყობილებისა და შთაბეჭდილების გადმოცემა.

- ამოცნობს და ხსნის მარტივ მხატვრულ სიმბოლოებს.

ქართ.დანყ.(II).10. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობ თემატიკაზე სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის ტექსტების შექმნა.

- წერს ჩანახატებს, მცირე ზომის მხატვრულ ტექსტებს;

### წინარე ცოდნა

მოსწავლეებს შეუძლიათ ტექსტის ნაკითხვა და გააზრება, ლექსში ემოციების ამოცნობა, განსხვავების დანახვა სხვადასხვა ტიპის ტექსტებს შორის.

### რესურსები

ნისლის ამსახველი ფოტოები

### ბაკვეთილის მსვლელობა

ორგანიზების ფორმები: საერთო-საკლასო, წყვილური, ჯგუფური

#### აქტივობა 1. მოტივაცია

პროვოცირების მიზნით, მასწავლებელი უკითხავს მოსწავლეებს ნისლის განმარტებას: „ატმოსფეროში წყლის ორთქლის კონდენსაციის, ატმოსფეროში წვრილი წყლის წვეთებისა და კრისტალების სახით შეტივტივებული პროდუქტი. აუარესებს ხილვადობას 1-დან 10კმ-მდე“. მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: თქვენი აზრით, რისი განმარტება შეიძლება იყოს ეს? მოსწავლეთა სავარაუდო პასუხების შემდეგ, თუ არ დასახელდა სწორი ვერსია, მასწავლებელი ეტყვის, რომ ეს არის ნისლი. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გამოთქვან მოსაზრება ნისლის რა მახასიათებლებზეა გამახვილებული ყურადღება; და რა ტიპის ტექსტს ახასიათებს თხრობის ამგვარი სტილი?

## **აქტივობა 2. სურათის აღწერა**

მასწავლებელი უჩვენებს მოსწავლეებს ნისლის სურათს და სთხოვს აღწერონ, შეადარონ, დაახასიათონ ნისლი. გამოხატონ ის ემოცია, რომელსაც მათ ეს სურათი უტოვებს.



## **აქტივობა 3. ტექსტის წაკითხვა და ანალიზი (კითხვა-პასუხი)**

მასწავლებელი უკითხავს მოსწავლეებს გიორგი ლეონიძის ლექსს „ნისლები“, შემდეგ კი სთხოვს, გადაშალონ სახელმძღვანელო, თავად წაკითხონ ტექსტი და შეადარონ ერთმანეთს ენციკლოპედიური განმარტებითა და ლექსით მიღებული შთაბეჭდილება: როგორ არის დანახული ნისლი პირველ და როგორ – მეორე შემთხვევაში.

მოსწავლეების პასუხების შემდეგ მასწავლებელი ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ პირველ შემთხვევაში ყურადღება გამახვილებულია ნისლის რეალურ მახასიათებლებზე, მეორე შემთხვევაში კი ნისლს მინერული აქვს ადამიანური გრძნობები და ემოციები.

## **აქტივობა 4. გაპიროვნება და მისი ფუნქცია (მუშაობა წყვილებში)**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ, რა მხატვრული ხერხია ადამიანური თვისებების მიწერა უსულო საგნისთვის. მოსწავლეები უპასუხებენ, რომ ეს არის გაპიროვნება. შემდეგ აწყვილებს მათ და სთხოვს, იპოვონ და მონიშნონ ტექსტში გაპიროვნების მაგალითები და განმარტონ. აქტივობის დასრულების შემდეგ მოსწავლეები აკეთებენ პრეზენტაციას.

## **აქტივობა 5. თავისუფალი წერა**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გადაშალონ რვეულები და დანერონ ჩანახატი „ნისლი“. სურვილისამებრ, შეუძლიათ გამოიყენონ გაკვეთილზე აღძრული შთაბეჭდილებები.

## **აქტივობა 8. პრეზენტაცია**

რამდენიმე მოსწავლე აკეთებს პრეზენტაციას.

## საშინაო დავალება

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებად, დაწერონ სახელმძღვანელოდან მე-2 და მე-3 სავარჯიშოები.

## შეფასება

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, რამდენად შეძლეს აზრის ზეპირად და წერილობით ნათლად ჩამოყალიბება, დასაბუთებული მსჯელობა.

## სპილოს მოპინაშრაბა (მოსასმენი ტექსტი)

### მისალწვენი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლე შეძლებს ტექსტის მოსმენას, გაგება-გააზრებას, მნიშვნელოვანი ინფორმაციის ამოკრებას, დეტალებზე ყურადღების გამახვილებას. წერის სტრატეგიების გამოყენებას თხზულების შექმნისას.

### შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დანყ.(II).2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა და გაგება-გააზრება; ტექსტებზე მსჯელობა და დასკვნის გამოტანა.

- ისმენს სხვადასხვა ხასიათის საინფორმაციო ტექსტებს და ერთმანეთისაგან განარჩევს ფაქტებსა და დამოკიდებულებებს (შეფასებებს);
- წარმოაჩენს ნაწარმოების პერსონაჟს სხვადასხვა კუთხით (მიუთითებს მის როგორც დადებით, ისე უარყოფით თვისებებზე);
- ყურადღებას ამახვილებს დეტალებზე (მაგ., პერსონაჟის დახასიათებისას);
- გამოაქვს დასკვნა ტექსტში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე;

ქართ.დანყ.(II).12. მოსწავლემ უნდა შეძლოს წერის ნაცნობი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება მიზნის შესაბამისად.

- იყენებს მოდელს, საყრდენებს, მითითებებს, ტექსტის გეგმას; საჭიროებისამებრ იყენებს გრაფიკულ მათემატიკას;
- ნაწერის სრულყოფის მიზნით, ხელახლა გადაიკითხავს ნამუშევარს, ასწორებს სტილისტურ ხარვეზებს და გრამატიკულ შეცდომებს (მაგ.: სუბიექტ-ობიექტისა და ზმნის სინტაქსური ურთიერთობის წესების დარღვევისას), ითვალისწინებს ზმნის პირის ფორმათა აგების კანონზომიერებებს;

### წინარე ცოდნა

მოსწავლეებს შეუძლიათ მოსმენილი ტექსტის გაგება-გააზრება. მცირე ზომის თხზულების შექმნა.

### გაკვეთილის მსვლელობა

ორგანიზების ფორმა: საერთო-საკლასო, ინდივიდუალური.

#### აქტივობა 1. მოტივაცია

მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს თემისა და მიზნის გაცნობით, შემდეგ ეკითხება მოსწავლეებს, მათი აზრით, რომელი ცხოველი შეიძლება ჩაითვალოს გონიერ ცხოველად და რატომ? მოსწავლეები სავარაუდოდ დაასახელებენ ძალს, ცხენს, მაიმუნს... თუ მოსწავლეები არ დაასახელებენ, მასწავლებელი აღნიშნავს, რომ მათ რიცხვს მიეკუთვნება სპილოც, რომელიც გამოირჩევა თავისი გონიერებით. მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, რა იციან სპილოს შესახებ, მათთან ერთად აყალიბებს მნიშვნელოვან და საინტერესო ინფორმაციას...

#### აქტივობა 2. ტექსტის ნაკითხვა

მასწავლებელი კითხულობს ტექსტს აბზაც-აბზაც, აბზაცის ნაკითხვის შემდეგ სვამს კითხვებს იმის



დასადგენად, თუ როგორ გაიგეს ის მოსწავლეებმა. შეუძლია გამოიყენოს ტექსტს დართული კითხვები და სავარჯიშოები.

### **აქტივობა 3. დაკარგული სიტყვები**

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს იმავე ტექსტს, რომლიდანაც წინასწარ ამოღებული აქვს სიტყვები. სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ ტექსტი, გაითვალისწინონ კონტექსტი და დააბრუნონ სიტყვები თავის ადგილას. (შენიშვნა: მასწავლებელს, კლასის მომზადების შესაბამისად, შეუძლია ეს აქტივობა გამოიყენოს შემოქმედებითად, არ მისცეს სიტყვები და მოსწავლეებმა თავად გაიხსენონ დეტალები, სიტყვის ნაცვლად ამოიღოს წინადადებები და მოსწავლეებმა ჩასვან ის შესაბამის ადგილას და ა.შ.). პრეზენტაციისას მასწავლებელი ასახელებს გამოტოვებული სიტყვების ნომრებს, მოსწავლეები ასახელებენ თავიანთ ვერსიას, გაიმარჯვებს ის, ვისაც ყველაზე კარგად ახსოვს ტექსტი.

## **ლონიერი მოიქანცება აქლემი ყულფი ეშვებისგან ძაღლის შინაურ ჭკვიანი დევივით კაცი ჭკვიანური გონიერ ნაკლებ გადაარჩინა უვნებელი ჭკუას ბავშვი წინამძღოლმა შინაური დახამხამება**

ადამიანები სპილოს იმიტომ აშინაურებენ, რომ მეტად **1. ლონიერი** ცხოველია და მუშაობაში ძალიან გამოსადეგია. ერთი სპილო იმდენს აიკიდებს, რამდენსაც ხუთი **2. აქლემი**. რომელი ტვირთიც ათ ცხენს წასაღებად უძნელდება, ერთ სპილოს ადვილად მიაქვს. ამასთან, სიარული ჩქარი იცის; უბრალო ცხენი ვერ მიჰყვება სიარულში, თუ არა – კარგი ბედაური. ამიტომ სპილო ძვირად ფასობს. როცა გარეულ სპილოს დაიჭერენ, ორივე ეშვს დაახერხავენ ხოლმე. მისი მსხვილი **3. ეშვებისგან** კი მშვენიერ თეთრ სავარცხლებს, სამკაულებსა და სხვა ნივთებს აკეთებენ.

გარეულ სპილოს მოსაშინაურებლად სხვადასხვა ხერხით იჭერენ. ერთი უფრო მარტივი არის შემდეგი: მიაგნებენ თუ არა სპილოს ბინას, მონადირეები პირქარზე უახლოვდებიან მას და თან მაგარი თოკი მიაქვთ. თოკს ბოლოზე **4. ყულფი** აქვს გამობმული. როცა სპილოს მოიხელთებენ, ერთი მონადირე დიდ ხეზე თოკის მეორე წვერს მიაბამს. სპილო ტრიალს დაიწყებს და თოკი გარშემო შემოეხვევა. მერე რამდენსამე დღეს ამავე მდგომარეობაში მშიერს ამყოფებენ, საჭმელს არ მისცემენ; სპილო **5. მოიქანცება**, ღონე გამოეღვევა და დამშვიდდება. ბოლოს, **6. შინაურ** სპილოს მიიყვანენ და ახლად დაჭერილ სპილოს შინ გააყოლებენ. ექვსი თვის შემდეგ სპილო სრულიად შინაურდება.

შეიძლება იფიქროთ: სპილო უთუოდ ძალიან უგუნური პირუტყვი უნდა იყოს, თორემ იმოდენა **7. დევივით** ცხოველს ერთი ბენვა კაცი როგორ დაიჭერდა და დაატყვევებდაო. სრულიადაც არა, პირიქით, სპილო ძლიერ **8. ჭკვიანი** ოთხფეხია; გონებით ყოველ ცხოველს სჯობია, მაიმუნისა და **9. ძაღლის** გარდა. მაგრამ კაცის ჭკუასთან რა გაუვა! **10. კაცი** ბევრ პირუტყვზე ფრიალ პატარა და უღონოა, მაგრამ თავისი დიდი ჭკუის წყალობით ყველას სძლევს და იმორჩილებს.

სპილოები ბევრ შემთხვევაში მეტად დიდ გონიერებას იჩენენ. აი, მაგალითად, როცა ცაში ქუხილი ატყდება ხოლმე, სპილო ტყვეს თავს ანებებს და ხეს ახლო აღარ ეკარება. ეს საკვირველად **11. ჭკვიანური** მოქმედებაა: ქუხილის დროს, როცა მეხი ჩამოვარდება, ხეებს ხშირად დაეცემა ხოლმე; ეტყობა, სპილოს ეს მოვლენა შეუნიშნავს და ამიტომ ტყვეს ქუხილის დროს ერიდება. მოდი და ჭკვიან ცხოველს ნუ დაუძახებ! ბევრი ადამიანია, რომ ქუხილის დროს გაექანება და ხეს შეეფარება ხოლმე და ამით სპილოზე **12. ნაკლებ** ჭკუას იჩენს. სპილო, რაკი გაშინაურდება, კიდევ უფრო ჭკვიანდება. შინაური და გარეული სპილოები გონებით შორიშორს არიან.

– გაშინაურებულ სპილოს გონებას რა უმატებს? – მკითხავთ. – **13. გონიერ** კაცთან სიახლოვე. შინაური სპილო კაცის ყველა მოქმედებას ყურს უგდებს, იმის ცხოვრებას თვალს ადევნებს, თვითონაც ჰბაძავს

და ამიტომ ქვეყნდება. ადამიანიც ხომ ასეა. თუ პატარა ბავშვი გონიერ ადამიანებში გაიზარდა, იმათგან ბევრს ისწავლის და ქვეყანი კაცი გამოვა. როცა სპილო ტყესა და მინდორში იმყოფება და მარტო თავისნაირ პირუტყვს ხედავს, აბა, რას ისწავლის. როცა კაცთან ცხოვრობს, იმისგან **14. ქუყას** ითვისებს.

ერთხელ ჯარისკაცებს ურმით საომარი იარაღი მიჰქონდათ. ისინი უნდა გასულიყვნენ მდინარეში, რომლის ფსკერი ოღროზოლო იყო. წყალში გასვლის დროს ერთი ურემი გადაიხარა და ამ დროს გადავარდა ოფიცერი, რომელიც ურემში ყუთზე იჯდა. ერთი თვალის **15. დახამხამება** რომ დასცლოდა, ურმის უკანა თვალი გადაუვლიდა და ოფიცერს გაჭყლევდა. მაგრამ სპილომ, რომელიც ამ ურმის უკან მოდიოდა, თვალი შეასწრო ამ ხიფათს, ფიცხლავ თავისი გრძელი ხორთუმით ურმის უკანა თვალი მაღლა ასწია და ისე დაიჭირა მანამ, სანამ ურემი ოფიცერს გასცილდებოდა. ასე **16. გადაარჩინა** სპილომ კაცი სიკვდილს, თუმცა იმისთვის ეს არავის უბრძანებია.

ერთხელ კიდევ, ვეებერთელა შინაური სპილო ვიწრო ქუჩაში მივბოდა, წინ დაუხვდა **17. ბავშვი**, რომელმაც გზიდან ჩამოცლა ვერ მოასწრო. სპილო შეჩერდა, ბავშვი თავისი ხორთუმით ნაზად აიყვანა, გზის პირას გადასვა და მერე ისევ გასწია თავის გზაზე.

სპილო მშვიდი და **18. უვნებელი** პირუტყვია, მაგრამ, თუ კაცი უსამართლოდ მოექცა, წყენას გულში ჩაიდებს და სამაგიეროს გადაუხდის. ერთმა სპილოთა **19. წინამძღოლმა** სპილოს თავზე კაკალი დაადო და ქვით ზედ გატეხა. მეორე დღეს სპილო იმავე კაცს ქუჩაში მიჰყავდა. დუქნის წინ სპილომ კაკლის გროვა დაინახა, თავისი ვეება ხორთუმით წასწვდა, ერთი კაკალი აიღო და თავის წინამძღოლს შიგ შუბლში ღონივრად მიარტყა... **20. შინაური** სპილოების გონებაზე წიგნებში ბევრს ამოიკითხავთ.

#### **აქტივობა 4. სპილოს დახასიათება**

მოსწავლეები ასრულებენ მეთოდურ სახელმძღვანელოში მოცემულ სავარჯიშო 5-ს. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაახასიათონ სპილო, აღწერონ მისი გარეგნობა და თვისებები. ამ დავალების უკეთ მოსამზადებლად კი შეასრულონ შემდეგი წინასწარი სამუშაო:

- ა) ფანქრით მონიშნონ ტექსტში დავალების შესაბამისი ადგილები; იქვე აღნიშნონ, რას აღწერს ავტორი – სპილოს გარეგნობას (დიდი ტანი, ეშვები, ხორთუმი) თუ თვისებას (ლონე, გონიერება, უწყინარობა...);
- ბ) წინასწარ განსაზღვრონ, როგორი თანმიმდევრობით სჯობს მონიშნული მაგალითების დალაგება, და გადაანომრონ.
- გ) შერჩეული მასალა სქემის სახით წარმოადგინონ;

შემდეგ დაწერონ პატარა თხზულება და სათაურიც შეურჩიონ. თხზულების დაწერის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მათ, კიდევ ერთხელ წაიკითხონ თავიანთი ნაშრომები და ჩაასწორონ ის.

#### **აქტივობა 5. პრეზენტაცია**

მოსწავლეები კითხულობენ თხზულებას, მასწავლებელი აძლევს განმავითარებელ კომენტარს იმის მიხედვით, თუ რამდენად მოახერხეს მათ, წარმოეჩინათ სპილოს თვისებები, რამდენად თანმიმდევრული და ენობრივად დაცული იყო მათი თხზულება.

#### **აქტივობა 6. შეჯამება**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რამდენიმე სიტყვით ისაუბრონ იმის შესახებ, რა გაიგეს ახალი დღევანდელი გაკვეთილიდან.

## შეფასება

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, თუ რამდენად შეძლეს:

1. ტექსტის გაგება-გააზრება: კითხვებზე გასცეს ლოგიკური პასუხი, შეავსეს ტექსტში გამოტოვებული სიტყვები.
2. შეძლეს პერსონაჟის წერილობით დახასიათება - თხზულება იყო თანმიმდევრული და ენობრივად გამართული. იმსჯელეს სპილოს როგორც გარეგნობაზე, ისე თვისებებზე, მოიყვანეს მაგალითები ტექსტიდან.

## თეორია – ეპითეტი და შედარება

### მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლე გაიაზრებს შედარებისა და ეპითეტის რაობასა და მნიშვნელობას და განივითარებს შემოქმედებითი აზროვნების უნარს.

### შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დანყ.(II).6.მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა, გაგება და გაანალიზება არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხების/დეტალების გათვალისწინებით.

- აკვირდება მწერლის ენას, ამოიცნობს ზოგიერთ მხატვრულ ხერხს (ეპითეტს, შედარებას, ჰიპერბოლას, გაპიროვნებას), სალექსო რითმას;

ქართ.დანყ.(II).11. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტრუქტურული ელემენტების მიზნობრივად შერჩევა და სათანადოდ გამოყენება; ქართული სალიტერატურო ენის ძირითადი ნორმების დაცვა.

- მსგავსი მნიშვნელობის სიტყვებიდან კონტექსტის მიხედვით შეარჩევს სათანადო ლექსიკურ ერთეულს;

### წინარე ცოდნა:

მოსწავლეებმა იციან კითხვის სტრატეგიები, მხატვრული ენის რაობა, აქვთ თანამშრომლობისა და კრეატიული აზროვნების უნარები.

### გაკვეთილის მსვლელობა

ორგანიზების ფორმები: საერთო-საკლასო, ინდივიდუალური, წყვილური

#### აქტივობა 1. მოტივაცია

მასწავლებელი გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეებს ახსენებს წინა გაკვეთილებზე შესწავლილ ლექსებს და სვამს კითხვას: რის მეშვეობით ახერხებს პოეტი, ემოციური ზემოქმედება მოახდინოს მკითხველზე? მოსწავლეები ასახელებენ ლექსის მახასიათებლებს. თუ ვერ იტყვიან, აქტივობის დასასრულს მასწავლებელი მოკლედ შეახსენებს, რომ ლექსი განწყობას, ემოციას გამოხატავს და ამას პოეტი მხატვრული ენის, მხატვრული ხერხების მეშვეობით ახერხებს.

#### აქტივობა 2. თეორიული მასალის წაკითხვა-გააზრება

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, რომელი მხატვრული ხერხები იციან. ისინი ასახელებენ სავარაუდოდ ეპითეტსა და შედარებას და შეძლებისდაგვარად განმარტავენ. შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს გადაშალონ სახელმძღვანელო მე-8 გვერდზე, წაკითხონ მოცემული მასალა და მონიშნონ მათთვის მნიშვნელოვანი ან ბუნდოვანი საკითხები.

#### აქტივობა 3. წაკითხულის გაგება-გააზრება

ბუნდოვანი მონაკვეთების განმარტების შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვებს იმის გასარკვევად,

რამდენად კარგად გაიგეს მოსწავლეებმა წაკითხული თეორიული მასალა და საჭიროების შემთხვევაში ავსებს მას. იქვე აძლევს რამდენიმე ნიმუშს და სთხოვს, ამონერონ შედარებისა და ეპითეტის ნიმუშები (შესაძლოა, მასწავლებელმა გამოიყენოს ისევ წინა გაკვეთილებზე შესწავლილი ტექსტები).

#### **აქტივობა 4. წყვილებში მუშაობა**

მასწავლებელი მოსწავლეებს ყოფს ჯგუფებად, ურიგებს ფურცლებს, ზედ წერია არსებითი სახელები: თოვლი, ბიჭი, წვიმა და სთხოვს მოიფიქრონ: ა) ეპითეტები, რომლებითაც წვიმას დაახასიათებდნენ; ბ) შედარებები, რომლებითაც წვიმას რაიმე საგანს ან მოვლენას შეადარებდნენ. აქტივობის დასრულების შემდეგ მოსწავლეები აკეთებენ პრეზენტაციას. ყველაზე საინტერესო ვარიანტები ჩამოინერება დაფაზე.

#### **აქტივობა 5. ჩანახატის შექმნა (ინდივიდუალურად)**

მასწავლებელი იმავე ჯგუფებს სთხოვს, დაწერონ ჩანახატი, პატარა მოთხრობა, ზღაპარი ან ლექსი, რომელშიც გამოიყენებენ შედარებებსა და ეპითეტებს.

#### **აქტივობა 6. პრეზენტაცია**

აქტივობის შემდეგ მოსწავლეები აკეთებენ პრეზენტაციებს. აკვირდებიან ერთმანეთის ნაშრომებს იმის მიხედვით, თუ როგორ მოახერხეს მათ მხატვრული ხერხების გამოყენება.

## **საშინაო დავალება**

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს შეასრულონ სახელმძღვანელოში მოცემული პირველი სავარჯიშო (მოსწ. ნიგნი, გვ. 8).

## **შეფასება**

ყველა მოსწავლე შეფასდება იმის მიხედვით, რამდენად ადეკვატურად შეუძლია ახსნილი მასალის გაგება-გააზრება და პრაქტიკულად გამოყენება.

## ნამდვილი ამბავი

---

### მისალწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლეებმა შეძლონ ტექსტის გაგება-გააზრება, ანალიზი; საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.

### შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დანყ.(II).6.მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა, გაგება და გაანალიზება არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხების/დეტალების გათვალისწინებით.

- გამოყოფს და ასახელებს ტექსტის მთავარ საკითხებს;
- გამოკვეთს არსებით ინფორმაციას ტექსტის ცალკეული მონაკვეთიდან;

ქართ.დანყ.(II).7.მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტების ინტერპრეტირება, დასაბუთებული დასკვნის გამოტანა და შეფასება; ტექსტების მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; კითხვით გამონეული განწყობილებისა და შთაბეჭდილების გადმოცემა.

- განმარტავს პერსონაჟთა ქცევის მოტივს და აფასებს მათ საქციელს;
- გამოაქვს დასკვნა პერსონაჟებს შორის არსებული ურთიერთობის შესახებ, ცდილობს ნათქვამის დასაბუთებას ტექსტის მონაცემებზე დაყრდნობით;
- ტექსტის მთლიანი გააზრების საფუძველზე გამოაქვს დასკვნა;
- ავლებს პარალელს თემატურად მსგავს ნაწარმოებებთან;
- მსჯელობს მისთვის საინტერესო საკითხების შესახებ და გამოხატავს საკუთარ პოზიციას;

### წინარე ცოდნა

მოსწავლეებს აქვთ ტექსტების დამოუკიდებლად კითხვის გამოცდილება.

### რესურსები

ფოტო ან ვიდეომასალა აკაკი წერეთლის შესახებ

### ორგანიზების ფორმები

ინდივიდუალური, წყვილური

### ბაკვეთილის მსვლელობა

**აქტივობა 1.** მასწავლებელი თემისა და მიზნის გაცნობის შემდეგ მოსწავლეებს ეკითხება:

გაიხსენონ, რა იციან აკაკი წერეთლის შესახებ, ნაუკითხავთ თუ არა მისი ნაწარმოებები... მოკლედ ესაუბრება აკაკის შესახებ, რომ ის 5 წლამდე იზრდებოდა სოფელ სავანეში, კარგად იცნობდა სოფლის ცხოვრებას. ნაწარმოებში „ჩემი თავგადასავალი“ აღწერილი აქვს თავისი ცხოვრების ეს ეტაპი. (შესაძლებლობის მიხედვით, აჩვენებს ფოტო ან ვიდეო მასალას თემის ირგვლივ, პასუხობს მოსწავლეთა მიერ დასმულ შეკითხვებს).

**აქტივობა 2.** ტექსტის წაკითხვა და ანალიზი (ინდივიდუალურად და წყვილებში)

მასწავლებელი აწყვილებს მოსწავლეებს და სთხოვს, ჯერ ინდივიდუალურად წაიკითხონ ტექსტი, მთლიანად, შემდეგ კი – აბზაც-აბზაც და პარაღულურად შეავსონ კომენტარების წიგნაკი. მოსწავლეები ამონერენ აბზაციდან, რაც მათ ჩათვალეს მნიშვნელოვნად და დაურთავენ თავიანთ კომენტარს. (ეს მეთოდი მოსწავლეებს საშუალებას მისცემს დამოუკიდებლად გაიაზრონ ტექსტი და გამოხატონ საკუთარი დამოკიდებულება განვითარებულ მოვლენებსა თუ პერსონაჟებზე, მოცემული ტექსტი კი ამის კარგ საშუალებას იძლევა, რადგანაც ყველა აბზაცი გარკვეული პრობლემის შემცველია, მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, ყურადღება გაამახვილონ ყველა მნიშვნელოვან ასპექტზე.

ტექსტი	კომენტარი

რამდენიმე წყვილი აკეთებს პრეზენტაციას, დანარჩენები ავსებენ. მასწავლებელი ადარებს მოსწავლეთა მოსაზრებებს. აფასებენ მათ, რამდენად ლოგიკური იყო პასუხები.

**აქტივობა 3. მსჯელობა მთავარ სათქმელზე (საერთო საკლასო)**

მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს ტექსტის ბოლო აბზაცში დასმულ კითხვებზე, სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ მაგალითები, თუ ჰქონიათ კონფლიქტი ვინმესთან და როგორ მოუგვარებიათ ის...

**შეფასება**

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, შეუძლიათ თუ არა ტექსტის გაანალიზება, პირადი თვალსაზრისის დამოუკიდებლად გამოხატვა, საკუთარი თვალსაზრისის ნათლად ჩამოყალიბება, პირად გამოცდილებასთან დაკავშირება.

## თოვლი

---

### მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლემ შეძლოს ნაწარმოების ესთეტიკურ მხარეზე დაკვირვება, მხატვრულ ხერხებზე მუშაობა, საკუთარი დამოკიდებულების, ემოციის გამოხატვა, შემოქმედებითი მუშაობა.

### შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დანყ.(II).3. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ნაცნობი ტექსტების ინტერპრეტირება და შეფასება; მათ მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური შეფასება (საწყის დონეზე).

- ისმენს მხატვრულ ნაწარმოებს (ლექსს, ნოველას, მოთხრობას) და გამოხატავს საკუთარ ემოციებსა და შთაბეჭდილებებს;
- ასახელებს მისთვის ესთეტიკურად მიმზიდველ ადგილებს მხატვრული ტექსტიდან;
- საუბრობს პოეტურ ნაწარმოებში გამოხატულ განწყობაზე;

ქართ.დანყ.(II).6. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა, გაგება და გაანალიზება არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხების/დეტალების გათვალისწინებით.

- აკვირდება მწერლის ენას, ამოიცნობს ზოგიერთ მხატვრულ ხერხს (ეპითეტს, შედარებას, ჰიპერბოლას, გაპიროვნებას), სალექსო რიტმას;

ქართ.დანყ.(II).7. მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტების ინტერპრეტირება, დასაბუთებული დასკვნის გამოტანა და შეფასება; ტექსტების მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; კითხვით გამოწვეული განწყობილებისა და შთაბეჭდილების გადმოცემა.

- ქმნის წაკითხული ან მოსმენილი ტექსტის ილუსტრაციას/ილუსტრაციებს (შესაძლებელია კომპიუტერული გრაფიკული რედაქტორის გამოყენებით); ხსნის, რა კავშირშია მის მიერ შექმნილი ილუსტრაცია/ილუსტრაციები ტექსტთან ან ტექსტის ცალკეულ ეპიზოდთან;

### წინარე ცოდნა

მოსწავლეებს შეუძლიათ ტექსტის წაკითხვა და გააზრება, ლექსში ემოციებისა და მხატვრული ხერხების ამოცნობა.

### გაკვეთილის მსვლელობა

ორგანიზების ფორმები: საერთო-საკლასო, წყვილური

#### აქტივობა 1. მოტივაცია

თემისა და მიზნის გაცნობის შემდეგ, მოტივაციის მიზნით, მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს სახალისო აქტივობას: მასწავლებელი ასახელებს განწყობას, მოსწავლეები ერთი ნუთის განმავლობაში ასახელებენ განწყობის შესაბამის ციტატას ნასწავლი ლექსებიდან (მოსწავლეებს შეუძლიათ დაიხმარონ სახელმძღვანელო). მაგალითად, ხალისიანი, სახალისო, სევდიანი, ამაღლებული... ხან პირიქით, ასახელებს



ციტატას და მათ უნდა დაასახელონ განწყობა. აქტივობის დასასრულს მასწავლებელი მოკლედ შეახსენებს, რომ ლექსი განწყობას, ემოციას გამოხატავს და ამას პოეტი მხატვრული ენის მეშვეობით ახერხებს.

### **აქტივობა 2. ტექსტის წაკითხვა/ანალიზი**

მასწავლებელი ჯერ თავად კითხულობს ლექსს გამომეტყველებით, შემდეგ კი სთხოვს გადაშალონ სახელმძღვანელო, წაკითხონ ვახუშტი კოტეტიშვილის ლექსი „თოვლი“, ამონერონ 4 მათთვის ყველაზე საინტერესო ციტატა, დაასახელონ განწყობა და დაურთონ ემოციური კომენტარი.

### **აქტივობა 3. პრეზენტაცია**

რამდენიმე მოსწავლე აკეთებს პრეზენტაციას. მასწავლებელი სთხოვს დანარჩენებს, განსხვავებული ციტატები ან განსხვავებული განწყობა თუ აქვთ მონიშნული, წაკითხონ. იმართება მსჯელობა თითოეული ტაეპის ირგვლივ. თუ რომელიმე საინტერესო ციტატა არ დაასახელეს, მასწავლებელი თავად დაამატებს.

### **აქტივობა 4. მხატვრულ ხერხებზე მუშაობა წყვილებში**

მასწავლებელი ჯერ ახსენებს მოსწავლეებს მხატვრულ ხერხებს კითხვა-პასუხის მეშვეობით, შემდეგ კი სთხოვს მათ, ამონერონ მხატვრული ხერხები და განმარტონ ისინი (მაგალითად, თეთრ დათვთან თოვლის შედარებით გამოკვეთილია ახალდადებული თოვლის სირბილე და სიმძიმე, ან ის, რომ თეთრი დათვი მხოლოდ თოვლიან ქვეყნებში ცხოვრობს და ამ შედარებით პოეტი ასოციაციურად გვაკავშირებს თოვლიან მხარესთან). მოსწავლეები ასახელებენ მაგალითებს ტექსტიდან და განმარტავენ.

### **აქტივობა 5. ინტერპრეტაციები**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს სურვილისამებრ, ან მოიფიქრონ რამდენიმე შედარება, ეპითეტი და გაპიროვნება, რომლებითაც აღწერენ თოვლს, ან დახატონ ლექსის ილუსტრაცია. მოსწავლეები უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ ნაშრომს.

## **საშინაო დავალება**

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებად, ისწავლონ ლექსი „თოვლი“ და სახელმძღვანელოდან დაწერონ მე-6 სავარჯიშო (მასწავლებელს შეუძლია, ასარჩევად მისცეს ეს დავალებები).

## **შეფასება**

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, რამდენად შეძლეს ნაწარმოების ესთეტიკურ მხარეზე დაკვირვება, საკუთარი ემოციების გამოხატვა, აზრის ნათლად ჩამოყალიბება.

## ჭიანჭველები

ერთ ბაღში ბევრი ხილი იდგა. ატმით, კაკლით, მსხლით სულ სავსე იყო. ამ ბაღში ცხოვრობდა მებაღე: ხეხილებს გამხმარ ტოტებს უსხლავდა, ყვავილებს წყალს უსხამდა და ბაღის პატარა სასეირნო ბილიკებზე წმინდა ქვიშას ჰფენდა. ბაღის ახლომახლო თავიანთ ბუდეში ცხოვრობდა ათასობით ჭიანჭველა. ამათ შეიტყვეს, რომ ბაღში ბევრი ამათი საყვარელი ხილი ხარობდა. ჭიანჭველები დიდი გროვით გაემგზავრნენ ბაღისაკენ. აცოცდნენ ერთ ხეზე და მის ხილს ჭამა დაუწყეს. ხე ჭიანჭველებით ისე შეიფინა, რომ შავი ფერი დაედო.

მებაღე რომ ამ ხესთან გასასხლავად მივიდა, ზედ უთვალავი ჭიანჭველა დაინახა და ხე ძალიან დაენანა. ჭიანჭველებს ხიდან ჩამორეკა დაუწყო; მაგრამ ისინი მიესივნენ და კბენა დაუწყეს: მებაღემ თავი დაანება და უკან გამობრუნდა. ყოველ ცისმარე დღეს ჭიანჭველები გაემგზავრებოდნენ ხოლმე ბაღისაკენ და ყოველთვის იმავე ხეზე ადიოდნენ.

– რა უნდა ვუყო ამ ჭიანჭველებს? – ჰკითხავდა ყოველ თავის ნაცნობს მებაღე, მაგრამ გამოსადეგი რჩევის მიცემა ვერავინ შეძლო. შემდეგ ერთმა ბებერმა კაცმა უთხრა: „თამბაქოს წვენი ნაუსვი ხეს და ჭიანჭველები სრულებითაც ველარ მიეკარებიან“.

მეორე დღეს, როცა ჭიანჭველები ხეზე იყვნენ, მებაღემ აიღო თამბაქოს ფოთლები და მათი წვენით ხის ღერო ორი თითის დადებაზე გარშემო დაასველა. „ახლა კი ჭიანჭველები სამუდამოდ ხეზე დარჩებიან და აქ დაიხოცებიან“, – იფიქრა მებაღემ.

როდესაც ჭიანჭველები დანაყრდნენ და ძირს ჩამოცოცდნენ, ნახეს, რომ ყველანი დატყვევებულიყვნენ და ველარ დაბრუნდებოდნენ თავიანთ სადგომში. ხიდან ჩამოხტომა ჭიანჭველებს არ შეეძლოთ; მათ არც ფრენა იციან, რადგანაც ფრთები არა აქვთ. რა უნდა ექნათ?

მათ ხის კენწეროზე მოიყარეს თავი და სჯა-ბაასი დაიწყეს, თუ როგორ უნდა ეშველათ თავისათვის. გამოცდილმა ჭიანჭველებმა ჭიანჭველურ ენაზე თქვეს: – მოისმინეთ, მეგობრებო! ვინც ჩვენში უფრო გულადნი არიან, ისინი გავიდნენ გაყვითლებულ ფოთლებზე: ფოთლები ძირს ჩაცვივა და მათზე მჯდომარენი თან ჩაჰყვებიან. მერე ისინი შეეცდებიან, ქვემოდან მიწის ხიდი გაგვიკეთონ იმ თამბაქოს წვენის სალტეზე.

იმ წამსვე უფრო ღონიერი ჭიანჭველები დასხდნენ გაყვითლებულ

ფოთლებზე და მათთან ერთად ჩაცვივდნენ მინაზე; იმათ მაშინვე მიჰყვეს მუშაობას ხელი; თამბაქოს სალტესთან მოზიდეს სველი მიწის კარგა მოზრდილი ნამცეცები, ზედ გარდიგარდმო კარგად მიაგლისეს და პატარა ხიდი გამართეს. გაიმართა თუ არა ხიდი, ხეზე მომწყვდეული ჭიანჭველები სიხარულით დაეშვნენ ქვევით, მშვიდობით გამოიარეს გაკეთებული ხიდი და ძირს ჩამოვიდნენ. შემდგომ ამ ხიდზე ასვლა და ჩამოსვლა ისე გამართეს, თითქოს თამბაქოს წვენის სალტე სულაც არა ყოფილიყოს.

მებაღე ყველაფერს ხედავდა, რასაც კი ჭიანჭველები სჩადიოდნენ, მაგრამ არას უშლიდა: პირიქით, დიდი სიამოვნებით და გაკვირვებით ადევნებდა თვალს, თუ როგორ გონივრულად აკეთებდნენ თავიანთ საქმეებს ჭიანჭველები. მაგრამ მას ხეც ძალიან ენანებოდა. მებაღე დაღონდა და სულ იმას ფიქრობდა, თუ როგორ მოეშორებინა ჭიანჭველები თავიდან.



ერთხელ, როცა ჭიანჭველები ხეზე ისხდნენ, მეზალემ ხის გარშემო პატარა თხრილი გააკეთა, წყლით აავსო და გაიფიქრა, ახლა კი ჭიანჭველები შინ დაბრუნებას ვეღარ ეღირსებიან, გზა ხომ შეკრულია, გარშემო სულ წყალი დგასო. სადამოთი ჭიანჭველებმა ძირს ჩამოსვლა დაიწყეს, მიადგნენ პატარა თხრილს და გაჩერდნენ. გარშემო წყალი დახვდათ.

– ერიჰაა, უბედურება გვენია, ვეღარ დავბრუნდებით ჩვენს სახლში! – თქვეს ჭიანჭველებმა და ხის გარშემო შეგროვდნენ. განსაცდელში ჩავარდნილებმა სჯა-ბაასი დაიწყეს, თუ როგორ დაეღწიათ თავი ხიფათისაგან.

სამი გონიერი ჭიანჭველა მიუახლოვდა ყრილობას და უთხრა:

– ჩვენი საქმე ჯერ სრულებით არ არის წამხდარი. ნუ გეშინიათ, ძმებო, გულმაგრად იყავით. ზოგი ჩვენგანი უნდა შევიდეს წყალში და დაიხრჩოს; მაგრამ ამ გმირობის ფასად, დანარჩენი ყველა ჭიანჭველა ამ დამხრჩვლებზე, როგორც კარგ ხიდზე, ისე გაივლის. ყველაზე უნინ ჩვენ სამნი მოგცემთ მაგალითს!

როდესაც ამათ ყველა სხვა ჭიანჭველა დაეთანხმა, ეს სამი ჭიანჭველა პირდაპირ შევარდა წყალში, ამათ მიჰყვა უკან ბევრი, ძალიან ბევრი ჭიანჭველა; ერთი ერთმანეთზე შედგნენ, გამწკრივდნენ გუბის მეორე ნაპირამდე და ამნაირად გამართეს ჩინებული ხიდი, რომელზედაც ადვილად გავიდნენ დანარჩენი ჭიანჭველები და მივიდნენ თავიანთ ბინაზე.

როდესაც მეზალემ დაინახა, რომ ჭიანჭველებს ისე უყვართ ერთმანეთი, რომ საერთო გაჭირვების დროს სიცოცხლეს არ ზოგავენ ერთმანეთისათვის, მაშინ მათ შევიწროებას თავი გაანება და მისცა ნება, ეჭამათ იმის ბაღში იმდენი ხილი, რამდენიც უნდოდათ.

იაკობ გოგებაშვილი

### უპასუხე შეკითხვებს

1. განმარტე, რას ნიშნავს **ხის გასხლვა**? დაიხმარე ლექსიკონი.
2. რა რჩევა მისცა ერთმა მოხუცმა მებაღეს?

### მოძებნე ტექსტში

3. ტექსტიდან ამოკრიბე ცნობები, რა სჩვევია ჭიანჭველას და რა არ შეუძლია მას.
4. ტექსტიდან ამოკრიბე და ჩამონერე ჭიანჭველების გონივრული ქცევის მაგალითები.

### იმსჯელე

5. წაიკითხე მე-9 აბზაცი; შესაძლებელია თუ არა ამ მონაკვეთის დაკავშირება ქართულ ხალხურ ზღაპართან „რწყილი და ჭიანჭველა“?

### დანერე

6. დაასრულე თხრობის გეგმა; გამოყავი მომდევნო 8 საკითხი (აბზაცების მიხედვით). ნიმუში (I-IV აბზაცები):
  1. ჭიანჭველები ბალისაკენ გაემგზავრნენ;
  2. მებაღეს ხე დაენანა;
  3. მოხუცი კაცის რჩევა;
  4. დატყვევებული ჭიანჭველები...

### იმსჯელე

7. არის თუ არა ამ შემეცნებით ტექსტში გამოყენებული მხატვრული ხერხები – შედარება, გაპიროვნება? საკუთარი მოსაზრება დაასაბუთე.
8. რა ზემოქმედება მოახდინა მებაღეზე ჭიანჭველების ქცევამ? შეაფასე მე-ბალის საქციელი; შენ როგორ მოიქცეოდი?

### მოიპოვე ინფორმაცია

9. საბავშვო ენციკლოპედიიდან თუ სხვა შემეცნებითი ხასიათის წიგნებიდან ამოკრიბე მასალა ჭიანჭველების შესახებ, გაიგე, როგორ გადასცემენ ისინი ინფორმაციას ერთმანეთს; ნაშრომი კლასის წინაშე წარმოადგინე.

### იმსჯელე (წყვილებში სამუშაო)

10. იმსჯელეთ, ადამიანის რა თვისებები იგულისხმება ამ გამონათქვამებში?
  - ა) ისეთი კაცია, ჭიანჭველას ფეხს არ დაადგამს.
  - ბ) ეს პატიოსანი კაცი ჭიანჭველასავით ცხოვრობს.
  - გ) ჰქონოდა მას ერთგულება ძაღლისა და ძალა ჭიანჭველასი! (ასე დალოცა უფლისწული ვეზირმა სულხან-საბა ორბელიანის ნაწარმოებში).

## სპილოს მოშინაურება

ადამიანები სპილოს იმიტომ აშინაურებენ, რომ მეტად ღონიერი ცხოველია და მუშაობაში ძალიან გამოსადეგია. ერთი სპილო იმდენს აიკიდებს, რამდენსაც ხუთი აქლემი. რომელი ტვირთიც ათ ცხენს წასაღებად უძნელდება, ერთ სპილოს ადვილად მიაქვს. ამასთან, სიარული ჩქარი იცის; უბრალო ცხენი ვერ მიჰყვება სიარულში, თუ არა – კარგი ბედაური. ამიტომ სპილო ძვირად ფასობს. როცა გარეულ სპილოს დაიჭერენ, ორივე ეშვს დაახერხავენ ხოლმე. მისი მსხვილი ეშვებისგან კი მშვენიერ თეთრ სავარცხლებს, სამკაულებსა და სხვა ნივთებს აკეთებენ.


გარეულ სპილოს მოსაშინაურებლად სხვადასხვა ღონისძიებით იჭერენ. ერთი უფრო მარტივი ღონისძიება არის შემდეგი: მიაგნებენ თუ არა სპილოს ბინას, მონადირეები პირქარზე\* უახლოვდებიან მას და თან მაგარი თოკი მიაქვთ. თოკს ბოლოზე ყულფი აქვს გამობმული. როცა სპილოს მოიხელთებენ, ერთი მონადირე დიდ ხეზე თოკის მეორე წვერს მიაბამს. სპილო ტრიალს დაიწყებს და თოკი გარშემო შემოეხვევა. მერე რამდენსამე დღეს ამავე მდგომარეობაში მშვიერს ამყოფებენ, საჭმელს არ მისცემენ; სპილო მოიქანცება, ღონე გამოელევა და დამშვიდდება. ბოლოს, შინაურ სპილოს მიიყვანენ და ახლად დაჭერილ სპილოს შინ გააყოლებენ. ექვსი თვის შემდეგ სპილო სრულიად შინაურდება.

შეიძლება იფიქროთ: სპილო უთუოდ ძალიან უგუნური პირუტყვი უნდა იყოს, თორემ იმოდენა დევივით ცხოველს ერთი ბენვა კაცი როგორ დაიჭერდა და დაატყვევებდაო. სრულიადაც არა, პირიქით, სპილო ძლიერ ჭკვიანი ოთხფეხია; გონებით ყოველ ცხოველს სჯობია, მაიმუნისა და ძაღლის გარდა. მაგრამ კაცის ჭკუასთან რა გაუვა! კაცი ბევრ პირუტყვზე ფრიად პატარა და უღონოა, მაგრამ თავისი დიდი ჭკუის წყალობით ყველას სძლევს და იმორჩილებს.

სპილოები ბევრ შემთხვევაში მეტად დიდ გონიერებას იჩენენ. აი, მაგალითად, როცა ცაში ქუხილი ატყდება ხოლმე, სპილო ტყეს თავს ანებებს და ხეს ახლო აღარ ეკარება. ეს საკვირველად ჭკვიანური მოქმედებაა: ქუხილის დროს, როცა მეხი ჩამოვარდება, ხეებს ხშირად დაეცემა ხოლმე; ეტყობა, სპილოს ეს მოვლენა შეუნიშნავს და ამიტომ ტყეს ქუხილის დროს ერიდება. მოდი და ჭკვიან ცხოველს ნუ დაუძახებ! ბევრი ადამიანია, რომ ქუხილის დროს გაექანება და ხეს შეეფარება ხოლმე და ამით სპილოზე ნაკლებ ჭკუას იჩენს. სპილო, რაკი გაშინაურდება, კიდევ

უფრო ჭკვიანდება. შინაური და გარეული სპილოები გონებით შორი-შორს არიან.

– გაშინაურებულ სპილოს გონებას რა უმატებს? – მკითხავთ. – გონიერ კაცთან სიახლოვე. შინაური სპილო კაცის ყველა მოქმედებას ყურს უგდებს, იმის ცხოვრებას თვალს ადევნებს, თვითონაც ჰბაძავს და ამიტომ ჭკვიანდება. ადამიანიც ხომ ასეა. თუ პატარა ბავშვი გონიერ ადამიანებში გაიზარდა, იმათგან ბევრს ისწავლის და ჭკვიანი კაცი გამოვა. როცა სპილო ტყესა და მინდორში იმყოფება და მარტო თავისნაირ პირუტყვს ხედავს, აბა, რას ისწავლის. როცა კაცთან ცხოვრობს, იმისგან ჭკუას ითვისებს.



ერთხელ ჯარისკაცებს ურმით საომარი იარაღი მიჰქონდათ. ისინი უნდა გასულიყვნენ მდინარეში, რომელიც ოდროჩოლო იყო. წყალში გასვლის დროს ერთმა ურემმა გვერდზე გადაინია და ამ დროს გადავარდა ოფიცერი, რომელიც ურემში ყუთზე იჯდა. ერთი თვალის დახამხამება რომ დასცლოდა, ურმის უკანა თვალი გადაუვლიდა და ოფიცერს გაჭყლევდა. მაგრამ სპილომ, რომელიც ამ ურმის უკან მოდიოდა, თვალი შეასწრო ამ ხიფათს, ფიცხლავ თავისი გრძელი ხორთუმით ურმის უკანა თვალი მალლა ასწია და ისე დაიჭირა მანამ, სანამ ურემი ოფიცერს გასცილდებოდა. ასე გადაარჩინა სპილომ კაცი სიკვდილს, თუმცა იმისთვის ეს არავის უბრძანებია.

ერთხელ კიდევ ვეებერთელა შინაური სპილო ვინრო ქუჩაში მივბოდა, წინ დაუხვდა ბავშვი, რომელმაც გზიდან ჩამოცლა ვერ მოასწრო. სპილო შეჩერდა, ბავშვი თავისი ხორთუმით ნაზად აიყვანა, გზის პირას გადასვა და მერე ისევ გასწია თავის გზაზე.

სპილო მშვიდი და უვნებელი პირუტყვია, მაგრამ, თუ კაცი უსამართლოდ მოექცა, გულში ჩაიდებს და სამაგიეროს გადაუხდის. ერთმა სპილოთა წინამძღოლმა სპილოს თავზე კაკალი დაადო და ქვით ზედ გატეხა. მეორე დღეს სპილო იმავე კაცს ქუჩაში მიჰყავდა. დუქნის წინ სპილომ კაკლის გროვა დაინახა, თავისი ვეება ხორთუმით წასწვდა, ერთი კაკალი აიღო და თავის წინამძღოლს შიგ შუბლში ღონივრად მიარტყა... შინაური სპილოების გონებაზე წიგნებში ბევრს ამოიკითხავთ.

იაკობ გოგებაშვილი




### იმსჯელე

1. ჩამოთვლილთაგან რომელია ამ ტექსტის I აბზაცის მთავარი საკითხი?
  - ა) რა განსხვავებაა ცხენსა და სპილოს შორის?
  - ბ) რატომ აშინაურებენ სპილოს?
  - გ) რას ამზადებენ გარეული სპილოს ეშვებისაგან?
2. ჩამოაყალიბე, რა არის მეორე აბზაცის ძირითადი საკითხი.
3. როგორ განმარტა მწერალმა მიზეზი იმისა, თუ რატომ არის გაშინაურებული სპილო უფრო გონიერი?

### დანერე

4. მოძებნე ტექსტში და ჩამონერე, რა ფაქტები დაიმონმა ავტორმა სპილოს გონიერების დასადასტურებლად.
5. დაახსიათე სპილო; აღწერე მისი გარეგნობა და თვისებები. ამ დავალების უკეთ მოსამზადებლად, გირჩევთ, შეასრულოთ შემდეგი წინასწარი სამუშაო:
  - ა) ფანქრით მონიშნე ტექსტში დავალების შესაბამისი ადგილები; იქვე აღნიშნე, რას აღწერს ავტორი – სპილოს გარეგნობას (დიდი ტანი, ეშვები, ხორთუმი) თუ თვისებას (ლონე, გონიერება, უწყინარობა...);
  - ბ) წინასწარ განსაზღვრე, როგორი თანამიმდევრობით სჯობს მონიშნული მაგალითების დალაგება, და გადანომრე.
  - გ) შერჩეული მასალა სქემის სახით წარმოადგინე; შემდეგ დანერე პატარა თხზულება და სათაურიც შეურჩიე.



### მოიპოვე ინფორმაცია

6. ცხოველების ენციკლოპედიაში, ცხოველების შესახებ გამოცემულ დამხმარე ლიტერატურაში ან ინტერნეტში მოიძიე დამატებითი მასალა სპილოების ქცევის შესახებ; წაკითხული ცნობები გეგმის სახით ჩაინიშნე და მოამზადე კლასის წინაშე მოსათხრობად.

## თავი 2 – ბავშვი მოთხრობაში

### მოთხრობა „ბიჭი და ქალი“ (მეორე ნაწილი)

#### მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება, მოთხრობის სხვადასხვა ნაწილის ერთმანეთთან დაკავშირებისა და ვრცელი ტექსტის მთლიანობაში გააზრების უნარის განვითარება.

#### შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დანყ.(II).6. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ნაკითხვა, გაგება და გაანალიზება არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხების/დეტალების გათვალისწინებით.

- განსაზღვრავს ტექსტის ერთ მონაკვეთში ან მის სხვადასხვა ნაწილში ასახულ მოვლენებს / ფაქტებს შორის არსებულ ლოგიკურ კავშირებს (მიზეზშედეგობრივს, შეპირისპირებითს, პირობითსა და სხვ.);

ქართ.დანყ.(II).9. მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება მიზნის შესაბამისად.

- სხვადასხვა საშუალებით (კონტექსტის გათვალისწინებით, კითხვის დასმით, ლექსიკონით) ამოიცნობს უცნობი სიტყვებისა და გამოთქმების მნიშვნელობას;
- სხვადასხვა საყრდენის (სათაურის, აბზაცების დასაწყისის, საკვანძო სიტყვების, ერთ-ერთი აბზაცის, გამოყოფილი სიტყვების) მოშველიებით გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის/ტექსტის მონაკვეთის შინაარსის შესახებ;

#### გაკვეთილის ეტაპები

##### აქტივობა 1. მეტყველება

მოთხრობის პირველი ნაწილის სიუჟეტური ხაზის შესახსენებლად, გაკვეთილი დაიწყეთ გამოკითხვით; შეამონმეთ: შეუძლიათ თუ არა მოსწავლეებს, ფაქტობრივი სიზუსტის დაცვით, გამართული წინადადებებით, ადეკვატური ლექსიკითა და მკაფიო მეტყველებით გადმოსცენ ტექსტის ძირითადი შინაარსი.

ამ მიზნის მისაღწევად, სასურველია, გამოკითხვა დაეყრდნოს მოთხრობის პირველი ნაწილის ცხრა საკითხიან თხრობის გეგმას (ე. წ. ნარატიულ ჩარჩოს), რომელიც მოსწავლეებმა წინა გაკვეთილზე შეადგინეს. შესაბამისად, მასწავლებელს საშუალება ექმნება, გამოკითხვაში ჩართოს ცხრა მოსწავლე და პროცესი დინამიურად წარმართოს.

მასწავლებლის შეკითხვები:

1. გაიხსენეთ მოთხრობის დასაწყისი: რატომ მიაბიჯებდა ბიჭი უხალისოდ?
2. როგორ აღწერა მწერალმა მისი გარეგნობა?
3. რამ მიიქცია საკუთარ ფიქრებში ჩაძირული ბიჭის ყურადღება? (ძალის გამოჩენა მოთხრობაში)
4. როგორი იყო ბიჭისა და მისი მეტოქეების პირველი შეხვედრა?
5. რატომ აღმოჩნდა ბიჭი სკოლის ნაცვლად მტკვრის რიყეზე?
6. როგორ გადმოგვცა მწერალმა ბიჭის, ნაგაზისა და მისი მეტოქე ფინიების ამბავი?

7. რა იყო მოულოდნელი ბიჭისა და ნაგაზის პირველად პირისპირ შეხვედრის სცენაში?
8. მეორედ როგორ გადაარჩინა ბიჭმა ნაგაზი?
9. როგორ დასრულდა მოთხრობის პირველი ნაწილი?

**აქტივობა 2.** კითხვა / წაკითხულის გააზრება (ტექსტის პირველი მონაკვეთი)

განწყობის შესაქმნელად, სასურველია, მიმართოთ წინასწარი მოლოდინის სტრატეგიას და დასვით შეკითხვები ვარაუდების გამოსატყეველად:

– თქვენი აზრით, რა იქნება მოქმედების ადგილად შერჩეული მეორე ნაწილში? როგორ გაგრძელდება მოთხრობაში ბიჭისა და ძაღლის ურთიერთობა?

მოსალოდნელია, რომ მოსწავლეები ამოიცნობენ მწერლის ჩანაფიქრს, ბიჭისა და ძაღლის რიყეზე ერთად ყოფნისა და დამეგობრების ეპიზოდი განავრცოს.

გამოიყენეთ ჩუმი კითხვის სტრატეგია – სთხოვეთ მოსწავლეებს, დამოუკიდებლად წაკითხონ მოთხრობის მეორე ნაწილი დასაწყისიდან (ბიჭმა ჩანთა რიყეზე მოისროლა) ფრაზამდე: „ახლა ტანისამოსი მოისროლეს განზე...“ (ეს ტექსტის ერთი მესამედია).

გარდა ამისა, დაავალეთ მოსწავლეებს, ფანქრით მონიშნონ მათთვის გაუგებარი სიტყვა თუ მონაკვეთი.

შენიშვნა: კითხვის ტემპის ასაკობრივი ნორმების მიხედვით, ჯერ კიდევ მესამე კლასის დასასრულს მოსწავლე წუთში საშუალოდ 114 სიტყვას უნდა კითხულობდეს. შესაბამისად, ჩვენი რჩევაა, მოსწავლეებს მისცეთ დრო სამი წუთი, რათა თავისუფლად წაკითხონ აღნიშნული მონაკვეთი (იხილეთ: კრებული „წიგნიერება, პირლს – 2006 საქართველოში“, გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2008 წელი“; გვ. 80)

კითხვის დასრულების შემდეგ:

ა) შეამოწმეთ, გამართლდა თუ არა წინასწარ გამოთქმული ვარაუდი მოქმედების ადგილისა თუ ბიჭისა და ძაღლის ურთიერთობის გაგრძელების შესახებ;

ბ) შეამოწმეთ, მათთვის გაუგებარი რა ლექსიკური ერთეული მონიშნეს მოსწავლეებმა (მოსალოდნელია, რომ მათ მონიშნული ექნებათ სიტყვა ჩქერი); სთხოვეთ მოსწავლეებს, კონტექსტის გათვალისწინებით განმარტონ ეს სიტყვა, შემდეგ კი მიუთითეთ, შეამოწმონ განმარტების სიზუსტე სახელმძღვანელოს ლექსიკონის დახმარებით. (დრო რომ არ დაიკარგოს, სახელმძღვანელოს ლექსიკონის შესაბამისი გვერდის ნომერი დაფაზე დაწერეთ; გვ 258).

გ) დასვით შეკითხვები წაკითხულის გააზრების შესამოწმებლად (შეკითხვები დაუსვით სხვადასხვა მოსწავლეს):

1. რატომ გამოხატავს ბიჭი ძაღლის მიმართ განწყობას მოთხრობის ამ ნაწილის დასაწყისში?
2. როგორ აღწერს ავტორი აივანზე მდგარ გოგონას? როგორ დაახასიათებთ გოგონას ამ მონაკვეთის მიხედვით? (მაგალითად, თამამი, ხალისიანი...)
3. რას ჩაიდენს ბიჭი „წაწვეებიანი გოგოს“ დანახვისას? ბიჭის რა თვისება ჩანს ამ ეპიზოდში?
4. სად ჩანს მოთხრობაში ის, რომ ძაღლი სიფრთხილეს იჩენს, ძნელად ენდობა ბიჭს?
5. როგორ იქცევიან ჩხუბისთავეები მტკვრის სანაპიროზე?

დ) გამოიყენეთ ამორჩევით კითხვის სტრატეგია (ტექსტის ერთი რომელიმე ფრაზის თუ მონაკვეთის მოძებნა და წაკითხვა): სთხოვეთ მოსწავლეებს, იპოვონ:

შედარებები (ა) „თევზივით გაუჩინარდა წყალში“; (ბ) „ყინულივით ცივი წყალი,“; და გამოთქმები, რომლებიც ადასტურებს, რომ წყალი, მართლაც, ძალიან ცივია (ბიჭს „ტანზე ხორკლები დააყარა“, „სხეული გაულურჯდა“).

**აქტივობა 3.** კითხვა/წაკითხულის გააზრება (ტექსტის მეორე მონაკვეთი)

კვლავ გამოიყენეთ ჩუმი კითხვის სტრატეგია ტექსტის მეორე მონაკვეთის გასაცნობად („ბიჭმა ველარ

მოთმინა“ – ნკავნკავით გავარდა სანყალი ფინია და ეზოს შეეფარა.“).

კითხვის დასრულების შემდეგ:

ა) შეამონმეთ, მონიშნეს თუ არა მათთვის გაუგებარი ლექსიკური ერთეული მოსწავლეებმა.

ლექსიკური მარაგის შესამონმებლად და გასამდიდრებლად, შეასრულებინეთ მათ სახელმძღვანელოში შემოთავაზებული სავარჯიშო (რიგით მე-19):.

– ამოკრიბე შინაარსით მსგავს სიტყვათა წყვილები:

შიში, მუდარა, ძრწოლა, რიდი, ვედრება, მოკრძალება.

(შიში – ძრწოლა; მუდარა – ვედრება; რიდი – მოკრძალება)

ბ) გამოიყენეთ ამორჩევით კითხვის სტრატეგია; სთხოვეთ მოსწავლეებს, იპოვონ:

1. მონაკვეთი, რომლითაც დაადასტურებენ, რომ ნაგაზი ბიჭის მადლიერია.

2. გამოთქმა, რომელიც მიგვანიშნებს, რომ მეტოქეებს ნაგაზის შეეშინდათ.

3. ტექსტის ის ადგილი, რომლითაც დაადასტურებენ, რომ გაუბედავი ბიჭი გათამამდა და შიში დაძლია.

გ) დასვით შეკითხვები ნაკითხულის გააზრების შესამონმებლად:

1. როდის ამბობს მწერალი ამ სიტყვებს: „ბიჭი გაბრწყინებული, თითქოს შიგნიდან განათებული თვალებით შესცქეროდა ძალს“? ბიჭის რა თვისება ჩანს ამ მონაკვეთში?

2. რამ განაპირობა მეტოქეების მოკრძალება ბიჭის მიმართ?

3. გაიხსენეთ: მოთხრობის პირველ ნაწილში ბიჭმა მეტოქეებს „მუქარით გახედა, მუშტი მოუღერა“; ახლა რატომ არ ფიქრობდა ბიჭი შურისძიებაზე?

დ) სთხოვეთ მოსწავლეებს, წყვილებში იმუშაონ: ერთად იმსჯელონ და ჩამოაყალიბონ პასუხი შეკითხვებზე: რა იყო ბიჭისა და ნაგაზის ცვლილების მიზეზი? რა საერთო თვისებები აქვთ ბიჭსა და ძალს? რატომ შეიცვალა მეტოქეების დამოკიდებულება ბიჭის მიმართ? (შეკითხვები დაფაზე დაწერეთ).

#### **აქტივობა 4.** კითხვა / ნაკითხულის გააზრება (ტექსტის ბოლო მონაკვეთი)

კითხვის დასრულების შემდეგ:

ა) შეამონმეთ, მათთვის გაუგებარი რა ლექსიკური ერთეული მონიშნეს მოსწავლეებმა (სავარაუდოდ, მათ მონიშნული ექნებათ სიტყვები: მოკრძალებული, შუშაბანდი, უბე); სთხოვეთ მოსწავლეებს, კონტექსტის გათვალისწინებით განმარტონ ეს სიტყვები, შემდეგ კი მიუთითეთ, შეამონმონ განმარტებათა სიზუსტე სახელმძღვანელოს ლექსიკონის დახმარებით. (ლექსიკონი სახელმძღვანელოს ბოლოში აქვს დართული).

ბ) დასვით შეკითხვები ნაკითხულის გააზრების შესამონმებლად:

1. როგორ აღწერს ავტორი ბიჭის ეზოს?

2. რატომ გადაწყვეტს უეცრად ბიჭი, ძალი გაუშვას, ჩამოიშოროს?

ბ) კვლავ მიმართეთ წინასწარი მოლოდინის სტრატეგიას და დასვით შეკითხვა ვარაუდების გამოსატქმელად:

– გამოთქვით ვარაუდი, როგორ გაგრძელდება მოთხრობა?

სთხოვეთ მოსწავლეებს, საკუთარი ვარაუდები ბარათზე მოკლედ დაწერონ და თქვენ გადმოგცენ, რათა მომდევნო გაკვეთილზე ერთად განიხილოთ.

**შენიშვნა:** მოგეხსენებათ, ეს სტრატეგია ძნელად გამოსაყენებელია მცირე ზომის ტექსტების კითხვისას, ვინაიდან ბავშვები წინასწარ ეცნობიან ხოლმე მომდევნო მასალას და იციან, როგორ გრძელდება ნაწარმოები; არჩილ სულაკაურის ამ ვრცელი მოთხრობის სწავლებისას, ვფიქრობთ, ეს მიზეზი ხელს ნაკლებად შეგვიშლის.

**აქტივობა 5.** ჩანიშნინეთ მოსწავლეებს დავალებები სახლში შესასრულებლად

ა) გრამატიკა (სახელმძღვანელოს დავალებათა ბლოკში რიგით 18): გადაინერე და აბსტრაქტულ არსებით სახელებს ქვეშ ხაზი გაუსვი:

1. მეტოქეებმა ბიჭს გადახედეს უსაზღვრო მოკრძალებით, რომელშიც ვედრება და მუდარა ერია... 2. ეს რამდენიმე ხანი ეზოში სიმშვიდე იყო ჩამოვარდნილი და ახლა ნამდვილად აჯანყდებოდნენ...

ბ) ტექსტის ენა: იპოვე ტექსტში შედარების კიდევ ორი ნიმუში:

(იგულისხმება: „დიდი შავი თვლებიდან შუქივით იღვრებოდა მადლიერება.“

„ბიჭები არ იძროდნენ, სარგადაცლაპულებივით იდგნენ“.)

გ) ჩანაწერი ნაკითხულის გასააზრებლად (სახელმძღვანელოს დავალებათა ბლოკში რიგით 21): შეადგინე მეორე ნაწილის თხრობის გეგმა, გამოყავი ცხრა საკითხი.

შეახსენეთ მოსწავლეებს, რომ მათ გაკვეთილზე წაიკითხეს პირობითად სამად დაყოფილი მონაკვეთი; ახლა მათ თითოეული ეს მონაკვეთი, თავის მხრივ, აზრობრივად ისევ სამად უნდა დაყონ და ყოველი გამოყოფილი ეპიზოდი მოკლედ დაასათაურონ.

## შეფასება

მოსწავლეები ფასდებიან იმის მიხედვით, თუ რამდენად შეძლეს კითხვის სტრატეგიის გამოყენება მიზნის შესაბამისად, ტექსტის სხვადასხვა ნაწილის ერთმანეთთან დაკავშირება.

## პაფუნების ღამეები

ყოველ წელიწადს არქტიკის კუნძულ ჰაიმეს სტუმრობენ ნარინჯის-ფერნისკარტიანი შავ-თეთრი ფრინველები. ესენი პაფუნები არიან. ნისკარტის ფერისა და მოუქნელი მოძრაობების გამო მათ „ზღვის ჯამბაზებსაც“ უწოდებენ. პაფუნები მოუხეშავი ფრინველები არიან, ტლანქი ტანი და მოკლე ფრთები აქვთ.

ჰალა კუნძულ ჰაიმეზე ცხოვრობს. ის ყოველდღე ზვერავს ცას იმ მაღალი კლდიდან, რომელიც ზღვას გადაჰყურებს. და აი, ბოლოს და ბოლოს გოგონა ხედავს პაფუნას, რომელიც იმ წელანადს პირველად გამოჩნდება კუნძულის ნაპირებთან. მალე ცა მთლიანად იფარება პაფუნებით, ყველგან პაფუნები არიან. ისინი ზღვიდან ბრუნდებიან, სადაც გამოიზამთრეს, ბრუნდებიან ჰალას კუნძულზე და ახლომახლო მდებარე უკაცრიელ კუნძულებზეც, რათა კვერცხები დადონ და პატარა პაფუნები გამოჩეკონ. ზღვის ჯამბაზები ყოველ წელს მხოლოდ ამ დროს ამოდიან ხმელეთზე და ყოველთვის ერთსა დაიმავე ადგილას დებენ კვერცხებს.

ჰალა და მისი მეგობრები კლდეებზე მიძვრებიან, ფრინველენი ახლოდან რომ დაინახონ. ისინი აკვირდებიან პაფუნების წყვილებს, რომლებიც ერთმანეთს ნისკარტებს უკაკუნებენ – ტკაპ-ტკაპ-ტკაპ. ცოტა ხნის შემდეგ პაფუნები თავიანთ კვერცხებს კლდეში ღრმად დამალავენ. როდესაც ჯვერცხებიდან ბარტყები გამოიჩეკებიან, მშობლები მათ გამოკვებაზე დაინყებენ ზრუნვას – მათთვის ზღვიდან თევზი ამოაქვთ. ბარტყები მალე ახალგაზრდა პაფუნებად გადაიქცევიან. და აი, გდება პაფუნების ღამე. ეს ის ღამეა, როდესაც ახალგაზრდა პაფუნები პირველად უნდა აფრინდნენ. მიუხედავად იმისა, რომ პაფუნების ღამეებამდე ჯერ კიდევ რამდენიმე კვირაა დარჩენილი, ჰალა უკვე მუყაოს ყუთების მომარაგებაზე ფიქრობს. ეს ყუთები მას პაფუნების ღამეებში გამოადგება.

ავგისტოსათვის პაფუნების ბუდეებს ნელ-ნელა ყვავილები ფარავს. ჰალამ იცის, რომ როდესაც გარშემო ყველაფერი აყვავილდება, პაფუნების ღამეების მოლოდინიც დასრულდება. ბუდეებში ჩამალულ ბარტყები უკვე ახალგაზრდა პაფუნებად იქცნენ, ასე რომ, დროა ჰალამ და მისმა მეგობრებმა პაფუნების ღამეებისათვის გამზადებული ყუთები და ჩირაღდნები გარეთ გამოიტანონ. პირველი ღამიდან მოყოლებული მთე-

ლი ორი კვირის მანძილზე პაფუნები კუნძულს ტოვებენ და გამოსაზამ-  
თრებლად ზღვას მიაშურებენ.

ლამის სიბნელეში პაფუნები თავიანთ ბუდეებს ტოვებენ, რათა პირ-  
ველად აფრინდნენ. ეს არის ხანმოკლე მოგზაურობა კლდიდან ზღვი-  
საკენ. ფრინველების უმეტესობა ქვემოთ, ზღვაში უვნებლად ეშვება  
ფრთხილით, მაგრამ ზოგს სოფლის სინათლეები ატყუებს – როგორც  
ჩანს, ისინი ფიქრობენ, რომ ეს მთვარის შუქის ანარეკლია წყალზე და  
ამიტომაც ზღვის ნაცვლად გეზს სოფლისკენ იღებენ. ასე რომ, ყოველ  
ლამე ასობით ახალგაზრდა პაფუნა სოფელში ეშვება. ისინი მინის სწორი  
ზედაპირიდან აფრენას ვეღარ ახერხებენ, შეშინებულები აქეთ-იქით  
ანყდებიან და დამალვას ცდილობენ.

ჰალა და მისი მეგობრები ღამეებს ამ პაფუნების ძებნაში ატარებენ.  
სხვათა შორის, მათ სოფლის ძაღლები და კატებიც ეძებენ. პაფუნებს  
სხვა საფრთხეც ემუქრებათ – შეიძლება ავტომანქანამ გადაუაროს. ამი-  
ტომ ბავშვებმა რაც შეიძლება სწრაფად უნდა იპოვონ ისინი. ამის გამოა,  
რომ სოფელი ღამის ათი საათიდან ბავშვებით ივსება.

ჰალა და მისი მეგობრები ერთმენეთს ეჯიბრებიან პაფუნების გა-  
დარჩენაში. ისინი ჩირაღდნებით შეიარაღებულები დაძვრებიან ბნელ  
ადგილებში და ყველაფერს ზვერავენ. ორი კვირის განმავლობაში ჰაიმეს  
ბავშვებს დილაობით გვიანობამდე სძინავთ, რათა ღამით ფხიზლად  
იყონ. ისინი ათასობით პაფუნას შველიან.

აი, ჰალამ შენიშნა პაფუნა, დაედევნა, დაიჭირა და ყუთში ჩასვა.  
გადარჩენილი პაფუნები ბავშვებს სახლში მიჰყავთ. მეორე დღეს კი  
პაფუნებით სავსე ყუთები ჰალას და მის მეგობრებს ზღვის სანაპიროზე  
ჩააქვთ. აქ მათ პაფუნები უნდა გაუშვან. ჰალას ყუთიდან პაფუნა ამო-  
ჰყავს და ისე უჭირავს, რომ ფრინველმა ფრთების ამოძრავება შეძ-  
ლოს. გოგონა ჯერ ფრთხილად არწევს პაფუნას და შემდეგ ზღვაში  
გადაისვრის. ფრინველი ერთს შეიფრთხილებს და უვნებლად ეშვება  
წყალზე.

დღე დღეს მისდევს და ჰალას პაფუნები ტოვებენ კუნძულს, მი-  
ცურავენ. ასე მთავრდება პაფუნების ღამეები. ჰალა უყურებს, თუ  
როგორ შორდებიან პაფუნები კუნძულს და როგორ მიემშურებიან გა-  
მოსაზამთრებლად. გოგონა მათ ხელს უქნევს და მომავალ გაზაფხუ-  
ლამდე ემშვიდობება: „ნახვამდის, ნახვამდის!“

ბრუს მაკმილანი

## ტესტი ტექსტისთვის „პაფუნების ღამეები“

- 1.** რატომ დაფრინავენ პაფუნები მოუქნელად?
- ა) იმიტომ, რომ ისინი ყინულზე ცხოვრობენ.
  - ბ) იმიტომ, ისინი ნაპირზე იშვიათად ამოდიან.
  - გ) იმიტომ, რომ ისინი მალალ კლდეებზე ბუდობენ.
  - დ) იმიტომ, რომ მათ ტლანქი რანი და მოკლე ფრთები აქვთ.
- 2.** სად იზამთრებენ პაფუნები?
- ა) კლდეებში
  - ბ) ხმელეთზე
  - გ) ზღვაში
  - დ) ყინულზე
- 3.** რატომ ესტუმრებიან ხოლმე პაფუნები კუნძულს?
- ა) თავის გადასარჩენად
  - ბ) საკვების მოსაპოვებლად
  - გ) კვერცხების დასადებად
  - დ) ფრენის სასწავლად
- 4.** საიდან ხვდება ჰალა, რომ პაფუნები მალე ფრენას დაიწყებენ?
- ა) მშობლებს პატარა პაფუნებისათვის თევზი მიაქვთ.
  - ბ) გარშემო ყველაფერი ყვავილებით იფარება.
  - გ) ბარტყები კლდეში არიან ჩამალული.
  - დ) ზაფხული ახლახან დაიწყო.
- 5.** რა ხდება პაფუნების ღამეების დადგომისას?
- ა) პაფუნების წყვილები ერთმანეთს ნისკარტებს უკაკუნებენ.
  - ბ) პატარა პაფუნებმა ფრენა უნდა დაიწყონ.
  - გ) პაფუნების კვერცხებიდან ბარტყები იჩეკებიან.
  - დ) პაფუნები ზღვიდან ხმელეთზე ამოდიან.
- 6.** როგორ უნდა მოიქცნენ სოფლის მცხოვრებლები, პაფუნებმა შეცდომით გეზი
- სოფლისაკენ რომ არ აიღონ?
  - ა) სინათლეები უნდა გამორთონ.
  - ბ) ყუთები უნდა გაამზადონ.



- გ) ძაღლები და კატები უნდა დაამწყვდიონ.
- დ) ცა ჩირაღდნებით უნდა გაანათონ.

**7.** ახსენი, როგორ იყენებს ჰალა თავის ჩირაღდანს პაფუნების გადასარჩენად.

**1**

---

---

**8.** რატომ სვამენ ჰალა და მისი მეგობრები პაფუნებს მუყაოს ყუთებში?

**1**

---

---

**9.** მოთხრობის მიხედვით, რა საფრთხე ემუქრებათ პაფუნებს?

- ა ისინი შეიძლება ზღვაში დაიხრჩონ.
- ბ ისინი შეიძლება კლდეში დაიკარგონ.
- გ მათ შეიძლება საკვები შემოაკლდნეთ.
- დ მათ შეიძლება ავტომანქანამ გადაუაროს.

**10.** რატომ უშვებენ ბავშვები ზღვაში პაფუნებს დღისით? ამის ასახსნელად გამოიყენე ტექსტიდან მიღებული ინფორმაცია.

**1**

---

---

**11.** რას აკეთებენ პაფუნები მას შემდეგ, რაც ჰალა და მისი მეგობრები მათ გაუშვებენ?

- ა ისინი ზღვის ნაპირზე დასეირნობენ.
- ბ ისინი კლდიდან გადაფრინდებიან.
- გ ისინი სოფელს აფარებენ თავს.
- დ ისინი ზღვაში მიცურავენ.

**12.** აღწერე ის ორი სხვადასხვანაირი გრძნობა, რომლებიც ჰალას უჩნდება მას შემდეგ, რაც პაფუნებს ზღვაში უშვებს. ახსენი, რატომ უჩნდება მას ეს გრძნობები.

---

---

---

---

---

---

**3**

**13.** თუ მიიღებდი მონაწილეობას პაფუნების გადარჩენაში ჰალასთან და მის მეგობრებთან ერთად? დაასაბუთე შენი პასუხი ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის გამოყენებით.

---

---

---

---

---

---

**3**

# ტესტის შეფასების სქემა

## არჩევითპასუხიანი კითხვები

თითო ქულა: 1. დ. 2. გ. 3. გ. 4. ბ. 5. ბ. 6. ა. 9. დ. 11. დ.

## ღია კითხვები

- 7.** ერთი ქულა: პასუხში ნაჩვენები უნდა იყოს, რომ ჩირაღდანი ეხმარება ჰალას სიბნელეში, ღამეში დაინახოს პაფუნები, / იპოვოს დამალული პაფუნები.  
0 ქულა: – ჩირაღდნით ჰალა სოფელში ღამით / სიბნელეში დადის (ზოგადია).
- 8.** ერთი ქულა: პასუხში ნაჩვენები უნდა იყოს, რომ მუყაოს ყუთებს ჰალა იყენებს იმისათვის, რომ პაფუნებმა უსაფრთხოდ იგრძნინ თავი, / ყუთები სოფლიდან ზღვის ნაპირზე პაფუნების გადაყვანის საშუალებაა.
- 10.** ერთი ქულა: პასუხში ნაჩვენები უნდა იყოს, რომ ღამით პაფუნებს ისევ შეიძლება გზა აებნეთ და სოფლის სინათლეებმა ისევ შეიძლება მიიზიდოს ისინი, / ბავშვებს ღამით, სიბნელეში გაუჭირდებათ პაფუნების ზღვაში გაშვება.
- 12.** სამი ქულა: პასუხში მითითებული უნდა იყოს ორი სხვადასხვანაირი გრძნობა, რომელიც ჰალას უჩნდება პაფუნების ზღვაში გაშვებისას; ამასთანავე დასახელებული უნდა იყოს ამ გრძნობათა გამომწვევი მიზეზები. მაგალითად:  
– ჰალა მონყენილი იყო, რადგან პაფუნებთან განშორება უნევედა. ჰალა ამავე დროს კმაყოფილიც იყო, რადგან პაფუნებს დაეხმარა.  
ორი ქულა: პასუხში მითითებული უნდა იყოს ორი სხვადასხვანაირი გრძნობა და ერთერთის გაჩენის მიზეზი, ან ერთი გრძნობა და მისი გაჩენის მიზეზი.  
– ის სევდიანია და ამასთანავე ბედნიერი, რადგან პაფუნებს დაეხმარა.  
– ის ბედნიერია, პასუხებს რომ დაეხმარა.  
ერთი ქულა: პასუხში მითითებული უნდა იყოს სხვადასხვანაირი გრძნობა მიზეზების დასახელების გარეშე.  
– ჰალა ბედნიერია და თანაც სევდიანი.  
0 ქულა: – ჰალა გახარებულია.  
– ჰალა დასევდიანებულია და მონყენილია.  
– ჰალა დასევდიანებულია.
- 13.** ერთი ქულა: პასუხში წარმოდგენილი უნდა იყოს მკითხველის დამოკიდებულება ტექსტში გადმოცემული ამბის მიმართ. ამასთანავე მკითხველისეული შეფასება დასაბუთებული უნდა იყოს ტექსტიდან მოტანილი სპეციფიკური ინფორმაციით, ან საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით განზოგადებული უნდა იყოს ტექსტისძირითადი აზრი. მაგალითად:  
– პაფუნების გადარჩენაში მონაწილეობას მივიღებდი, რადგან სახალისო უნდა იყოს ბნელ ღამეში ჩირაღდნებით პაფუნების ძებნა, / პაფუნების ზღვაში გაშვება.  
– პაფუნების გადარჩენაში მონაწილეობას არ მივიღებდი, რადგან არ მიყვარს ღამის გათენება.  
– პაფუნების გადარჩენაში მონაწილეობას მივიღებდი, რადგან ბარტყების გადარჩენა, / თანაცოლების დახმარება კარგი საქმეა.  
0 ქულა: – მინდა დავეხმარო ჰალას, / მინდა ამ საქმეში მივიღო მონაწილეობა (იმეორებს შეკითხვას).

# თავი 3 – სამშობლო

## ციხის სიზმარი (ორი საათი)

### მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლეთა გათვითცნობიერება ლექსის, როგორც მხატვრული ნაწარმოების, სპეციფიკაში; იმსჯელოს განწყობაზე, ამოიცნოს მხატვრული ხერხები და იმსჯელოს მის ფუნქციაზე.

### შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დანყ.(II).3. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ნაცნობი ტექსტების ინტერპრეტირება და შეფასება; მათ მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური შეფასება (საწყის დონეზე).

- ისმენს მხატვრულ ნაწარმოებს (ლექსს, ნოველას, მოთხრობას) და გამოხატავს საკუთარ ემოციებსა და შთაბეჭდილებებს;
- საუბრობს პოეტურ ნაწარმოებში გამოხატულ განწყობაზე;

ქართ.დანყ.(II.) 6. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ნაკითხვა, გაგება და გაანალიზება არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხების/დეტალების გათვალისწინებით.

- აკვირდება მწერლის ენას, ამოიცნობს ზოგიერთ მხატვრულ ხერხს (ეპითეტს, შედარებას, ჰიპერბოლას, გაპიროვნებას), სალექსო რითმას.

### პირველი გაკვეთილის ეტაპები

#### აქტივობა 1. მოსმენა, მეტყველება

განწყობის შესაქმნელად, ესაუბრეთ მოსწავლეებს მათთვის უკვე ნაცნობი პოეტის – ლადო ასათიანის – შესახებ: დააპირისპირეთ, ერთი მხრივ, მისი ტრაგიკული და ხანმოკლე ცხოვრება, და, მეორე მხრივ, ვაჟკაცობითა და სიცოცხლის სიყვარულით სავსე პოეზია; დაიმონმეთ სტრიქონები: „გზაში ყაყაჩოს შეხვედრა / სიკეთედ დაგვებედება, / სულ ახალგაზრდა ვიქნებით, / გული არ დაგვიბერდება“; სთხოვეთ მოსწავლეებს, გამოიცნონ, რომელი ლექსიდან არის ეს ნაწყვეტი, რა არის ამ ლექსის სათაური.

მოსალოდნელია, რომ ისინი დაასახელებენ მე-3 კლასში შესწავლილ ლექსს „ქართლის გზაზე“.

შემდეგ განაწყვეთ მოსწავლეები, გაიხსენონ ლადო ასათიანის სხვა ლექსებიც, შესწავლილი მე-4 კლასში, და მათი სათაურებიც დაასახელონ („ყაყაჩო“, „კრწანისის ყაყაჩოები“).

აღნიშნეთ, რომ ლადო ასათიანი, მართლაც, განსაკუთრებულ მოწინებებსა და პატივისცემას გამოხატავდა საქართველოს წარსულის, მისი გმირების მიმართ. იმ ლექსშიც კი, რომელშიც ის ბუნების ნატიფი ქმნილების – ყაყაჩოს – მშვენიერებას ხატავს, გვერდს ვერ აუვლის საქართველოს ისტორიას და ლექსს წარსულის სურათის გაცოცხლებით იწყებს; სთხოვეთ მოსწავლეებს, იქნებ, გაიხსენონ სტრიქონი, რომელიც თქვენ იგულისხმეთ.

მოსალოდნელია, რომ მოსწავლეები ლექსიდან „ყაყაჩო“ გაიხსენებენ სტრიქონებს:

„ძველად აქ ჯარებს უხმობდნენ / დაფდაფითა და ბუკითა...“

შემდეგ სთხოვეთ მათ, მეხსიერებაში აღიდგინონ „კრწანისის ყაყაჩოების“ შინაარსი და დაუსვით შეკითხვები:

– ვის მიუძღვნა პოეტმა ეს ლექსი? (სამას არაგველს/სამასი არაგველის ხსოვნას/თავდადებულ ქართველ მეომრებს)

– ამ ლექსის რომელ სტრიქონებში ჩანს განსაკუთრებული მონივნება და პატივისცემა გმირების მიმართ? („თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა!“)

## **აქტივობა 2. კითხვა / წაკითხულის გააზრება (ლექსის 5 სტროფი) (20 - 25 წუთი)**

განაწყვეთ კლასი ახალი ლექსის შესასწავლად; სასურველია, გამოიყენოთ წინასწარი მოლოდინის სტრატეგია: მოსწავლეებს ჯერ გააცნოთ ახალი ლექსის მხოლოდ სათაური და დასვათ შეკითხვა ვარაუდების გამოსათქმელად:

– ლექსის სათაურია „ციხის სიზმარი“; თქვენი აზრით, რა იქნება ამ ლექსის თემა?

მოსალოდნელია, მოსწავლეები ივარაუდებენ, რომ ლექსი საქართველოს წარსულს შეეხება. თუ მათ პასუხის გაცემა გაუძნელდებათ, დაეხმარეთ მინიშნებით: დააზუსტეთ, რომ ამ სათაურში სიტყვა ციხე (ძველ) ციხესიმაგრეს ნიშნავს და გააცანით ლექსის დასაწყისში მოცემული კომენტარი.

შემდეგ გამოიყენეთ ჩუმი კითხვის სტრატეგია – სთხოვეთ მოსწავლეებს, დამოუკიდებლად წაკითხონ ლექსის 5 სტროფი დასაწყისიდან („როცა მთვარე შეწყვეტს კაშკაშს“) სტრიქონამდე: „საქართველოს თვალი...“ გარდა ამისა, დაავალეთ მათ, ფანქრით მონიშნონ მათთვის გაუგებარი სიტყვა თუ მონაკვეთი.

კითხვის დასრულების შემდეგ:

ა) შეაფასეთ მოსწავლეთა ვარაუდი (ლექსის თემა, მართლაც, წარსულის მოგონებაა);

ბ) შეამოწმეთ, მათთვის გაუგებარი რა ლექსიკური ერთეული მონიშნეს მოსწავლეებმა (მოსალოდნელია, რომ მათ მონიშნული ექნებათ სიტყვები: ნატამალი, სენაკი); სთხოვეთ მოსწავლეებს, სახელმძღვანელოს ლექსიკონის დახმარებით დააზუსტონ ამ სიტყვათა მნიშვნელობა (დრო რომ არ დაიკარგოს, სახელმძღვანელოს ლექსიკონის შესაბამისი გვერდის ნომრები დაფაზე დაწერეთ; გვ. 254-258); შემდეგ კი გაარკვიეთ, როგორ ესმით მათ ამ სტრიქონების შინაარსი:

„სძინავს ციხეს, ნატამალი / ხმაც არ აკრთობს სმენას“.

გ) რადგან მოსწავლეებმა ლექსის ეს ნაწილი ჩუმად უკვე წაკითხეს, ამჯერად გამოიყენეთ ხმამაღლა გამომსახველობითი კითხვის სტრატეგია, სთხოვეთ რომელიმე მოსწავლეს, ხმამაღლა წაკითხოს ლექსის ეს მონაკვეთი და პოეტის განწყობა გადმოსცეს;

დ) შემდეგ კი დასვით შეკითხვები წაკითხულის გააზრების შესამოწმებლად:

1. ა) მიაქციეთ ყურადღება ბოლო სტრიქონს; როგორ ფიქრობთ, ვის გულისხმობს პოეტი ლექსის ამ სტრიქონებში – „გალავანზე გადმოდგება საქართველოს თვალი“?

მოსალოდნელია, რომ მოსწავლეები ერთმანეთს დაუკავშირებენ ამ მეტაფორასა და ლექსში ნახსენებ სახელს – თამარს; გამოიცნობენ, რომ ლადო ასათიანი ამ ლექსში თამარ მეფესა და თამარის ციხეს (ციხესიმაგრეს) გულისხმობს; მიხვდებიან, რომ პოეტის წარმოსახვით, ციხის გალავანზე თამარი გადმოდგა.

ბ) დასვით შეკითხვა: რატომ უწოდა პოეტმა თამარ მეფეს ქვეყნის თვალი, რა იგულისხმა მან?

პასუხების მოსმენის შემდეგ განმარტეთ: ხალხურ ლექსებში თვალი ხატოვნად სინათლეს, ნათელს, მზეს, მანათობელს აღნიშნავს; ქართული ენის გამოთქმები: მზის თვალი, ცხრათვალია მზე. გამოდის, რომ პოეტმა ციხის მაღალ გალავანზე გადმოდგარი თამარი მზეს შეადარა და ამით მისი დიდებულება წარმოაჩინა.

გ) გამოთქმული მოსაზრებების დასადასტურებლად, სთხოვეთ რომელიმე მოსწავლეს, ლექსის მე-6 სტროფი წაკითხოს:

ვისკენ მოაქვთ ეს აღმები,  
ვის უხდიან ჩაჩქანს?  
ეს თამარი ესალმება  
საქართველოს ლაშქარს!

2. თქვენ უკვე წაიკითხეთ სახელმძღვანელოს ლექსიკონში „სენაკის“ განმარტება. რა ეპითეტი (რომელი ზედსართავი სახელი) ერთვის ლექსში ამ სიტყვას? რის თქმა სურს ამით პოეტს?

მოსწავლეები ლექსში იპოვიან სიტყვას – „საოცნებო“ (მეორე სტროფის ბოლო სტრიქონი); სავარაუდოდ, ისინი მიხვდებიან, რომ პოეტი ამ ეპითეტით თამარისა და მისი მეფობის ხანის მიმართ თავის დამოკიდებულებას გამოხატავს; იგი საქართველოს იმდროინდელ დიდებას საოცნებოს უწოდებს. შესაძლებელია, მათ გაახსენოთ წინა გაკვეთილზე შესწავლილი მასალა – ისტორიული მოთხრობა დემეტრე თავდადებულის შესახებ – როგორც საპირისპირო განცდის მაგალითი; ამ თხზულებაში ავტორი საპირისპირო განცდას აღძრავს მკითხველში: ქვეყნის მდგომარეობა, მეფის ბედი სავალალოა და არა – საოცნებო.

3. ლექსის მიხედვით, რა შეგვიძლია ვთქვათ ციხის შესახებ: საიდან ვხვდებით, რომ ის ძალიან ძველია? მოსწავლეებმა უნდა იპოვონ სტრიქონები:

რომ მის ბებერ გალავანზე  
არნივები სხედან;  
რომ კვლავ ისმენს ძველთა ველთა  
ნიაჯ-ქარის ნანას,  
რომ მის ბებერ საძირკველთან  
ქართველები დგანან.

ასევე, მათ უნდა განმარტონ, რომ ციხე თამარის დროს უკვე არსებობდა და, შესაბამისად, მართლაც, ძველია.

ე) განიხილეთ ლექსის მხატვრული მხარე:

სთხოვეთ მოსწავლეებს, ყურადღება მიაქციონ ლექსის მელოდიას და განმარტონ, რამდენი მარცვალია სალექსო სტრიქონებში, როგორ რითმას იყენებს პოეტი.

მოსწავლეებმა უნდა შენიშნონ გრძელი და მოკლე – 8 და 6 მარცვლიანი სტრიქონების მონაცვლეობა და ე.წ. ჯვარედინი რითმის ნიმუშები.

როცა მთვარე შეწყვეტს კაშკაშს (8)  
და ბნელს შემოიხვევს, (6)  
ისე, როგორც დაღლილ ვაჟკაცს, (8)  
მძიმედ სძინავს ციხეს. (6)

შემდეგ მიეცით კლასს დავალება: თითოეულმა მოსწავლემ დაკვირვებით წაიკითხოს ლექსის ეს ნაწილი, იპოვოს შედარების ნიმუში და ფურცელზე დაწეროს განმარტება, მისი აზრით, რატომ იყენებს ამგვარ შედარებას პოეტი.

მოსალოდნელია, რომ მოსწავლეები ამოიცნობენ შედარებას:

„ისე, როგორც დაღლილ ვაჟკაცს,  
მძიმედ სძინავს ციხეს.“

და განმარტავენ: ციხესიმაგრეს აგებენ მტრისაგან თავდასაცავად, ამიტომ პოეტი მას ვაჟკაცს შეადარებს; დაღლილი კი გულისხმობს იმას, რომ ამ ციხეს დიდხანს (საუკუნეების მანძილზე) დაუცავს ხალხი, ქვეყანა.

### **აქტივობა 3. მოსმენა, მეტყველება, წერა**

ჰკითხეთ მოსწავლეებს, რა იციან მათ თამარის ეპოქაზე; იციან თუ არა, რომელ საუკუნეში მეფობდა თამარი, როგორი იყო მაშინ ჩვენი ქვეყანა; გაესაუბრეთ XII საუკუნის საქართველოს შესახებ.

მოსალოდნელია, მოსწავლეებმა აღნიშნონ, რომ თამარ მეფის დროს, XII საუკუნეში, ქვეყანას ძლიერი ლაშქარი ჰყავდა და მტერს იგერიებდა, ომებში იმარჯვებდა. ასევე, შესაძლებელია, მათ იცოდნენ, რომ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ თამარის მეფობის დროს შეიქმნა; კლდეში ნაკვეთი ქალაქი ვარძია თამარისდროინდელია... თქვენი მიზანია, შეავსოთ ბავშვების წარმოდგენა თამარის ეპოქის შესახებ, რათა ნათელი გახდეს ციხის სიზმარში პოეტის მიერ მინიშნებული „ლამაზი ფიქრების“ შინაარსი. აჩვენეთ მოსწავლეებს სახელმძღვანელოს 76-ე გვერდზე მოთავსებული თამარის ფრესკა, რომელიც სწორედ ვარძიაშია.

რადგან ამ ლექსის ემოციური შინაარსი ეყრდნობა და გულისხმობს საქართველოს ისტორიაში თამარის ეპოქის დიდი მნიშვნელობის ცოდნას, გასაუბრების შემდეგ, ცოდნის გასამყარებლად, გამოიყენეთ სტრატეგია – ვიცოდი/გავიგე.

მოსწავლეებმა ფურცელზე ორსვეტიანი ცხრილი უნდა დახაზონ და ჩაწერონ: რა იცოდნენ ამ გაკვეთილამდე თამარ მეფესთან დაკავშირებით (1. ვიცოდი); მათთვის ახალი რა გაიგეს გაკვეთილზე (2. გავიგე). შეგიძლიათ, დაუმატოთ მესამეც (3. მინდა, ვიცოდე).

### **აქტივობა 4. ჩაანიშნინეთ მოსწავლეებს დავალება**

ა) ზეპირად ისწავლონ ლექსის 6 სტროფი;

ბ) თითოეულ სტროფს შეურჩიონ მისი მთავარი სათქმელის გამომხატველი სათაური და რვეულში ჩამოწერონ.

(ნიმუში: მძინარე / დაღლილი ციხე; საოცნებო სენაკი / თამარის სენაკი; ლამაზი სიზმარი; ნიავ-ქარის ნანა; გალავანზე გადმომდგარი მეფე / საქართველოს თვალი; ლაშქარი მეფის წინაშე) / მისალმება).

## **მეორე გაკვეთილის ეტაპები**

### **აქტივობა 1. დავალების შემოწმება**

ა) შეამოწმეთ, როგორ შეუსრულებიათ მოსწავლეებს საშინაო დავალება

(თითოეული სტროფისათვის მისი მთავარი სათქმელის გამომხატველი სათაურის შერჩევა).

ბ) შეამოწმეთ, ისწავლეს თუ არა მათ ზეპირად ლექსის 6 სტროფი

(თქვენ მიერ შერჩეულ ექვს მოსწავლეს ათქმევინეთ თითო-თითო სტროფი);

### **აქტივობა 2. კითხვა/წაკითხულის გააზრება (ლექსის მეორე ნახევარი)**

კითხვის დაწყებამდე, მიეცით კლასს დავალება, დაკვირვებით წაკითხონ ლექსის გაგრძელება და ამოიცნონ ციხის სახელწოდება, რომელსაც პოეტი ამ ლექსში მიგვანიშნებს; გარდა ამისა, დაავალეთ მათ, ფანქრით მონიშნონ მათთვის გაუგებარი სიტყვა თუ მონაკვეთი.

გამოიყენეთ ჩუმი კითხვის სტრატეგია – სთხოვეთ მოსწავლეებს, დამოუკიდებლად წაკითხონ ლექსის მეორე ნაწილი.

კითხვის დასრულების შემდეგ:

ა) შეამოწმეთ, მიხვდნენ თუ არა მოსწავლეები, რომ ლადო ასათიანს არტანუჯის ციხე აქვს მხედველობაში; დასვით შეკითხვა:

– ჩანს თუ არა ლექსში, სად მდებარეობს ეს ციხე?

მოსწავლეებმა ყურადღება უნდა მიაქციონ სტრიქონს:

ეს თამარი იყურება / არტანუჯის მხრისკენ...

სთხოვეთ მოსწავლეებს, იპოვონ ეს სიტყვა სახელმძღვანელოს ლექსიკონში და განმარტება ამოიწერონ.

ბ) შემდეგ შეამოწმეთ, მათთვის გაუგებარი რა ლექსიკური ერთეული მონიშნეს მოსწავლეებმა (შესაძლებელია, მათ მონიშნული ჰქონდეთ სვე-ბედი; სთხოვეთ მოსწავლეებს, გაითვალისწინონ სტრიქონის საერთო შინაარსი და დამოუკიდებლად განმარტონ ეს სიტყვა.

გ) სთხოვეთ რომელიმე მოსწავლეს, ხმამაღლა წაკითხოს ლექსის ეს მონაკვეთი; შემდეგ კი დასვით შეკითხვები წაკითხულის გააზრების შესამოწმებლად:

1. თქვენი აზრით, რა მიგვანიშნა პოეტმა ამ შედარების გამოყენებით:

„ველარ ხედავს, გაავდება,  
აშლის ხავსის ბალანს,  
და გრუხუნებს ნაადრევი  
გაზაფხულის გვარად“.

აირჩიეთ პასუხი, რომელსაც ეთანხმებით და საკუთარი არჩევანი დაასაბუთეთ:

(ა) უსარგებლო, ხავსმოდებული ციხე განწირულია დასანგრევად და დასავინყებლად;

(ბ) ციხეს ჯერ კიდევ შეუნარჩუნებია მნახველზე ზემოქმედების ძალა და დიდებული იერი.

მოსალოდნელია, რომ ბავშვები (ბ) პასუხს აირჩევენ, რადგან ამ სტროფში აშკარად იგრძნობა თვითონ ლადო ასათიანის აღფრთოვანება ციხის დიდებულებით, გარდა ამისა, ნაადრევ გაზაფხულთან შედარება სიცოცხლის მანიშნებელია და არა – კვდომის. პოეტმა ციხესიმაგრის იერი ნაადრევი გაზაფხულის ავდარს, ჭექა-ქუხილს შეადარა.

2. ა) პოეტი ამბობს, რომ სიზმარში ციხის „ბებერ გალავანზე არწივები სხედან“;  
თქვენი აზრით, რატომ ახსენა მან სწორედ არწივი და არა – სხვა რამ ფრინველი?  
გახსენდებათ თუ არა არწივზე შექმნილი რომელიმე ლექსი?

მოსალოდნელია, რომ მოსწავლეები უკვე შესწავლილ ლექსს, ვაჟა-ფშაველას „არწივს“ გაიხსენებენ და მიხვდებიან, რომ გაბედული, ყვავ-ყორნებთან მეტრძოლი არწივი იმ მხედრებს, გულად მეომრებს უნდა დაუკავშირონ, რომლებიც ერთ დროს ციხის გალავანთან იკრიბებოდნენ. მიეცით მათ გეზი, გამოიტანონ დასკვნა, რომ პოეზიაში არწივსა და ვაჟკაცს საერთო თვისებები აქვთ (გაბედულება, ძალა, სიმარჯვე, სისწრაფე).

### **აქტივობა 3.** კითხვა / წაკითხულის გააზრება (ლექსის გამთლიანება)

გამოიყენეთ ხმამაღლა კითხვის სტრატეგია და ლექსის 11 სტროფი 11 მოსწავლეს ერთმანეთის მონაცვლეობით წაკითხეთ.

შემდეგ კი დასვით შეკითხვები ლექსის მთლიანობაში გასააზრებლად:

1. ლექსის მიხედვით, რა შეგვიძლია ვთქვათ ციხის შესახებ: როგორი იყო მისი წარსული და როგორი აქვს ანმყო?

მოსწავლეებმა უნდა იპოვონ სტრიქონები:

ვისკენ მოაქვთ ეს ალმები,  
ვის უხდიან ჩაჩქანს?  
ეს თამარი ესალმება  
საქართველოს ლაშქარს!

და გამოიტანონ დასკვნა, რომ ამ ციხესიმაგრესთან იკრიბებოდა ომში მიმავალ ქართველთა ლაშქარი, აქედან ხელმძღვანელობდა თამარ მეფე თავის ერთგულ მეომრებს. ახლა კი ყოველივე ეს ციხის წარსულია



და ბებერ ციხეს ხავსი მოსდებია.

ბ) დაასაბუთეთ ლექსიდან შერჩეული სტრიქონების დამონშებით, რომ პოეტი მკითხველში სხვადასხვაგვარ განცდას აღძრავს (დაფაზე ჩამონერეთ):

ა) სინანულს, ბ) სევდას, გ) სიამაყეს, დ) იმედს.

**ნიმუში:**

სინანული: ელვიძება, მაგრამ ძილში / ნახულს ველარ ხედავს.

სევდა: და ხავსიან გალავანზე / არწივები თვლემენ.

სიამაყე: რომ მის ბებერ საძირკველთან ქართველები დგანან; ან: რომ მის ბებერ გალავანზე / არწივები სხედან; ან: გალავანზე გადმოდგება / საქართველოს თვალი.

იმედი: და გრუხუნებს ნაადრევი / გაზაფხულის გვარად.

გამოათქმევინეთ მოსწავლეებს პირადი ემოცია, საკუთრივ მას რა განცდა დაეუფლა ამ ლექსის ნაკითხვის შემდეგ.

გ) მონიშნეთ ლექსში გასულიერების ხერხის – გაპიროვნების ორი ნიმუში, რომელიც განსაკუთრებით მოგეწონათ.

(„მძიმედ სძინავს ციხეს“. „ველარ ხედავს, გაავდება, აშლის ხავსის ბალანს“, და სხვ.)

**აქტივობა 4. ჩაანიშნინეთ მოსწავლეებს დავალება**

ა) თითოეულ სტროფს შეურჩიონ მისი მთავარი სათქმელის გამომხატველი სათაური (ან შეარჩიონ სტროფიდან ერთი სტრიქონი) და რვეულში ჩამონერონ.

**ნიმუში:**

არტანუჯის მხარე; დასვენებული ვაჟკაცი (მზიანი დილა); გამქრალი სიზმარი; გაავება ნაადრევი გაზაფხულის გვარად; ისევ სიზმარი.

სასურველია, პირველი სტროფი გაკვეთილზევე დაასათაუროთ, როგორც ნიმუში საშინაო დავალებისთვის.

ბ) მოიპოვონ დამატებითი ცნობები არტანუჯის ციხის შესახებ და მათთვის განსაკუთრებით საინტერესო ინფორმაცია ჩაწერონ რვეულში.

# თავი 4 – იგავის ენა

---

## ქუნნი და ოქრო

---

### მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლემ შეძლოს იგავის მორალის ამოცნობა და გააზრება, დასაბუთებული მსჯელობა, დაკავშირება პირად გამოცდილებასთან.

### შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დანყ.(II).7.მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტების ინტერპრეტირება, დასაბუთებული დასკვნის გამოტანა და შეფასება; ტექსტების მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; კითხვით გამოწვეული განწყობილებისა და შთაბეჭდილების გადმოცემა.

- ტექსტის მთლიანი გააზრების საფუძველზე გამოაქვს დასკვნა;
- ავლებს პარალელს თემატურად მსგავს ნაწარმოებებთან.

### წინარე ცოდნა

მოსწავლეებმა იციან იგავის რაობა, შეუძლიათ ტექსტის დამოუკიდებლად წაკითხვა და გააზრება, აქვთ თანამშრომლობითი მუშაობის უნარები.

### გაკვეთილის მსვლელობა

ორგანიზების ფორმები: საერთო-საკლასო, ინდივიდუალური, ჯგუფური

#### **აქტივობა 1.** მოტივაცია, წინარე ცოდნის გააქტიურება (საერთო საკლასო მუშაობა)

მასწავლებელი დაფაზე წერს მეხუთე თავის სათაურს: „იგავის ენა“ და სთხოვს მოსწავლეებს განმარტონ, როგორ ესმით ეს სიტყვები. მოსწავლეები აფიქსირებენ თავიანთ მოსაზრებას, მასწავლებელიც უზუსტებს, რომ იგავის ენა ნიშნავს არაპირდაპირი, გადატანითი მნიშვნელობით საუბარს და ძალიან ხშირად აქვს დამრიგებლობითი ხასიათი. იგავის განმარტების დროს მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს თავის დასაწყისში მოცემული ტექსტი.

მასწავლებელი დაფაზე აკრავს წინასწარ ფურცელზე გადატანილ ცნობილ გამონათქვამებს და სთხოვს მოსწავლეებს, დაასახელონ, რომელ მათგანშია გამოყენებული იგავის ენა და დაასაბუთონ, რატომ ფიქრობენ ასე (მაგალითად: „გარეთ ატლასი, შიგნით - ათასი“; „და ცხოვრობდნენ ისინი დიდხანს და ბედნიერად“; „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“; „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების“; „გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“, „ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყო“ და ა. შ.). მასწავლებელი ეხმარება მათ საკუთარი მოსაზრებების დაზუსტებაში.

### **აქტივობა 2. სათაურის გააზრება (საერთო საკლასო მუშაობა)**

მასწავლებელი მოსწავლეებს უსახელებს იგავის სათაურს („ძუნწი და ოქრო“) და სთხოვს გამოთქვან მოსაზრებები, რა შეიძლება აკავშირებდეს ერთმანეთთან ძუნწსა და ოქროს. მოსწავლეები იტყვიან, რომ ძუნწ ადამიანს უყვარს ოქრო, ენანება მისი დახარჯვა, უჭირს გაცემა და ა. შ.

### **აქტივობა 3. ტექსტის ნაკითხვა**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს ჩუმად წაკითხონ ტექსტი, გაიაზრონ შინაარსი და მონიშნონ წინადადება, რომელშიც ჩანს იგავის მორალი.

### **აქტივობა 4. ნაკითხულის გააზრება**

მასწავლებელი, იმის შესამოწმებლად, რამდენად გაიგეს ტექსტი მოსწავლეებმა, სვამს შეკითხვებს (შეუძლია გამოიყენოს სახელმძღვანელოში მოცემული კითხვებიც).

- რატომ ნახულობდა ძუნწი ყოველდღე იმ ადგილს, სადაც ოქრო დაფლა?
- რატომ არ უნდოდა ძუნწს ოქროს დახარჯვა?
- რატომ დაენანა ძუნწს ოქროს დაკარგვა?
- რატომ შეუცვალა კაცმა ლოდით ოქროს?
- როგორ გესმით „ავად ქონება“?

### **აქტივობა 5. მსჯელობა იგავის მორალზე (ჯგუფური მუშაობა)**

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, ტექსტის კითხვისას რომელი წინადადება ჩათვალეს იგავის მორალად? ვერსიების დასახელებისა და ახსნის შემდეგ იმართება მსჯელობა მორალზე. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს ახსნან, რატომ შეიძლება იყოს „ავად ქონება“ არქონებაზე უარესი.

მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს, რომ რალაცის ქონა და მისი არგამოყენება არ შეიძლება მხოლოდ ოქროს შეეხებოდეს (მაგალითად, შეიძლება ადამიანი იყოს გონიერი, მაგრამ არ იყენებდეს თავის შესაძლებლობებს). მასწავლებელი ყოფს მოსწავლეებს ჯგუფებად და სთხოვს მოიფიქრონ მაგალითები, რომელსაც შეიძლება ეს მორალი მიესადაგოს (შეუძლიათ გამოიყენონ ფილმები, ნაწარმოებები, პირადი გამოცდილება, ფანტაზიის უნარი).

### **აქტივობა 6. პრეზენტაციები**

მოსწავლეები აკეთებენ პრეზენტაციებს და აფასებენ ერთმანეთს იმის მიხედვით, რამდენად კარგად შეძლეს მორალის განზოგადება, სხვა სიტუაციებისთვის მისადაგება.

## **საშინაო დავალება**

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებად, ამავე მორალზე შექმნან პატარა ამბავი ან იგავი.

## **შეფასება**

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, რამდენად შეძლეს ტექსტის გააზრება, დასაბუთებული მსჯელობა მორალის ირგვლივ, ლოგიკური მაგალითების მოფიქრება.

# თავი 5 – დანაშაული და სასჯელი

---

## მესარკე

---

### მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლემ შეძლოს პრობლემის ირგვლივ არგუმენტირებულად მსჯელობა, კონკრეტული მაგალითებით გამყარება.

### შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დანყ.(II).2 . მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა და გაგება-გააზრება; ტექსტებზე მსჯელობა და დასკვნის გამოტანა.

- გამოაქვს დასკვნა ტექსტში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე;
- მონაწილეობს ლიტერატურული ნაწარმოების შესახებ გამართულ დისკუსიაში, მსჯელობს ნაწარმოებში ასახული პრობლემის/კონფლიქტის შესახებ.

### წინარე ცოდნა

მოსწავლეებს შეუძლიათ ტექსტის გააზრება, აქვთ დასაბუთებული მსჯელობისა და თანამშრომლობითი მუშაობის უნარები.

### გაკვეთილის მსვლელობა

ორგანიზების ფორმები: საერთო-საკლასო, ჯგუფური

#### აქტივობა 1. მოტივაცია

მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს მოტივაციით, რისთვისაც იყენებს აქტივობას „იდუმალი ყუთი“. შემოაქვს ლამაზად შეფუთული ყუთი, რომელშიც დევს სარკე, თუმცა მოსწავლეებმა ამის შესახებ არ იციან. მასწავლებელი ქარაგმებით უხსნის მოსწავლეებს, რა დევს ყუთში. მაგალითად, ის არასდროს ტყუის; ზოგჯერ მოგვწონს, ზოგჯერ – არა; ერთი ზღაპრის გმირი ხშირად მიმართავს მას კითხვით და პასუხით უკმაყოფილო, ათასგვარ ბოროტებას ჩადის... და ა. შ. ასე აგრძელებს, სანამ მოსწავლეები არ იტყვიან სწორ პასუხს. ასე გადადის გაკვეთილის თემაზე.

#### აქტივობა 2. სათაურის გააზრება

მასწავლებელი მოსწავლეებს უსახელებს მოთხრობის სათაურს („მესარკე“) და სთხოვს, განმარტონ ეს სიტყვა. მოსწავლეები იტყვიან, რომ მესარკე არის ადამიანი, რომელიც ამზადებს სარკეს. მასწავლებელი ეკითხება: თქვენი აზრით, რის შესახებ იქნება ტექსტი? მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს.

### **აქტივობა 3. ტექსტის ნაკითხვა ეპიზოდებად (ინდივიდუალურად)**

მასწავლებელი ეპიზოდებად აკითხებს ტექსტს მოსწავლეებს და სთხოვს მათ, ყოველი ეპიზოდის ბოლოს გასცენ პასუხი კითხვაზე **რატომ**. მათ უნდა ამოიცნონ მიზეზი პრობლემისა, რომელიც ჩნდება კონკრეტულ სიტუაციებში.

**შენიშვნა:** ყველა ეპიზოდში პატარა კითხვაა დამალული და მოსწავლეები ამ კითხვაზე პასუხის გაცემით უკეთ შეიმეცნებენ ტექსტსაც და მის ალგორითულად გადმოცემულ სათქმელსაც. გარდა ამისა, მოსწავლეების მოსაზრებებს მასწავლებელი უბრუნდება მას შემდეგ, რაც შემდეგ ეპიზოდს წაიკითხავენ.

**მაგალითად:** პირველი ეპიზოდის ნაკითხვის შემდეგ (პირველი აბზაცი) მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: თქვენი აზრით, რატომ სთხოვდნენ ქალები ხელმწიფეს იმ კაცის ჩამოხრჩობას?

მოსწავლეების პასუხის შემდეგ მასწავლებელი კითხულობს შემდეგ მონაკვეთს („ბოლოს მოპასუხე წარსდგა... - ...ამდენი კი გულითადი მეგობარიო?“) და სთხოვს მოსწავლეებს, გასცენ პასუხი მეფის კითხვას: რატომ ჰყავდა მესარკეს ამდენი მტერი და ამდენი მეგობარი?

მოსწავლეების პასუხის შემდეგ მასწავლებელი კითხულობს შემდეგ მონაკვეთს („დიდებულო ხელმწიფე... - ... ეს რას ნიშნავსო?“) და სთხოვს მოსწავლეებს, გასცენ პასუხი მეფის კითხვას: რატომ ითხოვდა ასი დასჯას და ორმოცი – მის ხსნას?

მოსწავლეების პასუხის შემდეგ მასწავლებელი კითხულობს ტექსტს ბოლომდე.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გასცენ პასუხი კითხვებს:

რატომ ახსენებს მეფე მესარკეებთან ერთად მწერლებს?

რა საერთო შეიძლება ჰქონდეთ ამ ორი პროფესიის წარმომადგენლებს?

### **აქტივობა 4. მსჯელობა მთავარი სათქმელის ირგვლივ (მუშაობა ჯგუფებში)**

მასწავლებელი ყოფს მოსწავლეებს მცირე ჯგუფებად და სთხოვს გაიხსენონ იგავები, თქმულებები, რომელთა მიზანიც ადამიანებისთვის მათი ნაკლის ჩვენება და გამოსწორებაა.

### **აქტივობა 5. პრეზენტაციები**

მოსწავლეები აკეთებენ პრეზენტაციებს, აფასებენ ერთმანეთს და საკუთარ თავს იმის მიხედვით, რამდენად კარგად შეძლეს მაგალითების მოფიქრება და დასაბუთება.

## **საშინაო დავალება**

მასწავლებელი მოსწავლეებს საშინაო დავალებად აძლევს სახელმძღვანელოდან მე-12 სავარჯიშოს (მოსწ. ნიგნი, გვ. 76).

## **შეფასება**

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, რამდენად შეძლეს საკუთარი აზრის ნათლად გამოხატვა, არგუმენტირებული მსჯელობა და კონკრეტული მაგალითებით გამყარება.

## საშინელი სასჯელი მოღალატისა

ისტორიული ამბავი

მეთექვსმეტე საუკუნის ბოლოს თბილისის სამხრეთით, სოფელ ტაბახ-მელას მიდამოებში, საშინელი ომი იყო გაჩაღებული. იბრძოდნენ, ერთი მხრივ, სპარსელები და ლეკები, მეორე მხრივ, ქართველები. პირველ დღეს ომის სასწორი ქართველებისაკენ გადმოიხარა, მეორე დღესაც გამარჯვება უფრო ჩვენებისაკენ იყო, მაგრამ მესამე დღეს კი ქართველთა ჯარის ბედი უკუღმა დატრიალდა საზიზღარი ლაღალატის გამო.

წინა ღამეს ჩვენი ჯარიდან მტრის ბანაკში გაიპარა ერთი უფროსთაგანი, გვარად ყორღანაშვილი, რომელსაც მოღალატეობით სწადა, მოეპოვებინა სპარსელებისაგან სიმდიდრე და კეთილდღეობა. მან სპარსელებს შეატყობინა ყოველივე გარემოება ქართველთა ჯარისა, ასწავლა გზები, გამოუძღვა წინ და მესამე დღეს სისხამ\* დილაზე თავს დაასხა ისინი ჩვენებს სრულიად მოულოდნელად. მაგრამ ქართველები მამაცურად დაუხვდნენ მტერს, გმირულად გაუმკლავდნენ და უკუაქციეს.

მეტადრე დიდი, ლომებრივი ვაჟკაცობა გამოიჩინა სვიმონ მეფემ, რომელიც მედგრად მისდევდა უკან მტერს. საუბედუროდ, მეფე მეტად გაიტაცა ომმა, სრულიად დაივიწყა სიფრთხილე, ყველაზე წინ წავიდა ბრძოლაში და სპარსელების შუაში მოექცა. ამ დროს მოისმა სპარსელთა მხრიდან ყორღანაშვილის ხმა: – ეგ არის სვიმონ მეფე, შეიპყარით! – შემოეხვივნენ ჩვენს მეფეს სპარსელები, სრულიად მოსწყვიტეს ქართველთა ჯარს, სტაცეს ხელი და საჩქაროდ გააქანეს. ჩვენი ჯარი თავგანწირულად გაექანა წინ, ცდილობდა, როგორმე ეხსნა მეფე. თვითონ მეფეც გაშმაგებული\* იბრძოდა, მაგრამ ვერას გახდნენ. სვიმონ მეფე ტყვედ წაიყვანეს სპარსელებმა.

როგორც ჩანს, ქართველთა ჯარი, უსარდლოდ დარჩენილი, შეძრწუნდა, დაიბნა და ამიტომაც წააგო ომი. სპარსელებმა დაიპყრეს მთელი ქართლი და თბილისში მეფედ დასვეს სვიმონ მეფის ძმა დავითი, რომელმაც უღალატა ქრისტეს, მიიღო თათართა რჯული\*, დაუმორჩილა თავისი ქვეყანა სპარსეთის შაჰს, დაადო დიდი ხარკი ხალხს მტრის სასარგებლოდ, სპარსეთის ჯარი თავის დასაცავად დაიტოვა თბილისში და სახელიც კი სპარსული დაირქვა – დაუთ ხანი\*.

სვიმონ მეფე ტყვედ გააგზავნეს სპარსეთში შაჰთან, რომელმაც იგი დიდი პატივით მიიღო და მეფობის დაბრუნება აღუთქვა, თუ ქრისტეზე უარს იტყოდა და მაჰმადს ირწმუნებდა, თუ ქართველობას უღალატებდა

და სპარსელების მომხრე გახდებოდა. მაგრამ სვიმონ მეფემ შაჰს ცივი უარი უთხრა, რის გამოც იგი საპყრობილეში გამოამწყვდიეს.

მიზეზი ამ საყოველთაო უბედურებისა – მოღალატე ყორღანაშვილი, დიდად გაბატონებული სპარსელებისაგან, არხეინად ბრძანდებოდა და ფიქრი არაფრისა ჰქონდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ქართველები ვერაფერს გაუბედავდნენ სპარსელების შიშით, მაგრამ მწარედ მოტყუვდა.

მთელი ქართველობა მოელოდა ისეთი ვაჟკაცის გამოჩენას, რომელიც ყორღანაშვილს მიაყენებდა იმდენადვე საშინელ სასჯელს, რამდენადაც საშინელი იყო მისი დანაშაული მეფისა და ქვეყნის წინაშე.

ერთხელ მანგლისის გზაზე შეხვდნენ ერთმანეთს მოღალატე ყორღანაშვილი და ყოფილი წინამძღოლი ქართველთა ჯარისა, საჩინო ბარათაშვილი. ეს შეხვედრა თვალჩაუნვდენელი ხრამის პირას მოხდა. ყორღანაშვილმა ბარათაშვილს არხეინად მისცა სალამი: „საჩინოს გაუმარჯოსო“; საჩინომ მიაძახა: „ღმერთმა ყველა ქართველს გაუმარჯოს იუდა მოღალატეზედაო!“ ჩაუქროლა წინ თავისი ცხენით და მოღალატე უფსკრულში გადაჩეხა. ყორღანაშვილი დაეშვა კლდიდან კლდეზე, დაიმტვრა, დაიღენა და საშინელი ტანჯვით დალია თავისი ცოდვილი სული.

მთელი საქართველო თანაუგრძნობდა მის დამსჯელ საჩინო ბარათაშვილს, რომელიც არ შეუშინდა სპარსელების რისხვას და გაბედულად აღასრულა მამულიშვილის ვალი.

ეგდო უპატრონოდ ყორღანაშვილის გვამი რამდენიმე დღეს. ამ ადგილთან შეკრებილა თურმე მთელი ხროვა დამშეული მგლებისა, მაგრამ, ხალხის თქმულებით, როცა მშიერმა ნადირებმა დაყნოსეს და შეიტყვეს, რომ ეს იყო გვამი მოღალატე ყორღანაშვილისა, ზიზღით აივსნენ, პირი არ დააკარეს, უკანვე გაბრუნდნენ და ისევ შიმშილი არჩიეს, ვიდრე მოღალატის ლეშის ჭამით პირის ნაბილნვა. როგორც ჩანს, ღალატი, ხალხის აზრით, საშინლად ეზიზღებათ და უსაზღვროდ სძულთ არა მარტო ადამიანებს, არამედ მგლებსაც კი.

იაკობ გოგებაშვილი

### უპასუხე შეკითხვებს

1. რამდენი საუკუნის წინათ გამართული ომის შესახებ გვიამბობს ავტორი?
2. როგორ დაასაბუთებ ტექსტის მიხედვით იმას, რომ ეს ომი ქართველებს არ წამოუნყიათ?
3. რა იყო მიზეზი იმისა, რომ „მესამე დღეს ქართველთა ჯარის ბედი უკუღმა დატრიალდა“?
4. რატომ უღალატა ყორღანაშვილმა საკუთარ ჯარსა და ქვეყანას?

5. როგორ ახასიათებს ავტორი სვიმონ მეფეს? რა საბედისწერო შეცდომა დაუშვა ბრძოლის დროს მეფემ?
6. ტექსტში ვკითხულობთ: „როგორც ჩანს, ქართველთა ჯარი, უსარდლოდ დარჩენილი, შეძრწუნდა, დაიბნა და ამიტომაც წააგო ომი“. განმარტე, ამ გამონათქვამიდან რა უნდა მივიღოთ ფაქტად და რა უნდა მივიჩნიოთ ავტორის ვარაუდად? მიგაჩნია თუ არა დამაჯერებლად მისი ვარაუდი?
7. ვინ იყო დაუთ ხანი სინამდვილეში?

### შეადარე

8. წარმოაჩინე, რა დამოკიდებულება ჰქონდათ სპარსეთის შაჰთან სვიმონის ძმას, დავითს, და თვითონ სვიმონ მეფეს? (შეადარე ერთმანეთს IV და V აბზაცები).
9. რაა საერთო ყორღანაშვილისა და დაუთ ხანის საქციელს შორის?

### უპასუხე შეკითხვებს

10. ავტორი ამბობს, მოლალატე ყორღანაშვილი დარწმუნებული იყო, ქართველები ვერაფერს გაუბედავდნენო. რატომ ფიქრობდა ასე ყორღანაშვილი?
11. რას ვიგებთ ტექსტიდან საჩინო ბარათაშვილის შესახებ?
12. რატომ მიაჩნდა ხალხს საჩინო ბარათაშვილის საქციელი გაბედულებად? იპოვე შეკითხვის პასუხი IX აბზაცში.
13. ახსენი, რატომ უნოდებს ყორღანაშვილს საჩინო იუდას, ხოლო ავტორი – ცოდვილს?

### იმსჯელე

14. ნაწარმოებში გამოკვეთილია ხალხის დაუფარავი გულგრილობა ყორღანაშვილის ბედის მიმართ. შენი აზრით, რატომ იმსახურებს მისი დანაშაული ასეთ საყოველთაო აღშფოთებას?
15. შენი სიტყვებით განმარტე, რა არის ამ ნაწარმოებში გადმოცემული ხალხური თქმულების მთავარი აზრი; რის თქმა სურს ხალხს მგლების უჩვეულო საქციელზე შექმნილი ლეგენდით?
16. როგორ დააკავშირებ შოთა რუსთაველის აფორიზმს „ვეგობ კაცსა აუგინსა, ცრუსა და ღალატინსა“ იაკობ გოგებაშვილის მიერ მოთხრობილ ამ ისტორიულ ამბავთან?

### დანერე

17. შეადგინე თხრობის გეგმა აბზაცების მიხედვით.

### მოიპოვე ინფორმაცია

18. „ჩვენი საქართველოს“ მასწავლებლის დახმარებით, მოიძიე დამატებითი ინფორმაცია ყორღანაშვილის შესახებ.



# თავი 6 – თანაგრძობა და სინანული

## მუსა

### მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლემ შეძლოს პერსონაჟის ფიქრების, განცდებისა და ემოციების ამოცნობა, არგუმენტირებული მსჯელობა.

### შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დანყ.(II).6.მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა, გაგება და გაანალიზება არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხების/დეტალების გათვალისწინებით.

- ახასიათებს პერსონაჟებს როგორც ექსპლიციტურად მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ისე შინაარსის გააზრების საფუძველზე;

ქართ.დანყ.(II).7.მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტების ინტერპრეტირება, დასაბუთებული დასკვნის გამოტანა და შეფასება; ტექსტების მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; კითხვით გამოწვეული განწყობილებისა და შთაბეჭდილების გადმოცემა.

- განმარტავს პერსონაჟთა ქცევის მოტივს და აფასებს მათ საქციელს;
- გამოაქვს დასკვნა პერსონაჟებს შორის არსებული ურთიერთობის შესახებ, ცდილობს ნათქვამის დასაბუთებას ტექსტის მონაცემებზე დაყრდნობით;
- ტექსტის მთლიანი გააზრების საფუძველზე გამოაქვს დასკვნა.

### წინარე ცოდნა

მოსწავლეებს შეუძლიათ ტექსტის გააზრება, აქვთ არგუმენტირებული მსჯელობისა და თანამშრომლობითი მუშაობის უნარები.

### გაკვეთილის მსვლელობა

ორგანიზების ფორმები: საერთო-საკლასო, წყვილური, ინდივიდუალური

#### აქტივობა 1. მოტივაცია

მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს თავის თემაზე („თანაგრძობა და სინანული“) საუბრით და ეკითხება მოსწავლეებს:

- გინანიათ თუ არა თქვენი საქციელი?
- გქონიათ თუ არა დანაშაულის გრძობა?
- გიფიქრიათ თუ არა იმაზე, ვისაც აწყენინეთ, როგორ იქნებოდა ის თქვენი წამოსვლის შემდეგ?

– თქვენი აზრით, მსგავსი განცდები შეიძლება თუ არა დაგვებადოს ცხოველებისა და მცენარეების მიმართაც?

– როგორ ფიქრობთ, შეიძლება თუ არა სინანულმა მოგცეს შეცდომის გამოსწორების საშუალება?

მოსწავლეთა პასუხების შეჯამების შემდეგ მასწავლებელი ეუბნება, რომ ამ კითხვებზე თავისებური პასუხია გაკვეთილზე შესასწავლი მოთხრობა, რევაზ ინანიშვილის „მუხა“ და ასე გადადის გაკვეთილის თემაზე.

### **აქტივობა 2. დამოკიდებულების გამომხატველი სიტყვები**

მასწავლებელი ბავშვებს სთხოვს ჩამოთვალონ დამოკიდებულების, ემოციების გამომხატველი სიტყვები (არამხოლოდ თანაგრძნობისა და სინანულის აღმნიშვნელი). მოსწავლეთა მიერ დასახელებულ ტერმინებს მასწავლებელი წერს დაფაზე: თანაგრძნობა, გულგრილობა, სიყვარული, სინანული, მზრუნველობა, მეგობრობა, ალერსი, ტკივილი, უდარდებლობა... შეიძლება თავადაც დაეხმაროს მოსწავლეებს ამ ტიპის სიტყვების დასახელებაში.

### **აქტივობა 3. ტექსტის ნაკითხვა/ანალიზი**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ჯერ ჩუმიად წაიკითხონ ტექსტი, დაფიქრდნენ და შეასრულონ მიცემული ინსტრუქცია: თითოეული პერსონაჟის ქმედება რომელიმე ამ სიტყვით/სიტყვებით განსაზღვრონ.

### **აქტივობა 4. პრეზენტაცია**

მესამე აქტივობის დასრულების შემდეგ მოსწავლეებმა უნდა გაუზიარონ ერთმანეთს თავიანთი მოსაზრებები.

სამუშაოს დასრულების შემდეგ მოსწავლეები აკეთებენ პრეზენტაციებს და აფასებენ ერთმანეთს და საკუთარ თავს იმის მიხედვით, რამდენად ლოგიკურად შეუსაბამეს დამოკიდებულების აღმნიშვნელი სიტყვები პერსონაჟთა ქმედებებს და რამდენად არგუმენტირებულად შეძლეს საკუთარი თვალსაზრისის დასაბუთება.

### **აქტივობა 5. მსჯელობა ტექსტის ირგვლივ, მუშაობა წყვილებში**

მასწავლებელი იმავე წყვილებს სთხოვს, დააკვირდნენ მუხას და მონადირეს – როგორები ჩანან ისინი ტექსტის დასაწყისში და როგორ იცვლებიან თხზულების დასასრულს; იმსჯელონ, რამ გამოიწვია ასეთი ცვლილება. მოსწავლეები იტყვიან, რომ მუხა დასაწყისში გვევლინება მიტოვებულ და საბრალო არსებად, ბოლოს კი მას მართოსულად ვერ აღვიქვამთ. მას ბუნებამ მოუჩინა ჭრილობა და თანაუგრძნო. მონადირე კი აღარ არის ახალგაზრდა, გამოუცდელი და გულგრილი, ის უკვე ხვდება თავის არასწორ საქციელს და სინანულის გრძნობაც უჩნდება.

### **აქტივობა 6. შეჯამება**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ბარათებზე დაწერონ ორ-ორი წინადადება, რა დასკვნა გამოიტანეს გაკვეთილიდან და გასვლისას მასწავლებელს დაუტოვონ მაგიდაზე.

## საშინაო დავალება

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებად, მონადირის პირით მისწერონ წერილი შვილიშვილს და ეცადონ აუხსნან, რატომ მოიხადა ქუდი მუხის წინაშე.

## შეფასება

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, რამდენად შეძლეს საკუთარი აზრის ნათლად გამოხატვა, არგუმენტირებული მსჯელობა და გრძნობისა და ემოციის გამომხატველი სიტყვების ლოგიკურად მისადაგება.

# თავი 7 – ვაჟკაცსა – გული რკინისა

## სამი არ გაინურთნება

### მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლემ შეძლოს დიალექტური ფორმების განმარტება, ტექსტის ენაზე მუშაობა, არგუმენტირებული მსჯელობა.

### შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დანყ.(II).1.მოსწავლემ უნდა შეძლოს სამეტყველო ქცევის წარმართვა საკომუნიკაციო მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად.

- ზეპირი გამოსვლის/პრეზენტაციის დროს ნათლად წარმოადგენს თემას/საკითხს სათანადო ინფორმაციის მონოდებითა და ლოგიკური თანამიმდევრულობის დაცვით;

ქართ.დანყ.(II).3. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ნაცნობი ტექსტების ინტერპრეტირება და შეფასება; მათ მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური შეფასება (საწყის დონეზე).

- ისმენს მხატვრულ ნაწარმოებს (ლექსს, ნოველას, მოთხრობას) და გამოხატავს საკუთარ ემოციებსა და შთაბეჭდილებებს;

ქართ.დანყ.(II).6. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ნაკითხვა, გაგება და გაანალიზება არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხების/დეტალების გათვალისწინებით.

- აკვირდება მწერლის ენას, ამოიცნობს ზოგიერთ მხატვრულ ხერხს (ეპითეტს, შედარებას, ჰიპერბოლას, გაპიროვნებას), სალექსო რითმას.

### წინარე ცოდნა

მოსწავლეებმა იციან დიალექტიზმის განმარტება, ნასწავლი აქვთ ფშაურ დიალექტზე შექმნილი ნაწარმოებები, აქვთ არგუმენტირებული მსჯელობისა და თანამშრომლობითი მუშაობის უნარები.

### გაკვეთილის მსვლელობა

ორგანიზების ფორმები: საერთო-საკლასო, წყვილური, ინდივიდუალური

აქტივობა 1. მოტივაცია

მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს თავის თემაზე („ვაჟკაცსა - გული რკინისა“) საუბრით და სთხოვს მოსწავლეებს, დაასახელონ ზედსართავი სახელები, რომლებითაც დაახასიათებდნენ ვაჟკაცს. მოსწავ-

ლეთა პასუხებს ჩამონერს დაფაზე და ეუბნება, რომ შეისწავლიან ქართულ ხალხურ ლექსს ვაჟკაცსა და ვაჟკაცობაზე, დააკვირდებიან, რამდენად დაემთხვევა მათი წარმოდგენები ლექსში ნათქვამს. და ასე გადადის გაკვეთილის თემაზე.

### **აქტივობა 2. ტექსტის წაკითხვა**

შენიშვნა: აღსანიშნავია, რომ ლექსი ფშაურ დიალექტზეა დანერილი, ამიტომ უპირველესად მნიშვნელოვანია შინაარსის გაგება.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ყურადღებით მოუსმინონ და დააკვირდნენ ინტონაციას, სიტყვებს. მასწავლებელი ორივე ლექსს უკითხავს ხმამაღლა, გამომეტყველებით, კომენტარების გარეშე, ფშაური კილოკავის გამოყენებით.

### **აქტივობა 3. ტექსტის ენაზე მუშაობა**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რა განსხვავება დაინახეს ინტონაციაში. მოსწავლეთა პასუხების შემდეგ მასწავლებელი აზუსტებს, რომ ლექსი დანერილია ფშაურ დიალექტზე, ახსენებს დიალექტისა და დიალექტიზმის განმარტებას და სთხოვს მოსწავლეებს, ჩუმიად წაკითხონ ლექსი, ამონერონ დიალექტიზმები და მიუჩინონ სალიტერატურო ფორმა. მოსწავლეები ამონერენ შემდეგ სიტყვებს: გაიწურთ-ნება, მაშლის, კაი ყმა, მაუხდება... რომელი სიტყვების განმარტებაც გაუჭირდებათ, მასწავლებელი უზუსტებს მის მნიშვნელობას, აქტივობის ბოლოს კი ამახვილებს ყურადღებას კაი ყმის მნიშვნელობაზე, მის ვაჟკაცურ თვისებებზე.

### **აქტივობა 4. ტექსტის ანალიზი (მუშაობა ჯგუფებში)**

მასწავლებელი ყოფს მოსწავლეებს მცირე ჯგუფებად, ნაწილს სთხოვს გაიაზრონ რატომ გამოარჩია პოეტმა ერთმანეთისგან მგელი, არწივი და კაი ყმა და რით ემსგავსებიან ისინი ერთმანეთს, ნაწილს კი სთხოვს, იმუშაონ მეორე ტექსტზე და ყურადღება გაამახვილონ კაი ყმის მახასიათებლებზე. მუშაობის დასრულების შემდეგ მოსწავლეები აკეთებენ პრეზენტაციებს.

### **აქტივობა 5. მუშაობა ჯგუფებში – თანამედროვე „კაი ყმა“**

მასწავლებელი იმავე ჯგუფებს სთხოვს, დაასახელონ ის თვისებები, რომლებიც, მათი აზრით, უნდა ახასიათებდეს თანამედროვე კაი ყმას და იმჯელონ იმაზე, რით შეიძლება ის განსხვავდებოდეს ლექსებში აღწერილი ვაჟკაცისგან. მუშაობის დასრულების შემდეგ მოსწავლეები აკეთებენ პრეზენტაციებს.

## **საშინაო დავალება**

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებად, რომელიმე ლექსი ისწავლონ ზეპირად.

## **შეფასება**

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, რამდენად შეძლეს დიალექტიზმების სწორად განმარტება, საკუთარი აზრის ნათლად გამოხატვა, არგუმენტირებული მსჯელობა.

# თავი 8 – სიცილი გადამდებია

## რაზედ იცინოდნენ ყვაპილები

### მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლეებმა შეძლონ ტექსტის გაგება- გააზრება; ტექსტის ფრაგმენტების ვიზუალიზაცია.

### შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დანყ.(II).7.მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტების ინტერპრეტირება, დასაბუთებული დასკვნის გამოტანა და შეფასება; ტექსტების მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; კითხვით გამოწვეული განწყობილებისა და შთაბეჭდილების გადმოცემა.

- ქმნის წაკითხული ან მოსმენილი ტექსტის ილუსტრაციას/ილუსტრაციებს (შესაძლებელია კომპიუტერული გრაფიკული რედაქტორის გამოყენებით); ხსნის, რა კავშირშია მის მიერ შექმნილი ილუსტრაცია/ილუსტრაციები ტექსტთან ან ტექსტის ცალკეულ ეპიზოდთან;

ქართ.დანყ.(II).9.მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება მიზნის შესაბამისად.

- იყენებს სხვადასხვა ხერხს, რომლებიც ხელს უწყობს ტექსტის გაგებას (მაგ., წარმოსახვაში აცოცხლებს ტექსტში გადმოცემულ ამბებს, ახდენს ტექსტში გადმოცემული ამბის ინსცენირებას, საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს ტექსტის ცალკეული მონაკვეთის შინაარსს, აკვირდება დასმულ კითხვას იმის დასადგენად, თუ რა ტიპის ოპერაციას მოითხოვს იგი და სხვ.);

### წინარე ცოდნა

მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი შთაბეჭდილების სხვადასხვა ფორმით გადმოცემა. ინსტრუქციის შესრულება.

### გაკვეთილის მსვლელობა

ორგანიზების ფორმები: ინდივიდუალური, წყვილური

**აქტივობა 1.** მასწავლებელი თემისა და მიზნის გაცნობის შემდეგ მოსწავლეებს სთხოვს, დააკვირდნენ ილუსტრაციას და ეკითხება:

თქვენი აზრით, რაზე იქნება ტექსტი? სავარაუდოდ, მოსწავლეები უპასუხებენ, რომ მოთხრობა იქნება თევზაობის შესახებ.

ამის შემდეგ მასწავლებელი უსვამს თემატურ კითხვებს:

რა იცით თევზაობის შესახებ? (წესები, ინვენტარი....)

ყოფილხართ თუ არა სათევზაოდ?

### **აქტივობა 2. ტექსტის ნაკითხვა და ანალიზი (წყვილებში)**

**შენიშვნა:** ამ მოთხრობის შესასწავლად ჩვენ შევარჩიეთ აქტივობა „ტექსტის ვიზუალიზაცია“: მოსწავლეები არა მარტო ისმენენ ნაკითხულ ტექსტს, არამედ წარმოიდგენენ მას სურათებად, კადრებად.

მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს სტრატეგიას. და სთხოვს მათ, რომ ტექსტის მოსმენისას დახუჭონ თვალები და თავიანთ გონებაში გააცოცხლონ კადრები ისე, თითქოს ტელევიზორს უყურებენ.

მასწავლებელი უკითხავს ტექსტს მოსწავლეებს, ყოველი პასაჟის დასრულების შემდეგ სთხოვს აღწერონ მათს გონებაში გაცოცხლებული კადრები. თუ მოსწავლეებს გაუჭირდებათ რომელიმე მონაკვეთის აღწერა, მასწავლებელი ეხმარება მათ კითხვების მეშვეობით (შეუძლია გამოიყენოს სახელმძღვანელოში მოცემული კითხვები).

### **აქტივობა 2. სტრატეგიის შეფასება**

მოსწავლეები განიხილავენ, დაეხმარა თუ არა ვიზუალიზაცია ტექსტის გაგებაში.

### **აქტივობა 3. ტექსტის ენაზე მუშაობა (წყვილებში)**

ტექსტის შინაარსის დამუშავების შემდეგ მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს თავის სათაურს: „სიცილი გადამდებიაო“. სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ ტექსტს, იმსჯელონ, რა ქმნის ხალისიან განწყობას მოთხრობაში. თუ მოსწავლეები ვერ შენიშნავენ, მასწავლებელი მიანიშნებს, რომ ყურადღება მიაქციონ ზედსართავ სახელებს.

ამასთან, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაუბრუნდნენ თავიანთ აღწერებს და დააკვირდნენ, გამოჩნდა თუ არა ეს იუმორისტული განწყობა ნაშრომებში. მოსწავლეები დააკვირდებიან ერთმანეთის ნამუშევრებსაც.

### **აქტივობა 4. პრეზენტაცია**

რამდენიმე წყვილი აკეთებს პრეზენტაციას, დანარჩენები ავსებენ. მასწავლებელი ადარებს მოსწავლეთა მოსაზრებებს. აფასებენ მათ, რამდენად ლოგიკური იყო პასუხები.

## **საშინაო დავალება**

მასწავლებელი მოსწავლეებს ავალებს შეასრულონ სახელმძღვანელოში მოცემული მე-20 და 21-ე (მოსწ. წიგნი, გვ. 117).

## **შეფასება**

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, შეძლეს თუ არა მოსმენილი ტექსტის ვიზუალიზაცია, გაიგეს თუ არა კითხვის ახალი სტრატეგია, ტექსტის მოსმენა და გაანალიზება.

## თავი 9 – და მე ვიგონებ...

### ხელოსნობა საქართველოში (წრამენტები ფილიპი გომიჩაიშვილის ნიგნიდან)

**შენიშვნა:** სასურველია, დაეთმოს ორი გაკვეთილი

#### მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები:

შემეცნებითი ხასიათის ტექსტის დანიშნულების გააზრება და მის სტრუქტურაში გარკვევა

#### შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან:

ქართ.დანყ.(II).6.მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ნაკითხვა, გაგება და გაანალიზება არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხების/დეტალების გათვალისწინებით.

- გამოკვეთს არსებით ინფორმაციას ტექსტის ცალკეული მონაკვეთიდან;
- ამოკრებს კონკრეტულ ინფორმაციას (სად, როდის, რამდენი, რამდენჯერ, როგორი, რითი და სხვ.);
- აკვირდება ტექსტზე დართულ ილუსტრაციებს და მსჯელობს, რამდენად ასახავს ილუსტრაცია ტექსტის განწყობას, რას გვეუბნება იგი ტექსტში აღწერილი ადგილის, დროის, ამბის, პერსონაჟთა ხასიათების, მათი ურთიერთდამოკიდებულებისა და ემოციების შესახებ; აფასებს, რამდენად ეხმარება მას ილუსტრაცია ტექსტის გაგებაში და/ან იძლევა თუ არა იგი დამატებით მასალას ტექსტის შესახებ;

ქართ.დანყ.(II).9.მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება მიზნის შესაბამისად.

- კონკრეტული ინფორმაციის მოსაძიებლად თვალს გადაავლებს ტექსტის სტრუქტურას, სიტყვიერ და არასიტყვიერ მარჯვნივებელ ელემენტებს და მათზე დაყრდნობით ამოკრებს საჭირო მასალას/მონაცემებს;

#### პირველი გაკვეთილის ეტაპები:

##### აქტივობა 1. მოსმენა

განწყობის შესაქმნელად, ესაუბრეთ მოსწავლეებს სხვადასხვა ხალხის ყოფა-ცხოვრებასა და ტრადიციებს შორის განსხვავების შესახებ; აუხსენით მათ, რომ ყოველი ერი, ხალხი, გამორჩეულია თავისი ტრადიციული წესებითა და საქმიანობით... რა თქმა უნდა, საქართველოც თავისთავადი საყოფაცხოვრებო კულტურით გამოირჩევა. თუ ჩვენ ნიკო ფიროსმანის ნახატებს თვალს გადავავლებთ, ცხადად დავინახავთ საგნებს, რომელთაც საქართველოში ხელოსნები თვითონვე ამზადებდნენ. (სასურველია, ალბომიც გადაშალოთ და აჩვენოთ: დოქი, ყანნი, ფიალა...) შემდეგ განმარტეთ, რომ, თუ ხელოვნებაში – მხატვრობასა და მწერლობაში – ნივთი, საგანი, მხატვრული სინამდვილის ნაწილია, საინფორმაციო ხასიათის ტექსტში, შესაძლებელია, ამა თუ იმ საგნის დამზადების წესს, დეტალურ აღწერას გავეცნოთ. შეახსენეთ მათ უკვე შესწავლილი საინფორმაციო ხასიათის ტექსტი, ხელოსნობა საქართველოში, რომელშიც აღწერილია ქართული ფარდაგების, ხალიჩების, აბგებისა და ხურჯინების დამზადება; ასევე, აღწერილია ბუნებრივი ქსოვილების შეღებვის შესახებ ხალხური ცოდნა... განაწყვეთ ისინი ამავე ავტორის (ფილიპე გომიჩაიშვილის) ნიგნიდან კიდევ ერთი ნაწყვეტის გასაცნობად.



## **აქტივობა 2.** კითხვა/ნაკითხულის გააზრება, მეტყველება (პირველი მონაკვეთი)

გამოიყენეთ ჩუმი კითხვის სტრატეგია – სთხოვეთ მოსწავლეებს, დამოუკიდებლად წაიკითხონ ტექსტის პირველი ნაწილი დასაწყისიდან („იმ საგნებიდან“ ...) ფრაზამდე: „ოქრომჭედლებს აძლევდნენ.“ (ეს ტექსტის ერთი მესამედია და 5 აბზაცს მოიცავს).

გარდა ამისა, დაავალეთ მოსწავლეებს, ფანქრით მკრთალად მონიშნონ მათთვის გაუგებარი სიტყვა თუ მონაკვეთი.

კითხვის დასრულების შემდეგ:

ა) შეამოწმეთ, მათთვის გაუგებარი რა ლექსიკური ერთეული მონიშნეს მოსწავლეებმა (შესაძლებელია, მათ მონიშნული ჰქონდეთ სიტყვები: წარჩინებული (ოჯახები) და (ოქროთი) მოსაპირკეთებლად; სთხოვეთ მოსწავლეებს, გაითვალისწინონ წინადადების საერთო შინაარსი და დამოუკიდებლად განმარტონ ეს სიტყვები; მიაქციეთ ყურადღება სინონიმურ ცალებს: წარჩინებული – შეძლებული; მოსაპირკეთებლად – მოსაჭედად, ზედაპირის შესამკობად. მოპირკეთების მნიშვნელობის გააზრებაში ბავშვებს დაეხმარებათ, ასევე, სახელმძღვანელოში ჩართული ფოტოსურათი, რომელზეც თვალნათლივ ჩანს მოპირკეთებული ყანნი);

ბ) დასვით შეკითხვები ნაკითხულის გააზრებლად:

1. ტექსტის მიხედვით, რა განსხვავებაა გუდასა და ტიკს შორის?

მიუთითეთ მოსწავლეებს, ერთმანეთს შეადარონ პირველსა და მეოთხე აბზაცებში გადმოცემული ინფორმაცია. მათ უნდა შენიშნონ, რომ: ა) გუდა, უპირატესად, ცხვრის ტყავისაგან მზადდება, ხოლო ტიკი – თხის, ხარის ან კამეჩის ტყავისაგან; ბ) გუდას ყველისა და კარაქის შესანახად იყენებენ, ხოლო ტიკს – ღვინის გადასატანად თუ შესანახად; გ) გუდას, ძირითადად, საქართველოს მთაში აკეთებდნენ.

სთხოვეთ რომელიმე მოსწავლეს, შეაჯამოს პასუხი, განმარტოს, რა განსხვავებაა ამ ორ საგანს შორის მათი დასამზადებელი მასალისა და დანიშნულების მიხედვით.

2. დააკვირდით ნახატებს; ამათგან რომელია ტყაპუჭი?

მოსწავლეებმა ტექსტის მეორე აბზაცის შინაარსის გააზრებითა და სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ფოტოსურათებზე დაკვირვებით უნდა ამოიცნონ ტყაპუჭი; სავარაუდოა, რომ ისინი ყურადღებას მიაქცივენ ამ სიტყვის ტექსტშივე მოცემულ სინონიმს – კურტაკი – და ადვილად შენიშნავენ განსხვავებას ქუდასა და ტანისამოს შორის.

3. რას გვიამბობს ავტორი დაირის დამზადების შესახებ?

ამ შეკითხვის პასუხი მე-3 აბზაცის შინაარსის გადმოცემას მოითხოვს. მათ უნდა განმარტონ: ა) რისგან მზადდებოდა დაირა (ცხვრის ტყავი, ხის რკალი), ბ) როგორ მზადდებოდა ის, გ) რა არის ამ ნივთის დანიშნულება (საკრავი).

4. რომელი თვითნაკეთი ნივთის შესამკობად მიმართავდნენ ხოლმე გლეხები უშუალოდ ამ ხელობის მცოდნეს?

მოსწავლეებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ტექსტის მეხუთე აბზაცში ყანნის შესახებ გადმოცემულ ინფორმაციას. გარდა ამისა, შეკითხვის მიზანია, ოქრომჭედლის ხელობის განსაკუთრებული მნიშვნელობა წარმოჩინდეს; აქ ჩამოთვლილ ყველა სხვა ხელობას გლეხები ოჯახში თვითონვე ეუფლებოდნენ, ოქრომჭედლობა კი არ იყო ჩვეულებრივი საქმიანობა, ამ საქმეში ოსტატები საგანგებოდ იწაფებოდნენ.

## **აქტივობა 3.** კითხვა/ნაკითხულის გააზრება, მეტყველება (მეორე მონაკვეთი)

ისევ გამოიყენეთ ჩუმი კითხვის სტრატეგია და ამჯერად სთხოვეთ მოსწავლეებს, დამოუკიდებლად

ნაიკითხონ ტექსტის მეორე ნაწილი დასაწყისიდან („აქვე მოვიხსენიოთ ქალამანიც“ ...) ფრაზამდე: „თაფლის სანთლების ჩამოქნა“ (ტექსტის ეს ნაწილი 6 აბზაცს მოიცავს).

ამჯერადაც დაავალეთ მოსწავლეებს, ფანქრით მონიშნონ მათთვის გაუგებარი სიტყვა თუ მონაკვეთი. კითხვის დასრულების შემდეგ:

ა) შეამონმეთ, მათთვის გაუგებარი რა ლექსიკური ერთეული მონიშნეს მოსწავლეებმა; სავარაუდოდ, მათ მონიშნული ექნებათ კანაფი. სთხოვეთ მოსწავლეებს, სახელმძღვანელოს ლექსიკონის დახმარებით განმარტონ ეს სიტყვა (დრო რომ არ დაიკარგოს, სახელმძღვანელოს ლექსიკონის შესაბამისი გვერდის ნომერი დაფაზე დანერეთ; გვ. 255).

ბ) დასვით შეკითხვები ნაიკითხულის გასააზრებლად:

1. რა ნიშნით აერთიანებს ავტორი სამ საქმიანობას: თოკის დაგრეხას, ბადეების ქსოვასა და სანთლების ჩამოქნას?

მოსწავლეებმა უნდა აღნიშნონ, რომ სამივე სამუშაოს ასრულებდნენ როგორც მამაკაცები, ისე ქალებიც.

2. ტექსტის მიხედვით, რომელ სამუშაოს ასრულებდნენ მხოლოდ მამაკაცები?

ამ შეკითხვის დახმარებით მოსწავლეები ტექსტის პირველსა და მეორე ნაწილს მთლიანობაში გაიაზრებენ; მათ უნდა ჩამოთვალონ ყველა ხელობა, რომელსაც ოჯახში მხოლოდ მამაკაცები სწავლობდნენ: გუდისა და ტიკის, ქუდეებისა და ტყაპუჭის, დაირის, ყანნისა და ქალამნის დამზადება.

3. როგორ მზადდებოდა ქალამანი?

მოსწავლეების დახმარებით, გეგმის სახით ჩამოწერეთ დაფაზე ქალამნის დამზადების თანამიმდევრობა; დასვით შეკითხვები: თავდაპირველად რას აკეთებდნენ? რა იყო რიგით მეორე მოქმედება? შემდეგ რა მოსდევდა? და ა. შ. ბავშვებმა ყურადღებით უნდა ნაიკითხონ ტექსტის მე-8, მე-9 და მე-10 აბზაცები და ავტორის მიერ ამ საქმიანობის თანამიმდევრული აღწერა გაიაზრონ.

#### **ნიმუში:**

ა) ტყავს გაჭიმავდნენ ჯოხებზე და სხვენზე გასაშრობად დებდნენ.

ბ) გამშრალ ტყავს ჭრიდნენ რამდენიმე ნაჭრად (1 ნაჭერი 1 წყვილი ქალამნისათვის საკმარისი უნდა ყოფილიყო).

გ) აცლიდნენ ტყავის ნაჭერს ბენვს, – ბენვის მხარეს აყრიდნენ ნაცარს და ხის დანით ფხეკდნენ.

დ) გაფხეკილ ტყავს ალბობდნენ წყალში, შემდეგ ჭრიდნენ ორად და თითოეულისაგან ქალამანს ამოსახამდნენ (ამოსახამად იყენებდნენ დანასა და ტყავიდან ჩამოჭრილ თასმებს).

ე) ბოლოს ქალამნის გვერდებზე მიამაგრებდნენ ტყავის ან კანაფის თასმებს ფეხზე შემოსაკრავად.

#### **აქტივობა 4. კითხვა /ნაიკითხულის გააზრება, მეტყველება (ბოლო მონაკვეთი)**

ამჯერადაც გამოიყენეთ ჩუმი კითხვის სტრატეგია და სთხოვეთ მოსწავლეებს, დამოუკიდებლად ნაიკითხონ ტექსტის მესამე ნაწილი დასაწყისიდან („კანაფის ღეროებს დებდნენ“ ...) ბოლომდე (ტექსტის ეს ნაწილი 5 აბზაცს მოიცავს).

ისევ დაავალეთ მოსწავლეებს, ფანქრით მონიშნონ მათთვის გაუგებარი სიტყვა თუ მონაკვეთი.

კითხვის დასრულების შემდეგ:

ა) შეამონმეთ, მათთვის გაუგებარი რა ლექსიკური ერთეული მონიშნეს მოსწავლეებმა (სავარაუდოდ, მათ მონიშნული ექნებათ სიტყვები: ნეჭა, სელი, ყალიბი, თითბერი). სთხოვეთ მოსწავლეებს, გაითვალისწინონ ტექსტში სათანადო წინადადებების მთლიანი შინაარსი და ზოგადად განმარტონ ამ სიტყვათა

მნიშვნელობები; ისინი, ალბათ, მიხვდებიან, რომ ნეჭა ქერქის სინონიმია, სელი მცენარეა, ყალიბი ფორმას ეწოდება, თითბერი ლითონი უნდა იყოს, რადგან სპილენძთან ერთად ასახელებს მას ავტორი და, თან, ჭურჭლის დასამზადებლად გამოიყენება. შემდეგ კი შეარჩიეთ ოთხი მოსწავლე, გაუნანილეთ სიტყვები და დაავალეთ, სახელმძღვანელოს ლექსიკონში იპოვონ და ხმამაღლა წაიკითხონ ამ სიტყვათა განმარტებები.

ბ) დასვით შეკითხვები წაკითხულის გასააზრებლად:

1. როგორ მიიღება ცვილი ძველი საოჯახო მეურნეობის ხერხით? შეასრულეთ სახელმძღვანელოში რიგით მე-9 სავარჯიშო – აღადგინეთ სწორი თანამიმდევრობა.

საკითხები ასე უნდა დაინომროს: 2, 1, 4, 3, 5, 7, 6.

### ნიმუში:

2. ფიჭას მცირე ხნით ცეცხლზე ადუღებენ.

1. თაფლგამონურულ ფიჭას ჩადებენ წყლიან ქვაბში.
2. როდესაც ქსოვილის ზედაპირზე ცვილი ცოტათი გაცივდება, მას მოხდიან.
3. ნადულს განურავენ ტილოთი ან რომელიმე სხვა თხელი ქსოვილით.
4. ცვილს ქვაბში მოათავსებენ და ცოტა წყალსაც დაასხამენ.
5. შემდნარ ცვილს სპილენძის ან თითბრის ჭურჭელში ათავსებენ.
6. ამჯერად ცვილს მხოლოდ ადნობენ, რათა შემდეგ კალაპოტში მოაქციონ.  
(სასურველია, ამ დავალების შესრულებისას მოსწავლეებმა წყვილებში იმუშაონ.)

2. რისთვის იყენებდნენ სპილენძსა და თითბერს საოჯახო მეურნეობაში, ცვილის დამზადებისას? მოსწავლეები გაიაზრებენ, რომ კალაპოტი და ყალიბი სინონიმებია; სპილენძი ან თითბერი საუკეთესო მასალაა შემდნარი ცვილის მყარი ყალიბის დასამზადებლად.

3. განმარტეთ, რის დასამზადებლად არის საკმარისი ერთი კვერცხის წონის ცვილი და პატრუქი? ამ შეკითხვის პასუხი ტექსტის ბოლო აბზაცშია; მოსწავლეებმა იმ თაფლის სანთლის დამზადების წესს უნდა მიაქციონ ყურადღება, რომელიც მხოლოდ საეკლესიო, „რელიგიურ მიზნებს ემსახურება“.

### აქტივობა 5. წაკითხულის მთლიანობაში გააზრება, მეტყველება

დასვით შეკითხვები ტექსტის სტრუქტურის გასააზრებლად და წაკითხული ინფორმაციის შესაჯამებლად: (რუბრიკა იმსჯელე; რიგით მე-12, მე-13 დავალებები)

1. რა აერთიანებს ტექსტში ჩამოთვლილ იმ ხელობათა დიდ უმეტესობას, რომელთაც ოჯახში მხოლოდ მამაკაცები ეუფლებოდნენ? იპოვეთ სწორი პასუხი მე-12 სავარჯიშოს ვარიანტებში:

ა) ნივთების დასამზადებლად საჭირო მასალის მსგავსება; ბ) ნივთების დამზადების წესი; გ) ნივთების დასამზადებლად საჭირო დრო; დ) ნივთების დანიშნულება.

მოსწავლეებმა ჯერ უნდა ამოიცნონ პასუხის სწორი ვარიანტი – ა) ნივთების დასამზადებლად საჭირო მასალის მსგავსება; შემდეგ კი, თქვენი დახმარებით, მსჯელობით დაასაბუთონ, რატომ არის ის სწორი.

დასაბუთება: ტექსტის დასაწყისში აღნიშნულია, რომ ავტორი თავისი ნაშრომის ამ ნაწილში, პირველ რიგში, დაასახელებს იმ საგნებს, „სხვადასხვა ცხოველის ტყავისაგან რომ კეთდებოდა.“ გარდა ამისა, მათი დასახელებისა და აღწერის შემდეგ, ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ „ყველა აქ ჩამოთვლილ ხელობას მამაკაცები ეუფლებოდნენ.“ გამოდის, რომ მამაკაცები სწავლობდნენ ყველა იმ საგნის დამზადებას, რომელსაც მასალად ტყავი სჭირდებოდა. ერთ-ერთი საგანი, რომელიც ტყავისაგან არ მზადდებოდა,

არის ყანნი, მის დასამზადებლად საჭიროა არა ტყავი, არამედ რქა; ამიტომ არის შეკითხვა დასმული ასე – რა აერთიანებს ტექსტში ჩამოთვლილ იმ ხელობათა დიდ უმეტესობას, რომელთაც ოჯახში მხოლოდ მამაკაცები ეუფლებოდნენ?

2. რა არის ამ ტექსტის ავტორის მიზანი? მონიშნეთ ტექსტში ის ორი მონაკვეთი (აბზაცი), რომელშიც ცხადად არის წარმოდგენილი ავტორის მიზანი.

თქვენი დახმარებით, მოსწავლეებმა ერთმანეთს უნდა დაუკავშირონ:

ა) ტექსტის სათაური – „ხელოსნობა საქართველოში“,

ბ) დასაწყისი – პირველ აბზაცში განსაზღვრული მიზანი:

„იმ საგნებიდან, რომლებსაც საქართველოში გლეხები ოჯახურ მრეწველობაში ამზადებდნენ, პირველ რიგში, დავასახელებთ ნივთებს, სხვადასხვა ცხოველის ტყავისაგან რომ კეთდებოდა.“

გ) შემაჯამებელი – მე-11 აბზაცი, სადაც მეორე მიზანიც არის გამოკვეთილი:

„აღსანიშნავია, რომ ყველა აქ ჩამოთვლილ ხელობას მამაკაცები ეუფლებოდნენ. საოჯახო მეურნეობაში მამაკაცების ხელოსნური სამუშაოს აღწერის დასასრულს მოვიხსენიოთ კიდევ სამი სამუშაო, რომელსაც ასრულებდნენ როგორც მამაკაცები, ისე ქალებიც“...

და შეეცადონ, დამოუკიდებლად ჩამოაყალიბონ შეკითხვის პასუხი:

ავტორის მიზანია: აღწეროს, რას და როგორ ამზადებდნენ ტყავისაგან ქართულ ოჯახში; განმარტოს, რომელ ხელობას სწავლობდნენ მხოლოდ მამაკაცები; აღწეროს, რა იყო და როგორ სრულდებოდა მამაკაცებისა და ქალებისათვის საერთო ხელოსნური სამუშაო.

**აქტივობა 6.** ჩაანიშნინეთ მოსწავლეებს საშინაო დავალება

1. შეადგინონ და რვეულში ჩაწერონ ტექსტის გეგმა (გამოყონ ათი საკითხი);

2. თუ სურვილი აქვთ, დახატონ მწყემსი – შემოსილი ქუდით, ქალამნითა და ტყაპუჭით.

## შეფასება

მოსწავლე შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეძლო ტექსტის დამოუკიდებლად წაკითხვა-გააზრება, არსებითი ინფორმაციის ამოკრება, კითხვებზე ლოგიკური პასუხის გაცემა.

## მეორე გაკვეთილის ეტაპები

### აქტივობა 1. დავალების შემოწმება

ა) თავდაპირველად, კლასთან ერთად დაათვალიერეთ ნახატები; შეაფასეთ, დაცულია თუ არა ნახატზე ტექსტის მინიშნებები: 1. ქუდისა და ტყაპუჭის მასალა ცხვრის ტყავია: 2. ქალამნები ისეა გაკეთებული, რომ მხოლოდ ფეხის გულს, თითებსა და ტერფს ფარავს, ფეხის ზემო ნაწილი კი დაუფარავი რჩება; ქალამნის გვერდებზე მიმაგრებულია თასმები, რომლებიც ჩაცმის შემდეგ ფეხზე ზემოდან შემოიკვრება.

ბ) შემდეგ შეამოწმეთ, როგორ შეასრულეს მოსწავლეებმა ძირითადი დავალება – რა საკითხები გამოიყვეს ტექსტის გეგმაში.

მოსალოდნელია, რომ ისინი გაითვალისწინებდნენ ტექსტის სათაურს და ამოკრებდნენ ტექსტიდან ყველა დასახელებულ საგანს, რომელსაც ოჯახში ხელით ამზადებდნენ.

### ნიმუში:

გუდა, ქუდები და ტყაპუჭები, დაირა, ტიკი, ყანწი, ქალამანი, თოკის დაგრეხა, ბადეების ქსოვა, ცვილის დამზადება, სანთელი.

გ) სასურველია, ამ თანამიმდევრობას შეუსაბამოთ შეკითხვებიც ცოდნის შესამოწმებლად და სწრაფ გამოკითხვაში ჩართოთ სხვადასხვა მოსწავლე:

1. რისთვის იყენებდნენ გუდას მწყემსები?
2. თქვენი აზრით, რატომ იმოსებოდნენ მთიან ადგილებში მცხოვრები ქართველები ცხვრის ტყავისაგან დამზადებული ქუდითა და ტყაპუჭით?
3. როგორ მზადდებოდა დაირა? რა განასხვავებს მას ამ ტექსტში აღწერილი ყველა სხვა ნივთისაგან?
4. რა იყო ტიკის დანიშნულება?
5. რას ამბობს ავტორი ჯიხვის რქის შესახებ?
6. რომელი სიტყვით გამოიხატება ქართულ ენაში ყანწის ზედაპირის ოქროთი თუ ვერცხლით შემკობა? (პასუხი – მოპირკეთება)

დ) შემდეგ წყვილში ამუშავეთ მოსწავლეები, სთხოვეთ მათ, აღიდგინონ მეხსიერებაში ქალამნის დამზადების თანამიმდევრობა და ფურცელზე მოკლედ, სქემატურად ასახონ. შეახსენეთ, რომ აუცილებელია, შესრულდეს ცხრა თანამიმდევრული მოქმედება.

### ნიმუში:

ტყავს გაჭიმავდნენ —> აშრობდნენ —> ნაჭრებად ყოფდნენ —> აყრიდნენ ნაცარს —> ბენვს ფხეკდნენ —> ალბობდნენ წყალში —> ჭრიდნენ ორად —> ქალამნებს ამოასხამდნენ —> გვერდებზე თასმებს მიამაგრებდნენ.

ე) შემდეგ ისევ სწრაფი გამოკითხვის (როგორც ფიგურალურად უწოდებენ – გონებრივი იერიშის) სტრატეგია გამოიყენეთ; დასვით შეკითხვები:

1. რომელ სახელოსნო სამუშაოს ასრულებდნენ როგორც მამაკაცები, ისე ქალებიც?
2. თქვენი აზრით, რატომ დებდნენ წყალში კანაფის ღეროებს თოკის დაგრეხის ხელობის მცოდნენი?
3. რისგან იქსოვებოდა ბადეები ოჯახურ მეურნეობაში?
4. რა არის ის მთავარი მასალა, რისგანაც ცვილი მზადდება? (თაფლგამონურული ფიჭა)
5. რა არის აუცილებელი იმისათვის, რომ დნობის დროს ცვილი ქვაბს არ მიეკრას?

## 6. რას ეწოდება პატრუქი?

ვ) ბოლოს ისევ წყვილში ამუშავეთ მოსწავლეები, სთხოვეთ მათ, აღიდგინონ მეხსიერებაში იმ თაფლის სანთლის დამზადების წესი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ რელიგიურ მიზნებს ემსახურება, და დამზადების თანამიმდევრობა ფურცელზე სქემატურად ასახონ. შეახსენეთ, რომ აუცილებელია, შესრულდეს ოთხი თანამიმდევრული მოქმედება; მართალია, დამზადების ხერხი მარტივია, მაგრამ ის ორი ადამიანის ერთდროულად საქმიანობას მოითხოვს.

ნიმუში:

პირველი იღებს ერთი კვერცხის წონის ცვილს —> ცეცხლის მახლობლად არბილებს —> მეორე ორივე ხელით ჭიმავს პატრუქს —> პირველი დარბილებულ ცვილს თითებით ზელს და ამრგვალებს პატრუქის გარშემო.

### **აქტივობა 2. წერა, ლექსიკურ-გრამატიკული სავარჯიშოების შესრულება**

ა) სთხოვეთ მოსწავლეებს, გადაშალონ სახელმძღვანელო 132-ე გვერდზე და სავარჯიშოთა ნაწილში იპოვონ რიგით მე-16 დავალება.

შეურჩიე წინადადებებში მოცემულ ზმნებს სათანადო არსებითი სახელები: ძაფი, თასმა, სანთელი, ბადე, ყანწი, ქალამანი, ცვილი.

ხელოსანმა ... ჩამოჭრა და ... ამოასხა; გლეხმა ... დართო და ... მოქსოვა; ქალმა ... მოზილა და ... ჩამოქნა; ოსტატმა ... მოაპირკეთა.

სასურველია, მოსწავლეებმა დამოუკიდებლად იმუშაონ – ჩანერონ რვეულში სწორად შესრულებული დავალება.

ხელოსანმა თასმა ჩამოჭრა და ქალამანი ამოასხა; გლეხმა ძაფი დაართო და ბადე მოქსოვა; ქალმა ცვილი მოზილა და სანთელი ჩამოქნა; ოსტატმა ყანწი მოაპირკეთა.

ამ სავარჯიშოს მიზანია, მოსწავლეებმა ერთხელ კიდევ გაიაზრონ ქართული ენის მყარი სიტყვათშეთანხმებები: ძაფის დართვა, ქალამნის ამოასხვა, სანთლის ჩამოქნა, ყანწის მოპირკეთება.

ბ) შემოწმების შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს, შეასრულონ რიგით მე-17 დავალება:

ამოკრიბე შინაარსით დაახლოებული სიტყვების 5 წყვილი:

ყალიბი, ბანარი, ნეჭა, ტყაპუჭი, კალაპოტი, პატრუქი, კურტაკი, თოკი, ქერქი.

ისინი უნდა მიხვდნენ, რომ ჩამონათვალში სიტყვა პატრუქი ზედმეტია, და ამოინერონ: ყალიბი – კალაპოტი; ნეჭა – ქერქი; ბანარი – თოკი; ტყაპუჭი – კურტაკი.

აუხსენით მოსწავლეებს, რომ ენაში იშვიათად მოიპოვება აბსოლუტურად ერთნაირი, ერთმანეთის სავსებით ჩამანაცვლებელი სიტყვები; შინაარსით ახლოს მდგომი, სინონიმური სიტყვებიც კი ყოველთვის ვერ ჩაენაცვლება ერთმანეთს; ენის კარგად ცოდნა სწორედ იმას ნიშნავს, რომ ზუსტად იცი და გრძნობ, როდის რომელი სიტყვა შეარჩიო. შემდეგ, მაგალითისათვის, დაავალეთ მათ, ახსნან სხვაობა ტყაპუჭსა და კურტაკს შორის. შესაძლებელია, წინადადებებიც მოაფიქრებინოთ.

გ) სთხოვეთ მოსწავლეებს, რიგით მე-18 დავალებაც შეასრულონ:

წარმოიდგინე, რომ ლექსიკონში შესატანად სიტყვა – ცვილი – შენ უნდა განმარტო. ტექსტის დახმარებით, ჩამოაყალიბე ამ სიტყვის განმარტება.

ამ სავარჯიშოს მიზანია, მოსწავლემ გაიაზროს ლექსიკონის, სალექსიკონო განმარტების, სპეციფიკა. შეახსენეთ მათ, ტექსტს ჩახედონ.

### ნიმუში:

ცვილი – თაფლგამონურული ფიჭის დადნობის შედეგად მიღებული მასალა, რომელსაც სანთლის დასამზადებლად იყენებენ.

დ) შემდეგ შეასრულებინეთ მოსწავლეებს გრამატიკული სავარჯიშოებიც:

1. (რიგით მე-19) იპოვე და გაასწორე გრამატიკული შეცდომები:

ა) ზოგიერთ ყანწში რამოდენიმე ლიტრი ღვინო ჩადის.

ბ) ეს ნივთები სხვადასხვა ცხოველების ტყავისაგან მზადდებოდა.

გ) ოსტატმა 8-ე ყანწი ვერცხლით მოჭედა, მე-28 კი – ოქროთი.

სავარჯიშო ა) მართლწერის ნორმას ამოწმებს – (რამოდენიმე კი არა) რამდენიმე.

სავარჯიშო ბ) რიცხვში შეთანხმების ცოდნას მოითხოვს – სხვადასხვა ცხოველის.

სავარჯიშო გ) რიცხვითი სახელის მართლწერას უკავშირდება: მე-8, მაგრამ 28-ე.

ამ დავალების შესრულების შემდეგ, შეარჩიეთ სამი მოსწავლე, გაუნანილეთ სავარჯიშოები და სთხოვეთ, დაფაზე დაწერონ გასწორებული შეცდომები, განმარტონ, რატომ არის სწორი, ითქვას და დაიწეროს: ა) რამდენიმე (რამდენი –დან); ბ) სხვადასხვა ცხოველი (სიმრავლე უკვე აღნიშნულია სხვადასხვა-ში); გ) მე-8, 28-ე.

2. (რიგით მე-20) აბრუნე: ა) დამბალი ნეჭა; ბ) დაგრეხილი თოკი.

ეს დავალება სწორედ იმ გრამატიკული მასალის ცოდნას ამოწმებს, რომელიც მოსწავლეებს ახალშესწავლილი აქვთ: ზედსართავი სახელისა და არსებითი სახელის ერთად ბრუნება.

დავალების დამოუკიდებლად შესრულების შემდეგ, გამოიყვანეთ დაფასთან ორი მოსწავლე, გაუნანილეთ ა) და ბ) წყვილი და სთხოვეთ, დაწერონ: მიცემითის, ნათესაობითის, ვითარებითის, მოქმედებითისა და წოდებითის ფორმები.

დამბალ ნეჭას დაგრეხილ თოკს

დამბალი ნეჭის დაგრეხილი თოკის

დამბალი ნეჭით დაგრეხილი თოკით

დამბალ ნეჭად დაგრეხილ თოკად

დამბალო ნეჭავ დაგრეხილო თოკო

ჩართეთ კლასიც შესრულებული დავალების შემოწმებაში.

## საშინაო დავალება

ჩაანიშნინეთ მოსწავლეებს საშინაო დავალებად სახელმძღვანელოს რიგით მე-14 სავარჯიშო (მოსწ. ნიგნი, გვ. 132):

წარმოიდგინე, რომ შენ შემეცნებითი ხასიათის ჟურნალისათვის სტატია უნდა გაამზადო. რედაქტორმა სამი თემა შეგიჩინა:

1. როგორ დავამზადოთ სააღდგომოდ თაფლის სანთელი?

2. რა არის დაირა და როგორ ამზადებდნენ ძველად მას?

3. რა ვიცი ქალამნის შესახებ?

გამოიყენე ეს ტექსტი, დაიხმარე განმარტებითი ლექსიკონი, ასევე, ენციკლოპედიაც და დანერე ამათგან ერთ-ერთი სტატია (თაფლის სანთელი; დაირა; ქალამანი).

ეს დავალება შეაჯამებს ამ ორ გაკვეთილზე შეძენილ ცოდნასა და მიღებულ გამოცდილებას, საინფორმაციო ხასიათის ტექსტისა და განმარტებითი ლექსიკონის სპეციფიკის გააზრებაში.

სთხოვეთ მოსწავლეებს, ყურადღებით წაიკითხონ დავალების პირობა; შემდეგ რომელიმე მოსწავლეს ხმამაღლა წააკითხეთ და შეამონმეთ, გაიგეს თუ არა სწორად, რა მოეთხოვებათ.

## შეფასება

მოსწავლე შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეძლო შემეცნებითი ხასიათის ტექსტის დანიშნულების გააზრება და მის სტრუქტურაში გარკვევა.



# თავი 10 – დედანის ქალა

## იანანამ რა ჰქმნა? (შემაჯამებელი გაკვეთილი)

### მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლემ შეძლოს ნაწარმოების და თავის მთავარ სათქმელზე მსჯელობა, ლოგიკურად აზრის დასაბუთება. განუვითარდეს პრეზენტაციის უნარი.

### შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

**ქართ.დანყ.(II).1.მოსწავლემ უნდა შეძლოს სამეტყველო ქცევის წარმართვა საკომუნიკაციო მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად.**

- გამოდის წყვილის, ჯგუფისა თუ კლასის მომხსენებლის როლში; ითვალისწინებს და გამოხატავს თანაგუნდელების საერთო აზრს;
- ინანილებს პასუხისმგებლობას ჯგუფის სახელით გამოთქმულ მოსაზრებაზე;
- ზეპირი გამოსვლის/პრეზენტაციის დროს ნათლად წარმოადგენს თემას/საკითხს სათანადო ინფორმაციის მოწოდებითა და ლოგიკური თანამიმდევრულობის დაცვით;
- საუბრობს სათანადო ტემპით, მკაფიოდ და გარკვევით; საჭიროებისამებრ იყენებს მეტყველების არავერბალურ საშუალებებს.

**ქართ.დანყ.(II).2 . მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა და გაგება-გააზრება; ტექსტებზე მსჯელობა და დასკვნის გამოტანა.**

- ისმენს ერთსა და იმავე თემაზე შექმნილ ლიტერატურულ ტექსტებს და პოულობს მსგავსება-განსხვავებას მათ შორის;
- მონანილებს ლიტერატურული ნაწარმოების შესახებ გამართულ დისკუსიაში, მსჯელობს ნაწარმოეში ასახული პრობლემის/კონფლიქტის შესახებ.

**ქართ.დანყ.(II).7.მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტების ინტერპრეტირება, დასაბუთებული დასკვნის გამოტანა და შეფასება; ტექსტების მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; კითხვით გამოწვეული განწყობილებისა და შთაბეჭდილების გადმოცემა.**

- ტექსტის მთლიანი გააზრების საფუძველზე გამოაქვს დასკვნა;
- ავლებს პარალელს თემატურად მსგავს ნაწარმოებებთან;
- მსჯელობს მისთვის საინტერესო საკითხების შესახებ და გამოხატავს საკუთარ პოზიციას;

### წინარე ცოდნა

მოსწავლეებმა იციან ტექსტი, შეუძლიათ ტექსტის მოსმენა და გააზრება, ლექსში ემოციების ამოცნობა, იცის რიტმისა და რითმის განმარტება.

## გაკვეთილის მსვლელობა

ორგანიზების ფორმები: საერთო-საკლასო, ჯგუფური

### აქტივობა 1. მოტივაცია

თემისა და მიზნის გაცნობისას, მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს, რომ სახელმძღვანელოში თავის სათაურია დედაენის ძალა. და ეკითხება მათ:

– თქვენი აზრით, რას შეიძლება ნიშნავდეს ეს შესიტყვება.

მოსწავლეთა პასუხების შემდეგ მასწავლებელი აჯამებს მათ ნათქვამს და მოსწავლეებს უჩვენებს იმ ნაწყვეტს ნანა ჯანელიძის ფილმიდან „იავნანა“, რომელშიც დედა ქეთოს უმღერის და გოგონასაც ყველაფერი ახსენდება; უსვამს მოსწავლეებს კითხვას: თქვენი აზრით, მართლა შეიძლება თუ არა სიმღერას ასეთი ძალა ჰქონდეს, თუ ეს მწერლის ფანტაზიის ნაყოფია? მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ ვერსიებს და ცდილობენ დაასაბუთონ საკუთარი ნათქვამი. მასწავლებელი ეუბნება, რომ გაკვეთილის განმავლობაში იმსჯელებენ ამ საკითხზე.

### აქტივობა 2. მუსიკა და მისი ძალა (ჯგუფური მუშაობა)

მასწავლებელი უკითხავს (სასურველია, პროექტორითაც უჩვენოს, ან ბარათები დაურიგოს, რომ უფრო ადვილად აღსაქმელი იყოს) მოსწავლეებს რამდენიმე ციტატას:

ა) თანამედროვე მწერლის, დიმიტრი გლუხოვსკის სიტყვებს: „მუსიკა ყველაზე წარმავალი, ეფემერული ხელოვნებაა. ის ზუსტად იმდენ ხანს ცოცხლობს, რამდენ ხანსაც ინსტრუმენტი ჟღერს, მერე კი ნამშივე ქრება. მაგრამ არაფერი აავადებს ადამიანს ისე სწრაფად, როგორც მუსიკა, არაფერი ქრის ისე ღრმად და არ აშუშებს ისე ნელა. მელოდია, რომელმაც შენ შეგძრა, მუდამ შენთან დარჩება.“

ბ) ფრიდრიხ ნიცშე: „ღმერთმა მუსიკა გვიბოძა, რათა მან ყველაფერზე აგვამალლოს. მუსიკა ყველათვის აერთიანებს: მას შეუძლია აღგვაშფოთოს, გამოგვაფხიზლოს, გაგვამხნევოს, შეუძლია ყველაზე გაყინული გულებიც კი გააღლოს უთბილესი ნოტებით.“

გ) მუსიკას სამკურნალო მიზნებისთვისაც კი იყენებენ. მაგალითად, საბერძნეთში, ეპიდავროსის ტაძარში, ცნობილი ექიმი ესკულაპი მუსიკას იყენებდა სულიერ დაავადებულთა მკურნალობის მიზნით. პითაგორას თქმით „მუსიკით შეიძლება ვუმკურნალოთ ადამიანის შემოქმედებას.“

დ) უილიამ კონგრევი: „მუსიკალური აღზრდა – ყველაზე ძლიერი იარაღია, რამეთუ რითმი და ჰარმონია აღწევს ყველაზე დაცულ, სიღრმისეულ და იდუმალ ადგილებს ადამიანის სულში“.

მასწავლებელი ყოფს მოსწავლეებს ჯგუფებად, თითოთს ურიგებს თითო ციტატას და სთხოვს განმარტონ ციტატებში მოცემული თვალსაზრისი, დაეთანხმონ ან უარყონ ის და მოიყვანონ შესაბამისი არგუმენტები და მაგალითები; კარგი იქნება, თუ საკუთარი მოსაზრების საილუსტრაციოდ ისინი მოიყვანენ მაგალითებს იაკობ გოგებაშვილის ნაწარმოებიდან „იავნანამ რა ჰქმნა?“

მასწავლებელი აუცილებლად შეახსენებს მოსწავლეებს, რა უნდა გაითვალისწინონ პრეზენტაციის დროს; და რომ ისინი შეაფასებენ ერთმანეთს იმის მიხედვით, რამდენად ნათლად და ლოგიკური თანმიმდევრობით შეძლეს საკუთარი მოსაზრების დასაბუთება. მასწავლებელს და მოსწავლეებს შეუძლიათ შეცვალონ კრიტერიუმები მიზნის შესაბამისად.

### აქტივობა 3. პრეზენტაცია

მოსწავლეები აკეთებენ პრეზენტაციებს, თითოეული პრეზენტაციის დასრულების შემდეგ ჯგუფებს ეძლევათ შესაძლებლობა, დაუსვან კითხვები ერთმანეთს, შეაფასონ სხვა ჯგუფების ნამუშევარი პრეზენტაციის შეფასების რუბრიკის გამოყენებით.

#### **აქტივობა 4. მსჯელობა მთავარ სათქმელზე (წყვილებში)**

მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ ისინი უბრუნდებიან თავის მთავარ თემას (დედაენის ძალა) და მათ უნდა გასცენ პასუხი კითხვაზე, რატომ არის ამ თავის სახელწოდება „დედაენის ძალა“ და ამისთვის აძლევს გარკვეულ მინიშნებებს.

მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს წაუკითხოს (ან უამბოს) მიხეილ ჯავახიშვილის „მინის ყივილიდან“ ის ეპიზოდი, როცა საფრანგეთში მცხოვრებ მოხუც პოლიგლოტ ქართველს, ანდრო კაიშაურს, ქართულის გარდა ყველა ენა ავიწყდება (ან აჩვენოს მსგავსი ფრაგმენტი გუგული მგელაძის ფილმიდან „ფესვები“). მოსწავლეებმა უნდა სცადონ დააკავშირონ ეს ფრაგმენტები ან მასწავლებლის ნებისმიერი სხვა მინიშნება მოთხრობასთან „იავნანამ რა ჰქმნა?!“ და ისე გასცენ პასუხი მთავარ კითხვას.

აქტივობის დასასრულს რამდენიმე წყვილი აკეთებს პრეზენტაციას, დანარჩენები ავსებენ.

## **საშინაო დავალება**

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებად სახელმძღვანელოდან მე-14 სავარჯიშოს (მოსწ. წიგნი, გვ. 158).

## **შეფასება**

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, რამდენად შეძლეს პრეზენტაციისას საკუთარი თვალსაზრისის ნათლად გამოხატვა, ზეპირმეტყველების შესაბამისი (ვერბალური თუ არავერბალური) სტრატეგიების გამოყენება.

# გრამატიკა – არსებითი სახელის ბრუნვა (მხოლოდით რიცხვში)

შენიშვნა: თუ თქვენს მოსწავლეებს მე-4 კლასში ჩვენი სახელმძღვანელოთი ასწავლიდით, მაშინ ამ მასალას ერთი გაკვეთილი დაუთმეთ; თუკი მათ აქამდე არ შეუსწავლიათ არსებით სახელებში ფუძეთა კუმშვისა და კვეცის პროცესი, სასურველია, მასალას დაეთმოს ორი გაკვეთილი.

## ბაკვეთილის ეტაპები:

### I. შეძენილი ცოდნის გახსენება (5 წუთი)

განწყვეთ მოსწავლეები გრამატიკის გაკვეთილისათვის; უთხარით მათ, რომ ამ გაკვეთილზე შესასწავლი საკითხია არსებითი სახელის ბრუნვა.

დასვით შეკითხვები:

1. შეგიძლიათ, განმარტოთ, რას აღნიშნავს გრამატიკაში სიტყვა **იბრუნვის**?

მოსალოდნელია, რომ მოსწავლეები დაუკავშირებენ ამ სიტყვას არსებითი სახელის ფორმაცვალებას და იტყვიან: ეს ტერმინი გულისხმობს, რომ არსებითი სახელი დაბოლოებას იცვლის (არსებით სახელს ფორმა ეცვლება).

2. თქვენ იცით, რომ ბრუნვების რაოდენობა არ არის ერთნაირი ყველა ენაში; ქართულ ენაში რამდენ ბრუნვაში დგება არსებითი სახელი?

მოსწავლეები გაიხსენებენ, რომ ქართულში შვიდი ბრუნვაა.

3. შეგიძლიათ, თანამიმდევრობით ჩამოთვალოთ ამ შვიდი ბრუნვის სახელები?

სთხოვეთ მოსწავლეებს, რვეულებში დამოუკიდებლად ჩამოწერონ; შემდეგ კი შეამოწმეთ ერთ-ერთი მოსწავლის პასუხის მაგალითზე;

(სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი, ნოდებითი).

4. რა განასხვავებს ამ ბრუნვებს ერთმანეთისაგან? რით უნდა გამოვიცნოთ, თუ რომელ ბრუნვაში დგას არსებითი სახელი?

მოსალოდნელია, რომ მოსწავლეები ბრუნვის ნიშნებს გაიხსენებენ და იტყვიან, რომ ყოველ ბრუნვას თავისი ნიშანი აქვს.

### II. ცოდნაზე დაყრდნობით, ახალი გრამატიკული საკითხების გააზრება (ფუძე – ბოლოთანხმოვნია, ბოლოხმოვნია) (20-22 წუთი)

სთხოვეთ მოსწავლეებს, გადაშალონ ქართული ენის სახელმძღვანელო მე-13 გვერდზე და დააკვირდნენ განსხვავებას ბრუნების ნიმუშებს შორის:

I. ფუძე – ბრუნვის ნიშანი:

1. ნაგაზ –ი
2. ნაგაზ –მა
3. ნაგაზ –ს

ფუძე – ბრუნვის ნიშანი:

- მეგობარ-ი
- მეგობარ-მა
- მეგობარ-ს

- |              |           |
|--------------|-----------|
| 4. ნაგაზ –ის | მეგობრ-ის |
| 5. ნაგაზ–ით  | მეგობრ-ით |
| 6. ნაგაზ–ად  | მეგობრ–ად |
| 7. ნაგაზ –ო  | მეგობარ-ო |

- |                                   |                               |
|-----------------------------------|-------------------------------|
| <b>II. ფუძე – ბრუნვის ნიშანი:</b> | <b>ფუძე – ბრუნვის ნიშანი:</b> |
| 1. მდინარე –                      | ცა –                          |
| 2. მდინარე –მ                     | ცა-მ                          |
| 3. მდინარე –ს                     | ცა-ს                          |
| 4. მდინარ –ის                     | ც-ის                          |
| 5. მდინარ –ით                     | ც-ით                          |
| 6. მდინარე –დ                     | ცა-დ                          |
| 7. მდინარე–ვ                      | ცა-ო                          |

**შენიშვნა:** რადგან მე-3 და მე-4 კლასებში მოსწავლეებს შვიდივე ბრუნვის ფორმა სათანადო შვიდ წინადადებაში მოქცეული არსებითი სახელის მაგალითზე უკვე შევასწავლეთ, ახლა შესაძლებელია, ბრუნება ცხრილის სახით გავაცნოთ.

თავდაპირველად, დაუდასტურეთ მათ, რომ ბრუნვებს, მართლაც, მათი ნიშნები განასხვავებს. შემდეგ კი ყურადღება მიაქციეთ არსებითი სახელის იმ ნაწილს, რომელსაც ეს სხვადასხვა ნიშანი დაერთვის ხოლმე. განმარტეთ, რომ ამ მთავარ ნაწილს ენათმეცნიერები არსებითი სახელის ფუძეს უწოდებენ.

**დასვით შეკითხვები იმ თანამიმდევრობით, როგორც სახელმძღვანელოშია:**

1. ამ არსებითი სახელებიდან რომლის ფუძეა **ბოლოთანხმოვნია** და რომლის – **ბოლოხმოვნია**? განასხვავეთ მოთხრობითი ბრუნვის მაგალითების დახმარებით. ჩანერეთ ეს სიტყვები რვეულში და ფუძის ბოლო ასოს ხაზი გაუსვით.

მოსალოდნელია, რომ მოსწავლეები ადვილად დააჯგუფებენ არსებით სახელებს მათი ფუძის დაბოლოების მიხედვით.

**შემონმების მიზნით, დაფაზე ჩამოწერეთ:**

I ბოლოთანხმოვნია – ნაგაზ–მა, მეგობარ–მა;

II ბოლოხმოვნია – მდინარე–მ, ცა–მ.

2. დააკვირდით, რა ცვლილებას განიცდის მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი „მა“ ბოლოხმოვნიან სახელებთან?

გეზის მისაცემად, ჩამოთვალეთ: მდინარემ, ცამ, რუმ, წყარომ, მინამ... და სთხოვეთ მოსწავლეებს, შეადარონ ბრუნვის ნიშნის ეს ფორმა (მ) ბოლოთანხმოვნიან სახელებზე დართულ ნიშანს (მა).

ისინი ცხადად შენიშნავენ, რომ ბოლოხმოვნიან სახელებთან ბრუნვის ნიშანი თავის ხმოვანს კარგავს.

აუხსენით მათ, რომ სწორია ითქვას და დაინეროს: მდინარემ, ცამ, რუმ, წყარომ, მინამ... ეს სალიტერატურო ქართული ენის ნორმაა და აუცილებლად უნდა დაიცვან. შესაძლებელია, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ცოცხალ საუბარში, მათ ესმით: მდინარემა, წყარომა, მინამა... ან საკუთარი სახელები ამგვარად: გიორგიმა, დათომა... ეს დასაშვებია კუთხურ მეტყველებაში და უხდება კიდევ მას, მაგრამ ნაწერში ან სალიტერატურო ენით საუბრისას შეცდომად მიიჩნევა. საქართველოს ამა თუ იმ კუთხეში მცხოვრებმა ჩვენი საერთო სალიტერატურო ენის წესები კარგად უნდა იცოდეს.

3. პირველ ანუ სახელობით ბრუნვაში რა განსხვავება შენიშნეთ? რომელს აღარ ემატება ბრუნვის ნიშანი „ი“?

ცხადია, მოსწავლეები ბოლოხმოვნიან არსებით სახელებს დაასახელებენ (მდინარე, ცა).

4. რა ცვლილებას განიცდის ვითარებითი ბრუნვის ნიშანი „ად“ ბოლოხმოვნიან სახელებთან?

დაფაზე ჩამოწერეთ:

I. ნაგაზ-ად

II. მდინარე-დ

სთხოვეთ მოსწავლეებს, იქნებ, მათ ახსნან, რა უნდა იყოს ბრუნვის ნიშნის ხმოვნის დაკარგვის მიზეზი?

სავარაუდოა, რომ ბავშვები ამოიცნობენ ნიშნის ხმოვანზე ფუძის ბოლო ხმოვნის ზეგავლენას.

5. მეშვიდე, წოდებით ბრუნვაში, რა განსხვავებაა ბოლოხმოვნიან სახელებს შორის? (მდინარე-გ, ცა-ო).

სთხოვეთ მოსწავლეებს, ყურადღებით წაიკითხონ სახელმძღვანელოში მოცემული მართლწერის წესი:

**დამახსოვრე!** ბოლოხმოვნიანი სახელებიდან, როგორც წესი, წოდებითში „ო“ ერთმარცვლიან სახელებს დაერთვის (შეადარე: ცაო, ხეო – ზეცავ, მუხავ).

**შეაჯამეთ:** (გამოკითხვაში ჩართეთ სხვადასხვა მოსწავლე)

8. რას უწოდებენ არსებითი სახელის იმ მთავარ ნაწილს, რომელსაც ბრუნვის ნიშანი დაერთვის? (ფუძეს)

9. როგორი შეიძლება იყოს ფუძის მიხედვით არსებითი სახელი? (ბოლოხმოვნიანი ან ბოლოთანხმოვნიანი)

10. რა განსხვავებაა სახელმძღვანელოში მოცემულ რიგით I და რიგით II ბრუნების ნიმუშებს შორის? (I ბოლოთანხმოვნიანი არსებითი სახელების ბრუნების ნიმუშებია, II – ბოლოხმოვნიანი არსებითი სახელების)

**შენიშვნა:** ბრუნების ამ ნიმუშების ანალიზი, რაც მოსწავლეებმა თქვენი შეკითხვების დახმარებით შეძლეს, მიზნად ისახავდა მხოლოდ ბოლოხმოვნიანსა და ბოლოთანხმოვნიან სახელებს შორის განსხვავების დადასტურებას, ასევე, მართლწერის წესების ახსნას. მოსწავლეებს არ მოეთხოვებათ, გაიზეპირონ შეკითხვების პასუხები.

**შეასრულებინეთ მოსწავლეებს სახელმძღვანელოში მოცემული დავალება:**

ა) გადაინერეთ და გაუსვით ხაზი თანხმოვანს, რომელიც არსებითი სახელის ფუძეს აბოლოებს:

ბავშვი, ნავი, გემი, ბათუმი, მაისი, თბილისი, ქალაქი, ბაღი.

ბ) დააკვირდით მოთხრობითი ბრუნვის ფორმებს და განმარტეთ, სად და რატომ გაჩნდა ორი „მ“ (მანი):

ნავმა, გემმა, ბაღმა, ბათუმმა.

გ) დააკვირდით მიცემითი ბრუნვის ფორმებს და განმარტეთ, სად და რატომ გაჩნდა ორი „ს“ (სანი): ქალაქს, თბილისს, ბავშვს, მაისს.

მოსალოდნელია, რომ მოსწავლეები იტყვიან: ერთი თანხმოვანი ფუძეს ეკუთვნის, მეორე – ბრუნვის ნიშანს.

**III. ცოდნასთან შეჯერებით ახალი გრამატიკული საკითხების გააზრება (10 წუთი)**  
(ბოლოთანხმოვნიანი ფუძე არის კუმშვადი ან უკუმშველი; ბოლოხმოვნიანი

### ფუძე კი – კვეცადი ან უკვეცელი)

ა) სთხოვეთ მოსწავლეებს, ჩაიხედონ წიგნში და ერთმანეთს შეადარონ ორი ბოლოთანხმოვნიანი სახელი:

- 4. ნათესაობითი: ნაგაზ-ის – მეგობარ-ის
- 5. მოქმედებითი: ნაგაზ-ით – მეგობარ-ით
- 6. ვითარებითი: ნაგაზ-ად – მეგობარ-ად

დასვით შეკითხვა:

- ამათგან რომელია კუმშვადი და რომელი – უკუმშველი?

ბ) შემდეგ დაავალეთ მათ, შეადარონ ერთმანეთს ბოლოხმოვნიანი სახელები:

- 4. ნათესაობითი: მდინარე-ის (წყალი) – წყარო-ის (წყალი)
- 5. მოქმედებითი: მდინარე-ით – წყარო-ით

დასვით შეკითხვები:

- ამათგან რომელია კვეცადი და რომელი უკვეცელი?
- დააკვირდით, რა ცვლილებას განიცდის უკვეცელ სახელებთან ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი „ის“ და მოქმედებითის ნიშანი „ით“?

შენიშვნა: ამ შეკითხვის მიზანია კვეცად და უკვეცელ სახელებს შორის განსხვავების მხოლოდ დადასტურება; მოსწავლეებს არ მოეთხოვებათ, გაიზვიანონ შეკითხვის პასუხი; ისინი მეტყველებისა და წერის დროს აუცილებლად სწორად გამოიყენებენ ამ ფორმებს, რადგან ეს ცოდნა დედაენაში ბუნებრივად შეძენილი აქვთ.

შეაჯამეთ: (გამოკითხვაში ჩართეთ სხვადასხვა მოსწავლე)

ა) რა ჯგუფებად დაიყო არსებითი სახელები მათი ფუძის დაბოლოების მიხედვით? (ბოლოხმოვნიანი, ბოლოთანხმოვნიანი)

ბ) ამათგან რომელი ჯგუფის არსებითი სახელი შეიძლება იყოს კვეცადი ან უკვეცელი? (ბოლოხმოვნიანი)

გ) რომელ ბრუნვებში ხდება ხოლმე კვეცა? (ნათესაობითსა და მოქმედებითში)

ე) როგორი შეიძლება იყოს ბოლოთანხმოვნიანი არსებითი სახელის ფუძე? (კუმშვადი ან უკუმშველი)

ვ) რომელ ბრუნვებში ხდება ხოლმე კუმშვა? (ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში)

აუხსენით მოსწავლეებს, რომ არსებით სახელთა მართლწერის დაზუსტება შესაძლებელია ორთოგრაფიული ლექსიკონის დახმარებით (აჩვენეთ ლექსიკონი). უფროსებიც კი, როცა მათ ეჭვი ეპარებათ საკუთარ ცოდნაში, ამ ლექსიკონს იყენებენ, რათა დააზუსტონ, როგორ იწერება და გამოითქმის სწორად ესა თუ ის სიტყვა. ორთოგრაფიულ, ანუ მართლწერის, ლექსიკონს სამაგიდო წიგნს უწოდებენ... თუმცა, რა თქმა უნდა, უმჯობესია, ბევრი წიგნის წაკითხვით ისე შევისწავლოთ ჩვენი დედაენა, რომ ძალზე ხშირად არ დაგვჭირდეს ამ ლექსიკონის დახმარება.

### IV. ჩაანიშნინეთ მოსწავლეებს საშინაო დავალება (7-8 წუთი)

დავალება:

სწორად გაანაწილეთ ქვემოთ ჩამოთვლილი არსებითი სახელები ოთხი ქვეჯგუფის

მიხედვით: კვეცადი, უკვეცელი; კუმშვადი, უკუმშველი

(დაიხმარე ნათესაობითი ბრუნვის კითხვები – რისი? ვისი?):

სანაპირო, ჩანთა, ქურა, ფინია, კუთხე, თარო, გალია, საუზმე, კეფა, კოფო, მეტოქე;  
საათი, მწერალი, წიგნი, კალამი, ოთახი, თუნუქი, ნაჭერი, ქორფლი, ჭიშკარი, მეზობელი, ნაპირი.

დავალების შესასრულებლად ჩაახაზინეთ ცხრილები და თითო-თითო ნიმუში გაკვეთილზევე გაანაწილებინეთ:

1. ბოლოხმოვნანი:

კვეცადი	უკვეცელი
ჩანთა (ჩანთის)	სანაპირო (სანაპიროსი)

2. ბოლოთანხმოვნანი:

კუმშვადი	უკუმშველი
მწერალი (მწერლის)	საათი (საათის)



# გრამატიკა – ზმნის კილო (თხრობითი და კავშირებითი)

შენიშვნა: ამ მასალამდე ზმნის დრო უკვე შესწავლილია, მოსწავლეებმა დროის კატეგორია გაიაზრეს თხრობითი კილოს ფორმების მაგალითზე; მათ იციან: წარსულის სამი ფორმა (რას ვშვრებოდი? რა ვქენი? რა მიქნია?), აწმყო ანუ ახლანდელი დრო (რას ვშვრები?) და მომავალი (რას ვიზამ?).

ბაკვეთილის ეტაპები:

## I. მოსმენა (განვლილი მასალის გამეორება) (2-3 წუთი)

განაწყვეთ მოსწავლეები გრამატიკის ბაკვეთილისათვის; უთხარით მათ, რომ ამ ბაკვეთილზე შესასწავლი საკითხი ზმნას უკავშირდება (არ დააკონკრეტოთ, რომ ეს საკითხი ზმნის კილოა). გაახსენეთ მათ, რომ ზმნის ფორმაში გამოხატულია პირი, რიცხვი და დრო. შემდეგ განიხილეთ ეს ერთი ზმნის მაგალითზე; დაფაზე დანერეთ:

ვთევზაობ – ზმნა, დგას პირველ პირში, მხოლოდ რიცხვსა და ახლანდელ დროში.

და განმარტეთ, რომ ზმნის შესაძლებლობა არ ამოიწურება მხოლოდ პირის, რიცხვისა და დროის გამოხატვით! ამ ბაკვეთილზე ისინი ზმნის კიდევ ერთ თავისებურებას შეისწავლიან.

## II. ახალი გრამატიკული საკითხის გააზრება (15 წუთი)

დანერეთ დაფაზე ორი წინადადება:

ა) ახლა მეგობრებთან ერთად ვთევზაობ;

ბ) ნეტავ, ახლა მეგობრებთან ერთად ვთევზაობდე.

სთხოვეთ მოსწავლეებს, წაიკითხონ, დააკვირდნენ ზმნებს და ერთმანეთს შეადარონ; მათთან ერთად იმსჯელეთ: ორივე შემთხვევაში პირველი პირის ფორმაა, რიცხვიც ორივეგან მხოლოდითია, დრო ორივესი ახლანდელია.

დასვით შეკითხვა:

1. შეგიძლიათ, განმარტოთ, რა განსხვავებაა ამ ზმნებს შორის?

მიეცით მოსწავლეებს თავისუფლება, ვარაუდები გამოთქვან. შესაძლებელია, მათ ზმნის კითხვას მიაქციონ ყურადღება (რას ვშვრები? რას ვშვრებოდე?)

დაეხმარეთ, დასვით შეკითხვები:

1. რომელ წინადადებაში ჩანს ის მოქმედება, რომელიც ახლა ნამდვილად ხდება? (ვთევზაობ)

2. რომელ წინადადებაში ჩანს მოქმედება, რომელიც სასურველია, რომ ახლა ხდებოდეს? (ვთევზაობდე)

განმარტეთ, რომ ამგვარ განსხვავებას ენათმეცნიერებმა ზმნის კილო უწოდეს; ამ ზმნებს სხვადასხვაგვარი კილო აქვს.

დანერეთ დაფაზე ორი მოკლე წინადადება და სთხოვეთ მოსწავლეებს, ერთმანეთს

შეადარონ:

ა) მერე ვითევზავებ. ბ) იქნებ, მერე კიდევ ვითევზავო.

დასვით შეკითხვა: ამათგან რომელ წინადადებაში გამოიხატა შესაძლო, სავარაუდო მოქმედება? (მეორეში, ბ)-ში: იქნებ, მერე კიდევ ვითევზავო.)

დაფაზე დაწერეთ:

I. ის, რაც ნამდვილად ხდება, მოხდა ან მოხდება;

და სიტყვიერად ჩამოთვალეთ მაგალითები: ვთევზავო, ვთევზავობდი, ვითევზავე, მითევზავია, ვითევზავებ.

ისევ დაფაზე დაწერეთ:

II. ის, რაც სასურველია, რომ ახლა ხდებოდეს ან შესაძლოა, სავარაუდოა, რომ მოხდეს.

და დაასახელოთ მაგალითები: ნეტავ, ვთევზავობდე; იქნებ, ვითევზავო.

შემდეგ კი განმარტეთ, ახსენით:

მოსაუბრეს შეუძლია, ზმნის კილოთი გამოხატოს, მის მიერ დასახელებული მოქმედება მსმენელმა უნდა მიიღოს უეჭველ ფაქტად თუ სასურველად, შესაძლებლად, სავარაუდოდ.

ახლა ვათბობ, ვაიმედებ, ვესაუბრები... – უეჭველი მოქმედებებია.

ნეტავ, ახლა ვათბობდე, ვაიმედებდე, ვესაუბრებოდე; იქნებ, როგორმე გავათბო, დავაიმედო, გავესაუბრო – სასურველი, შესაძლო, სავარაუდო მოქმედებებია.

**დაიმახსოვრეთ!**

თუ მოსაუბრე ამბავს უეჭველ ფაქტად გვიამბობს, ზმნის კილო **თხრობითია**.

თუ მოსაუბრე შესაძლოს, სავარაუდოს ან სასურველს გადმოგვცემს, ზმნის კილო **კავშირებითია**.

აქამდე თქვენ გრამატიკის გაკვეთილებზე მხოლოდ თხრობითი კილოს ზმნებს აკვირდებოდით, დღეს კი კავშირებითი კილოს ზმნებსაც გაეცანით.

დაწერეთ დაფაზე:

თხრობითი კილო, კავშირებითი კილო

შემდეგ დაწერეთ წინადადებებიც:

ა) წყალს მზე ათბობს. ბ) შესაძლოა, წყალს მზე ათბობდეს.

და სთხოვეთ მოსწავლეებს, გამოიცნონ, რომელია ამათგან თხრობითი კილოს ფორმა და რომელი – კავშირებითის.

ამის შემდეგ კი დაწერეთ დაფაზე მომავალი დროის ფორმებიც:

ა) დღეს მზე წყალს გაათბობს. ბ) იქნებ, დღეს მზემ წყალი გაათბოს.

და მოსწავლეებს ამოაცნობინეთ, ამათ შორის რომელია თხრობითი კილოს ფორმა და რომელი – კავშირებითის.

შეაჯამეთ:

ჩვენ შეგვიძლია ზმნის კავშირებითი კილო გამოვხატოთ როგორც ახლანდელ დროში, ისე მომავალშიც.

### III. ახალშესწავლილი გრამატიკული მასალის განმტკიცება (20 წუთი)

სთხოვეთ მოსწავლეებს, გადაშალონ ქართ. ენის სახელმძღვანელო 38-ე გვერდზე;

განუმარტეთ, რომ წიგნში მოცემულია კავშირებით კილოზე მოთხრობილი ორი ტექსტი, რევაზ ინანიშვილის მათ მიერ უკვე შესწავლილი მოთხრობის – „გახარებული მზის“ ზეგავლენით შექმნილი; ამათგან ერთში ზმნები ახლანდელ დროშია, მეორეში კი – მომავალ დროში დგას.

და დაავალეთ, პირველი ტექსტი ყურადღებით წაიკითხონ:

### კავშირებითი კილო

დააკვირდი ამ ტექსტებს:

#### I – დრო ახლანდელი

„როგორ მინდა, რომ ახლა შენთან ერთად ვერთობოდე: მე ყვავილებისაგან გვირგვინს ვწნავდე და ვმღეროდე; შენ ძველებურად ხუმრობდე და ჩვენი არხის წყალში თევზს იჭერდე; მზე კი ილიმებოდეს და ისარივით სხივებს გვკრავდეს“...

კითხვის დასრულების შემდეგ თქვენ წაიკითხეთ ეს ტექსტი ხმამაღლა და მოსწავლეებს დამოუკიდებლად, საკუთარ რვეულებში, შეასრულებინეთ იქვე მოთავსებული დავალება:

შეუსაბამე ზმნები მოცემულ კითხვებს: მე რას ვშვრებოდე? შენ რას შვრებოდე? ის რას შვრებოდეს?

მე რას ვშვრებოდე? – ვერთობოდე, ვწნავდე, ვმღეროდე.

შენ რას შვრებოდე? – ხუმრობდე, იჭერდე.

ის რას შვრებოდეს? – ილიმებოდეს, გვკრავდეს.

მოსალოდნელია, რომ ბავშვები შეძლებენ ამ დავალების შესრულებას.

შემონმების მიზნით, დაფასთან გამოიყვანეთ სამი მოსწავლე, გაუნაწილეთ ეს სამი შეკითხვა.

შემდეგ დაავალეთ მოსწავლეებს, მეორე ტექსტიც ყურადღებით წაიკითხონ:

#### II – დრო მომავალი

როგორ მინდა, რომ ამ ზაფხულსაც შენთან ერთად გავერთო: მე ყვავილებისაგან გვირგვინი დავწნა და ვიმღერო; შენ ძველებურად იხუმრო და ჩვენი არხის წყალში თევზი დაიჭირო; მზემ კი გაილიმოს და ისარივით სხივები გვკრას...

კითხვის დასრულების შემდეგ თქვენ წაიკითხეთ ეს ტექსტი ხმამაღლა და მოსწავლეებს დამოუკიდებლად შეასრულებინეთ იქვე მოთავსებული დავალება:

შეუსაბამე ზმნები მოცემულ კითხვებს: მე რა ვქნა? შენ რა ქნა? მან რა ქნას?

მე რა ვქნა? – გავერთო, დავწნა, ვიმღერო.

შენ რა ქნა? – იხუმრო, დაიჭირო.

მან რა ქნას? – გაილიმოს, გვკრას.

მოსალოდნელია, რომ ბავშვები ამ დავალების შესრულებასაც შეძლებენ.

შემონმების მიზნით, დაფასთან ისევ გამოიყვანეთ სამი მოსწავლე და გაუნაწილეთ შეკითხვები.

ბოლოს კი შეაჯამეთ, დაფაზე დაწერეთ:

კავშირებითი I (ახლა)

კავშირებითი II (მერე)

მე რას ვშვრებოდე?  
შენ რას შვრებოდე?  
ის რას შვრებოდეს?

მე რა ვქნა?  
შენ რა ქნა?  
მან რა ქნას?

აუხსენით მოსწავლეებს, რომ სახელმძღვანელოში სწორედ ასე, ამ თანამიმდევრობით არის ახსნილი ახალი მასალა – ზმნის კილო; მათ შეუძლიათ, სახლშიც წაიკითხონ გრამატიკის გაკვეთილის ეს ნაწილი და ყოველივე იმას, რაც სკოლაში გაიაზრეს, კიდევ ერთხელ გადახედონ.

#### *IV. ჩაანიშნინეთ მოსწავლეებს საშინაო დავალება (2 წუთი)*

სავარჯიშოები:

1. რომელი წინადადების ზმნის კილოა **თხრობითი** და რომლის – **კავშირებითი**?

ა) ბრწყინვალეა ნისლივით **ასდის** ყვავილოვან მდელოებს.

ბ) მსურს, რომ ბრწყინვალეა ნისლივით **ასდიოდეს** ყვავილოვან მდელოებს.

ა) მზე **გამიღიმებს** და გახარებული **შემომხედავს**.

ბ) იქნებ, მზემ **გამიღიმოს** და გახარებულმა **შემომხედოს**.

ა) ასეთ მზეში ყველაფერს **აიტანს** კაცი.

ბ) შესაძლოა, ასეთ მზეში ყველაფერი **აიტანოს** კაცმა.

ა) ცრემლებს **ვმაღავ** და წყენას არ **ვიმჩნევ**.

ბ) მინდა, რომ ცრემლებს **ვმაღავდე** და წყენას არ **ვიმჩნევდე**.

2. რომელი **კილოს** ფორმა აქვს ხაზგასმულ ზმნებს?

მე შევეცდები, ავიხსნათ და დავანახოთ, როგორი მზე იყო ჩემს ბავშვობაში.

3. განმარტე, რა განსხვავებაა ზმნის **თხრობით** კილოსა და **კავშირებით** კილოს შორის?

# გრამატიკა – ღამატიბითი მასალა (ბანსაკუთრებული შემთხვევისთვის)

კოლეგებო, შესაძლებელია, თქვენს კლასში აღმოჩნდეს ცნობისმოყვარე და საზრიანი მოსწავლე, რომელიც დასვამს შეკითხვას:

– ჩვენ ვისწავლეთ, რომ ვ თავსართი პირველი მოქმედი პირის ნიშანი; რატომ არ არის ეს ნიშანი ამ ზმნებში? – მისმენია, მინატრია... ესენიც ხომ პირველი პირის ზმნებია?

ასეთი განსაკუთრებული შემთხვევისთვის გთავაზობთ მასალას, რომელიც, ვფიქრობთ, დაგეხმარებათ, ასაკის შესაბამისად აუხსნათ მოსწავლეს, რატომ ხდება ასე.

## ვ (ვინის) ნაცვლად მ (მანი)

თქვენ უკვე შეისწავლეთ წარსული დროის სამი ფორმა, მაგრამ არსებობს მეოთხეც!

### დააკვირდი და შეადარე:

წარსული დროის ფორმები			
I	II	III	IV
(რას ვშვრებოდი?)	(რა ვქენი?)	(რა მიქნია?)	(ნეტავ რა მექნა?)
მე ვუსმენდი	ვუსმინე	მე მისმენია	მესმინა
მე ვნატრობდი	ვინატრე	მე მინატრია	მენატრა

### ? უპასუხე შეკითხვას:

- რომელმა თანხმომავანმა შეცვალა მოქმედი პირველი პირის ნიშანი „ვ“ თავსართი წარსული დროის III და IV ფორმებში?

### ! დაიმახსოვრე:

I პირის ნიშანი „ვ“ თავსართი ზმნის წარსული დროის ორ ფორმაში „მ“ თავსართით იცვლება: მისმენია, მესმინა; მინატრია, მენატრა; მიმღერია, მემღერა...

### დავალება:

მოიფიქრე წინადადებები ზმნის ამ ფორმების გამოყენებით:  
მინატრია, მენატრა; მიფიქრია, მეფიქრა.

ეს დავალებები არის თავის შემავალი დავალებები და (რაკი თავების დალაგების პრინციპი მხოლოდ თემატურია და არა რომელიმე კონკრეტული უნარ-ჩვევის განმავითარებელი) რასაკვირველია, არ ისახავს მიზნად, მასწავლებელმა აუცილებლად გამოიყენოს შემავალი სამუშაოსთვის. ეს არის მხოლოდ სარეკომენდაციო შეთავაზება და მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეთა უნარებიდან და საჭიროებიდან გამომდინარე, შეცვალოს ისინი და გამოიყენოს სხვადასხვა ტიპის აქტივობა: დაანერინოს ესე, რეზიუმე, დაამუშავებინოს პროექტი და ა. შ. შესაფასებლად კი შეგვიძლია გირჩიოთ რუბრიკა, რომელიც მოცემულია სოფიკო ლობჯანიძის სტატიაში „სასწავლო პროექტებზე მუშაობის სქემები“ (<http://mastsavlebeli.ge>).

ყოველი თავის შესწავლის დასრულების შემდეგ მოსწავლეებს შეასრულებინეთ შემავალი სავარჯიშოები:

**თავი 1** – გაიხსენე და აღწერე ბუნების სურათი, რომელმაც შენი აღტაცება გამოიწვია. გამოიყენე მხატვრული ხერხები ეპითეტი, შედარება.

**თავი 2** – დაწერე: ჩემი თავგადასავალი:

- ა) პირველ აბზაცში გაგვაცანი შენი თავი;
- ბ) გაიხსენე ერთი ყველაზე საინტერესო დღე და გვიამბე;
- გ) რით იყო ეს დღე მნიშვნელოვანი შენთვის.

**თავი 3** – გააკეთე ალბომი სათაურით „ჩემი სამშობლო“. დაყავი რუბრიკებად, შეარჩიე თავები შენი ინტერესის მიხედვით (გმირები, მეფეები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, ბუნება და ა.შ. შეგიძლია გამოიყენო ფოტო მასალა, სახელმძღვანელო, ტექსტები... გააფორმო ალბომი შენი გემოვნებით. და წარადგინე ის კლასის წინაშე. მასწავლებელს შეუძლია სამუშაო დაგეგმოს მცირე ჯგუფებში და რუბრიკები გაუნაწილოს მოსწავლეებს.

**თავი 4** – შექმენი იგავი (შეგიძლიათ მორალად გამოიყენოთ რომელიმე ანდაზა).

**თავი 5** – გამართეთ საკლასო დისკუსია (მოსწ. წიგნი ნაწილი პირველი, მე-2 სავარჯიშო, გვ. 81)

**თავი 6** – დაწერე ჩანახატი (მოსწ. წიგნი, ნაწილი მეორე, მე-2 სავარჯიშო, გვ. 192)

**თავი 7** – გაიხსენე ისტორიიდან, მწერლობიდან, ნანახი ფილმიდან ან სპექტაკლიდან შენთვის საყვარელი გმირი და კლასის წინაშე მოსათხრობად მოამზადე თემა სათაურით „ერთი გმირის ისტორია“; დაახასიათე შენ მიერ შერჩეული პერსონაჟი და გამოყავი შენთვის მისაბაძი თვისებები (საყრდენები ამ დავალების შესასრულებლად მოცემულია მოსწავლის რვეულში გვ. 43).

**თავი 8** – გამოიგონე ცოცხალი ტყუილი. გაითვალისწინე: ამბავი იყოს საინტერესო, სახალისო, მოულოდნელი და დაუჯერებელი.

**თავი 9** – მისწერე წერილი შენს საყვარელ პერსონაჟს.

**თავი 10** – ნახეთ ქართული მხატვრული ფილმი „იავნანა“ და იმსჯელეთ ფილმსა და ნაწარმოებს შორის მსგავსება-განსხვავებაზე.

**ტესტი I**

1. ა) ქარი (1 ქ.) ბ) ყვავილებს 1 ქ.
  2. ა) რა 1 ქ. ბ) ვინ 1 ქ. გ) რა 1 ქ. დ) ვინ 1 ქ.
  3. ა) მოჩანდა 1 ქ. ბ) ამოვიდა 1 ქ.
  4. გადმოგორდა 1 ქ.
  5. „მგელი და კრავი“ 1 ქ.
  6. ა) მდინარის 1 ქ. ბ) მეგობრის 1 ქ. გ) მასწავლებლის 1 ქ.
- მაქსიმალური ქ. 13

**ტესტი II**

1. ა) კესანეები 1 ქ. ბ) სავარძლები 1 ქ.
  2. ა) ხელმწიფეები მბრძანებლობენ 1 ქ. ბ) მეომრები იბრძვიან 1 ქ.
  3. ა) ფანჯრის 1 ქ. ბ) ქვეყნის 1 ქ.
  4. ციციანათელას 1 ქ. ლოკოკინას 1 ქ.
  5. ა) ნიგვზის 1 ქ. ბ) პამიდვრის 1 ქ. გ) ჭიანჭველას 1 ქ.
- მაქსიმალური ქ. 11

**ტესტი III**

1. ა) საზოგადო 1 ქ. აბსტრაქტული 1 ქ. ბოლოხმოვნია 1 ქ. კვეცადი 1 ქ.  
ბ) საკუთარი 1 ქ. კონკრეტული 1 ქ. ბოლოთანხმოვნია 1 ქ. უკუმშველი 1 ქ.
  2. 2) ჯარი 1 ქ.
  3. სამმა მუზეუმმა 1 ქ.
  4. თბილისს 1 ქ.
  5. აბასთუმანი 1 ქ.
  6. ნითელწყარო 1 ქ.
  7. ნათესაობა 1 ქ.
- მაქსიმალური ქ. 14

**ტესტი IV****(შემაჯამებელი)**

1. მარწყვი; მაცვალი; თვალებს 3 ქ.
  2. რა 1 ქ.
  3. გაჩნდა 1 ქ.
  4. ჩამოცურდა 1 ქ.
  5. „საქართველო“ 1 ქ.
  6. ა) პეპლის 1 ქ. ბ) მონადირის 1 ქ. გ) მერცხლის 1 ქ. დ) მინდვრები 1 ქ. ე) მეომრები 1 ქ.  
ვ) ჭიანჭველას 1 ქ. ზ) მასპინძლის 1 ქ.
  7. მალე მეტოქეები გამოჩნდნენ 1 ქ.
  8. ა) დასი; 1 ქ. ბ) არმია 1 ქ.
  9. ამბავმა 1 ქ. ამბავს 1 ქ. ამბის 1 ქ. ამბით 1 ქ. ამბად 1 ქ. ამბავო 1 ქ.
- მაქსიმალური ქ. 23



## ტესტი V

1. ა) სურიტა, თაროთი 2ქ. ბ) სიცხისა, სითბოს 2ქ. გ) დროს, ღვინით 2ქ.  
დ) მანქანით, მატარებლით 2ქ.
  2. სწორად ჩანერილი თითოეული ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელი 1ქ.  
(ჯამში 3 ქულა)
  3. ა) თამაზს 1ქ. ბ) ლევანმა 1ქ. გ) მერაბმა 1ქ.
  4. დაჩიმ 1ქ. დავითმა 1ქ. ირაკლიმ 1ქ. ზურაბმა 1ქ. თამარმა 1ქ. ეთერმა 1ქ.
- მაქსიმალური ქულა 20**

## ტესტი VI

1. ა) ჭავჭავაძისა 1ქ. ბ) წერეთლის 1ქ. გ) მაჩაბლის 1ქ. დ) ბროსესი 1ქ.  
ე) ინანიშვილისა 1ქ.
  2. ა) წერეთლის 1ქ. ბ) ტაბიძის 1ქ.
  3. ა) ყაზბეგმა 1ქ. ვაჟა-ფშაველამ 1ქ.  
ბ) სხირტლაძე 1ქ. გაფრინდაშვილო 1ქ. ინგოროყვა 1ქ. იაშვილო 1ქ.
  4. ა) რობაქიძეები 1ქ. ბ) ახმეტელები 1ქ. გ) ჰიუგოები 1ქ.  
დ) გოთუები 1ქ. ე) წერეთლები 1ქ.
  5. ასათიანი 1ქ.
- მაქსიმალური ქულა 19**

## ტესტი VII

1. ა) ჯადოქრად 1ქ. ბ) პეპლად 1ქ.
  2. ა) ნუგზარ 1ქ. ბ) ოთარმა 1ქ.
  3. მეზობლის – ნათესაობითში 1ქ. ეზოს – მიცემითში 1ქ. ქვით – მოქმედებითში 1ქ.  
ლობე – სახელობითში 1ქ.
  4. ხის 1ქ. ზურგჩანთები 1ქ.
  5. ყველა ნივთები 1ქ. ბევრი სათამაშოები 1ქ. ფანჯარის 1ქ.
  6. ა) ერთი მძიმე (...დროს, მეგი?) 1ქ.  
ბ) თემურ, 1ქ.  
გ) ორი მძიმე (ამ საიდუმლოს, ანი, მე...) 1ქ.
  7. ა) გამსახურდიას 1ქ. ბ) ჭავჭავაძედ 1ქ. გ) ჭილაძის 1ქ. დ) იგავ-არაკად 1ქ.
- მაქსიმალური ქულა 20**

## ტესტი VIII

1. გავიდა 1 ქ. ეძინა 1 ქ. მოუნდა 1 ქ. გადაახტა 1 ქ. გაჰკრა 1 ქ. შეასხა 1 ქ.  
გაიღვიძა 1 ქ. ინყინა 1 ქ. დატუქსა 1 ქ.
  2. ა) შეიკრიბნენ, დაინყეს 2ქ. ბ) განაცხადა, ვთქვი 2ქ. გ) გავიცნობ, შევირთავო 2ქ.
  3. ვხუმრობთ 1 ქ. წავიდნენ 1 ქ. ემალებით 1 ქ. გაამართლეს 1 ქ.
  4. ბავშვი, ბავშვს, ბავშვებს, ბავშვები (ჯამში 4 ქ.)
- მაქსიმალური ქულა 23**

## ტესტი IX

1. ა) გამოუტანიათ, გაუფენიათ – რა უქნიათ? 3 ქ. ბ) იცავდა – რას შერებოდა? 2ქ.  
გ) შეისვენა, დალია – რა ქნა? 3ქ. დაბრუნდება, აჩვენებს – რას იზამს? 3ქ.

2. ა) წარსული დრო 1ქ. ბ) აწმყო დრო 1ქ. გ) მომავალი დრო 1ქ. დ) წარსული დრო 1ქ.
3. მოდიოდნენ, იდგნენ, საუბრობდნენ, დაიშლებოდნენ (ჯამში 4 ქ.)
4. მომავალი, წარსული, აწმყო, წარსული (ჯამში 4 ქ.)

**მაქსიმალური ქულა 23**

### **ტესტი X**

1. შეცურდა, აისროდა, დააქანებდა, ჩაატარეს, გადმოეყუდა, ჩამოუგრძელდა (ჯამში 6 ქ.)
2. მოცემული ზმნისწინებით სწორად ჩაწერილი თითოეული ზმნა 1ქ. აღწერს, დაწერს, ჩაწერს, გადაწერს, გადმოწერს, ჩამოწერს (ჯამში 6 ქ.)
3. ა) კავშირებითი 1ქ. ბ) თხრობითი 1ქ. გ) კავშირებითი 1ქ. დ) თხრობითი 1ქ.
4. შეიძლება, გაიცინოს კიდევ 1ქ.
5. ავლნიშნე (ავლნიშნე) 1ქ.

**მაქსიმალური ქულა 18**

### **ტესტი XI**

1. ა) გავიბლინძე 1ქ. ბ) ავიდნენ 1ქ. გ) ხმაურობდნენ (ახმაურდნენ) 1ქ. დ) საუბრობდნენ 1ქ.
2. ვწერდი – წარსული დრო 2ქ. დავწერ – მომავალი დრო 2ქ. დავწერე – წარსული დრო 2ქ. დამინერია – წარსული დრო 2ქ.
3. დგას 1ქ. სავსეა 1ქ. ცხოვრობს 1ქ. უსხლავს 1ქ. უსხამს 1ქ. ჰფენს 1ქ. (ჯამში 6 ქ.)
4. ა), ალბათ, 1ქ. ბ) ნეტავი 1ქ. გ) შესაძლოა 1ქ.

**მაქსიმალური ქულა 21**

### **ტესტი XII**

1. ა) ბრძანებითი 1ქ. ბ) თხრობითი 1ქ. გ) კავშირებითი 1ქ.
2. მე ვუსმენ 1ქ. შენ უსმენ 2ქ. ის უსმენს 2ქ. ჩვენ ვუსმენთ 2ქ. თქვენ უსმენთ 2ქ. ისინი უსმენენ 2ქ.
3. ა) მეთქვა 1ქ. ბ) მოვილაპარაკეთ 1ქ. გ) მომეფიქრებინა 1ქ. დ) მისულა 1ქ.
4. გავანთავისუფლე 1ქ.

**მაქსიმალური ქულა 19**

### **ტესტი XIII**

1. ა) აწყვია 1 ქ. ბ) აკრიფე 1 ქ. გ) დევს 1 ქ. დ) დავჯექი 1 ქ. ე) აიღე 1 ქ. ვ) დავსხედით 1 ქ.
2. აიღო ჩანთა 1ქ. აიყვანა ბავშვი 1ქ. მოიტანა ხილი 1ქ. მოიყვანა მეგობარი 1ქ.
3. ა) დავჯექი 1 ქ. ბ) მობრანდით 1 ქ. გ) ინებეთ 1 ქ.
4. ჰგავს, ჰკადრა, ჰყავს, ჰპირდება (ჯამში 4 ქ.)

**მაქსიმალური ქულა 17**

### **ტესტი XIV**

1. მინახავს, შეგიკერავს, უთქვამს, წამიკითხავს, დაგიბამს, გაუბამს, დამინერია, გაგიტეხია, გაურიყავს (ჯამში 9 ქ.)

2. შეცდომები: შემიკერია (შემიკერავს), გინახია (გინახავს), გაუტეხავს (გაუტეხია) (ჯამში 3 ქ.)
3. ვხატავ 1ქ. დავხატავ 1ქ. ვხატავდი 1ქ. დავხატე 1ქ. დამიხატავს 1ქ. ვხატავდე 1ქ. დავხატო 1ქ. დამეხატა 1ქ.

**მაქსიმალური ქულა 20**

### **ტესტი XV**

1. ა) ყვავილები დაკრიფა 1ქ. ბ) ვაშლები ჩამოყარა 1ქ.  
გ) მოხუცები სხედან, გასცქერიან 2ქ.  
დ) ვაშლები აკრიფა 1ქ.
2. ა) თხრობითი 1ქ. ბ) კავშირებითი 1ქ. გ) ბრძანებითი 1ქ.
3. ინებეთ 1ქ. მიირთვით 1ქ. დაბრძანდით 1ქ.
4. შეცდომები: მინახია, შემიკერია, წამიკითხია (ჯამში 3 ქ.)

**მაქსიმალური ქულა 14**

### **ტესტი XVI**

1. სასახელო, სახელოვან (ჯამში 2 ქ.)
2. ა) როგორი 1ქ. ბ) როგორი 1ქ. გ) რომელი 1ქ. დ) როდინდელი 1ქ. ე) სადაური 1ქ.  
ვ) როდინდელი 1ქ.
3. ღონიერი, წყლიანი, ნალვლიანი (ჯამში 3ქ.)
4. ა) საქმიანი, უსაქმური 2ქ. ბ) ქამრიანი, უქამრო 2ქ. გ) ჩანთიანი, უჩანთო 2ქ.  
დ) დარდიანი უდარდელი 2ქ. ე) ჭკვიანი, უჭკუო 2ქ. ვ) ნიჭიერი, უნიჭო 2ქ.  
ზ) ფრთიანი, უფრთო 2ქ. თ) აივნიანი, უაივნო 2ქ.

**მაქსიმალური ქულა 27**

### **ტესტი XVII**

1. ა) უძველესი 1ქ. ბ) მომცრო, უმშვენიერესი 2ქ. გ) მონითალო, თეთრი 2ქ.
2. ა) უცხარესი 1ქ. ბ) მოტკბო 1ქ.
3. მომჟავო-უმჟავესი 2ქ. მომწვანო-უმწვანესი 2ქ. მოსქო-უსქესი 2ქ.  
მომსხო(//მომსხვილო)-უმსხოსი(//უმსხვილესი) 2ქ. მონითალო-უნითლესი 2ქ.
4. ა) უსქეს 1ქ. ბ) მოგრძო 1ქ.

**მაქსიმალური ქულა 19**

### **ტესტი XVIII**

1. ყვითელმა ყვავილმა 1ქ. ყვითელ ყვავილს 1ქ. ყვითელი ყვავილის 1ქ.  
ყვითელი ყვავილით 1ქ. ყვითელ ყვავილად 1ქ. ყვითელო ყვავილო 1ქ. (ჯამში 6 ქ.)
2. ოქრომჭედელი, ჯარისკაცი, ციხესიმაგრე, ცისკარი (ჯამში 4 ქ.)
3. ა) დეფისით 1ქ. ბ) უდეფისოდ 1ქ. გ) დეფისით 1ქ.
4. ა) მთა-ბარი, 1ქ. ბ)ხე-ტყე 1ქ. გ) ია-ვარდი 1ქ. დ) გუდა-ნაბადი 1ქ. (ჯამში 4 ქ.)

**მაქსიმალური ქულა 17**

### **ტესტი XIX**

1. ა) უყდო 1 ქ. ბ) მოყავისფრო 1 ქ. გ) ბრძნული 1 ქ. დ) უკეთესი 1 ქ.
2. მცირე-უმცირესი 2ქ. მოგრძო-უგრძესი 2ქ. წვრილი-მოწვრილო 2ქ.

- მოყვითალო-უყვითლესი 2ქ. მწარე-უმწარესი 2ქ.
- ა) ქრელ მამალს 1 ქ. ბ) ქრელი მამლის 1 ქ.
  - ბოხხმიანი 1ქ. მაღალმთიანი 1ქ. მამაპაპური 1ქ. დაძმური 1ქ.
- მაქსიმალური ქულა 20**

### ტესტი XX

- ა) ირგვლივ, ახლოს, მაღლა 3ქ. ბ) ხანდახან, არასოდეს, მანამ 3ქ.  
გ) უკეთ, უნებლიეთ 2ქ. (ჯამში 8 ქ.)
  - ა) გაღმა-გამოღმა 1ქ. ბ) მალე 1ქ. გ) ღამით 1ქ. დ) ძალიან 1ქ. ე) ხარბად 1ქ.
  - ა) დაისხა-დაუსხა 2ქ. ბ) შეიკერა-შეუკერა 2ქ. გ) აიგო-აუგო 2ქ.
  - ჩუმად (ჩუმად) 1ქ.
- მაქსიმალური ქულა 20**

### ტესტი XXI

- ა) ათქმევინა 1ქ. ბ) დაანერინა, გააგზავნინა 2ქ. გ) გაახსნევინა, ამოლაგაებინა 2ქ.  
(ჯამში 5 ქ.)
  - შეცდომები: მოატანია, შეასრულებია, გააგზავნია, დაათვლევია (ჯამში 4ქ.)
  - ჩემმა მასწავლებელმა 1ქ. ჩემს მასწავლებელს 1ქ. ჩემი მასწავლებლის 1ქ.  
ჩემი მასწავლებლით 1ქ.
  - ა) ჩემს მეგობარს, მის დას 2ქ. ბ) ჩვენს სიხარულს, თქვენს ამბავს 2ქ.
- მაქსიმალური ქულა 17**

### ტესტი XXII

- ა) ბიჭი, მეტოქე ან ხალხი 2ქ.  
ბ) სწორად ჩანერილი ნებისმიერი ორი არსებითი სახელი 2ქ.  
გ) სწორად ჩანერილი ნებისმიერი ორი ზმნა 2ქ. დ) ძველი, სწრაფი 2ქ. ე) ოთხი 1ქ.
  - გუშინაც ან მაშინვე 1ქ. ზ) უხალისოდ (კარგად, უცხოდ, უპატრონოდ...) 1ქ.  
თ) ეს 1ქ. ი) მისი 1ქ.
  - ილიის 1ქ. მეტოქის 1ქ. ფილაქნის 1ქ. ფორნის 1ქ.
  - ბ) მან ჩაუარა 1ქ. გ) ისინი იდგნენ 1ქ. დ) მათ ჩაუარეს 1ქ.
- მაქსიმალური ქულა 20**

# 13

დამატებითი რეკომენდაციები

---

**წერის სტრატეგია:  
სქემა პერსონაჟის დახასიათებისათვის**

ნაწარმოების სათაური	
პერსონაჟი	
ფიქრობს	
აკეთებს	
ამბობს	
შედეგი	
გმირის მიზანი	

ამ სააზროვნო სქემის შევსებით მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, ღრმად ჩასწვდნენ პერსონაჟის ხასიათს, თვისებებს და დაფიქრდნენ ნაწარმოების დედააზრზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გმირის მიზანზე ჩამოაყალიბებენ თავიანთ მოსაზრებებს. ეს სქემა მხოლოდ მხატვრული ტექსტის პერსონაჟის ანალიზისათვის როდია გამოსადეგი, იგივე სქემა ისტორიული პირისა და მისი საქმიანობის განხილვისათვის შეიძლება გამოვიყენოთ.

**რედაქტირება**

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები წერითი დავალების მონახაზს შექმნიან, შეძლება ჩაითვალოს, რომ ისინი უკვე მზად არიან თავიანთი ნაშრომის პირველი რედაქციის დასაწერად. წერითი მეტყველების პროცესზე ორიენტირებული სწავლება ეწინააღმდეგება წერითი მეტყველების სწავლების იმ ტიპის მიდგომას, როდესაც მასწავლებელი მოსწავლეებს რაიმე თემას მისცემს დასაწერად და მეორე დღეს ნაწერებს ჩაიბარებს მათი გასწორების, ნიშნის დაწერის და ნიშნების მომენტალურად ჟურნალში შეტანის მიზნით.

პროცესზე ორიენტირებული წერითი მეტყველების სწავლება მოსწავლეთათვის ნაწერის ჩამოყალიბებისა და დახვეწისათვის დროისა და შესაძლებლობების მიცემაზეა ორიენტირებული. შესაბამისად, ეს მიდგომა გულისხმობს ე.წ. მონახაზის მთელ ეტაპს, თავისი სტრატეგიითა და აქტივობებით და რედაქციების ჩამოყალიბებისათვის გამიზნულ გარკვეულ სამუშაოებს. მეტი მკაფიოობისათვის უმჯობესია, განვმარტოთ ტერმინი რედაქცია. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის დეფინიციით, რედაქცია: „ხელნაწერის გასწორებასა და ლიტერატურულ დამუშავებას“ ნიშნავს, რაც გულისხმობს: კონკრეტული იდეების ჩამოყალიბებასა და გავრცობას, მოსაზრებათა დაკონკრეტებას, მაგალითებისა და არგუმენტაციის გამხატვრულებასა და გამრავალფეროვნებას, დასკვნების შეჯამებას, ტექსტის სტილურად და გრამატიკულად გამართვას, კორექტურას და სხვა. აქედან გამომდინარე, მოსწავლეებს რედაქტირების ერთზე მეტი შანსი ეძლევათ, რადგანაც მხოლოდ პირველი რედაქციის დაწერის შემდეგ იჩენს თავს რეალური სირთულეები და ერთი შეხედვით გადაულახავი პრობლემები. მნიშვნელოვანია, რომ სარედაქციო სამუშაო მხოლოდ საშინაო დავალების ფორმატში არ სრულდებოდეს და მასწავ-

ლებელი საკლასო მუშაობის გარკვეულ ნაწილს უთმობდეს ჩასაბარებელი წერიტი დავალების რედაქტირების პროცესს. სწორედ ამ დროს ეძლევათ მოსწავლეებს კითხვების დასმის, ინფორმაციის დაზუსტების, ბუნდოვანი საკითხების ნათელყოფის შანსი, რაც სწავლის უმნიშვნელოვანესი ეტაპია და უშუალოდ განაპირობებს აკადემიური მოსწრების მაღალ დონეს.

ქეთევან თოფაძე,  
ფრაგმენტი ნიგნების სერიიდან – სწავლების სტრატეგიები სკოლაში  
„არტლაინსი“, თბილისი 2011

## თხზულების შეფასება

მოსწავლის თხზულების შეფასებისას მასწავლებელი უნდა ხელმძღვანელობდეს იმ აზრით, რომ მისი კომენტარების მთავარი მიზანი მოსწავლესა და მას შორის **თანამშრომლობის** დამყარებაა და არა „დამწყები ლიტერატორის“ ნაშრომის ნაკლოვანებათა გამომჟღავნება. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი თითოეული მოსწავლის პროგრესზე დაკვირვება და რეალურ შედეგსაც მხოლოდ ამ გზით უნდა ველოდეთ.

შეფასების გზა და საშუალება მრავალგვარია. ყველაზე გავრცელებული ტიპები შეფასებისას არის: **ანალიტიკური** და **ჰოლისტური** შენიშვნები.

**ანალიტიკური შენიშვნები** გულისხმობს მოცემული წერიტი დავალების მიზნის მიღწევისათვის მიძღვნილი მსჯელობის ანალიზს. სწორედ მსჯელობის სიღრმისეულობის ხარისხია დასახული ძირითად კრიტერიუმად, რომლითაც შეფასდება მოცემული ნამუშევარი. თუ შეფასებელი მკაცრად მისდევს ამ კრიტერიუმებს და თითოეული პუნქტის მიხედვით აფასებს ნაშრომს, საბოლოო კომენტარში შესაბამისი ნიშნის განსაზღვრა არც შეფასებლის ყოყმანისა და არც შეფასებულის ეჭვის მიზეზი არ იქნება. მოსწავლის ნაშრომის შესახებ ზოგადი მსჯელობა, შესაძლოა, დამაბნეველი და არაფრის მთქმელი იყოს თვით წარჩინებული მოსწავლისთვისაც (განსაკუთრებით კი მათთვის, ვინც ვერ ახერხებს იმის გაკეთებას, რაც საჭიროა, ან რაც მოეთხოვება), რამეთუ იგი ვერ გაარკვევს, რატომ იყო მისი ნაწერი კარგი, ან როგორ გაიუმჯობესოს წერის უნარ-ჩვევები. ანალიტიკური კომენტარები მიუთითებს მოსწავლეს მისი ნაწერის ძლიერსა და სუსტ მხარეებზე და ურჩევს, რაზე გაამახვილოს ყურადღება.

ანალიტიკური შეფასება მნიშვნელოვანია სასწავლო წლის მანძილზე მოსწავლის პროგრესისა და მიღწევების დასაფიქსირებლად. პროგრესის ფიქსირების მარჯვე ხერხია შესაფასებელი ნაშრომის პუნქტობრივი შედარება ამავე ავტორის ადრინდელ ნამუშევრებთან. ახლადმიღწეული და ჯერ მკვიდრად შეუთვისებული შედეგის შეფასებისათვის კი შესაძლოა იდეალური შედეგის ნიმუშის ჩვენება. ცხადია, ორივე შემთხვევაში მოსწავლემ ზუსტად უნდა იცოდეს იმ კრიტერიუმების შესახებ, რომელთა მიხედვითაც ფასდება მისი ნაშრომი.

**ჰოლისტური შეფასება** გულისხმობს მოცემული ნაშრომის შესახებ შემაჯამებელ, ამომწურავ მსჯელობას. შეფასების ეს მეთოდი განსაკუთრებით სასარგებლოა მოსწავლის პროგრესის შესაფასებლად. ჰოლისტური შეფასება გაცილებით ნაკლებ დროს მოითხოვს, ვიდრე ანალიტიკური შეფასება და, უმეტეს შემთხვევაში, ზუსტად იმავე შედეგს უჩვენებს, ანუ მოსწავლე ორივე მეთოდით შეფასებისას ერთსა და იმავე ნიშანს იღებს. ამიტომ, ვფიქრობ, ამ მეთოდით შეფასებაზე დიდი დროის დაკარგვა არ ღირს და ეს დრო შეიძლება მიეძღვნას ან ამ მოსწავლის საუკეთესო მხარეების შესახებ მსჯელობას, რომელთა განვითარება მასწავლებელს განსაკუთრებით ღი-

რებულად მიაჩნია, ან იმ ფაქტორებზე ყურადღების გამახვილებას, რომელთა დასაძლევად მას სჭირდება მუშაობა სამომავლოდ.

**ნიშნებით შეფასება.** ზოგიერთ მასწავლებელს უფრო ემარჯვება თითოეული მოსწავლის ყოველი ნაშრომის ნიშნით შეფასება, სხვები კი თვლიან, რომ მოსწავლის შესაძლებლობების შეფასებისას გაცილებით მკაფიო სურათს იძლევა მასწავლებლისა და მოსწავლის მიერ ერთად შერჩეული ნამუშევრების შეფასება.

**მოსწავლის თხზულების კომენტირება.** როდესაც მოსწავლე მასწავლებლის მიერ წითელი პასტით აჭრელებულ თავის ნაშრომს დახედავს, ნაკლებ სავარაუდოა, რომ მოუნდეს მის დახვეწაზე შემდგომი გარჯა. უფრო მეტიც, მოსწავლეების თხზულებების შესწორება დიდ დროსა და შრომას მოითხოვს და მასწავლებელსაც გული უცრუვდება წერიტი დავალებების ხშირად მიცემაზე. გაცილებით უფრო სახალისოა ნაწერში რამდენიმე ყველაზე რეგულარულად დაშვებული შეცდომის გასწორება და, ამასთანავე, ზოგი დადებითი მხარის აღნიშვნაც. კიდევ უფრო უკეთესია, თუ ამ დავალების შესასრულებლად მოსწავლეები წყვილებად იმუშავებენ და მასწავლებელთან პერიოდულ საკონსულტაციო შეხვედრებზე თავად აღნიშნავენ საკუთარ სუსტსა და ძლიერ მხარეებს. ამგვარი შეფასებების მეთოდი გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეები გაეცნობიან და შეითვისებენ შეფასების კრიტერიუმებს და ანალიტიკური კომენტარის ფორმას.

ნინო ღამბაშიძე,  
ფრაგმენტი წიგნების სერიიდან – სწავლების სტრატეგიები სკოლაში,  
„არტლანსი“, თბილისი, 2011 წელი



### ლექსიკურ ერთეულებზე დაყრდნობით ტექსტის (წინადადეგების) შედგენა

იმისათვის, რომ წერა სახალისო პროცესად იქცეს, საწერად მოსწავლეთათვის საინტერესო თემა უნდა შეირჩეს. მასწავლებელს შეუძლია წინასწარ შეათანხმოს კლასთან, რა თემაზე სურთ მათ წერა.

წერის პროცესის პირველი ეტაპი საკმაოდ ადრეულ ასაკში იწყება. საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს გამოცდილებას, რომელიც მოსწავლეს უკვე აქვს სკოლაში მისვლამდე. ამიტომ მასწავლებელმა, პირველ რიგში, მოსწავლის წინარე ცოდნა უნდა გაააქტიუროს.

ლექსიკურ ერთეულებზე დაყრდნობით ტექსტის (წინადადების) შედგენის მეთოდი ეხმარება მოსწავლეს კონტექსტისათვის ადეკვატური ერთეულების შერჩევისა და გამოყენების უნარის ჩამოყალიბებაში; სპეციფიკური ტერმინოლოგიის შერჩევა-გამოყენებაში; ლექსიკური მარაგის გამდიდრებაში.

ტექსტის შედგენაში იგულისხმება წინადადების შედგენაც.

ამ მეთოდს შეგვიძლია მივმართოთ პირველი კლასის მეორე ნახევრიდან, მას შემდეგ, რაც მოსწავლეს წერა-კითხვა დამოუკიდებლად შეეძლება. მეთოდი ორი სხვადასხვა მიზნით გამოიყენება:

1. ლექსიკური ერთეულების კონტექსტის ადეკვატურად გამოყენება;
2. კონკრეტულ თემასთან დაკავშირებული სიტყვებით მხატვრული ან არამხატვრული ტექსტის შექმნისას.

მეთოდს სამი ვარიანტი აქვს.

ამ მეთოდის სამივე ვარიანტის გამოყენებით მოსწავლეები შეძლებენ:

- წერის პროცესში სათანადოდ გამოიყენონ საგნების, მათი თვისებებისა და მოქმედებების გამომხატველი სიტყვები;
- ააგონ მარტივი წინადადებები მასწავლებლის მიერ მიცემული სიტყვებით;
- დაახასიათონ მათთვის ნაცნობი ადამიანები და მოვლენები;
- დააკვირდნენ სიტყვების მნიშვნელობას და გამოიყენონ კონტექსტის გათვალისწინებით;
- ტექსტის შედგენისას გამოიყენონ ახლად შესწავლილი სიტყვები და ფრაზები;

- თანმიმდევრულად გადმოსცენ ფაქტები და მოვლენები;
- შესაფერისი ლექსიკის გამოყენებით შეადგინონ მარტივი დარგობრივი ტექსტები (კლიმატის აღწერა, გეოგრაფიული გარემოს აღწერა, მათემატიკური ამოცანა და სხვ.);
- ინფორმაციული ტექსტის შედგენისას გამოიყენონ სპეციალური ტერმინოლოგია;
- ამა თუ იმ ჟანრის ტექსტის შექმნისას გამოიყენონ სხვადასხვა მხატვრული ხერხი (ეპითეტი, შედარება და სხვ.);
- სხვადასხვა საგანში შექმნილი ცოდნის საფუძველზე შექმნან მცირე ზომის თხზულება (მაგ., „შემოდგომა“, „შინაური ცხოველები“ და სხვ.).

## I ვარიანტი

### ლექსიკური ერთეულების გამოყენება კონტექსტის ადეკვატურად

მეთოდის ეს ვარიანტი გულისხმობს, რომ მოსწავლეებმა უნდა შეადგინონ წინადადებები უკვე ნასწავლი და დამუშავებული სიტყვებით, სიტყვათშეთანხმებებით, ფრაზეოლოგიზმებით.

#### მსვლელობა:

1. მასწავლებელი დაფაზე წერს მოსწავლეებისათვის უკვე ახსნილ, ნასწავლ ლექსიკურ ერთეულებს;
2. მოსწავლეებმა უნდა შეადგინონ წინადადებები დამოუკიდებლად, რისთვისაც ეძლევათ გარკვეული დრო;
3. წერის დასრულების შემდეგ მასწავლებელი წააკითხებს მოსწავლეებს მათ მიერ შედგენილ წინადადებებს;
4. მასწავლებელი გააკეთებს კომენტარებს მოსწავლეების მიერ შესრულებულ სამუშაოზე.

მეთოდის განხორციელებისას გასათვალისწინებელი პირობები:

ამ მეთოდით მუშაობა მიზანშეწონილია პირველკლასელებთანაც, მაგრამ მას შემდეგ, რაც მოსწავლეები დამოუკიდებლად წერა-კითხვას შეძლებენ. აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მათი შესაძლებლობები: დავინყოთ მარტივი დავალებებით (მაგ., შევადგენინოთ ერთი-ორი წინადადება) და თანდათან გავართულოთ.

## II პარიატი

კონკრეტულ თემასთან დაკავშირებული სიტყვებით მხატვრული ან არამხატვრული ტექსტის შექმნა

**მსვლელობა:**

1. წერის დაწყებამდე მოსწავლეები შეარჩევენ თემას და მასწავლებლის დახმარებით ჩამოწერენ დაფაზე ამ თემასთან დაკავშირებულ სიტყვებს (მაგ., მზე – მცხუნვარე, ცხრათვალა, ოქროსფერი...);
2. მოსწავლეები ამ სიტყვების გამოყენებით წერენ მხატვრულ ან ინფორმაციულ ტექსტს.
3. ინფორმაციული ტექსტის შესაქმნელად მასწავლებელი სთხოვს, გაიხსენონ სხვა საგნებში მიღებული ცოდნაც (მაგ. ბუნებისმეტყველება).
4. მხატვრული ტექსტის შექმნისას კი უთითებს მათ, რა ტიპის ტექსტი უნდა შექმნან: თხრობითი, მონოლოგური თუ დიალოგური.

**მეთოდის განხორციელებისას გასათვალისწინებელი პირობები:**

მეთოდის გამოყენება მიზანშეწონილია მას შემდეგ, რაც მოსწავლეებს ექნებათ პირველი ვარიანტით მუშაობის გამოცდილება. გარდა ამისა, ნასწავლი ექნებათ სხვადასხვა ტიპის ტექსტები; შეეძლება ერთმანეთისგან განასხვავონ მხატვრული და არამხატვრული ტექსტები.

### III პარიატი

#### ლექსიკურ ერთეულებზე დაყრდნობით ამბის შედგენა

ლექსიკურ ერთეულებზე დაყრდნობით ამბის შედგენა მოსწავლეებს უფითარებს ისეთ უნარებს, როგორებიცაა: ფანტაზია, მოცემულ „საკვანძო“ სიტყვებს შორის კავშირების დამყარება და ახალი სიუჟეტის შექმნა, სიტყვებისთვის გრამატიკული ფორმის შეცვლა, სათქმელის გასაგებად და თანმიმდევრულად გადმოცემა, კორექტირება, სხვისი აზრის მოსმენა, ტექსტების შედარება.

#### მსვლელობა

1. წინასწარ შერჩეული, მოსწავლისათვის უცნობი ტექსტიდან მასწავლებელი დაფაზე წერს 4-5 „საკვანძო“ სიტყვას (მათ შორის შეიძლება იყოს: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, ზმნა და სხვა);
2. მოსწავლეები ამ სიტყვებით შეადგენენ საკუთარ მოთხრობას;
3. აუცილებელია გამოიყენონ „საკვანძო“ სიტყვები. თუმცა, ტექსტის საჭიროებიდან გამომდინარე, მოსწავლეებს შეუძლიათ სიტყვების გრამატიკული ფორმის შეცვლა და სიტყვების დამატება;
4. მოსწავლეები მუშაობენ ინდივიდუალურად;
5. მოსწავლეები წყვილდებიან და უზიარებენ მენყვილეს „ნაწარმოების“ საკუთარ ვარიანტს;
6. შემდეგ მასწავლებელი კითხულობს თავდაპირველ ტექსტს, საიდანაც არის ამოკრებილი „საკვანძო“ სიტყვები;
7. მოსწავლეები ადარებენ თავიანთ ვარიანტებს უკვე არსებულ მხატვრულ ტექსტს (პოულობენ მსგავსება-განსხვავებას მათ შორის).

#### მეთოდის განხორციელებისას გასათვალისწინებელი პირობები:

მეთოდის გამოყენება რეკომენდებული არ არის დაწყებითი საფეხურის სწავლის ეტაპზე (I-II კლასში);

მასწავლებელმა ყურადღებით უნდა შეარჩიოს საკვანძო სიტყვები, რათა უზრუნველყოს ამბის ერთი ქარგით განვითარება. მეთოდი კომპლექსურია; იგი ავითარებს წერის, კითხვის, მოსმენის, მსჯელობის უნარებს.

## **წერა მამიღის ირბვლიპ**

მეთოდის მიზანია, განუვითაროს მოსწავლეს კრიტიკულად აზროვნების, საკუთარი აზრის ლოგიკურად და თანმიმდევრულად წერილობით გადმოცემის, ასევე თვითშეფასებისა და სხვათა შეფასების უნარი.

მეთოდის მოსალოდნელი შედეგია, რომ მოსწავლემ დამოუკიდებლად შეადგინოს მცირე მოცულობის ტექსტი ნაცნობი ლექსიკით და გასაგებად ჩამოაყალიბოს აზრი; შეეჩვიოს ჯგუფში მუშაობას, აუდიტორიის წინაშე გამოსვლასა და დროის განაწილებას; სხვათა ნააზრევის გაზიარებასა და პატივისცემას.

### **მსვლელობა:**

1. დააჯგუფეთ მოსწავლეები (4-5 მოსწავლე) და გააცანით სანერი თემა. (თემა, სასურველია, შერჩეული იყოს მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე).
2. თითოეულ მოსწავლეს უნდა ჰქონდეს თავისი სანერი ფურცელი.
3. წინასწარ განსაზღვრულ დროში (3-5 წუთი) მოსწავლეებმა უნდა მოასწრონ თავინთი მოსაზრებების დაწერა თემის გარშემო.
4. დროის ამოწურვისთანავე მოსწავლეები ფურცელს, რომელზეც მათი ნააზრევია დაწერილი, გადაანოდებენ მარჯვნივ მჯდომს და თვითონ, შესაბამისად, მიიღებენ ფურცელს მარცხნივ მჯდომისაგან.
5. მოსწავლეები ნაიკითხავენ და გააგრძელებენ თანაკლასელის ნააზრევს.
6. ფურცლები წრეში მანამ იტრიალებს, სანამ ჯგუფის ყველა წევრს საკუთარი არ დაუბრუნდება.
7. ნაწერები კლასში განიხილება, საუკეთესო ნაშრომს მასწავლებელი შეარჩევს და სათანადოდ შეაფასებს.

### **მეთოდის განხორციელებისას გასათვალისწინებელი პირობები:**

მეთოდის გამოყენება რეკომენდებულია მესამე კლასიდან. გასათვალისწინებელია კლასში მოსწავლეთა რაოდენობა. მეთოდის გამოყენება განსაკუთრებით ეფექტურია 15-20 ბავშვიან კლასში. ეს მეთოდი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას დაწყებითი საფეხურის ნებისმიერ საგანში.

**პირამიდული ისტორია**


„პირამიდული ისტორიის“ მეთოდით მუშაობისას მოსწავლეები პატარა მწერლების როლში აღმოჩნდებიან: შექმნიან მცირე მასშტაბის მოთხრობას, შემდეგ კი ერთობლივად შეაგებენ წინასწარ მოცემულ სქემას.

მოსწავლეები ამ სტრატეგიის გამოყენებისას სწავლობენ: სიუჟეტის შედგენას; საკუთარი აზრის გადმოცემას; პრობლემების დანახვასა და გადაჭრის გზების ძიებას; სხვისი აზრის მოსმენასა და პატივისცემას.

„პირამიდული ისტორია“ სამი ეტაპისაგან შედგება:

- პირველი ეტაპი – „პირამიდის“ ჯგუფური შევსება; მონაწილეობს მთელი კლასი;
- მეორე ეტაპი – მოსწავლის ნააზრევს გამოხატვა ინდივიდუალურად;
- მესამე ეტაპი – შედგენილი ტექსტის ერთობლივი განხილვა.

გაკვეთილის დაწყებამდე დაფაზე ან ქალაქდზე მომზადებულია შემდეგი სქემა:



**მსვლელობა:**

1. პირველ ხაზზე იწერება მოთხრობის მთავარი გმირის სახელი. მეორე ხაზზე ვწერთ ორ სიტყვას, რომელიც მთავარ გმირის ხასიათს ან გარეგნობას გამოხატავს.
2. მესამე ხაზზე იწერება სამი სიტყვა, რომლებიც გამოხატავს, სად ხდება მოქმედება (ქვეყანა, ადგილი, მოქმედების გარემო);

3. მეოთხე ხაზზე – ოთხი სიტყვა, რომლებიც აღწერს მოთხრობის მთავარ პრობლემას (ვთქვათ სიღარიბე, გზის დაკარგვა, შეხვედრა და ა. შ);
4. მეხუთე ხაზზე – ხუთი სიტყვა, რომლებიც აღწერს მოთხრობის იმ ეპიზოდს, საიდანაც იწყება პრობლემის გაშლა-განვითარება;
5. მეექვსეზე – ექვსი სიტყვა, რომლებიც ასახავს მოვლენების შემდგომ განვითარებას მოთხრობაში;
6. მეშვიდეზე – შვიდი სიტყვა, რომლებიც აღწერს ახალ მოვლენას, ამბავს, რომელიც სიუჟეტში ნამოჭრილი პრობლემის მოგვარებას ემსახურება;
7. მერვე ხაზზე – რვა სიტყვა, რომლებიც გვიჩვენებს პრობლემის საბოლოო გადაჭრას;
8. მოსწავლეები ქმნიან პირამიდის საკუთარ ვარიანტებს;
9. მოსწავლეებთან ერთად მასწავლებელი ირჩევს მოსწავლეთა ნამუშევრებიდან ერთ-ერთ ვარიანტს და გადააქვს დაფაზე (ან დიდი ფორმატის ქაღალდზე);
10. პირამიდის შევსების შემდეგ მოსწავლეებს ვთავაზობთ, ამ სიტყვების გამოყენებით ინდივიდუალურად შეადგინონ მოთხრობის საკუთარი ვარიანტი (აუცილებელია ამ სიტყვების გამოყენება, მაგრამ მოსწავლეებს შეუძლიათ სიტყვების გრამატიკული ფორმის შეცვლა და სხვა სიტყვების დამატება);
11. მოსწავლეები თხზულებაზე 10-15 წუთი მუშაობენ;
12. მსურველები (ავტორები) გააცნობენ საკუთარ თხზულებას აუდიტორიას.

**მეთოდის განხორციელებისას გასათვალისწინებელი პირობები:**

მეთოდის გამოყენება რეკომენდებული არ არის I-II კლასებში; სასურველია, რომ „პირამიდული ისტორიის“ წერას წინ უძღოდეს სათანადო ლიტერატურული გამოცდილება, ანუ მოსწავლეებს შესწავლილი ჰქონდეთ ისეთი ნაწარმოები, რომელშიც ნათლად იქნება გამოკვეთილი სიუჟეტური ხაზი: პრობლემის გაჩენა – პრობლემის კულმინაცია – პრობლემის გადაჭრა.

## „როლი, აუდიტორია, ფორმა, თემა“

წერა კომუნიკაციის საშუალებაა. ნაწერით ადამიანი სხვებს უზიარებს თავის აზრს, აცნობს ინფორმაციას და ა. შ. ამიტომ ნაწერის ხასიათი დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ წერს, ვისთვის წერს, რა მიზნით წერს. მოსწავლეს ყოველთვის წინასწარ განსაზღვრული უნდა ჰქონდეს რაზე წერს და ვისთვის წერს. იმისათვის, რომ მოსწავლეებს განუვითარდეთ წერითი უნარ-ჩვევები, შემდეგი მნიშვნელოვანი პრინციპები უნდა გაითვალისწინოთ:

- მოსწავლეებს ნაწერში თამამად და თავისუფლად მსჯელობის საშუალება უნდა ჰქონდეთ;
- თავად უნდა აირჩიონ თემა, ფორმა, აუდიტორია;
- უნდა ჰქონდეთ საშუალება თანატოლებთან ერთად განიხილონ საკუთარი ნაწერი;

ამ მეთოდის მიზანია მოსწავლეებმა ისწავლონ სხვადასხვა ფორმატისა და შინაარსის მხატვრული თუ არამხატვრული ტექსტების შექმნა (წერილი, მოხსენება, განცხადება, მისალოცი ბარათი, დღიური, რეფერატი, საკონფერენციო თემა, მოთხრობა, სცენარი, ჩანახატი, ინტერვიუ და სხვა).

### მსვლელობა:

1. თავდაპირველად მოსწავლეებთან ერთად განსაზღვრეთ საწერი თემა და დაწერეთ დაფაზე;
2. სთხოვეთ მოსწავლეებს აირჩიონ როლი – ვის როლში ისურვებდნენ ყოფნას? ე. ი. ვინ იქნება წერილის ადრესანტი (ეს შეიძლება იყოს: მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი, მეგობარი, დირექტორი, მინისტრი, პრეზიდენტი, მწერალი, ჟურნალისტი, რედაქტორი ან რომელიმე უსულო საგანი ან სულიერი არსება და სხვა);
3. ჩამოწერეთ მათ მიერ არჩეული როლები დაფაზე;
4. სთხოვეთ შეარჩიონ შესაფერისი აუდიტორია – ვისთვის უნდათ რომ დაწერონ? ე. ი. ვინ იქნება ტექსტის ადრესატი (ეს შეიძლება იყოს: მასწავლებელი, მეგობარი, საკუთარი თავი, ოჯახის წევრები, კლასელები, დირექტორი, პრეზიდენტი, პოპულარული ადამიანი, კედლის გაზეთი, ჟურნალი, ნაწარმოების გმირი, ავტორი და ა.შ.)



5. დანერეთ მათი პასუხები დაფაზე;
6. სთხოვეთ მოსწავლეებს შეარჩიონ ფორმა – რა ფორმით ისურვებენ წერას? (წერილი, მონოლოგი, პირადი დღიური, მოხსენება, თემა, რეფერატი, კედლის გაზეთი, ჟურნალი, წიგნი, მოთხრობა, ზღაპარი, სცენარი, ლექსი, ჩანახატი, წერილი მომავალში, ინტერვიუ, განცხადება, ღია ბარათი, შეტყობინება, პრეზენტაცია და სხვა);
7. ყოველივე ამის შემდეგ მიეცით მოსწავლეებს დრო, წერონ თავისუფლად;
8. სურვილის მიხედვით გაუზიარონ ერთმანეთს თავიანთი ნაშრომები;
9. ნაშრომის წაკითხვამდე დაასახელონ: **თემა, როლი, აუდიტორია, ფორმა;**
10. თავი შეიკავეთ უარყოფითი კომენტარებისაგან;
11. ვისაც სურვილი აქვს, შეუძლია ნაშრომი კლასის კედელზე გამოაკრას.

**მეთოდის განხორციელებისას გასათვალისწინებელია:**

მეთოდის გამოყენება რეკომენდებულია მეორე კლასიდან (მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით).

მეთოდი კომპლექსურია; იგი ავითარებს წერის, კითხვისა და ზეპირმეტყველების უნარებს.

თავდაპირველად თავად შეურჩიეთ მოსწავლეებს როლი, აუდიტორია, ფორმა და თემა. შემდეგ, როცა გაინაფებიან, მოსწავლეები დამოუკიდებლად შეძლებენ შერჩევას.

## **ნერა „ფანტაზია“**

მეთოდის მიზანია, დაეხმაროს მოსწავლეებს წარმოსახვისა და ფანტაზიის განვითარებაში, შთაბეჭდილებების გადმოცემაში.

### **მსვლელობა:**

1. წინასწარ მოამზადეთ საკლასო ოთახი ისე, რომ მოსწავლეებს დამოუკიდებლად მუშაობაში, სამუშაოზე კონცენტრაციაში ხელი არ შეეშალოთ.
2. იმ თემის ირგვლივ, რაზეც მოსწავლეებმა უნდა წერონ, რამდენიმე მინიშნება გააკეთეთ. ეს შეიძლება იყოს დაფაზე დანერგილი რამდენიმე სიტყვა, თვალსაჩინოება, მუსიკა ან სხვა.
3. სთხოვეთ მოსწავლეებს, მიცემული მინიშნებებიდან გამომდინარე, ჩაიწერონ თავიანთი აზრები, ემოციები და წარმოდგენები.
4. წერისათვის გამოყავით 15-20 წუთი.
5. მოსწავლეებს მიეცით დრო, რომ თავიანთი ფანტაზიის ნაყოფი მეგობრებსაც გაუზიარონ.
6. შეაგროვეთ მოსწავლეთა ნაწერები.

### **მეთოდის განხორციელებისას გასათვალისწინებელია:**

ამ მეთოდის წარმატებით განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია თემის ირგვლივ მინიშნებების სწორად შერჩევა. დაწყებითი საფეხურის მაღალ კლასებში მინიშნებების გამოყენება შესაძლებელია არც იყოს აუცილებელი და მოსწავლეებს პირდაპირ გარკვეულ თემატიკაზე „თავისუფალი თემის“ დაწერა დაავალოთ. დაწყებითი საფეხურის უფრო დაბალ კლასებში კი მოსწავლის ფანტაზიის გასააქტიურებლად დამატებითი სტიმულატორების გამოყენება ხელს უწყობს მისი მოტივაციის გაზრდას წერიითი სამუშაოსადმი.

## **სწავლა შეცდომების განხორციელებით**

ეს მეთოდი ეხმარება მოსწავლეებს საკუთარი შეცდომების აღმოჩენასა და ადეკვატურად რეაგირებაში; ხელს უწყობს შეცდომების გასწორების უნარის ჩამოყალიბებას, ზრდის მოტივაციას და ავითარებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს. უყალიბებს შეცდომებისადმი ადეკვატურ დამოკიდებულებას (შეცდომის დაშვება და მისი შესწორება სასწავლო პროცესის თანმდევი ნაწილია). ამ მეთოდის მეშვეობით მოსწავლე სწავლობს აქტიურად, „კეთებით“. ამავე დროს, მოსწავლეებს უვითარდებათ სოციალურ-კომუნიკაციური უნარები: ზეპირი და წერილი მეტყველება, თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, თანამშრომლობა.

შეცდომების გასწორება ნებისმიერი წერილი სამუშაოს შემდეგ შეიძლება ჩატარდეს. მთავარია, ზუსტად განსაზღვროთ, რა ტიპის შეცდომებს გაასწორებენ მოსწავლეები.

### **მსვლელობა:**

1. მიეცით ინსტრუქცია მოსწავლეებს: ნაიკითხონ მათ მიერ შესრულებული წერილი დავალება; მიაქციონ ყურადღება სასვენი ნიშნებსა და ორთოგრაფიას;
2. წინასწარ განუსაზღვრეთ დრო;
3. ნააკითხეთ ხმამაღლა ერთ მოსწავლეს; მოსწავლემ უნდა თქვას, რა შეასწორა და რატომ;
4. იკითხეთ, ჰქონდა თუ არა ვინმეს მსგავსი შეცდომა;
5. ჩართეთ მსჯელობაში მთელი კლასი.

### **მეთოდის განხორციელებისას გასათვალისწინებელია:**

მეთოდი მოითხოვს დიდ დროს; შესაძლებელი უნდა იყოს რაც შეიძლება მეტი მოსწავლის ნამუშევრის განხილვა.

ამ მეთოდის გამოყენება შესაძლებელია დაწყებითი საფეხურის ყველა კლასში.

ამ მეთოდს შეიძლება მთელი გაკვეთილი დასჭირდეს, ამიტომ სასურველია წერა და შეცდომების გასწორება დაწყვილებული გაკვეთილების დროს ჩატარდეს (თუ წერილი სამუშაო მცირე დროს მოითხოვს, შესაძლებელია, შეცდომების გასწორება იმავე გაკვეთილზე მოესწროს).

მოსწავლეებმა ზუსტად უნდა იცოდნენ, რისი გასწორება ევალებათ და როგორ.



მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარების ხელშეწყობისათვის მნიშვნელოვანია, მასწავლებელი კარგად იცნობდეს ბლუმის ტაქსონომიას.

ბლუმის მოდელში აზროვნების უნარის ექვსი იერარქიული საფეხურია გამოყოფილი. ამ კონცეფციის უკეთ ახსნისთვის მეცნიერები ხშირად კიბის ანალოგიასაც მიმართავენ, რომლის ყოველი მომდევნო საფეხური წინაზე უფრო რთულია და რომელზე ასვლაშიც მასწავლებელი უნდა ეხმარებოდეს ბავშვებს. ბლუმის ტაქსონომიის შესაბამისად, აზროვნების ყველაზე დაბალი სამი საფეხურია: ცოდნა, გაგება, გამოყენება; მაღალ საფეხურებზე კი წარმოდგენილია: ანალიზი, სინთეზი და შეფასება. ამ საფეხურების იერარქიულობა გულისხმობს არა მხოლოდ იმას, რომ ყოველი მომდევნო საფეხური წინაზე უფრო რთულია, არამედ იმასაც, რომ იერარქიის ქვედა საფეხურები შენარჩუნებულია ზედა დონეებზეც. მასწავლებლის მიზანია ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, რომელშიც ხელი შეეწყობა ბლუმის ტაქსონომიით გათვალისწინებული ყველა საფეხურის განვითარებას. ამაში კი ქვემოთ მოცემული ინფორმაცია დაგეხმარებათ.

- I. **ცოდნის დონე** – ამ დონის შესაბამისად შემუშავებული სასწავლო აქტივობები მოსწავლეებისგან, ძირითადად, ფაქტების დამახსოვრებას მოითხოვს. მოსწავლეთა ყურადღება ახალი ინფორმაციის აღქმაზე, მის ხშირ გამეორებასა და დამახსოვრებაზეა მიმართული.
- II. **გაგების დონე** – ამ დონის შესაბამისად მომზადებული სასწავლო აქტივობები მოსწავლეებისაგან მიღებული ცოდნის ინტერპრეტაციას, მის ახსნას და სიღრმისეულ წვდომას მოითხოვს. გრაფიკების, ცხრილებისა თუ დიაგრამების ინტერპრეტირება, მათში მოცემული ინფორმაციის წვდომა ასეთი აქტივობის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი ილუსტრაციაა. ისევე, როგორც ცოდნის, გაგების დონეც მარტივ დონედ არის მიჩნეული იმიტომ, რომ მოსწავლეებს არ ევალებათ ახალი ინფორმაციის გენერირება, არსებულ გამოცდილებასა და ცოდნაზე დაყრდნობით რაიმე ახლის შექმნა. ისინი მხოლოდ უკვე არსებული, მოცემული ინფორმაციის ახსნა-განმარტებას ახერხებენ.
- III. **გამოყენების დონე** – ამ დონის შესაბამისად მომზადებული სასწავლო აქტივობა მოსწავლეებისაგან საკუთარი ცოდნის ტრანსფერს (გადატანას), პრაქტიკულ ვითარებაში მის გამოყენებას მოითხოვს. მოსწავლეებს ევალებათ მიღებული ცოდნის კონკრეტულ ვითარებაში პრაქტიკულად გამოყენებისათვის ყველაზე ეფექტური სტრატეგიების მოფიქრება და რეალიზება.
- IV. **ანალიზის დონე** – ამ დონის შესაბამისად მომზადებული სასწავლო აქტივობა მოსწავლეებისაგან ერთი მთლიანის, კომპლექსური კონცეფციის შემადგენელ კომპონენტებად დაშლას; მთელსა და მის ნაწილებს შორის არსებული მიმართებების დანახვას, წვდომას; მათ შორის არსებული მსგავსება/განსხვავებულობის წვდომით მთლიანის უკეთ გაგებას; რთული კონცეფციების მიღმა მდგარი ძირითადი იდეისა და სტრუქტურის ამოკითხვას, გაგებას მოითხოვს.
- V. **სინთეზის დონე** – ამ დონეზე მომზადებული დავალება, საკლასო აქტივობა მოსწავლეებისაგან ცოდნისა და გამოცდილების გამოყენებას მოითხოვს მათთვის უცნობი, სრულიად ახალი პროდუქტის შექმნისათვის. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში არ არის აუცილებელი, ახალი პროდუქტი არსებითად ახალი, აქამდე არარსებული ელემენტებისაგან შედგებოდეს. სინთეზის დონე ითვალისწინებს კარგად ნაცნობი ელემენტების (მოვლენების, ფაქტების, საგნების და ა. შ.) ახლებურად გაანალიზებასაც, მათ შორის ახლებური კავშირების, მიმართებების დამყარებას.
- VI. **შეფასების დონე** – ამ დონის დავალებები მოსწავლეებისაგან მოვლენების ან ფაქტებ-

ის შეფასებას, მათზე დასკვნების გამოტანას მოითხოვს ისეთი მახასიათებლების მიხედვით, როგორებიცაა: ხარისხი, სანდოობა, ღირებულება, პრაქტიკული მნიშვნელობა და ა. შ. მოსწავლეებს ევალუბთ საკუთარი პოზიციის მხარდაჭერი მტკიცებულებების წარმოდგენა, მათი პოზიციის გამყარება ღირებულებითი მსჯელობებით.

კრიტიკული აზროვნების უნარი ყველაზე მჭიდროდ ბლუმის ტაქსონომიის ყველაზე მაღალ – მე-5 და მე-6 – საფეხურებთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, მოსწავლეებში ამ უნარის განვითარებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია მათი დახმარება, მხარდაჭერა ბლუმის ტაქსონომიის „კიბეზე ასვლის“ თვალსაზრისით.

## პრაქტიკული სტრატეგიები

ჩვენი მიზანია თქვენთვის რამდენიმე კონკრეტული სტრატეგიის გაცნობა, რომელთა გამოყენებაც დაგეხმარებათ კრიტიკული აზროვნების განვითარებისათვის სასურველი გარემოს შექმნაში:

- *აღკვეთეთ მოსწავლეთა იმპულსურობა.* იმპულსურობაში იგულისხმება მოსწავლეების მიერ ნაჩქარევი, გაუაზრებელი პასუხების გაცემის ჩვევა. ალბათ, თქვენთვის საკმაოდ კარგად არის ნაცნობი სიტუაცია, როდესაც მოსწავლე თქვენ მიერ კითხვის დასრულებასაც კი არ ელოდება და ადგილიდან, თუნდაც თქვენი ნებართვის გარეშე წამოიყვირებს, მისი აზრით, სწორ პასუხს. გახსოვდეთ, რომ ასეთი ქცევა არ უწყობს ხელს კრიტიკული აზროვნების განვითარებას. იმპულსური პასუხის შემთხვევაში ბავშვი ყოველგვარი ანალიზის გარეშე იძლევა სტერეოტიპულ პასუხს ან ვარაუდს, რაც ავტომატურად „ხურავს“ მის გონებას შესაძლო ალტერნატივებისაგან.
- *წაახალისეთ მოსწავლეთა დამოუკიდებლობა.* არცთუ ისე იშვიათად გვხვდებიან მოსწავლეები, რომლებიც ძალიან მიჯაჭვულები არიან მასწავლებლებზე. შეცდომის დაშვების შიშის, თუ საკუთარ თავში დაურწმუნებლობის გამო, ასეთი ბავშვები თითქმის ყველა საკითხთან დაკავშირებით მიმართავენ მასწავლებელს; აზუსტებენ დავალების პირობას, მასწავლებლის მოლოდინს, ეკითხებიან მას დავალებაზე მუშაობის ყველაზე ეფექტური სტრატეგიების თაობაზე და ა.შ., ანუ ფაქტობრივად ყველანაირად გაურბიან პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას და სწავლის პროცესის საკუთარი ძალებით მართვას. კრიტიკული აზროვნება ვერ განვითარდება ასეთ პირობებში, ამიტომ მნიშვნელოვანია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ბავშვის მასწავლებელზე მიჯაჭვულობის მიზეზის დადგენა და მისი დამოუკიდებლობის ხელშეწყობა.
- *იზრუნეთ ხარისხზე და არა დროის სიმცირეზე.* საკლასო აქტივობების დაგეგმვისას მოსწავლეთა მუშაობის შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმი ხშირად დავალების შესრულებაზე მათ მიერ დახარჯული დრო ხდება. სავარაუდოდ, მოსწავლეთა გარკვეული დროის ფარგლებში მოქცევას აქვს გამამყარებელი არგუმენტები, თუმცა, კრიტიკული აზროვნების განვითარების კონტექსტში ეს სრულიად შეუსაბამო პრაქტიკაა. მოსწავლეთა დაჩქარება არ იძლევა კრიტიკული აზროვნებისა და ზოგადად, ღრმა აზროვნების პროცესში ჩართვის შესაძლებლობას; ახალისებს ზედაპირულ მიდგომას და უბიძგებს დაუსაბუთებელი, გადაუმონმებელი ვარაუდების გამოყენებისკენ.
- *იყავით ღია კრიტიკისათვის.* ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ მასწავლებლის მზაობას და ღიაობას მოსწავლეთა მხრიდან მისი პოზიციის შეფასების, გაანალიზებისა და შესწავლისათვის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მხოლოდ კრიტიკულად მოაზროვნე მასწავლებლისთვის არის შესაძლებელი მოსწავლეებში ამ უნარის განვითარება. შესაბამისად, ამ კონტექსტში სრულიად დაუშვებელი და არათანმიმდევრული იქნება მასწავლებლის მხრიდან საკუთარი პოზიციის ან ვარაუდების უზენაესობის, მათი სიზუსტის მტკიცება მოსწავლეებისათვის.
- *წაახალისეთ მოსწავლეები, იზრუნეთ მათი თვითშეფასების ამაღლებაზე.* მნიშვნელოვან-

ნია, ბავშვი გრძნობდეს, რომ მასწავლებელი მას აფასებს, როგორც დამოუკიდებლად მოაზროვნე პიროვნებას, პატივს სცემს მის აზრს და აინტერესებს მასთან ურთიერთობა. როგორც უკვე ვნახეთ, კრიტიკული აზროვნება გულისხმობს უკვე ათვისებული, გამჯდარი ღირებულებების, შეხედულებების, წესებისა და ნორმების გადასინჯვა/გადაფასებას. აღნიშნული ბევრად უფრო უმტკივნეულოდ წარიმართება, თუკი მოსწავლე დარწმუნებული იქნება საკუთარ თავში, საკუთარ შესაძლებლობებში. მხოლოდ თავდაჯერებულ მოსწავლეს არ შეეძინდება იმ „უხერხული კითხვების“ დასმის, რომლებსაც კრიტიკული აზროვნების პროცესი მოითხოვს. კრიტიკული აზროვნების ხელშეწყობის მიზნით გამოყენებული მაპროვოცირებელი შეკითხვები ისე ფრთხილად უნდა იყოს ფორმულირებული, რომ არ გამოიწვიოს მოსწავლეთა ღირსების, მათი თვითშეფასების შელახვა.

- *ყურადღებით უსმინეთ თქვენს მოსწავლეებს.* იმისათვის, რომ ბავშვებისთვის დისკომფორტული არ იყოს საკუთარ ღირებულებებსა და შეხედულებებზე საუბარი, მნიშვნელოვანია, მასწავლებელში ისინი სანდო მსმენელს ხედავდნენ. ამ მხრივ მასწავლებლის ქცევა პროფესიონალი ფსიქოთერაპევტის საქმესაც ჰგავს. კარგი თერაპევტი ყოველთვის აქტიურად უსმენს პაციენტს, ყურადღებიანია მის მიმართ და შეფასებებისაგან სრულიად თავისუფალ ატმოსფეროს სთავაზობს მას. მოსწავლეში სათანადო ნდობის მოპოვების მიზნით, მასწავლებელიც უნდა ახერხებდეს, რომ ბავშვის სიტყვები, მისი შინაგანი სამყარო არ გახდება მისი ან კლასის სხვა მოსწავლეების შეფასების საგანი; პედაგოგი მხოლოდ ეხმარება საკუთარ თავში უკეთ გარკვევაში, საკუთარი ღირებულებების შეფასებაში, კრიტიკული აზროვნების განვითარებაში.
- *მოსმენა არ არის პასიური პროცესი.* ის მსმენელისაგან აქტიურ ჩართვას, ყურადღების კონცენტრაციას და მოსმენილის ინტელექტუალურ ანალიზს მოითხოვს.
- *შეუქმენით მოსწავლეებს კრიტიკულად აზროვნების მოტივაცია.* აჩვენეთ, თუ რაოდენ სასარგებლო შეიძლება იყოს მათთვის ამ უნარის განვითარება. მასწავლებელმა უნდა გააღვივოს მოსწავლეთა ინტერესი ამ უნარის მიმართ შესაბამისი საუბრების თუ სასწავლო აქტივობების დაგეგმვით. ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მცდელობების და არა მხოლოდ საბოლოო შედეგების დაფასება, აღნიშვნა და წახალისება. მოტივაციის შექმნის პროცესში მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა რეალისტური, მისაღწევი მიზნები დაუსახოს მოსწავლეებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი მალევე დაკარგავენ ინტერესსა და ენთუზიამს.
- *მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს კარგად ესმოდეთ თვითშეფასების, საკუთარი აზროვნების პროცესის ანალიზის მნიშვნელობა.* ამისათვის, გარდა შესაბამისი საუბრებისა, სასარგებლოა პერიოდულად საკლასო აქტივობების შეჩერება და მოსწავლეთა ჩართვა მიმდინარე აზროვნების პროცესის ანალიზში.

## მოკლე შეჯამება

- კრიტიკული აზროვნება აზროვნების ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც გულისხმობს: ფრთხილ დამოკიდებულებას ყოველივე იმის მიმართ, რასაც აბსოლუტური ჭეშმარიტების პრეტენზია აქვს; გონების გახსნილობას იმ მრავალფეროვნების აღქმისათვის, რომლის შემოთავაზებაც შეუძლია სამყაროს.
- კრიტიკული აზროვნება არ არის თანდაყოლილი ან ადამიანის ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე დამოკიდებული. მისი განვითარება შესაძლებელია ნებისმიერ ადამიანში.
- კრიტიკული აზროვნება უწყვეტად და უსასრულოდ მიმდინარე პროცესია, რომელიც ადამიანისაგან აქტიურ, ცნობიერ ჩართვასა და ძალისხმევას მოითხოვს.
- კრიტიკული აზროვნება ორ ძირითად კომპონენტს მოიცავს – არსებული ვარაუდების

იდენტიფიცირება-გადამონმებას და შესაძლო ალტერნატივების ძიება/შეფასებას.

- მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელი თავად იყოს კრიტიკულად მოაზროვნე; ის ერთგვარი მისაბაძი მოდელი უნდა იყოს მოსწავლეებისათვის ამ უნარის გამოყენების თვალსაზრისით.
- კრიტიკული აზროვნების სწავლებისას, მასწავლებელი უნდა ეყრდნობოდეს ბლუმის ტაქსონომიას.
- შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნით, მასწავლებელი უნდა ზრუნავდეს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების მიმართ ინტერესის გაღვივებაზე.
- დაუშვებელია, მასწავლებელმა მოსწავლეებს თავს მოახვიოს საკუთარი იდეები და ვარაუდები; მასწავლებლის ვალდებულებაა, დაეხმაროს თითოეულ მოსწავლეს დამოუკიდებელ პიროვნებად, კრიტიკულად მოაზროვნე მოქალაქედ ჩამოყალიბებაში.

მასალა ამოკრებილია გამოცდების ეროვნული ცენტრის კვლევის დეპარტამენტის მიერ მომზადებული კრებულიდან „ეფექტიანი სწავლება“. (შეადგინა მარიამ გაბაშვილი, რედაქტორი ია კუტალაძე)



# 13<sup>3</sup>

## შეფასების რუბრიკის ნიმუში

ნებისმიერი განმსაზღვრელი შეფასების სქემა მასწავლებელს თავისუფლად შეუძლია გამოიყენოს განმავითარებელი შეფასების მექანიზმად და პირიქით

### მსჯელობის შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმები	სრულად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
მოსწავლეს შეუძლია დავალების ადეკვატურად გაგება და პრობლემის სწორად განსაზღვრა			
მსჯელობა გასაგები და თანმიმდევრულია			
მოსწავლე საკუთარ მოსაზრებას ამყარებს დამაჯერებელი არგუმენტებითა და კონკრეტული მაგალითებით			
მეტყველება გამართულია, ლექსიკა შესაბამისია, თითქმის არ არღვევს ენობრივ ნორმებს			

### ჯგუფურ მუშაობაში მონაწილეობის თვითშეფასების სქემის ნიმუში

ჩემს აზრს ღიად გამოვთქვამ	ყოველთვის	ზოგჯერ	არასოდეს
როცა სხვა ლაპარაკობს, ვუსმენ ყურადღებით	ყოველთვის	ზოგჯერ	არასოდეს
განსხვავებულ აზრს ვითვალისწინებ	ყოველთვის	ზოგჯერ	არასოდეს
დაკისრებულ ფუნქციას ვასრულებ	ყოველთვის	ზოგჯერ	არასოდეს
ვიცი, რომ კამათი ჩხუბში არ უნდა გადაიზარდოს	ყოველთვის	ზოგჯერ	არასოდეს
ვიცავ დროის ლიმიტს	ყოველთვის	ზოგჯერ	არასოდეს

### დისკუსიის შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმები	სრულად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
მკაფიოდ და გასაგებად აყალიბებს აზრს	2	1	0
მსჯელობს არგუმენტირებულად	2	1	0
აკეთებს დასკვნებს	2	1	0
იყენებს არავერბალური კომუნიკაციის ფორმებს (თვალთ, ჟესტებით, ხმით)	2	1	0
კორექტულია ოპონენტის მიმართ, ისმენს და კონსტრუქციულად პასუხობს განსხვავებულ აზრს	2	1	0

## ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმები	კი	არა	განმავითარებელი კომენტარი
ჯგუფის ყველა წევრი ჩართულია			
ჯგუფის წევრები უსმენენ ერთმანეთს			
ჯგუფის წევრები თანამშრომლობენ (აზრის გამოხატვის თანაბარი პირობები)			
ჯგუფი პრეზენტაციისას წარმოადგენს მთავარ იდეას, აკეთებს დასკვნებს			
ჯგუფი პასუხობს შეკითხვებს			
ჯგუფი იცავს დროის ლიმიტს			

## პრეზენტაცია

კრიტერიუმი	დიახ	არა	ნაწილობრივ	რეკომენდაცია
პასუხობს დავალების პირობას				
მეტყველება გამართულია, საუბრობს მკაფიოდ, იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას				
მსჯელობა თანამიმდევრულია, იცავს იცავს პრეზენტაციის ძირითად სტრუქტურულ ელემენტებს (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა)				
საკუთარი მოსაზრების საილუსტრაციოდ მოჰყავს შესაბამისი მაგალითები				
ფლობს აუდიტორიას, იყენებს არავერბალური კომუნიკაციის ელემენტებს				
იცავს დროის ლიმიტს				

## წერა

### წერიტი დავალების შეფასების კრიტერიუმები

#### I კრიტერიუმი

შინაარსობრივი გამართულობა	
დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებულნი.	2
დავალების პირობა ნაწილობრივ ადეკვატურადაა გაგებულნი.	1
დავალების პირობა არაადეკვატურადაა გაგებულნი.	0

## II კრიტერიუმი

ნაწერის აგება	
ნაწერი თანამიმდევრულია, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი.	1
ნაწერი არათანმიმდევრულია და/ან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი.	0

## III კრიტერიუმი

მსჯელობის დასაბუთება	
მოსწავლეს შეუძლია საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა, არგუმენტების მოხმობა და შესაბამისი მაგალითებით გამყარება	3
მოსწავლე ზოგან გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას, მოიხმობს შესაბამის არგუმენტებს, მაგრამ ყოველთვის ვერ ამყარებს შესაბამისი მაგალითებით.	2
მსჯელობა ყოველთვის არაა არგუმენტირებული და/ან მოხმობილი მაგალითები არაადეკვატურია.	1
მსჯელობა ზოგადია, მაგალითები არაა მოხმობილი.	0

## IV კრიტერიუმი

ლექსიკა და სტილი	
ლექსიკა ადეკვატურია, წინადადებები სტილისტურად გამართულია	2
ზრი გასაგებია, თუმცა ლექსიკა მწირია, არის რამდენიმე სტილური ხარვეზი.	1
ლექსიკა მწირია, აზრი – ბუნდოვანი.	0

## V კრიტერიუმი

სინტაქსი, მორფოლოგია, ორთოგრაფია და პუნქტუაცია	
ნაშრომში არ არის დაშვებული..... მეტი ამ ტიპის შეცდომა.	2
ნაშრომში არ არის დაშვებული ..... მეტი ამ ტიპის შეცდომა.	1
ნაშრომში დაშვებულია ..... მეტი ამ ტიპის შეცდომა.	0

**მცირე ზომის მხატვრული ტექსტის შედგენა საყრდენების  
გათვალისწინებით**

კრიტერიუმები	შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება	განმავითარებელი კომენტარი
საჭიროებისამებრ იყენებს საყრდენებს				
შინაარსი შეესაბამება დავალების პირობას				
ყურადღება გამახვილებულია არსებით დეტალებზე				
აზრები თანმიმდევრულად არის გადმოცემული				
იყენებს შესაბამის ლექსიკას				
იცავს მართლწერის ელემენტარულ ნორმებს				
კითხულობს საკუთარ ნაწერს და ასწორებს შემჩნეულ შეცდომებს				

**წერილის დანერა**

კრიტერიუმები	შეესაბამება	ნაკლებად შეესაბამება	არ შეესაბამება	რეკომენდაცია
ადეკვატურად იყენებს წერილის სტრუქტურულ ელემენტებს (მიმართვა- მისალმება, ძირითადი ნაწილი, დამშვიდობება)				
სათქმელს აყალიბებს გასაგებად და თანმიმდევრულად				
გამოხატავს საკუთარ თვალსაზრისს, დამოკიდებულებას				
იცავს ამ ტიპის ნაწერისთვის დამახასიათებელ ენობრივ სტილს				
იცავს მართლწერის საბაზისო ნორმებს				

## თხზულების შეფასების კრიტერიუმები

კრიტერიუმები	შეესაბამება	ნაკლებად შეესაბამება	არ შეესაბამება	რეკომენდაცია
შინაარსი შეესაბამება დავალების პირობას				
აზრები თანმიმდევრულად არის გადმოცემული				
აბზაცები სწორადაა გამოყოფილი				
ყურადღება გამახვილებულია მნიშვნელოვან დეტალებზე				
საკუთარი თვალსაზრისის საილუსტრაციოდ მოსწავლეს მოჰყავს ადეკვატური მაგალითები ტექსტიდან...				
იყენებს შესაბამის ლექსიკას				
იცავს მართლწერის ელემენტარულ ნორმებს				

წერიტი დავალების შეფასების კრიტერიუმები შინაარსისთვის  
(გამოყენებულია შეფასების რუბრიკა სტატიიდან „წერის შეფასება“, ავტორი  
მაია ინასარიძე, <http://mastsavlebeli.ge/?p=3990>)

### I კრიტერიუმი

შინაარსობრივი გამართულობა	
შინაარსს გადმოსცემს თანამიმდევრობით, არ ტოვებს არც ერთ მნიშვნელოვან მომენტს/ფაქტს.	3
შინაარსის გადმოსცემისას იცავს თანამიმდევრობას, მაგრამ გამოტოვებულია ერთი მნიშვნელოვანი მომენტი/ფაქტი ან შინაარსს გადმოსცემს, მაგრამ ერთ შემთხვევაში დარღვეულია თანამიმდევრობა.	2
თანამიმდევრობა დარღვეულია/ტოვებს მნიშვნელოვან მომენტებს/ფაქტებს, შინაარსი არასრულყოფილია.	1
დარღვეული თანამიმდევრობის გამო შინაარსის გაგება ჭირს/არ არის სწორად გაგებული შინაარსი, ამახინჯებს ფაქტებსა და მოვლენებს.	0

### II კრიტერიუმი

ნაწერის აგება	
ნაშრომი შეკრულია, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი, წერს სუფთად და გარკვევით.	2
ნაშრომი შეკრულია, თუმცა აბზაცები ზოგ შემთხვევაში არასწორადაა გამოყოფილი, ნაწერის გარეგნული სახე გასაუმჯობესებელია.	1
ნაშრომი არ არის შეკრული, აბზაცები არასწორადაა/საერთოდ არ არის გამოყოფილი, ნაწერის ამოკითხვა ჭირს.	0

### III კრიტერიუმი

სტილი და ლექსიკური გამართულობა	
ლექსიკა მდიდარია, ადეკვატურად იყენებს ახალშესწავლილ ლექსიკურ ერთეულებს, ფრაზეოლოგიზმებს.	3
ლექსიკა შინაარსის ადეკვატურია, თუმცა ნაკლებად იყენებს ახალშესწავლილ ლექსიკას და ფრაზეოლოგიზმებს. დაშვებულია ორიოდ სტილური ხარვეზი.	2
ლექსიკა ღარიბია, თუმცა აზრი გასაგები. არ იყენებს ახალშესწავლილ სიტყვებსა და ფრაზებს. დაშვებულია რამდენიმე სტილური ხარვეზი.	1
ლექსიკა მწირია, შეზღუდული. ხშირ შემთხვევაში აზრის გაგება ჭირს.	0

## IV კრიტერიუმი

ენობრივი გამართულობა	
ნაშრომში არ არის დაშვებული ....-ზე მეტი ისეთი ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომა, რომელთა შესახებ წესები ნასწავლი აქვს.	2
ნაშრომში არ არის დაშვებული ....-ზე მეტი ისეთი ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომა, რომელთა შესახებ წესები ნასწავლი აქვს.	1
ნაშრომში დაშვებულია ....-ზე მეტი ისეთი ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომა, რომელთა შესახებ წესები ნასწავლი აქვს.	0

**მოცემული შეფასების სქემების ადაპტირება მასწავლებლებს  
შეფასების მიზნისა და მოსწავლეთა საჭიროების შესაბამისად შეუძლიათ.**

კრიტერიუმები	გასაუმჯობესებელი	დამაკმაყოფილებელი	საუკეთესო
უშეცდომოდ კითხულობს ყველა სიტყვას			
ხშირად ცვლის ხმის ტონალობას. იყენებს მახვილებსა და პაუზებს.			
ადეკვატურად იყენებს არავერბალური კომუნიკაციის ელემენტებს			

## ინკლუზიური განათლება

ბავშვის უფლებების კონვენციის თანახმად, განათლების მიღება ყველა ბავშვის ფუნდამენტური უფლებაა. კონვენციაში გამოკვეთილი თითოეული უფლება ეხება ყველა ბავშვს ყოველგვარი დისკრიმინაციული გამონაკლისის გარეშე. ბავშვის უფლებათა ამგვარ ფართო აღიარებას მხოლოდ თეორიული საფუძველი არ გააჩნია. მსოფლიოს თითოეულ ქვეყანაში ბავშვის უფლებები განმტკიცებულია კონკრეტული ღონისძიებებით საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და აღმასრულებელ სფეროებში. ბევრი ბავშვი განიცდის სწავლასთან დაკავშირებულ სირთულეებს, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს მოსწავლის ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური თუ სხვა მდგომარეობით. სწავლის პროცესში სირთულეები შეიძლება

შექმნათ ნიჭიერ ბავშვებსაც, ქუჩის და მომუშავე ბავშვებს, ეთნიკური, კულტურული უმცირესობის და სხვა მარგინალური ჯგუფის წარმომადგენლებს. ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის ვალდებულებაა, ყველა ბავშვისთვის მოძებნოს წარმატებით სწავლების გზები.

ინკლუზიური განათლება გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში თანატოლებთან ერთად. ინკლუზიური განათლების მიზანია, ყველა ბავშვს მისცეს თანაბარი შესაძლებლობა თანატოლებთან ერთად სწავლისა და ხარისხიანი განათლების მიღებისა საცხოვრებელ ადგილთან ახლოს.

ინკლუზიური განათლება არ გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის საკლასო ოთახში ყოფნას და თანატოლებთან ერთად გარკვეული დროის გატარებას. ინკლუზიური განათლება მოითხოვს მთლიანად სკოლის დაუღალავ შრომას, რათა გააძლიეროს და განავითაროს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შესაძლებლობები, გააუმჯობესოს მოსწავლის აკადემიური და სოციალური უნარ-ჩვევები, მოამზადოს მოსწავლე დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და აქტიურად შეუწყოს ხელი მოსწავლის საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებას.

ინკლუზიური განათლების საერთაშორისო მოდელის მიხედვით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის და კლასის სრულუფლებიანი წევრია. ის სრულად უნდა მონაწილეობდეს სასკოლო და საკლასო აქტივობებში; სკოლაში მიმდინარე აკადემიურ (მაგ. წერა, კითხვა) და არააკადემიურ (მაგ. დასვენებებზე თანატოლებთან თამაში) პროცესებში.

ინკლუზიური განათლება აღიარებს მრავალფეროვნებას და განსხვავებულობის აუცილებლობას მოსწავლეების სწავლების პროცესში. განსხვავებული საგანმანათლებლო შესაძლებლობის და საჭიროების მქონე მოსწავლეების განათლება, რასაკვირველია, სწავლების განსხვავებული მიდგომების, სტრატეგიებისა და მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. ყველას მიმართ სწავლებისა და ქცევის მართვის ერთნაირი სტრატეგიების გამოყენება უარყოფს ბავშვებს შორის განსხვავებულობას და მათ ინდივიდუალობას. განსხვავებული საგანმანათლებლო შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებთან სწავლების ერთნაირი სტრატეგიების გამოყენება, (მსგავსი ინსტრუქციები მასალის ახსნისას, იდენტური საშინაო დავალებები, თანაბარი დრო დავალების შესასრულებლად) ერთი მხრივ, არაპროფესიონალური მიდგომაა, ხოლო მეორე მხრივ, არ უზრუნველყოფს ერთნაირ სასწავლო შედეგს ყველა მოსწავლისთვის. შესაბამისად, განათლების სისტემაში სკოლა წარმატებ-



ულად ითვლება, თუ მას შესწევს უნარი, შესაბამისი განათლებით უზრუნველყოს განურჩევლად ყველა მოსწავლე. სწორად დაგეგმილი ინკლუზიური განათლების პირობებში, ყველა მოსწავლეს ეძლევა საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზების შესაძლებლობა.

ინკლუზიური განათლების დანერგვა სკოლისგან გარკვეული ამოცანების გადაჭრას მოითხოვს:

- სკოლაში ჩართულმა ყველა ადამიანმა უნდა მიმართოს ერთობლივ ძალისხმევას ინკლუზიური განათლების დასამკვიდრებლად სკოლის სივრცეში, ინკლუზიური განათლების იდეას უნდა იზიარებდეს ყველა სკოლა;
- ინკლუზიურმა გარემომ უნდა აღიაროს და გაითვალისწინოს მოსწავლის მრავალფეროვანი საჭიროებები; სკოლამ უნდა შეძლოს სწავლის განსხვავებული სტილით და შესაბამისი სტრატეგიის გამოყენებით სწავლების უზრუნველყოფა;
- სკოლის გარემომ უნდა შეძლოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების შესაბამისი მხარდაჭერა; საჭიროების შემთხვევაში, დაახმაროს მოსწავლეებს სპეციალისტები;
- სკოლა დაინტერესებული უნდა იყოს პედაგოგების უწყვეტი პროფესიული განვითარებით და მომზადებით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის შესაბამისი მხარდაჭერის აღმოსაჩინად;
- სკოლას უნდა ჰყავდეს მოტივირებული პედაგოგები, რომლებსაც უწყვეტი ურთიერთობა ექნებათ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მშობლებთან; სკოლამ ხელი უნდა შეუწყოს მშობლებს, აქტიურად ჩაერთონ შვილების სწავლის პროცესში.
- სკოლამ უნდა შექმნას მისანვდომი ფიზიკური გარემო და საჭიროების შემთხვევაში (კომუნიკაციისთვის, მობილობისთვის), გამოიყენოს შესაბამისი ტექნოლოგიები. ინკლუზიური განათლების მიდგომის თანახმად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასა და მის სასწავლო პროცესში ჩართვა უმთავრესი პრიორიტეტია. მოსწავლეები სპეციალიზებულ სკოლებსა და კლასებში უნდა ნაწილდებოდნენ გამონაკლის შემთხვევებში და რეკომენდებულია მხოლოდ მაშინ, როცა ზოგადსაგანმანათლებლო კლასში ჩართულობა ვერ უზრუნველყოფს ბავშვის საგანმანათლებლო თუ სოციალურ საჭიროებებს ან როცა ეს აუცილებელია ამ ბავშვის ან სხვა ბავშვების კეთილდღეობისთვის. ამ შემთხვევაში მშობლებს აქვთ უფლება, მიიღონ კვალიფიციური და ამომწურავი კონსულტაცია განათლების იმ ფორმის შესახებ, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება მათი შვილების საჭიროებებს, რათა სწორი არჩევანი გააკეთონ.

სკოლები, რომლებიც იზიარებენ ინკლუზიური განათლების მიდგომებს, დისკრიმინაციული დამოკიდებულების წინააღმდეგ ბრძოლის, კეთილგანწყობილი გარემოს შექმნის ყველაზე ეფექტური საშუალებაა. ინკლუზიური განათლება ინკლუზიური საზოგადოების ფორმირების აუცილებელი წინაპირობაა. სწორედ ინკლუზიური განათლების კონტექსტში ხდება შესაძლებელი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებმა მიაღწიონ პროგრესს განათლებაში და სოციალურ ინტეგრაციას.

## სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება

ტერმინი – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება - გულისხმობს სწავლის სირთულეებს ან შეზღუდულ შესაძლებლობას, რომელსაც აწყდება მოსწავლე სწავლის პროცესში და რომლის დაძლევაც მას სპეციალური დახმარების გარეშე უჭირს. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს ექმნება სირთულეები და სჭირდება დახმარება შემდეგ სფეროებში:

- კითხვა, წერა, ანგარიში

- ინფორმაციის გადამუშავება
- საკუთარი აზრის და შეხედულებების გამოხატვა, სხვების აზრის გაგება
- საშინაო და საკლასო დავალებების შესრულება
- ქცევა
- ურთიერთობა თანატოლებთან და პედაგოგებთან
- მონესრიგებულობა
- სხვადასხვა სახის სენსორული და ფიზიკური დეფიციტი, რომელიც ზეგავლენას ახდენს სასწავლო პროცესზე
- გრძელვადიანი მკურნალობის/ჰოსპიტალიზაციის საჭიროება
- ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობა
- სოციალური დაუცველობა
- სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების გამო საგანმანათლებლო პროცესიდან გარიყვის საშიშროება

ტერმინის – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება – დამკვიდრება აუცილებელი გახდა მას შემდეგ, რაც სპეციალისტებმა აღიარეს, რომ სირთულეები სწავლის პროცესში მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს არ ახასიათებთ. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ მოსწავლეს არ აღენიშნება თვალსაჩინო დაზიანება თუ განვითარების დარღვევა, ისინი მაინც წარუმატებლნი არიან სკოლაში. შესაბამისად, განსაზღვრა იმისა, აქვს თუ არა მოსწავლეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, დამოკიდებული უნდა იყოს არა მის სამედიცინო დიაგნოზზე ან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსზე, არამედ სირთულეებზე სწავლის პროცესში.

2004 წლამდე საქართველოს განათლების სისტემა არ იცნობდა ინკლუზიური განათლების პრინციპებს და შესაბამისად, ნებისმიერი შეზღუდული შესაძლებლობის თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის განათლების ერთადერთ ალტერნატივას სპეციალიზებული სკოლა წარმოადგენდა. ბავშვებს, რომელთაც აღენიშნებათ უყურადღებობისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომები, დისლექსია, კითხვის, წერისა თუ მეტყველების სპეციფიკური დარღვევები, შეზღუდული შესაძლებლობის პირის სტატუსი არა აქვთ, თუმცა განათლების მხრივ სერიოზული საჭიროებები უდგებათ. სამედიცინო დიაგნოზის თუ შეზღუდული შესაძლებლობის არარსებობის გამო კი, მათი სწავლისა და ქცევის თავისებურებები არასწორადაა ინტერპრეტირებული. ხშირად სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის შეუსაბამო ქცევა სიზარმაცედ ფასდება. ეს კი, თავის მხრივ, სასწავლო პროცესის არასწორ დაგეგმვას, ჩარევის მცდარი სტრატეგიებისა და არაეფექტიანი ღონისძიებების განხორციელებას გულისხმობს. შესაბამისად, ნათელია, რომ სკოლაში ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა გამოვლენას დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, რათა თავიდან ავიცილოთ როგორც მოსწავლის ქცევის თავისებურების არასწორი ინტერპრეტაცია, ისე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტატუსის არასწორად მინიჭება იქ, სადაც ამის საჭიროება არ არსებობს.

## ინკლუზიური განათლების ხელშემწყობი გარემო

სკოლაში ინკლუზიური განათლების წარმატებით განხორციელებისთვის რამდენიმე აუცილებელი პირობის დაცვაა საჭირო. ესენია: სწავლისა და მოსწავლეებისთვის კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა; მოსწავლეების ინდივიდუალური განსხვავებებისა და საგანმანათლებლო საჭიროების მიმართ გულისხმიერი დამოკიდებულება; ყველა მოსწავლისთვის ერთნაირი, სწავლისა და განათლების თანაბარი პირობების უზრუნველყოფა და თანამონაწილეობა მთლიან სასკოლო საქმიანობაში.

სწავლისა და მოსწავლეებისთვის კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა სკოლის, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულების, უმთავრესი ამოცანაა. როდესაც ყველა მოსწავლის აკადემიური და სოციალური წარმატებები სკოლისთვის მთავარი ღირებულებაა, მაშინ ყველა, ვინც სასწავლო პროცესშია ჩართული - მასწავლებლები, მოსწავლეები, ადმინისტრაცია და მშობლები, ყურადღებას ამ მიზნის მიღწევისკენ მიმართავს და შესაბამისად, სკოლაში თანამშრომლობის, ურთიერთდახმარებისა და პატივისცემის გარემო იქმნება. ინკლუზიური განათლება თავისი არსით სწორედ ასეთ დამოკიდებულებას გულისხმობს ყველა მოსწავლის მიმართ და აღიარებს, რომ მიუხედავად ინდივიდუალური განსხვავებებისა სწავლისა და მოსწავლის მიმართ, კეთილგანწყობილი გარემო განათლების აუცილებელი პირობაა.

ყველა მასწავლებლის მიზანი და ამოცანა მოსწავლის მიღწევებსა და წარმატებებზე ორიენტირებაა, მაგრამ მოლოდინი და მოსწავლისთვის დასახული მიზნები აუცილებლად რეალისტური და განხორციელებადი უნდა იყოს. შესაბამისად, ნებისმიერი დავალება, რომელსაც მოსწავლეს ვაძლევთ, მის შესაძლებლობებს, უნარებს და ცოდნის დონეს უნდა შეესაბამებოდეს.

მოსწავლეებს შორის ინდივიდუალური განსხვავებების მიუხედავად, არსებობს მათი მხარდაჭერის და სწავლის სტიმულირების რამდენიმე ფაქტორი, რომლებიც ერთნაირად მნიშვნელოვანია ყველასთვის. უპირველეს ყოვლისა, ეს არის მოსწავლის თვითშეფასების ამაღლება, ქცევის პოზიტიური მართვა, სწავლისადმი ინტერესის გაღვივება და სწავლის მოტივაციის ამაღლება.

ინკლუზიური განათლება სკოლაში დანერგვისთანავე ამ სკოლის ცხოვრების შემადგენელი ნაწილი ხდება. სკოლაში მიმდინარე ყველა პროცესი გავლენას ახდენს ინკლუზიურ განათლებაზე და პირიქით. შესაბამისად, სკოლის ფარგლებში ზოგადსაგანმანათლებლო და ინკლუზიური განათლების პროცესები სკოლის მართვის ერთიან კონტექსტში განიხილება. კარგად დაგეგმილი მართვის პროცესში სკოლა ქმნის ყველა აუცილებელ პირობას იმისთვის, რომ თითოეული მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროება მაქსიმალურად იყოს დაკმაყოფილებული და ყველა მოსწავლეს სწავლისა და განვითარების ყველა აუცილებელი პირობა ჰქონდეს შექმნილი. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელი ხდება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც სკოლა ერთი მიზნის გარშემო გაერთიანებული და ყველა - სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები - ამ საერთო მიზნის მიღწევაშია ჩართული. ინკლუზიური განათლებისთვის საერთო მიზანი და თანამშრომლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რაც კარგ ორგანიზებულობასა და მართვას მოითხოვს. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მართვაში არის რამდენიმე ძირითადი პრინციპი, რომელთა დაცვაც უზრუნველყოფს მთლიანად სკოლის და ინკლუზიური განათლების ეფექტიან მართვას. აღნიშნული პრინციპებია:

- სკოლა უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ზოგადი განათლების მიღების უფლებას. მოსწავლეების მიღებისას სკოლა არ უშვებს რაიმე სახის დისკრიმინაციას და არ ამბობს უარს სწავლის სირთულეების მქონე ბავშვის სკოლაში მიღებაზე.
- თითოეული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის სკოლის ადმინისტრაცია და მასწავლებლები უზრუნველყოფენ ადეკვატურ და ხარისხიან განათლებას მისი საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით. ამისათვის სკოლის ადმინისტრაციამ სამინისტროს მიერ დადგენილი წესით<sup>1</sup> უნდა განახორციელოს: ა) კვალიფიციური სპეციალისტების მიერ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის ფსიქიკური, ფიზიკური და სოციალური უნარების განვითარების შეფასება; ბ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ინდივიდუალური საგანმანათლებლო

<sup>1</sup> იმ შემთხვევაში, თუ სკოლას არ ჰყავს შესაბამისი სპეციალისტი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის განვითარების შეფასებისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისთვის, სკოლა ვალდებულია, მიმართოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამების დეპარტემენტის ინკლუზიური განათლების მიმართულებას და/ან საგანმანათლებლო რესურს-ცენტრს დახმარებისთვის.

საჭიროების გამოკვეთა და გ) შეფასების შედეგებსა და საგანმანათლებლო საჭიროებებზე დაყრდნობით, ბავშვის მშობელთან და მასწავლებლებთან ერთად მისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავება.

- სკოლის ადმინისტრაცია გამოყოფს სკოლისთვის ინკლუზიური განათლების კოორდინატორს. კოორდინატორი შეიძლება იყოს დირექციის წევრი, მასწავლებელი ან მშობელი. სასურველია, ინკლუზიური განათლების არჩეული კოორდინატორი სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრიც იყოს. სკოლის ინკლუზიური განათლების კოორდინატორის ფუნქციაა, თვალყური ადევნოს ინკლუზიური განათლების პროცესს, მოსწავლეთა დასწრებას, სასწავლო პროცესსა და მთლიან სასკოლო აქტივობებში მათი ჩართულობის ხარისხს. კოორდინატორმა საბჭოს წინაშე უნდა დააყენოს ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი და საბჭოს წევრებთან ერთად პრობლემების მოგვარების ეფექტური გზები ეძიოს. მათ შორის, საბჭოს წევრებთან ერთად დაგეგმოს ინკლუზიური განათლებისთვის აუცილებელი დამატებითი სახსრების მოძიების ღონისძიებები. კვირის განმავლობაში კოორდინატორთან შეხვედრის დღეები წინასწარ უნდა იყოს გამოყოფილი, რათა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მშობლებმა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებმა და ამ მოსწავლეთა მეგობრებმა შეძლონ მასთან გასაუბრება გარკვეულ ინიციატივებზე, შესაძლო პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე.
- სკოლა, რომელსაც ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, ვალდებულია, ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებზე დაყრდნობით, სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოადგინოს: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების განათლების ხელშემწყობი მექანიზმები: ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მოდიფიცირებული ან ადაპტირებული სასწავლო გეგმები, განსაკუთრებული საგაკვეთილო განრიგი, დამატებითი ინდივიდუალური და ჯგუფური მეცადინეობები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის მაქსიმალურად ხელშემწყობი და ნაკლებად შემზღუდველი სასწავლო გარემოს შექმნა (მაგალითად, მეცადინეობა და/ ან დასვენება რესურსოთახში, შემეცნებითი ექსკურსიები, დამოუკიდებელი ცხოვრების გაკვეთილები და სხვა); სკოლამ სისტემატურად უნდა შეაფასოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები. ასეთი შეფასების პრინციპებია: 1. თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე მიყვება სასკოლო სასწავლო გეგმას ყველა საგანში და დამაკმაყოფილებელ დონეს აღწევს, მაშინ იგი ყველა დანარჩენი მოსწავლის მსგავსად ფასდება; 2. თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე სწავლობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, კლასიდან კლასში გადასასვლელად მან უნდა მიაღწიოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებს და ამოცანებს. ამ ამოცანების ფარგლებში კი შეფასება ჩვეულებრივი ათქულიანი სისტემით მოხდება. მაგალითად, VI კლასის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს მათემატიკის გაკვეთილზე დავალებად ჰქონდა, ენარმოებინა მარტივი გამოთვლები ასის ფარგლებში. მან წარმატებით გაართვა თავი დავალებას. შესაბამისად, მას მასწავლებელი უმაღლეს შეფასებას (10 ქულას) უწერს. იმ შემთხვევაში, თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე მისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დავალებებს თავს არიდებს და არ ასრულებს, ის დაბალ ქულას იღებს. უცილებელია, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე თითოეული ბავშვი ქულებთან (ნიშნებთან) ერთად იღებდეს კომენტარს ტექსტის სახით, სადაც აღწერილია მისი ძლიერი და სუსტი მხარეები დავალების შესრულებისას და მოცემულია კონკრეტული რეკომენდაციები, თუ როგორ შეუძლია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოვლენა. 3. თუ სპეციალური

საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე ვერ აღწევს დამაკმაყოფილებელ დონეს რომელიმე კონკრეტულ საგანში, მისთვის უნდა შემუშავდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ამ საგანში. მაგ. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე სტანდარტულად სძლევს ქართულს და ისტორიას, ხოლო მათემატიკას ინდივიდუალური სასწავლო გეგმით ეუფლება. შესაბამისად, ქართულსა და ისტორიაში მას სტანდარტული ნიშნები ეწერება, ხოლო მათემატიკაში – ნიშანი და შესაბამისი კომენტარი.

- მოსწავლის სკოლაში მიიღება და მისთვის შესაფერისი სწავლის საფეხური (კლასის) ირჩევა მისი აკადემიური და სოციალური უნარების, ასაკის და საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით. მოსწავლეთა საგანმანათლებლო და სოციალური ინტეგრაციის ინტერესების დასაცავად, სკოლა მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ბავშვის ასაკსა და მისთვის შერჩეულ სწავლის საფეხურს (კლასს) შორის შესაბამისობას. დაუშვებელია, ათი წლის მოსწავლე სწავლობდეს I ან II კლასელებთან ერთად ან 14-15 წლის მოსწავლე - III ან IV კლასელებთან ერთად. დასაშვებია განსხვავება მაქსიმუმ სამი წელია.
- სკოლა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების განათლებასთან დაკავშირებული შესაძლო სადავო საკითხების, საჩივრების დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი განხილვის ეფექტიან მექანიზმს ქმნის. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის განათლებასთან დაკავშირებული საჩივრების განხილვისას, სკოლა უფლებამოსილია, მიმართოს საგანმანათლებლო რესურსცენტრს და მოითხოვოს მულტიდისციპლინური გუნდის მომსახურება/დახმარება სადავო საკითხების მიუკერძოებლად განსახილველად.
- სკოლა ადგილობრივ თემთან ერთად გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა ტიპის აქტივობას, რათა ხელი შეუწყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების საზოგადოებაში ინტეგრაციას. მაგ. მოაწილოს მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა; საქველმოქმედო კონცერტები, რომელთა შემოსავლებითაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები მეგობრებთან ერთად დაეხმარება მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს და სხვა.

ყველა ამ პრინციპის დაცვის შემთხვევაში, ინკლუზიური განათლება კარგად ორგანიზებული ხდება. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები მონაწილეობენ სასკოლო ცხოვრების ყველა ასპექტში, იღებენ ხარისხიან და მათი შესაძლებლობების შესაბამის განათლებას, მოსწავლეთა მშობლები მასწავლებლებთან ერთად ჩართული არიან მათი განათლების პროცესში და სკოლაში ურთიერთპატივისცემისა და კეთილგანწყობის ატმოსფერო სუფევს. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში ყველას, ვინც სკოლის ცხოვრებაშია ჩართული, გარკვეული უფლება-მოვალეობები აქვს.

## **სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლება ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში**

რამდენადაც ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის ძირითად საშუალებას ეროვნული სასწავლო გეგმა წარმოადგენს, ხოლო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლება იგივე მიზნების მიღწევას ემსახურება, აუცილებელია მათი სწავლება ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით ხორციელდებოდეს და ამით საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებსაც თვითრეალიზაციის თუ წარმატების ისეთივე პირობები მიეცეთ, როგორც საქართველოს სხვა მოქალაქეებს.

ეროვნული სასწავლო გეგმის გამოყენებით საგანმანათლებლო სისტემა შეძლებს სპეციალური

საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ხარისხიანი განათლების მიღების უზრუნველყოფას, იმ ცოდნის გადაცემას და უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რაც მათ საკუთარი პოტენციალის სრულ რეალიზებაში დაეხმარება და ცხოვრების მაღალი ხარისხის განცდას მიანიჭებს.

ერთიანი სასწავლო გეგმა არის საუკეთესო საშუალება ჭეშმარიტად ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფისთვის. ამ მიდგომის თანახმად, ყველა საჯარო სკოლის მოსწავლისთვის უნდა არსებობდეს ერთი განსაზღვრული (მიზანდასახული, დოკუმენტირებული) სასწავლო გეგმა, რომლითაც იხელმძღვანელებს პედაგოგი განურჩევლად ყველა მოსწავლესთან. შესაბამისად, მიუხედავად მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებისა, პედაგოგის უპირველესი სურვილი უნდა იყოს, განავითაროს და გააძლიეროს მოსწავლე იმ ძირითად და პრიორიტეტულ საკითხებში, რომლებიც ეროვნული საგანმანათლებლო მიზნებით არის განსაზღვრული. ის უნდა ცდილობდეს, რაც შეიძლება მეტად მიუახლოვოს მოსწავლე გათვალისწინებულ სასწავლო შედეგებს, რადგან სჯერა, რომ დადგენილი სასწავლო გეგმა მოსწავლისთვის ყველა მნიშვნელოვან სასწავლო ასპექტს მოიცავს. შესაბამისად, სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლებისას, მათი სასწავლო გეგმა მაქსიმალურად უნდა იყოს დატვირთული იმგვარივე შინაარსით, რაც ეროვნული სასწავლო გეგმით არის გათვალისწინებული.

არსებული თანამედროვე მიდგომით, ეროვნული სასწავლო გეგმით სწავლებისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის ინტერესები, მისი ინდივიდუალური შესაძლებლობები, გაუნიოს ანგარიში მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებას და სწავლებისას ეროვნული სასწავლო გეგმიდან მათთვის ყველაზე აქტუალურ სასწავლო მიზნებზე გააკეთოს აქცენტი. მასწავლებელმა თავისი მოსწავლეების საჭიროების გათვალისწინებით უნდა გაანალიზოს, რა სასწავლო შედეგების მიღწევაა პირველადი მნიშვნელობის

მოსწავლეთა სრულად რეალიზების, დამოუკიდებელი მაქსიმალური ცხოვრების დონის მისაღწევად. ამავდროულად, დასაშვებია, მოსწავლეთა სწავლების პროცესში მასწავლებელმა გადახედოს სასწავლო გეგმას და მოსწავლისთვის და/ან მოსწავლეთა გუნდის თავისებურებების გათვალისწინებით ხელახლა დაგეგმოს ის. მთავარია, მასწავლებელმა სწორად განსაზღვროს, რა სასწავლო მიზანია ამ კონკრეტული მოსწავლისთვის მისი პიროვნული ფაქტორების და სამომავლო ცხოვრებისეული მიზნების გათვალისწინებით პრიორიტეტული.

ეროვნული სასწავლო გეგმა იძლევა საშუალებას, მასწავლებელმა თავად განსაზღვროს პირველადი, მეორეული, მესამეული მნიშვნელობის სასწავლო შედეგები კონკრეტული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის და დააზუსტოს მიზნების თანმიმდევრობა სასწავლო გეგმის ფარგლებში. შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში, მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს, თუ რა იქნება მოსწავლისთვის ყველაზე შესაფერისი სასწავლო პროგრამა. მასწავლებელი მოსწავლეთა საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით აზუსტებს და ეროვნული სასწავლო გეგმიდან ირჩევს მათთვის აქტუალურ მისაღწევ შედეგებს და განსაზღვრავს მიზნის მიღწევის (ცოდნის გადაცემის, უნარის გავარჯიშების) გზებს. დაზუსტებული სასწავლო გეგმის ფარგლებში დეტალურად იგეგმება მასწავლებლის სწავლების სტრატეგიები და სასწავლო აქტივობები (საკლასო და საშინაო), გამოყენებული მასალა, სახელმძღვანელოები. ამავდროულად, ზუსტდება დრო, რომელსაც მასწავლებელი დაუთმობს შერჩეულ მიზანს, აქტივობას თუ მასალას. მასწავლებელი ცდილობს, უფრო სპეციფიკური გახადოს სასწავლო გეგმა მოსწავლისთვის და მასში ასახოს ყველა მნიშვნელოვანი სასწავლო მიზანი. თუკი მოსწავლის საგანმანათლებლო პროცესი ამ პერსპექტივიდან დაიგეგმება, ეს დისკრეტული და იზოლირებული მიზნების დასახვისგან დაიცავს პედაგოგს და მის მოსწავლეს. მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისას, გაითვალისწინოს ეროვნული სასწავლო გეგმა, რადგან შეუძლებელია იზოლირებულად დასახული მიზნებით ინკლუზიური საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფა. ხშირად მოსწავლის პიროვნული ფაქტორები აუცილებელს ხდის

მისთვის, სასწავლო პროგრამაში არსებობდეს დამატებითი მიზნები, რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმაში ნაკლებად არის ხაზგასმული, მაგრამ მნიშვნელოვანია მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის. ხშირ შემთხვევაში, სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეებთან ასეთი მიზნები ყოველდღიური უნარების გაუმჯობესებით განისაზღვრება.

მასალა ამოღებულია მასწავლებელთა გაზამკვეთიდან „ინკლუზიური განათლება“,  
2011, © ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი